



«**ვერცხვის
ვერცხვი**»

XIV—XV

საყვარელი

საქართველოში



დავით ნინიძე



ეროვნული
ბიბლიოთეკა
საქართველო
101 302

„პროვინსიის მეზობელი“

XIV—XV სს

საქართველოში

(გაგრძობითა საგვარეულოს ისტორიიდან)



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1995

63.3(2ს)
947.92.2
6 674

საქართველოს იმერეთი



ნაშრომში განხილულია საქართველოს შინაპოლიტიკური ბრძოლისა და ბატონიშვილობის ინსტიტუტის ერთ-ერთი ეტაპი, XIV—XV სს. საქართველოში არსებული ე. წ. „პროვინციის მეფეთა“ ისტორია.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტი ისტორიკოსებისა და საქართველოს ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ სხვა პირთათვის.

რედაქტორი მ. ლორთქიფანიძე

რეცენზენტები: გ. ჯამბურია,
დ. კაციტაძე,
ჯ. გვასალია.

F 70362
3

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1995

0503020906
6
608(06)—95

ISBN 5—511—00634—3





ვუძღვნი
პაატა ლლონტის
ხსოვნას

შესავალი

XIV—XV სს. ერთიან ქართულ ფეოდალურ მონარქიაში შინა-პოლიტიკური და დინასტიური ბრძოლის განსაკუთრებული გამწვავებით აღინიშნა. ფეოდალური სეპარატიზმის ბატონობის პირობებში მთელი სიმწვავით დაისვა „ბატონიშვილობის“ საკითხი. იგი ყოველთვის თან სდევდა საქართველოში მეფობის არსებობის მთელ ხანას. „ბატონიშვილობის“ ინსტიტუტის სხვადასხვა ფორმებისა და დამახასიათებელი წიშან-თვისებების გამოვლინებები დამოკიდებული იყო ქვეყნის განვითარების გარკვეულ დონეზე, მის საშინაო და საგარეო ვითარებაზე. ამ ინსტიტუტის ყოველი ახალი ფორმა შედეგი იყო სახელმწიფოში მიმდინარე მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური ცვლილებებისა. „სეფეულნი“, ტაოკლარჯეთის „კელმწიფენი“, აფხაზ მეფეთა „უფლისწულები“ — ქართლის ერისთავები, XI—XII სს. ტახტის მამიებელნი, ორმეფობა XIII ს-ში, „პროვინციის მეფეები“ XIV—XV სს., „დამოუკიდებელი“ სამეფონი XVI—XVIII სს., „ბატონიშვილები“ XVIII ს., — ყველანი ერთი კატეგორიის მოვლენებია ქვეყანაში შექმნილი ფეოდალური სინამდვილის გარკვეულ საფეხურზე (82, 133).

ფეოდალური საზოგადოების განვითარების ყოველ ახალ ეპოქას „ბატონიშვილობის“ ინსტიტუტის ისტორიაში ახალი ეტაპი და ტახტის მამიებელ ბატონიშვილთა ბრძოლის შესაბამისი ფორმა მოაქვს. XIV—XV საუკუნეები, რომელიც მნიშვნელოვანი ეპოქაა ფეოდალური საქართველოს ისტორიაში, ქართული სახელმწიფოებრიობისათვის მრავალი ახალი მოვლენით აღინიშნა; ადგილი აქვს მნიშვნელოვან და ზოგჯერ მოულოდნელ ცვლილებებსა თუ მოვლენებს, რამაც ქართული ფეოდალური საზოგადოების განვითარება რადიკალურად შეცვალა. ამას, ბუნებრივია, თავისი ახსნა და მიზეზების ჩვენება სჭირდება. XIV ს. „ბატონიშვილობის“ ინსტიტუტის



ისტორიაში შინაპოლიტიკური და დინასტიური ბრძოლის ახალი ფორმა — „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტი წარმოიშვა. ამ ახალი ეტაპის გაჩენამ, ვფიქრობთ, აუცილებელი და აქტუალური გახადა „ბატონიშვილობის“ გამწვავებული საკითხისა და ამ ინსტიტუტის ევოლუციის ჩვენება. აღნიშნულ ფონზე საინტერესოდ გვესახება ქართული სახელმწიფოებრივი წყობილების შესწავლა-განხილვა ფეოდალური სეპარატიზმის სხვადასხვა ეტაპზე. „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტი სეპარატიზმის სწორედ ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი ეპოქაა, რომლის შესწავლით საშუალება მოგვეცემა უფრო სრული წარმოდგენა ვიქონიოთ როგორც ბატონიშვილთა ინსტიტუტის საერთო სურათზე, ისე ფეოდალური ხანის შინაპოლიტიკური და დინასტიური ბრძოლის ისტორიაზე. ამიტომაც აღნიშნავს აკად. ნ. ბერძენიშვილი, რომ „ეს ფეოდალური ინსტიტუტი უნდა ცალკე მონოგრაფიული შესწავლის საგანი გახდეს“ (82, 133).

„ჯერეთ არ იყო კურთხეული მეფედ და იწოდებოდა მეფედ“, — აღნიშნავს იოანე ბატონიშვილი „კალმასობაში“ შემავალ „საქართველოს ისტორიაში“ (128, 287), რაც კარგი, ლაკონიური განსაზღვრაა XIV—XV სს. საქართველოში არსებული „პროვინციის მეფეების“ ინსტიტუტის დასახასიათებლად. ამ ინსტიტუტისათვის დამახასიათებელ მთავარ ნიშნებსა თუ მოვლენებს ადგილი ჰქონდა ფეოდალიზმის განვითარების სხვა ეტაპებზეც: ერთიანი, ძლიერი ფეოდალური საქართველოს არსებობის ხანაშიც არაერთი მაგალითი ვიციტ, როცა საქართველოს მეფეს ბატონიშვილი თუ სამეფო ოჯახის ნათესავი ბაგრატიონი ებრძვის; დემნა უფლისწულის აჯანყების დროს ივანე ორბელი იქამდე მივიდა, რომ ერთიანობის ხანაში სამეფოს გაყოფაც კი მოითხოვა გიორგი მეფესა და დემნას შორის (142, 264—265). „პროვინციის მეფეთა“ არსებობის წინარე ხანაში დემნას აღნიშნულ აჯანყებას მოჰყვა ეკლესიის მესვეურთა გამოსვლა, მწიგნობართუხუცესის სახელის მიტაცება, კათალიკოსის გადადგომა, ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა და სხვ. მაგრამ აჯანყებული ბაგრატიონები ამ პერიოდში არ ყაბულდებიათ სამფლობელოებს ქვეყნის რომელიმე პროვინციასა თუ რეგიონში, მათი მიზანი ერთიანი სამეფო ტახტია და არა საქართველოს რომელიმე კუთხეში „მეფობა“. ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით, აღნიშნულ ხანაში უფლისწული ან უწყინარი „ალასტანელია“, ან აჯანყებული პრეტენ-



დენტი, XIV—XV სს. კი მეფემ უკვე „ვერ სცვალნის მთავარნი და ერისთავნი“, უფლისწულ-ბატონიშვილები, სამეფო ოჯახის ნათესავები თუ გვერდითი შტოს ბაგრატიონთა ერთი ნაწილი „ბატონიშვილობას“ აღარ სჯერდება და „მეფობას“ მიიტაცებს (82, 133). აღნიშნული მომენტი მნიშვნელოვანი ტეხილია შინაპოლიტიკური ბრძოლისა და, საერთოდ, ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარების ისტორიაში. „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტი ისეთი ფეოდალური ორგანიზაცია, რომელმაც თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა XIV—XV სს. ისტორიული მოვლენების განვითარების საქმეში, ამიტომ მისი არსის გახსნა და „პროვინციის მეფეთა“ ისტორიის განხილვა დიდ მნიშვნელობას იძენს ამ პერიოდის საქართველოს სამეფოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული წარსულის კვლევის საქმეში.

„პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის შეუსწავლელობის გამო მთელი რიგი XIV—XV სს. ისტორიის საკითხებისა ან გაურკვეველი რჩებოდა, ან არ იყო სწორად გაგებული. ამ ინსტიტუტის რაობის, არსის გარკვევა ბევრ ასეთ მოვლენას შუქს ჰფენს, ზოგ კარგად ცნობილ ისტორიულ ფაქტს სხვა ახალი კუთხით წარმოაჩენს, აქტუალურს ხდის პოლიტიკური თუ სოციალური მოვლენების ერთი ნაწილის შესწავლის აუცილებლობას. იგი ამ პერიოდის ერთი შეხედვით უცნაური მოვლენებისა თუ ფაქტების სწორი ინტერპრეტაციის საშუალებას გვაძლევს, მათი ახსნა „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის გაუთვალისწინებლად, ჩვენი აზრით, ვერ ხერხდება; ასეთი საკითხების კვლევა შეიძლება გასაღები გახდეს XIV—XV სს. შინაპოლიტიკური ბრძოლის სხვადასხვა მომენტების მართებულად გაგების საქმეშიც.

„პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის ისტორიის კვლევა გვეხმარება ქართული ფეოდალური საზოგადოების არა ერთი მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტაში. „პროვინციის მეფეთა“, „ორიანობისა“ და მსგავსი მოვლენების არსებობა ხელს უწყობს და აჩქარებს ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის დასუსტებასა და დაშლას; ჩვენი აზრით, აქტუალურია აღნიშნული გლობალური პრობლემის ამ საინტერესო კუთხით კვლევაც.

„პროვინციის მეფეთა“ არსებობა წარმოშობს ფეოდალური საზოგადოების ისტორიის ზოგიერთი თეორიული საკითხის კვლევის

აუცილებლობას და მათ განხილვას „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტთან მიმართებაში. XIV—XV სს. შინაპოლიტიკური ბრძოლის ამ მნიშვნელოვანი ეტაპის შესწავლა, „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის ისტორიის მონაცემების გათვალისწინებით, საინტერესოდ წარმოაჩენს „ბატონყმობის“ საკითხს საქართველოში, მისი გახანგრძლივების მიზეზებს, ასევე ვასალიტეტის, იმუნიტეტისა და ფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელ მსგავს ზოგადთეორიულ პრობლემებს.

„პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტი მიწათმფლობელობის გარკვეული ფორმაცაა. საინტერესო ჩანს ფლობამიცემული, „მეფის“ ტიტულით მოქმედი ბატონიშვილის თუ გვერდითი შტოს ბაგრატიონთა სამფლობელოს რაობის კვლევა, პროვინციული საგანმგებლოს არსის გარკვევა. აქვე დაისმის „პროვინციის მეფეთა“ სამფლობელოს სამეფო დომენთან, ფეოდალურ მამულებთან თუ სხვა მიწებთან მიმართების საკითხი. „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის ამ მხრივ კვლევამ შეიძლება საშუალება მოგვცეს შესწავლილ იქნას XIV—XV სს. მიწათმფლობელობის ფორმები აღნიშნული კუთხით. ამდენად, ამ ინსტიტუტის კვლევა აქტუალურია ფეოდალურ საქართველოში მიწათმფლობელობის ფორმების შესწავლის თვალსაზრისითაც.

XIV—XV სს. ბატონიშვილთა, სამეფო ოჯახის ნათესავთა თუ გამრავლებული გვერდითი შტოს ბაგრატიონთა შორის ურთიერთობის საკითხი აღნიშნული კუთხით არ არის შესწავლილი. სამეფო საგვარეულოს ისტორიის კვლევა კი, ბუნებრივია, ყოველთვის აქტუალურია. „პროვინციის მეფეთა“ ისტორიის გარკვევა გვეხმარება XIV—XV სს. ბაგრატიონთა გენეალოგიასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემისა თუ ხარვეზის შეჭვებაში; მათ შორისაა ზოგიერთი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხიც.

ფლობამიცემული, ხელმწიფობის მსურველი ბატონიშვილები თუ გვერდითი შტოს ბაგრატიონები თავიანთი მიზნების მისაღწევად ფეოდალთა წრეებით საზრდოობენ, ამიტომ აქტუალური ჩანს, ამ ინსტიტუტის მონაცემების გათვალისწინებით, XIV—XV სს. შიდაკლასობრივი ბრძოლის ისტორიის კვლევა.

ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩოების XIV—XV სს. შემოფარგვლა განაპირობა „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის არსებო-

ზის ხანის ხანგრძლიობამ. XIII ს. ბოლოსათვის იქმნება ყველა პატრიარქობა მათი არსებობისათვის, XIV ს. დამდევიდან უკვე ცნობილია ამ ინსტიტუტის პირველი წარმომადგენლები. „პროვინციის მეფეთა“ არსებობის ზედა ქრონოლოგიური საზღვარი XV ს. ბოლოზე მოდის, როცა გაფორმდა ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის დაშლა და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი ქართული სამეფო-სამთავროები. ამ მხრივ დგება ახალი ეტაპი „ბატონიშვილობის“ საკითხის ისტორიაში და „პროვინციის მეფეების“ არსებობისათვის აუცილებელი პირობები ქრება.

თანმიმდევრული ანალიზი ამ პერიოდის წერილობითი თუ სხვა ხასიათის ისტორიული წყაროებისა და გარკვეული კუთხით მათი შესწავლა საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის ისტორიის ძირითადი მომენტები. „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის არსის გარკვევა საშუალებას გვაძლევს გარკვეული მეთოდოლოგიური კუთხით მივუდგეთ ისტორიულ წყაროებს, სადაც საკმაოდ მოიძებნება მასალები ჩვენს წინაშე დასმული საკითხების გასარკვევად. ნაშრომში ზოგიერთი მათგანი განხილულია ისეთი კუთხით, როგორც ისინი ადრე არ შესწავლილა. თ. ჟორდანია თავის „ქრონიკებში“ აღნიშნავდა: „...საბუთებში მკითხველი იპოვის იმერთა და ამერთა არა ერთს და ორს მეფეებს, რომელნიც სრულიად მოხსენებულნი არ არიან ჩვენ მატიანეში და ისრეთთა მსხვილ-მსხვილ მოვლენათა, რომელნიც ცალის სიტყვითაც აღნიშნულნი არ არიან“ (57, VIII). „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის შესწავლის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სიგელ-გუჯართა და ქორონიკონთა მონაცემებს, თუმცა, მატიანეებშიც მოიპოვება ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია. თ. ჟორდანია ხედავს, რომ სიგელ-გუჯართა მონაცემები ზოგჯერ არ ემთხვევა მატიანეთა ცნობებს; ეს მომენტი, მისი აზრით, გამოწვეული უნდა იყოს XIV—XV სს. ქართულ ისტორიულ თხზულებათა „დიადის ნაკლულევანებით“ და სიღარიბით — „ამითვე უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ვახუშტისაც უნახავს გუჯარი ლეონ მეფისა 1354 წლის თარიღით, თუმცა შემატიანე ამ მეფეს სრულიად არ ახსენებს“ (57, 188). თ. ჟორდანია აქვეყნებს არა ერთ ასეთ სიგელ-გუჯარს „მომავალთა მკვლევართათვის საძიებლად“.



რადგან საკვლევი თემა გარკვეულად ისეთ ბაგრატიონებს შეეხება, რომელთა უმეტესობას ფეოდალური ოფიციალური ისტორიოგრაფია არ სცნობდა, ამიტომ, წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა თვით მათი ხელიდან გამოსულ პროდუქციას ენიჭება. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა სამეფო სიგელები, რომლებშიც დაცულია ცნობები მეფეების, სამეფო ოჯახის წევრებისა თუ ბაგრატიონთა გვერდითი შტოს წარმომადგენელთა შესახებ. ზოგიერთი მათგანი თავად „პროვინციის მეფეების“ მიერ არის გაცემული. ამ ინსტიტუტის ისტორიის კვლევისას შესაძლებლად გვეჩვენება ე. წ. სასისხლო სიგელების მონაცემების გამოყენებაც, რაზეც ვრცლად გვაქვს საუბარი აღნიშნული პრობლემისადმი მიძღვნილ ჩვენს სტატიაში (157, 22—30).

საბოლოოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის ისტორიასთან დაკავშირებით გამოყენებული და სისტემატიზებულია ყველა სახის ისტორიული წყარო (ქართულიც და უცხოურიც), დაწყებული მათიანეებითა და სიგელ-გუჯრებით და დამთავრებული ნუმიზმატიკური ძეგლებითა თუ აღაპებით. ვფიქრობთ, ამომწურავად არის წარმოდგენილი მასალები ხელნაწერთა ინსტიტუტის, საქ. ცსს არქივისა და მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სანქტ პეტერბურგის განყოფილების ფონდებიდან.

ჩვენს საკვლევ პერიოდზე ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „...იმ დაბურულ ტყეში, თუ უდაბნოში, რომელსაც XIV—XV სს. ეწოდება, გზის გაგნება შეუძლებელი იყო“ (191, 12). მრავლად არსებულ რთულ საკითხთა შორის ერთ-ერთია „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტი. ამ პრობლემაზე ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველმა ყურადღება ს. კაკაბაძემ შეაჩერა. მის ნაშრომებში მოცემული და განხილულია მდიდარი ფაქტობრივი მასალა, რომელიც უდავოდ ადასტურებს საქართველოს სამეფოს სხვადასხვა კუთხეებში „პროვინციის მეფეების“ არსებობას. ს. კაკაბაძემ პროვინციებში გახელმწიფებული ბაგრატიონების აღსანიშნავად საბოლოოდ მხარბ დაუჭირა ტერმინს „სამხარეო მეფეები“ (123, 119), საურმაგ კაკაბაძე გთავაზობს — „ვასალური მეფეები“ („Вассальные цари“) (68, 13—14), ნ. ასათიანი მათ „მცირე მეფეებს“ უწოდებს (77, 213). ჩვენი აზრით, მათ შეიძლება ეწოდოთ „ქინი მეფენი“, რადგან ეს

ტერმინი დასტურდება ისტორიულ წყაროში, კერძოდ, უამთაღ-
მწერელთან (43, 212). აკად. ნ. ბერძენიშვილი უპირატესობას ანიჭებს — „პროვინციის მეფეებს“, რაც გარკვეულად დამკვიდრდა
სამეცნიერო ლიტერატურაში, ამიტომ, ბუნებრივია, ჩვენც მას ვუ-
ჭერთ მხარს.

ბ. კაკაბაძის ნაშრომებში მდიდარი მასალის ფონზე მოცემულია
„პროვინციის მეფეების“ სამეფო შტოთა გენეალოგიური საკითხე-
ბი, მასვე ეკუთვნის ნარკვევები აღნიშნული ინსტიტუტის პოლიტი-
კური ისტორიიდან, რაჭა-არგვეთის მფლობელ „პროვინციის მეფე-
თა“ შტოსთან დაკავშირებულ პრობლემათა განხილვა და სხვ. მაგ-
რამ ს. კაკაბაძეს არ მოუცია განმაზოგადებელი დასკვნები, რომლე-
ბიც პასუხს ვასცემდნენ ისეთ საკითხებს, როგორცაა: „პროვინ-
ციის მეფეების“ ინსტიტუტის წარმოშობის მიზეზები, მისი არსი და
რაობა, ამ ინსტიტუტის როლი ერთიანი მონარქიის დაშლის საქმეში
და ა. შ. ისიც აღსანიშნავია, რომ ქართული ისტორიოგრაფიის გან-
ვითარების დღევანდელი დონიდან გამომდინარე, მის ნაშრომებში
გამოთქმული მოსაზრებების ერთი რიგი სადავო ჩანს. მოუხედავად
ამისა, ს. კაკაბაძის დამსახურება შინაპოლიტიკური ბრძოლისა და
„პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის ისტორიის კვლევის საქმეში
უდავოდ დიდია.

მართალია, დიდი ქართველი ისტორიკოსები (ივ. ჯავახიშვილი,
ე. თაყაიშვილი*...) კონკრეტულად არ შეჩერებულან ამ ინსტიტუტ-
ზე, მაგრამ მათ მიერ ჩატარებული კვლევა და ფუნდამენტური ნა-
შრომები პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის,
დინასტიური ბრძოლის, „ბატონიშვილობის“ საკითხის, ისტორიულ-
ქრონოლოგიური პრობლემებისა და წყაროთმცოდნეობის სფეროში
არის ის თეორიული და ფაქტობრივი საფუძველი, რასაც ემყარება
ამ ინსტიტუტის ისტორიის საკითხების შესწავლა.

„პროვინციის მეფეების“ ისტორიასთან დაკავშირებული პრობ-
ლემების კვლევა ახალ საფეხურზე აიყვანა ნ. ბერძენიშვილმა. დიდი
მეცნიერი უკვე ცნობილ ფაქტობრივ მასალას მის მიერ მოძიებულ
ცნობებსაც უმატებს და აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით გვა-

* ე. თაყაიშვილი მოკლედ ეხება ალასტანელთა საკითხს, რაზეც ქვე-
ვით გვეჩვენა საუბარი.



ძლევს განმაზოგადებელ დასკვნებს. ნ. ბერძენიშვილი არკვევს ამ ინსტიტუტის არსსა და რაობას, მის წარმომშობ მიზეზებს, „პროვინციის მეფეთა“ უფლებრივ მდგომარეობას, განიხილავს სამფლობელო ტერიტორიების ლოკალიზაციის საკითხებს და სხვ.

ისტორიკოსთა შემდგომი თაობისათვის უკვე აღარ არის საეჭვო ამ ინსტიტუტის არსებობა, თუმცა ეს საკითხი მონოგრაფიულად არავის შეუსწავლია. დ. გვრიტიშვილის, ვ. გაბაშვილისა და სხვათა ნაშრომებში განხილული და დახასიათებულია ეპოქა, რომელშიაც „პროვინციის მეფეები“ არსებობდნენ, ნაჩვენებია ის სურათი, რამაც საშუალება მისცა ამ „ჯერეთ არ კურთხეულ“ ბაგრატიონებს გტარებინათ „მეფის“ ტიტული.

„პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტთან დაკავშირებულ საკითხებს თანამედროვე ისტორიოგრაფიაში აკად. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებებზე დაყრდნობით განიხილავენ ნ. ასათიანი, ბ. ლომინაძე, ილ. ანთელავა... საურმაგ კაკაბაძე ძირითადად სარგის კაკაბაძის ნაშრომებით ხელმძღვანელობს. უკანასკნელად ამ საკითხებზე საგანგებოდ ჯ. ოდიშელი შეჩერდა, რომელიც, მართალია, ემყარება ნ. ბერძენიშვილის ძირეულ დებულებებს, მაგრამ, ამავე დროს, გვთავაზობს ახალ საინტერესო მოსაზრებებსა და დაკვირვებებს (167, 75—116).

„პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის წარმოშობა

ქართველთა ეროვნული თვითშეგნებისა და ერთიანობის იდეა აღრეულ პერიოდშივე პოულობს თავის გამოძახილს ტერმინში „ყოველნი ქართველნი“ და შემდეგ „ქართლის“ ცნების გაფართოებაში. ქართული ეროვნული დადგინების ეპოქის შედეგად ჩნდება „საქართველო“ და „ყოველი საქართველო“. პოლიტიკური დამოუკიდებლობის გვერდით ყალიბდება კულტურული თავისთავადობა. ერთიანობის იდეასა და კულტურულ მთლიანობას არც დაქუცმაცებულობის პერიოდში შეუწყვეტია არსებობა. იგი ერთი წამითაც არ შორდებათ თვალსაწიერიდან ამ პერიოდის ქართველ პროგრესულ მოღვაწეებს.

მიუხედავად ერთიანობის თვითშეგნების არსებობისა, ფეოდალური სახელმწიფო მუდმივად შეიცავს შინაპოლიტიკური ბრძოლისა და ფეოდალური სეპარატიზმის ტენდენციას. „სრულიად საქართველოს“ არასოდეს მოუსპია „აფხაზეთი“, „ქართლი“, „რანი და კახეთი“, „სომხეთი“ და „შირვანი“. გაერთიანებული საქართველოს მეფის ტიტულიც მხოლოდ ისტორიული შინაარსის მოვლენად არასოდეს ქცეულა (82, 132). საქართველოში ფეოდალიზმის განვითარების სხვადასხვა სტადიას თავისი ცვლილებები შეაქვს შინაპოლიტიკური და დინასტიური ბრძოლების ისტორიაში, ყოველ ახალ ეტაპს თავისი შესაბამისი სეპარატიკული ფორმა მოაქვს. ერთ-ერთი ასეთი საინტერესო ფორმაა „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტი, რომლის წარმომშობი მიზეზები უკვე XII ს. დასასრულისათვის ჩნდება.

XII ს. ბოლოს საქართველოში საზოგადოების სრული ფეოდალიზაციის, განვითარებული ფეოდალური სენიორიების არსებობისა



და ბატონყმობის პირობებში, ადგილი აქვს მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს. ეს საკითხი ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი გლობალური და საკვლევე პრობლემაა. ამჯერად იგი სცილდება ჩვენი ნაშრომის ფარგლებს, აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ თანდათან სამეფოში ფეხს იკიდებს ფეოდალის „გაჯელმწიფების“ ტენდენცია, ფეოდალური სეპარატიზმი ფრთებს შლის, დიდებული ნაწყალობევის სამკვიდრო მაშულად გადაქცევას ცდილობს, მიმდინარეობს სამეფო მიწების ფონდის შემცირების პროცესი. მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილებების პარალელურად თვალნათლივ იკვეთება პოლიტიკური კრიზისი: დემნას აჯანყება, უკლესიის გაფიცვა, თამარის მეორედ კურთხევის საჭიროება, დიდგვარიანთა გამოსვლა, საეკლესიო კრება, ლიხთ-იქითის აჯანყება, მთიელთა აჯანყება, ათაბაგთა საქციელი ახალციხელთა მიმართ, „უცნაური ბრძოლა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის, ყარსის დიდი ხნით ვერ აღება...“ (85, 198).

დასავლეთ ევროპის ისტორიაში XIII ს. მნიშვნელოვანი ეტაპია, იგი ითვლება ტეხილად გლახთა განთავისუფლების პროცესში, მიმდინარეობს ბატონყმობის გაუქმება, რომელიც მთელ რიგ ქვეყნებში მალე დასრულდა კიდევ. ამას მოჰყვა რადიკალური სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებები საზოგადოების განვითარების სხვადასხვა სფეროში (204, 100—102). წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოების წარმოშობა ახალი და მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ფეოდალიზმის ისტორიაში. მის ჩამოყალიბებასა და საზოგადოების თვისებრივად უფრო მაღალ ფორმაზე გადასვლაში შინაგან პროცესებთან ერთად თავისი გარკვეული როლი შეასრულა საგარეო ფაქტორმა — XIV—XV სს. დასავლეთ ევროპაში შექმნილი საერთო ვითარების გამო აღნიშნული პერიოდი საზღვარგარეთულ ისტორიოგრაფიაში „ფეოდალიზმის კრიზისის“ („Кризис феодализма“) (196; 206) ხანად მოინათლა. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ეს თეორია ერთხმად უარყოფილია, მიუხედავად იმისა; რომ ეს არის ასწლიანი ომის, შავი ჭირის, სახალხო აჯანყებების, ფეოდალური ანარქიის, პოლიტიკური კრიზისების ხანა, რამაც, მაგ., საფრანგეთში გამოიწვია მოსახლეობის შემცირება, ქალაქებისა და სოფლების გადატაცება, მატერიალური რესურსების

ამოწურავა; მაგრამ რადგან დასავლეთ ევროპის ეს ქვეყნები ფეოდალური საზოგადოების განვითარების აღმავალ ხაზს ადგანან და ადგილი აქვს პროგრესულ ცვლილებებს (ბატონყმობის გაუქმება და სხვ.), ამიტომ საგარეო ფაქტორი არ იწვევს ამ საზოგადოებების აცდენას ნორმალური, კანონზომიერი განვითარების გზიდან. როცა ასწლიან ომში გარდატეხა მოხდა, იგივე საფრანგეთმა სწრაფი აღმავლობა განიცადა, როგორც პოლიტიკური, ისე სამეურნეო თვალსაზრისით. ომის სიმძიმის მიუხედავად, ქვეყანაში „продолжалось развитие всех ведущих и прогрессивных социально-экономических процессов, хотя внешние обстоятельства были большой помехой и значительно замедляли их темпы“ (204, 116).

XII—XIII სს. მიჯნის საქართველოში სამეფო ტახტი ვეღარ ებრძვის „მეფეთა ადგილთა მკდომთ“, ქალაქები ვერ ხდება დასაყრდენი ცენტრალური ხელისუფლებისათვის, იგი ფეოდალებს ეთმობათ, რაც, როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, „უეჭველი რეაქციაა და ფრიად ცუდი პერსპექტივების მქონე“ (85, 187). დგება საკითხი: დარჩებოდა ასეთი მდგომარეობა თუ მეფის ხელისუფლება შეძლებდა კვლავ შეტევაზე გადასვლას? ან შეიცავდა თუ არა ქართული ფეოდალური საზოგადოება პოტენციალს, გადასულიყო განვითარების თვისებრივად ახალ სტადიაზე? ჩვენი აზრით, საქართველო ამ დროს განვითარება-წინსვლის გზას ადგა და არა რეგრესს, ამიტომ ზემოაღნიშნული მომენტები მხოლოდ დროებითი ჩანს. ასეთ ვითარებაში მყოფ ახალ სტადიაზე გარდამავალ ქართულ ფეოდალურ საზოგადოებას მოუხსწრეს მონღოლებმა. თამარის დროინდელი პოლიტიკური ბრძოლა არ გულისხმობდა იმას, რაც ქვეყანაში XIII—XV სს. მოხდა, თუმცა იგი ასეთ შესაძლებლობას შეიცავდა. ამ შესაძლებლობის გამოვლენა მონღოლების სახელთანაა დაკავშირებული. ნ. ბერძენიშვილი გვაფრთხილებს, რომ „ნუ გვეშინია ამ „საგარეო ფაქტორის „ზეშეფასება“: ასეთი ზეშეფასება არავის შეუძლია მისი უდიდესი მნიშვნელობის გამო. და შეიძლება კი, რომ ამ მოვლენებს: ველის სამასწლოვან შემოტევას, ხალხთა დიდ გადმოსახლებას მხოლოდ საგარეო ფაქტორი ვუწოდოთ? ან ასი, ან ორასწლოვანი ბატონობა ბარბაროს დამპყრობლისა საგარეო ფაქტორია? რა თქმა უნდა, არა“ (85, 239). მართლაც, საქართველოსათვის საგა-

რეთ ფაქტორი საშინაო ფაქტორად გადაიქცა, რამაც გამოიწვია უნაყოფრესი ტერიტორიების (სარწყავების) დაკარგვა, მოსახლეობის კატასტროფული შემცირება, აურაცხელი სიმდიდრის გაზიდვა, ვაჭრობის მოშლა, ქალაქების გალარობება, ინტენსიური მეურნეობის შესუსტება, ნასყიდის შემცირება, ბოგანობის გამრავლება... ეკონომიურ რეგრესს, ბუნებრივია, თან მოჰყვა პოლიტიკური კრიზისი: სამეფო ცენტრის დასუსტება, მეფეთა გამრავლება, ქვეყნის შინაური ადმინისტრაციის მონღოლურ ყაიდაზე გადასვლა, მთავართა წრის გაძლიერება, ორმეფობა, მონღოლური სამართლის შემოტანა. მონღოლებმა „საქართველო განიყვეს“ ერთმანეთში და თითოეულ მთავართან ცალკე ურთიერთობა დაამყარეს — ეს უპრეცედენტო შემთხვევა იყო ერთიანი ქართული მონარქიის არსებობის პერიოდში, როცა მეფის გარეშე ხდება მოხელე-მთავრების პოლიტიკური უფლებების ცნობა (136, 595). უკვე „მეფე შემცირებულ არს მძლავრებისაგან თათართასა და კუალად პირნი და მთავარნი საქართველოსანი განდგომილ არიან“, დავით ულუმ, „ვარამულ მეფედ“ წოდებულმა, „მთავარნი და ერისთავნი ვერ სცვალნის შიშისათვის ყაენისა“ (43, 256). ეგარსლან ბაკურციხელი „ეზომ განდიდნა, რომელ კინილა და სახელისა დებადცა მეფისა იკადრა, და ყოველი ქართველთა ნათესავი ბრძანებასა მისსა მორჩილობდეს, ვითარცა მეფესა, და თვთ დიდი და პატიოსანი შანშე მანდატურთ-უხუცესი, და გაგელი ვარამ და სხუანი ყოველნი მთავარნი“ (43, 212). მთავართა განდიდებას „მედროვეობის ხანა“ მოჰყვა — დიმიტრი თავდადებულის სადუნ მანკაბერდელის „ხელთა შინა“ ყოფნა უკვე მოულოდნელი და გაუგებარი აღარ არის. მიმდინარეობს მეფის ერთგულთა გადმობირება შეწყალების საშუალებით. ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით, ეს შეწყალება ქართული ფეოდალური სისტემის სწორედ ის აქილევსის ქუსლი იყო, რომელსაც მონღოლებმა კარგად მიაგნეს (83, 88). აღარაფერს ვამბობთ სამცხის „ხას-ინჯუს“ არსებობის შესახებ, რამაც ერთიან ქართულ ფეოდალურ მონარქიას საბედისწერო შედეგი მოუტანა.

საშინაო და საგარეო ფაქტორების ურთიერთგადაჯახვის შედეგად ქართული ფეოდალური საზოგადოების განვითარება შეჩერდა, „ყოველი საქართველო“ მოშლის გზას დაადგა. შექმნილი ვითარება XIII—XIV სს. მიჯნაზე უკვე მთელი სიმწვავეით გამოიქვავდა:

სახელმწიფო მიწების ფონდი მცირდება, მეფის უზენაესი უფლებები მიწაზე შესუსტებულია, დიდაზნაური მკვიდრ მამულს აღარ სჯერდება და ცდილობს ნაწყალობევიც მიუდევარ საკუთრებად აქციოს. სულ უფრო მწვავედ დაისმის „მამულის საკითხი“. დიდებული ყოველთვის მიისწრაფის გაზარდოს კუთვნილი ფეოდალური მეურნეობა, სამეფო ტახტს კი უჭირს ძველებურად შეასრულოს თავისი ფუნქცია — „შემოსავალი ჩუენისა სახლისა (სამეფო სახლისა, დ. ნ.)“ ვახუშტის სიტყვებით „არა ჯერ იყო საყოფლად“, ამიტომ იგი ვაზრდილ მოთხოვნილებებს ვეღარ აკმაყოფილებს. საბოლოოდ, სამეფო ცენტრმა ძველი მიმზიდველობის ძალა დაკარგა, იგი წინააღმდეგობას ვეღარ უწევს „საკელმწიფოებად“ დაშლის ტენდენციას, „არღარა იცვალეობდა ერისთავნი და არც თავადნი“, ერთიანი ეკონომიკური კავშირები ირღვევა, ისტორიულ-გეოგრაფიულმა პროვინციებმა პოლიტიკური თავისთავადობა დაიჩემეს, რის შედეგადაც, ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით, საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარება „ჩიხში“ მოექცა, მისი შეჩერება-სტაგნაცია მოხდა. „ჩიხის“ მდგომარეობიდან მხოლოდ ხანგრძლივი მშვიდობიანი პერიოდის შედეგად შეიძლებოდა გამოსვლა. ამის საშუალება კი საქართველოს არ მიეცა, მონღოლების, თემურ-ლენგისა და სხვათა იმანენტურ შემოსევებს XV ს. ქართველთა სამეფოს არაქრისტიანულ სახელმწიფოთა რკალში მოქცევა მოჰყვა, რამაც „ჩიხი“ საბოლოოდ გააღრმავა და ერთიანი ქართული ცენტრალიზებული მონარქიის კანონზომიერი და ნორმალური განვითარების გზიდან აცდენა გამოიწვია.

ეს ქვეყნისათვის მძიმე პროცესი, რომელიც რამდენიმე საუკუნე გრძელდება, თავისი განვითარების გზაზე, XIII—XIV სს. მიჯნისათვის, მნიშვნელოვან ტეხილს განიცდის. ზემოაღნიშნული პრობლემები განსაკუთრებული სიმწვავეითა და მთელი სიგრძე-სიგანით სწორედ ამ დროს წარმოჩინდა და დაისვა. ტეხილი მნიშვნელოვანია: მეფე „ღმერთის სწორი“ აღარ არის, დიდებულებმა უკვე „არღარა ინებეს“ მეფესთან „სამარადისო ყოფა, არამედ განეშორნეს და თვს თვსად იყოფოდეს“. ამ „თვს თვსად“ მყოფმა „მეფეთა ადგილთა მჯდომმა“ მოსაკარგავემ „კნინლა მეფობა იკადრა“ და ამიერიდან სამეფო კარს მხოლოდ „მოყვრობით“ ემორჩილება — ფ. გორგიჯანიძის თხზულებაში თემურ-ლენგისა და ივანე ათაბაგის დიალოგი-



სას ივანე ათაბაგი საქართველოს მეფეზე ამბობს: „მას აქედან თუ არ მოყვრობით, თორადა მეფობით ჩვენზედ ძალი არ შესწევს“. თემურ-ლენგი პასუხობს: „ვინც თავის ყმასაო ნამეტნავს პატივს დასდებსო, აგრე დაემართებისო, ნამეტნავად პატივისცემა ბატონობას მონადომებსო“ (121—311). ვფიქრობთ, აღნიშნულით კარგად ხასიათდება სამეფოში შექმნილი ვითარება. როცა წარჩინებული ფეოდალი ასე „გაჯელმწიფდა“, ბუნებრივია, სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელიც აღარ ყაბულდება „უპატიოდ ყოფნას“, ამიტომ ერთ დროს „უწყინარ ალასტანელს“ თუ აჯანყებულ ბატონიშვილსაც „შიეცა ფლობა“ და „მეფის“ ტიტულით იწყო მოქმედება. „Документы сохранили тут одну характерную особенность: они твердо отличают титулы: «царь царей» и «царь», чем ясно указывают на политическую структуру феодальной Грузии этого времени“ (197, 146).

„პროვინციის მეფეთა“ არსებობის წინა პერიოდში საუფლისწულო სამეფო დომენიდან გამოეყოფოდა მხოლოდ მეფის უფროს ვაჟს — ტახტის მემკვიდრეს. XIV—XV სს. „საუფლისწულოს“ პარალელურად ჩნდება ტერმინი „საბატონიშვილო“, რომელიც მეფის ყველა ვაჟის სამფლობელოს აღნიშნავდა. თუ ადრე სამეფო დომენიდან სამფლობელო მხოლოდ უფროს ვაჟს გამოეყოფოდა, ახლა უკვე მეფის დანარჩენ შვილებსაც აქვთ თავისი მკვიდრი მამული (185, 29). ეს მნიშვნელოვანი საფუძველია XIV—XV სს. „პროვინციის მეფეების“ წარმოსაქმნელად.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, დიდგვარიანები ამა თუ იმ „მეფეს“ ემხრობოდნენ იმის მიხედვით, თუ რას უკარნახებდა მათ საკუთარი ფეოდალური ინტერესები. ეს მომენტი სამეფო პოლიტიკაზე უკვე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა. ნ. ბერძენიშვილი ხაზს უსვამდა, რომ ფეოდალურ სახელმწიფოში „ბატონიშვილობის“ საკითხს განსაკუთრებით ფეოდალური წრეების შინაკლასობრივი ბრძოლა განსაზღვრავდა (82, 133). XIII—XIV სს. მიჯნაზე საშინაო და საგარეო ვითარების ურთიერთგადაჯაჭვის შედეგად შექმნილმა სიტუაციამ და საარსებო წყაროების შემცირებამ „ბატონიშვილობის“ საკითხი განსაკუთრებით გაამწვავა. დიდებულები სამეფო ტახტის საზიანოდ ემხრობიან მეფის წინააღმდეგ მებრძოლ ბატონიშვილებსა თუ გვერდითი შტოს ბაგრატიონებს, რათა თავად

პქონოდან „თავისუფლება შლილობათა ამით შინა“ (35, 556). „თავისუფლება“ მოპოვებულ და „თვს თვსად“ განმდგარ დიდებულთა გვერდით „ბატონიშვილობის“ საკითხმაც განსაკუთრებით წინ წამოიწია და აღნიშნული სახელმწიფოებრივი პრობლემა იმ გზით „გადაიჭრა“, რომ ჩამოყალიბდა ე. წ. „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტი. როგორც აღნიშნული იყო, ფეოდალური საზოგადოების განვითარების ყოველ ახალ ეპოქას თავისი შესაბამისი დამახასიათებელი თვისებრივი მომენტები შეაქვს ქვეყნის დინასტიური თუ შინაპოლიტიკური ბრძოლის ისტორიაში. ბატონიშვილობის ინსტიტუტიც, აღნიშნული თვალსაზრისით, თვისებრივ ცვლილებებს განიცდის. XIII—XIV სს. მიჯნაზე ასეთი ტეხილი თვალსაჩინოა*. ამ პერიოდში „გაქელმწიფებულ“ დიდ მთავართა და დიდებულთა გვერდით „პროვინციის მეფეთა“ გაჩენა სავსებით ლოგიკური ჩანს. პროვინციაში გადასული ბაგრატიონები, რომლებიც ბევრი რამით ჰგვანან დიდ მთავრებს, სამეფო საგვარეულოს ჩამომავლობის გამო „მეფის“ ტიტულით იწყებენ მოქმედებას. „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის ყველა წარმომადგენელი აუცილებლად ბაგრატიონთა საგვარეულოდანაა, რადგან „ჩუეულება იყო საქართველოს ნათესავთაგან მაშინ, რამეთუ არა ვისმე იბატონებდნენ, უკეთუ ჰყვათ მეგვდრე მეფეთა ნათესავი“ და თუ ხელმწიფობის განმზარახველი მეფეთა მონათესავეთაგანი“ არ იყო, მაშინ იგი „ვერ იკადრებდა მეფედ წოდებად და სწორყოფად და ვერცა გუარობასა მეფეთასა“ (35, 565).

* შემდეგისათვის საინტერესოდ გვეჩვენება ამ ინსტიტუტის განვითარების სხვადასხვა სტადიების ერთმანეთთან შედარება — რა აქვთ მათ საერთო და რა განმასხვავებელი ნიშნები შეიძინეს განვითარების შედეგად. მაგ., აქტუალური ჩანს IX—X სს. ტაო-კლარჯეთის „კელმწიფეების“, მრავალრიცხოვანი ბაგრატიონების, მეფეების, კურაპალატების, არტანუჯელი მამფალების, ერისთავთერისთავების, ბანელი მეფეების ეტაპის შესწავლა „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტთან მიმართებაში, ან XIV—XV სს. შემდგომ ხანაში „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის ევოლუციის საკითხების განხილვა, კერძოდ, XVI საუკუნიდან დამოუკიდებელი ქართული სამეფო-სამთავროების არსებობის ეპოქისა და გვერდითი შტოს ბაგრატიონთა მფლობელობის პრობლემების კვლევა. ასევე ინტერესს იწვევს XVIII ს. 90-იან წლებში ტახტის მემკვიდრეობისა და საუფლისწულოების ფლობის წესის შეცვლა ქართლ-კახეთში და, საერთოდ, ამ პერიოდის „ბატონიშვილობის“ საკითხი და მისი შედარება „პროვინციის მეფეების“ ინსტიტუტთან.

საქართველოს
ისტორიული
ბიბლიოთეკა

იოანე ბატონიშვილი „პროვინციის მეფის“ შესახებ, როგორც უკვე ითქვა, აღნიშნავდა, რომ ასეთი ბაგრატიონი „ჯერეთ კურთხეული მეფედ და იწოდებოდა მეფედ“; ვახუშტიც ადასტურებს მათ არსებობას ამ პერიოდში: გიორგი ბრწყინვალეს „ქუეშე და შემდგომად მისთა იყო ერთ სამეფოდ ქართლისა თანა ვიდრე ოც გიორგი მეფისა, ზ მეფის ბაგრატიისამდე, წელი რ.ლ. გარნათუ განდგებოდიან და იწოდებოდიან მეფედ, არამედ ირიცხვის ესრეთ, ვინაფთგან არა იყო სიმტკიცე“ (35, 802).

უმათააღმწერელთან ვკითხულობთ: „ხოლო დავით (მომავალი დავით VIII დ. ნ.) დაშთა თათართა შინა ტაჩან ნოინისთა, ჳირთა და იწროებათა შინა, და დედოფალი მათი დაშთა სკორეთს, და სსუანი ძმანი მიმოიბნივნეს“ (43, 293). ბუნებრივია, დაისმის საკითხი, თუ რა უფლებრივ მდგომარეობაში არიან და რით ცხოვრობენ ეს „მიმობნეული“ ბაგრატიონები. აქედან გამომდინარე, აღნიშნული კუთხით საერთოდ განხილვას საჭიროებს სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლების — მეფის ძმების, შვილების, გვერდითი შტოს ბაგრატიონების მფლობელობისა და არსებობისათვის აუცილებელი შემოსავლის წყაროს საკითხი XIV—XV სს. საქართველოში. ამ პერიოდში, როცა ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება დაღმავალი გზით მიდის, სახელმწიფო აპარატი მოშლილია და სამეფო მიწების ფონდი განუწყვეტლივ კლებას განიცდის, ბუნებრივია, ბატონიშვილთა და გვერდითი შტოს ბაგრატიონთა საკითხიც განსაკუთრებული სიმწვავეით დაისმის. ისინი უკმაყოფილონი არიან თავიანთი უფლებრივი და ეკონომიკური მდგომარეობით, მათთვის განკუთვნილი ადგილით სამეფოში, მით უმეტეს, რომ მეფეს აღარ შეუძლია თავისი ძმების, ოჯახის სხვა წევრების, ბატონიშვილების, გვერდითი შტოს ბაგრატიონების მოთხოვნილებების ძველებურად დაკმაყოფილება. საკითხი იმანაც გაამწვაა, რომ XIV—XV სს. მეფეთა ხშირმა ცვლამ და ტახტის მემკვიდრეობითი ფლობის წესის არაერთხელ დარღვევამ გამოიწვია ბატონიშვილთა და ბაგრატიონთა გვერდითი შტოების მომრავლება. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ მონღოლთა დროს სხვაგვარად დაისვა მეფის პერსონის საკითხი, მათთვის „სულ ერთია, ვინ იქნება, ოლონდ კი სამეფო გვარისა (ბაგრატიონი) იყოს“ (87, 252). ამან, ბუნებრივია, კიდევ უფრო შეუწყო ხელი აღნიშნული წესის ხშირ



დარღვევას. ასეთ პირობებში მეფეს არ ჰყოფნის სამეფო მიწების ფონდი, უჭირს ამ მომრავლებულ ბაგრატიონთა სამფლობელოებით დაკმაყოფილება; იგი კი მათი არსებობისათვის აუცილებელი მთავარი წყარო უნდა გამხდარიყო. სამეფო ტახტის მფლობელობის წესის დარღვევა, რა თქმა უნდა, იწვევს იმ ბაგრატიონთა ბრძოლა-უკმაყოფილებას, რომელთაც ტახტის მემკვიდრეობითი ფლობის წესის მიხედვით სამეფო გვირგვინი ეკუთვნოდათ. თავიანთი ადგილით უკმაყოფილო ტახტდაკარგული ბაგრატიონები იწყებენ ბრძოლას უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მათი ერთი ნაწილი, XIV—XV სს. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, „პროვინციის მეფობას“ აღწევს.

სხვადასხვა ბაგრატიონისათვის ფლობადაკარგულ, დამცრობილად ყოფნის პერიოდს პირობითად შეიძლება „ღარიბობის“ ხანა ვუწოდოთ. ეს ტერმინი დაცულია ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოცემულ ზევედგინიძეთა ერთ-ერთ საბუთში (80, 9, 30, 40). XIV ს. ასეთ ბაგრატიონთა ერთი ნაწილი აღარ ყაბულდება „ღარიბობას“ და, როცა ერთიანი სამეფო ტახტი მათთვის მიუწვდენელი ოცნება ხდება, „პროვინციის მეფობისათვის“ იბრძვის.

ამ პერიოდიდან საქართველოს მეფეები იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ ბატონიშვილთა, ოჯახის სხვა წევრთა და გვერდითი შტოს ბაგრატიონთა ინტერესებს. უკვე ალექსანდრე I დიდის ხანიდან ბოძება მხოლოდ მეფის სახელით აღარ ხდება, არამედ თითქმის მთელი სახლობისაგან; მეფე სამეფო სიგელებში დედოფალთ-დედოფალს, ძმებსა და შვილებსაც იხსენიებს (187, 123—124). რაც მთავარია, უკანასკნელნი ზოგჯერ „მეფის“ ტიტულითაც კი არიან მოხსენიებულნი. საქართველოს მეფეთა მოქმედებაში უკვე აშკარად იგრძნობა ნათესაობის გავლენა, რის გამოც მეფის თავისუფლება შეზღუდულია (190, 430). ბუნებრივია, ასეთი სამეფო ცენტრი ვეღარ აკმაყოფილებს გამრავლებულ ბატონიშვილთა და გვერდითი შტოს ბაგრატიონთა ამბიციებს, ვერ წინააღმდეგება მათ პოლიტიკურ მიზნებს და თუ ადრეულ პერიოდში მეფობის მდომთ „არა ეწოდა მათ მეფედ, არამედ ერისთავთა-მთავრად, და იყვნეს მორჩილებასა ძმისა მათისა“ მეფისა (63, 205), XIV—XV სს. მათი ერთი ნაწილი, უკვე გადასული ქვეყნის სხვადასხვა პროვინციაში, „მეფობას“ მიიტაცებს.

გასარკვევია, თუ სახელმწიფოს რა ტერიტორიაზე „პროვინციის მეფეები“ და ვისზე ვრცელდებოდა მათი ძალაუფლება.

პირველ რიგში განვსაზღვროთ „პროვინციის მეფეთა“ სამფლობელოს რაობა:

„პროვინციის მეფის“ სამფლობელო, როგორც ჩანს, შედგებოდა ცენტრალური მამულისაგან, რომელსაც გარკვეული ისტორიულ-გეოგრაფიული საზღვრები ჰქონდა, და მის გარეთ, შედარებით მოშორებით მდებარე სამამულე მიწებისაგან. „პროვინციის მეფეს“, რომლის ძირითად სამფლობელო ტერიტორიას, ვთქვათ, ჯავახეთი წარმოადგენდა, შეეძლო მამულები ჰქონოდა შიდა ქართლშიც ან ქვეყნის სხვა რომელიმე რეგიონში. მისი სამფლობელო ამ მხრივ შეიძლება გარკვეულად შევადაროთ ქართულ სათავადოს. სათავადოსაც თავისი ცენტრი აქვს და სამფლობელოთა ძირითადი ნაწილიც ამ ცენტრის გარშემო არის შემოკრებილი, მაგრამ ზშირად იგი მოიცავს ისეთ მამულებსაც, რომლებიც მისი ცენტრიდან მოშორებით მდებარეობენ. სათავადოს ცენტრალურ ტერიტორიებსა და მისგან მოცილებით მდებარე მიწებს შორის კი შეიძლება სხვა სათავადოს მამულებიც ყოფილიყო. ვფიქრობთ, „პროვინციულ სამეფოებს“, ისე როგორც სათავადოებს, ჩაკეტილი, შემოფარგლული, მკვეთრად დადგენილი საზღვრები არ უნდა ჰქონოდათ. სათავადო სამფლობელო მამული იყო. ასევე სამფლობელო მამულს უნდა წარმოადგენდეს „პროვინციული სამეფოს“ ტერიტორიაც.

„პროვინციის მეფეთა“ ერთი ნაწილის სამფლობელოდ შეიძლება ყოფილიყო სამეფო დომენისა და საუფლისწულო მამულის, ქვეყნის რომელიმე ადმინისტრაციული ერთეულის თუ საერისთავოს გარკვეული ტერიტორია. მეფის მიერ შვილებისათვის, სამეფო ოჯახის ნათესავებისა და გვერდითი შტოს ბაგრატიონებისათვის მიწებებულ რეგიონებში გადასული სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლები, როგორც ჩანს, თავიდან ცენტრის სახელით იწყებდნენ განმგებლობას, მაგრამ XIV—XV სს. მათ ერთ ნაწილს არაფერი უშლის ხელს, რომ საკუთარ საუწყებო „ქვეყნებში“ თავიანთ თავს „მეფე“ უწოდონ. საარსებო წყაროსა და წლიურ შემოსავალს „გავლემწიფებული“ ბაგრატიონები სწორედ ასეთი მამულებიდან იღებენ.

ბაგრატიონთა მეორე ნაწილი, რომელნიც თავისი ნებით არიან გადასული პროვინციაში, თავიანთ მფლობელობას ძირითადად იმ რეგიონებზე უნდა ავრცელებდნენ, სადაც ან თავად, ან მათ მამა-ბაბათ სამფლობელო მკვიდრი მამულები თუ საუფლისწულო მიწები ჰქონდათ. როგორც ჩანს, ასეთ რეგიონებში გადასულ „კნინ ბაგრატიონებს“ მფლობელობისათვის მომზადებული ნიადაგი ხვდებოდათ. ბუნებრივია, სხვაგვარად ისინი აქ ფეხს ვერ მოიკიდებდნენ. ეს ძირითადად ის ბაგრატიონები უნდა იყვნენ, რომელთაც სამეფო ტახტის მემკვიდრეობითი ფლობის წესის დარღვევისა თუ სხვა მიზეზების გამო სამეფო ტახტზე ასვლის შესაძლებლობა დაკარგული აქვთ. XIV—XV სს. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მეფის ბიძაშვილებისა თუ სხვა გვერდითი შტოს ბაგრატიონთა ერთი ნაწილი ახერხებს მეფის ნებადაურთველად ქვეყნის გარკვეულ რეგიონში „გაველმწიფებას“, სადაც ისინი აქტიურად იბრძვიან ამ ტერიტორიების სამკვიდრო მამულად გადასაქცევად. ზოგიერთი მათგანი კიდევ უნდა აღწევდეს დასახულ მიზანს. როგორც აღვნიშნეთ, ვახუშტის სიტყვებით, ბაგრატიონთა ერთი ნაწილი „განდგებოდიან და იწოდებიან მეფედ“, მაგრამ ეს ვითარება მხოლოდ „ირიცივის ესრეთ, ვინაჲთგან არა იყო სიმტკიცე“. ამ ცნობაში არის კარგი მინიშნება იმის შესახებ, რომ „პროვინციის მეფეთა“ ერთი ნაწილი თავისი ნებით, სამეფო ტახტისაგან დაუკითხავად არის გადასული ქვეყნის გარკვეულ კუთხეებში, საქართველოს მეფე მათ „მეფობას“ ფორმალურად მიიჩნევს („ირიცივის ესრეთ“, — აღნიშნავს ვახუშტი), მაგრამ XIV—XV სს. სამეფო ხელისუფლების დასუსტებისა და დეცენტრალიზაციის გამო სახელმწიფო ცენტრი უძლური ხდება მათი არსებობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

„პროვინციის მეფეთა“ სამფლობელო მამულების უმეტესი ნაწილი XIV—XV სს., როგორც ჩანს, უკვე აღარ წარმოადგენს სამეფო დომენის შემადგენელ ნაწილს. ამ პერიოდში დიდი ფეოდალები ახერხებენ სრული უფლებების მოპოვებას თავიანთ სამფლობელოებში, ასევე „პროვინციის მეფეთა“ გარკვეულ ნაწილსაც უნდა მიეღწია მათი საგანმგებლოების ცენტრისაგან გამოყოფისათვის. ამის გამო XIV—XV სს. ადგილი ჰქონდა სახასოს დაქუცმაცებას, რამაც გამოიწვია ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენი ძალე-



ზის დასუსტება, რის გამოც ცენტრმა ვერ შეძლო „პროვინციის მეფეთა“ არსებობის მოსპობა.

„პროვინციის მეფეები“ თავიანთ ხელისუფლებას დიდ ფეოდალთა მამულების გარკვეულ ნაწილზეც უნდა ავრცელებდნენ. მსგავსი „მეფეების“ არსებობისათვის ასეთი სამფლობელოებისა და ვასალთა ფენის არსებობა აუცილებელიც ჩანს. მეორე მხრივ, ფეოდალებიც ადგილობრივი „მეფისაგან“ უფრო დიდ წყალობას მოელოდნენ, ამიტომ მათი ურთი ნაწილი ამ „კნინი ბაგრატიონების“ ხელისუფლებას კიდევ აღიარებდა ზოლმე. ასეთ მიწებად სავარაუდოა გამოყენებული ყოფილიყო ფეოდალთა მკვიდრი-მიუღვეარი მამულის გარკვეული ტერიტორია, რომელზედაც XIV—XV სს. ერთიანი საქართველოს სამეფო ტახტს ხელი აღარ მიუწვდებოდა.

როგორც აღვნიშნეთ, „პროვინციის მეფეების“ მფლობელობისათვის აუცილებელი იყო სოციალური საყრდენის — ვასალთა ფენის არსებობა. ცენტრი ებრძვის დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარ ახლად შობილ „ტახტებს“ და ამარცხებს მათ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული სოციალური დასაყრდენი ანუ ადგილობრივი ფეოდალები ახალი „კნინი მეფეების“ ერთგულებასა ზედა“ მტკიცედ აღარ ღვანან. ლიხთ-იქითის „მეფის“ მიქელის (1327—1329) შვილმა ბაგრატმა „დაუმორჩილებლობითა მთავართათა ვერ იკადრა მეფობა, რამეთუ არლარა მოერთნენ ერისთავნი“ (36, 257), ე. ი. სოციალურ-ვასალური ფენის არქონის, მისი დაუმორჩილებლობის გამო მას მეფობა ვერ მოუბოვებია. ამის საპირისპიროდ, მაგ., ალექსანდრე I დიდის ძემ — დიმიტრი „წყალს-იქითის“ „პროვინციის მეფემ“ გაღმამხარში ფეხის მოკიდება იმიტომ შეძლო, რომ მისთვის „მინებებული“ სამფლობელოს მცხოვრებნი ამ „კნინი ბაგრატიონის“ ერთგული ყმები ხდებიან, რომელთაზედაც საქართველოს მეფეს ხელი აღარ მიუწვდება. XIV ს. დამდეგიდან ფეოდალთა როლი „პროვინციის მეფეების“ გაჩენის საქმეში ძალზე რელიეფური ჩანს, „გაველმწიფების“ მდომი ბაგრატიონები დიდებულთა სწორედ ასეთი წრეებით საზრდოობენ. კერძოდ, ფეოდალთა რომელი წრეებია მხედველობაში:

პირველ რიგში, ასეთად უნდა ჩაითვალოს სამეფო კარზე მეფის შვილებთან, ტახტის მემკვიდრე უფლისწულებთან და გამრავლებულ ბატონიშვილებთან მყოფი „აღზრდილ-შეზრდილები“. „აღზრდილ-

„შეზრდილობა“ ფეოდალური ინსტიტუტი იყო — როგორც ცნობილია, ბაგრატიონთა სახლის კარზე (ისე როგორც მთავართა და დიდ-აზნაურთა კარზეც) „იზრდებოდნენ“ დიდგვარიანები და უგვარონიც, ქართველები და არაქართველებიც, მაგრამ მათ შორის იყო „გაზრდილების“ გარკვეული ნაწილი, რომლებიც განსაკუთრებული ერთგულებით გამოირჩეოდნენ „გამზრდელის“ წინაშე. სწორედ მათ ეყრდნობა მეფე-მთავრებისა თუ ფეოდალთა ძალაუფლება (144, 14). სამეფო ოჯახის წევრთა და გვერდითი შტოს ბაგრატიონთა „გაზრდილები“ ძირითადად დიდებულ აზნაურთა შვილები იყვნენ. მაგ., საუფლისწულოზე დასმული ბატონიშვილის „აღზრდილ-შეზრდილებად“ უპირატესად თავად ამ საუფლისწულო ტერიტორიის მკვიდრი აზნაურების შვილები გვევლინებიან. ეს „თანაშეზრდილები“ პატრონთა ერთგულ და უახლოეს წრეს ქმნიან, რასაც „გამზრდელი“ უშუალოდ ეყრდნობა, მაგრამ, ამავე დროს, იგი თავის „შეზრდილთა“ ნება-სურვილსაც დიდად უწევს ანგარიშს. „გაზრდილის“ ფიქრით, როცა თავისი პატრონი ფახელმწიფდებდა, ერთგული სამსახური¹ სანუქფოდ მას დიდ წყალობას მიანიჭებს (85, 85—86, 297).

სხვადასხვა დროს „გაზრდილობის“ ინსტიტუტის არსი და მნიშვნელობა იცვლებოდა. ცენტრალური ხელისუფლების ძლიერების ხანაში ერთგული მოყმე სამეფო კარზე იზრდებოდა, „მზე აქ ამოდოდა — თუ არ იძულებით სამეფო კარი მას თავისთან ყოლას ვერ შესძლებდა“ (85, 86). მაგრამ სამეფო ტახტის დასუსტების ხანაში „აღზრდილ-შეზრდილობის“ ინსტიტუტი უკვე დაშლილობას უწყობს ხელს: თითოეულ უფლისწულს ახლავს „გაზრდილთა“ მეტნაკლები რაოდენობა, რომელნიც ამ ბაგრატიონთა „სეპარატისტულ მეცადინეობაში“ განდიდებისათვის განსაკუთრებული ერთგულებით იბრძვიან (85, 86). ასეთი „აღზრდილ-შეზრდილები“ უნდა ჰყოლოდათ გვერდითი შტოს ბაგრატიონებსაც, რომელთაც სამეფო ტახტის ფლობის შესაძლებლობა უკვე დაკარგული ჰქონდათ და ახლა „პროვინციის მეფობისათვის“ იბრძვიან. „პროვინციის მეფეებს“ სოციალური საყრდენი — ვასალთა ფენა პირველ რიგში ასეთი „გაზრდილებისაგან“ უნდა შეექმნათ. ამიტომ „პროვინციის მეფობისათვის“ მებრძოლი ბაგრატიონები ძირითადად იმ პროვინციებში გადადიან, სადაც მათ უშუალო წინაპართ თუ პირადად ბატონიშვი-



ლობის პერიოდში მფლობელობა და „აღზრდილ-შეზრდილები“ ჰყავდათ. ამ რეგიონებში „პროვინციის მეფეებისათვის“ საარსებო ნიადაგს სწორედ ეს ადგილობრივი, მკვიდრი „გაზრდილები“ ქმნიან. ისინი ელიან რა ადგილობრივი „მცირე მეფისაგან“ უფრო მეტი უფლებების მოპოვებას, „ეზრახებიან“ ამ ბაგრატიონებს, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს ამა თუ იმ „პროვინციის მეფის“ არსებობას. გიორგი VIII 1466 წ. იმიტომ გადავიდა მაინცადამაინც კახეთში, რომ მას უფლისწულობის პერიოდში მფლობელობა და შესაბამისად თავისი „გაზრდილ-შეზრდილებიც“ სწორედ აქ ჰყავდა. იგი მამის სიცოცხლეში, როგორც ჩანს, მათზე დაყრდნობით ამ რეგიონში „პროვინციის მეფე“ ხდება, ხოლო 1466 წ. კი კახეთის სამეფო ტახტზე ასვლასაც ახერხებს. „გაზრდილებიდან“ მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ვაჩნაძეები, რომელთაც 1455 წ. მის მიერ ბოძებულ სიგელში „ჩუენსა თანა აღზრდილ შეზრდილთ“ უწოდებს (II). ასევე შეიძლება ვილაპარაკოთ ალასტანელთა, გიორგი VIII შვილთა, ბაგრატ VI შვილის — ალექსანდრესა და სხვათა შემთხვევაში.

„პროვინციის მეფეთა“ დასაყრდენ ფეოდალთა მეორე წრეს ქმნის წარჩინებულთა ის ნაწილი, რომელნიც სამეფო ცენტრისაგან მიღებული უფლებრივი მდგომარეობით უკმაყოფილონი არიან. როგორც ჩანს, „პროვინციის მეფეები“ საყრდენი ძალის გამრავლების მიზნით ვასალად მოსულ ფეოდალებს უფრო დიდ უფლებებს ჰპირდებიან, ვიდრე იგი მათ კანონიერი მეფეებისაგან აქვთ მიღებული. ფეოდალიზმის პრინციპია, რომ თუ მეფე ვასალს საკადრისად ვერ უზრუნველყოფს, ყმა ნებიერია წავიდეს მასთან, ვინც მეტს უბოძებს (87, 226). ფეოდალებიც შესაბამის ნაბიჯს დგამენ — ემხრობიან „პროვინციის მეფეებს“, რაც მსხვილ ფეოდალთა ცენტრისაგან ჩამოშორებას, ხოლო თავად „მეფობისათვის“ მებრძოლი ბაგრატიონებისათვის საყრდენი ძალის გაძლიერება-გამრავლებას იწვევს. რაც დრო გადის, საქართველოს მეფე სულ უფრო უძლური ხდება შეაჩეროს აღნიშნული პროცესი.

„პროვინციის მეფეების“ ინსტიტუტის წარმოშობის არსის გარკვევასა და იმ ეპოქაში მცხოვრებთა ეროვნული თვითშეგნების გახსნაში, ვფიქრობთ, დაგვეხმარება „ძეგლი ერისთავთას“ ერთი ცნობა:

„ხოლო საქმე ერისთავისა იოვანესი ვითარ გაუწყო: მეფენი შემოხუეწილ სახლსა შინა მისსა მათგან ითხოვდიან მეფობასა და მისცის, რომლისაცა ენების“ (61, 356). იოანე ქსნის ერისთავის „სახლსა შინა შემოხუეწილში“, როგორც ჩანს, იგულისხმება ის მებრძოლი ბატონიშვილები თუ გვერდითი შტოს ბაგრატიონები, რომელთა მიზანია არა ერთიანი სამეფო ტახტი, არამედ ქვეყნის რომელიმე კუთხეში „გამეფება“. „ძეგლი ერისთავთას“ აღნიშნული ადგილი კარგად წარმოაჩენს „პროვინციის მეფეთა“ სოციალური საყრდენი ძალის საკითხს. როგორც ვგებულობთ, ბატონიშვილთა თუ სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელთა ერთი ნაწილი თავს აფარებს ქსნის ერისთავის ოჯახს და „მათგან ითხოვდიან მეფობასა“. ქსნის ერისთავიც XIV—XV სს. გაბატონებული ფეოდალური ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, არად ავდებს ერთიანი სამეფო ტახტის ინტერესებს და აძლევს ვასალებს ადგილობრივი აზნაურებისა და გლეხების სახით. სწორედ ეს უნდა იგულისხმებოდეს მემატჩიანის სიტყვებში: „...ითხოვდიან მეფობასა და მისცის, რომლისაცა ენების“. „ძეგლი ერისთავთას“ ცნობა იმითაც არის საინტერესო, რომ თვითონ ქსნის ერისთავი არ ხდება „პროვინციის მეფის“ ვასალი (როგორადაც გვევლინება, მაგ., დემეტრე „წყალს-იქითის“ „პროვინციის მეფისათვის“ თაყა ფანასკერტელ-ციციშვილი), იგი მხოლოდ თავისი ყმებიდან ერთ ნაწილს აძლევს „ვაჯელმწიფების“ მაძიებელ რომელიმე ბაგრატიონს, რაც ქსნის ნიადაგს ამ რეგიონში მათი „პროვინციის მეფობისათვის“. ქსნის ერისთავი „შემოხუეწილ“ ბაგრატიონებს აძლევს „მეფობას“ და, ამავე დროს, ამ აქტიდან თავადაც დიდ მოგებას მოეღის.

„პროვინციის მეფეების“ წარმოშობას ხელი შეუწყო იმ პროცესმაც, რომელსაც ადგილი ჰქონდა სამეფოში აღნიშნული პერიოდისათვის: საქართველოს მეფეები ცენტრალიზაციის შენარჩუნების მიზნით ურჩ მთავართა მაგივრად სამეფო სახლის წევრებს ნიშნავდნენ — „ნათესაობა უფრო მტკიცე გარანტია უნდა ყოფილიყო იმისა, რომ შენარჩუნებული იქნებოდა ქვეყნის ამ ნაწილების ერთგულება ცენტრალური ხელისუფლებისადმი. ამ თვალსაზრისით მეფეთა-მეფის მიერ საქართველოს ცალკეული ნაწილების „მინებება“ ასეთი მცირე მეფეებისადმი სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ ამით იგი საქართველოს დაშლას აკანონებდა. პირიქით, ეს



ლონისძიება მიმართული იყო ადგილობრივ ერისთავთა თუ მთავართა მიერ ხელისუფლების უზურპაციის წინააღმდეგ“ (76, 111). ძირითადად ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ XIV—XV სს. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, სამეფო ოჯახის წევრებისა თუ ბატონიშვილების ერთი ნაწილი როგორც კი ხელში იგდებდა ქვეყნის ამა თუ იმ მხარეს, გარკვეული სოციალური დასაყრდენი ფენისა და მფლობელობისათვის აუცილებელი პირობების არსებობის შემთხვევაში თავის თავს „მეფედ“ აცხადებდა. ეს კი „პროვინციის მეფის“ წარმოშობას ნიშნავდა, რაც ცენტრალიზაციის მაგივრად ხელს უწყობდა ერთიანი ქართული მონარქიის დაშლის პროცესს.

ვახუშტი აღნიშნავდა: „არა იყო ჩვეულება მეფეთა და უფროს-ლა ბატონთა შინა, რათამცა განხეთქილება ექმნათ სამეფოსა. გარნა უფროს განხეთქილებასა მცდელობდნენ და არცა რიგებდნენ სისხლთა, ვითარცა საჩინო არს. გარნა თუ ძეთა დასხმოდნენ არა მეფედ, არამედ ერისთავად და მორჩილად მეფეთა“ (35, 564). ეს ერისთავად დასმული თუ საბატონიშვილოებს მინებებული ბატონიშვილები მართლაც ძირითადად „მორჩილად მეფისა“ იყვნენ, მაგრამ XIV—XV სს. ზემოაღნიშნული პროცესების განვითარებამ ქვეყანა მიიყვანა იქამდე, რომ პროვინციაში ფლობამიცემული სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლები, მეფის ნებადართვით თუ ნებადაურთველად, „პროვინციის მეფობას“ იწყებენ.

XIV—XV სს. საქართველოში შესუსტდა ქვეყნის ისტორიულ კუთხეებს შორის სამეურნეო-ეკონომიკური კავშირი, მოიშალა მათი დამოკიდებულება ცენტრისადმი. „მტკვრის და რიონის ხეობების გამაერთიანებელი მნიშვნელობა საქართველოსათვის იკარგება, ნატურალური მეურნეობა მეფდება და საქართველოს სხვადასხვა ხევები და კუთხეები ცალკე, დამოუკიდებელ ცხოვრებას მისდევენ“ (150, 104). ბუნებრივია, განსაკუთრებულ სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ განაპირა ისტორიულ-გეოგრაფიულად იზოლირებული პროვინციები თუ „მიკროქვეყნები“ იჩენდნენ. XIV—XV სს. ისტორიულ-გეოგრაფიულ „ქვეყნებში“ სამეფო ხელისუფლების გავლენა ძალზე სუსტდება და ადგილობრივი ფეოდალებიც დამოუკიდებლად გრძნობენ თავს. „იმ დროს თითოეული თემი და სამთავრო საკუთარს პაწია სახელმწიფოს წარმოდგენდა (Status in statu)“, —

აღნიშნავს ნ. ურბნელი (176, 63). „ძეგლი ერისთავთას“ კითხვისას მართლაც, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ქვეყნის ისტორიული პროვინციები თავის ანაბარა არიან მიტოვებულნი. ერისთავები, რომელთაც ხევი თუ რომელიმე ადმინისტრაციული ერთეული მეფისაგან სამმართველოდ აქვთ მიღებული, უკვე „კელმწიფობას“ იწყებენ და ცენტრისაგან მნიშვნელოვანი თავისუფლებით სარგებლობენ. ისევ ქსნის ერისთავები გავიხსენოთ — შალვა ქვენიფნეველის 1470 წ. სიგელი ლარგვისის მონასტრისადმი არის ერთ-ერთი იშვიათი დოკუმენტი მეფის სახელით გაცემული ადგილობრივი ერისთავების მიერ.

XIV—XV სს. საქართველოში, როცა დიდებულები „ყოველივე კვესა და სანახებსა და თემთა და ადგილთა მკვდრ ქმნილიყენენ, და, ვისცა მამულსა მისცემდა, მკვდრად მიეცემოდა“ (34, 348), სხვა მოუგვარებელი პრობლემების გვერდით, მწვავედება „ბატონიშვილობის“ საკითხიც. ბატონიშვილები, მეფის ძმები, ბიძაშვილები თუ გვერდითი შტოს ბაგრატიონები ეზრახებიან რა ადგილობრივ წარჩინებულებს, განკერძოების მისწრაფების მქონე იზოლირებულ ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონებში სოციალური საყრდენი ძალის გაჩენის შემდეგ „პროვინციის მეფობას“ იწყებენ. მეფის შვილებისა და სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელთა მფლობელობის თუ უფლებრივი სტატუსი მწვავედ იდგა სხვა ფეოდალურ სახელმწიფოებშიც. საფრანგეთში სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელთა და ბატონიშვილთა მიერ უფლებრივი მდგომარეობის მოსაპოვებლად წარმოებული ბრძოლების შედეგად აპანაჟები* ჩამოყალიბდა. აპანაჟები სამეფო დომენიდან გამოიყოფოდა, სადაც XIV—XV სს. საფრანგეთის სამეფო სახლის ბატონიშვილები (Принцы крови) აბსოლუტური დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად იბრძოდნენ. საფრანგეთის მეფეები ადრეც აძლევდნენ სამფლობელოებს (уделы) თავიანთ შვილებსა და ნათესავებს, მაგრამ ძლიერი ცენტრალიზებული სამეფო ხელისუფლების დროს ისინი ქვეყნის ერთიანობისათვის საშიშროებას არ წარმოადგენდნენ. XIV საუკუნეში ასეთი სამფლობელოების დამოუკიდებლობა იზრდება და ბატონიშვილები

* აპანაჟების წარმოშობაზე იხ. C. T. Wood. The French Apanages and the Capetian Monarchy, 1224—I. 28. Cambridge. 1966(217).



აპანაეებში სრული ძალაუფლების მოპოვებას ახერხებენ, როგორც იმდროინდელი ოდს ზოგჯერ „ბატონიშვილთა ფეოდალიზმს“ („Феодализм принцип“) უწოდებენ. აპანაეებს, ჩვენი აზრით, ბევრი საერთო აქვს „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტთან. შემდეგისათვის საინტერესოდ გვეჩვენება აპანაეების, „ბატონიშვილთა ფეოდალიზმის“ ეპოქისა და ევროპის ქვეყნებში სხვა მსგავსი ინსტიტუტების „პროვინციის მეფეებთან“ შედარება.

როგორც აღინიშნა, XIII—XIV სს.* მიჯნის საქართველოში იქმნება ყველა პირობა, რაც „პროვინციის მეფეთა“ წარმოშობას იწვევს. «Для создания удельных «царств» созрели все условия и члены царской династии не замедляют реализовать создавшиеся возможности. На протяжении XIV—XV веков появляются все эти удельные «царства» (Имерети, Рача-Аргети, Аластани, Кахети, Савахтанго**, Цкалсикити, Мухрани...). Некоторые из них, выдержав борьбу с центром, остаются отдельными политическими образованиями во все дальнейшие века» (198, 86).

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ წარმოჩინდა „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის წარმოშობის რამდენიმე გზა:

1. უფლებრივი მდგომარეობით უკმაყოფილო ბაგრატიონთა გვერდითი შტოს წარმომადგენლები, განსაკუთრებით ისინი, რომელთა უახლოეს წინაპართაც მეფობა ჰქონდათ და ახლა, სამეფო ტახტის მფლობელობის წესის დარღვევის შედეგად, ხელმწიფობის

* როგორც ცნობილია, XII—XIII სს-ში თრიალეთ-ჯავახეთში გავრცელებული იყო „ველიანი“ სტელები. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს „ველიანი“ სტელები ჩნდება იმ დროს, როცა ეს მხარე სამეფო დომენია და აღარ დაისმება იმის შემდეგ, რაც აღნიშნული ტერიტორია სამეფო დომენიდან „პროვინციულ სამეფოდ“ იქცა (183, 93). ჩვენი აზრით, აქ ქრონოლოგიურ შეუსაბამობას აქვს ადგილი — „ველიანი“ სტელების გაქრობა დავით ულუს მეფობის პერიოდზე მოდის, „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის წარმოშობა კი თითქმის მთელი ნახევარი საუკუნის შემდეგ, XIV ს. დამდეგისათვის ხდება. ამდენად, ეს ფეოდალური ინსტიტუტი ვერ გახდებოდა „ველიანი“ სტელების გაქრობის მიზეზი.

** იხ. ჩვენს მიერ შესრულებული სავახტანგოს ისტორია კრებულში: მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის, ნაკ. IV, თბ., 1993. როგორც ირკვევა, სავახტანგოს წარმოშობა არ არის დაკავშირებული „პროვინციის მეფეთა“ მფლობელობასთან.

უფლება დაკარგული აქვთ, იზოლირებულ, თემობრივი განკარგულებასა და ბისაკენ მისწრაფების მქონე „მიკროქვეყნებში“ ან თავიანთ ყოფილ საუფლისწულოებში გადადიან და სოციალური საყრდენი ძალის — ვასალთა გაჩენის შემდეგ ტახტს-იქითა „კინი მეფენი“ ხდებიან.

2. „ბატონიშვილობის“ საკითხის გამწვავების შედეგად უკმაყოფილო სამეფო ოჯახის წევრი (მეფის ძმა ან ბატონიშვილი), რომელმაც „ვერლარა თავს-იდვა უბატიოდ ყოფნა“, ქვეყნის გარკვეულ პროვინციაში მეფის ნებადაურთველად თვითნებურად იწყებს მფლობელობას, იჩენს არსებობისათვის აუცილებელ საყრდენს ადგილობრივი ფეოდალების სახით, უფრო მეტი უფლებების მინიჭებას ჰპირდება, ვიდრე ამას ისინი ცენტრისაგან მიიღებენ, და „პროვინციის მეფე“ ხდება. ეს შეიძლება მისი ძველი საუფლისწულო მამული ან რომელიმე ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყანა“ იყოს, სადაც ამ ბაგრატიონს გავლენა და ადგილობრივ ფეოდალებში ბევრი ერთგული ჰყავს.

3. მეფე თვითონ აძლევს სამეფო ოჯახის წევრს ან ნათესავ ბაგრატიონს რომელიმე ადმინისტრაციულ ან საუფლისწულო მამულს. ქვეყნის ცალკეულ კუთხეებში ფლობამიცემული ბაგრატიონები ცენტრის სახელით იწყებენ თავიანთი საუწყებო „ქვეყნის“ მართვას, ისინი ნაკურთხი, გვირგვინოსანი მეფეები არ არიან (მეფის უფროსი შვილი შეიძლება თანამოსაყდრე იყოს მხოლოდ), მაგრამ ეს მათ ხელს არ უშლის საკუთარ თავს „კინლა და სახელისა დებადცა მეფისა იკადრონ“. ისინი საკუთარ წილხედომილ მიწა-წყალზე ხელმწიფეებად რაცხავენ თავს.

4. სამეფო ტახტის დასუსტებას და სხვა კარგად ცნობილ მიზეზებს მოჰყვა საქართველოს სახელმწიფოს ორ სამეფოდ გაყოფის ტენდენციის გაძლიერება, გარკვეულ პერიოდში კი ორი სამეფო ტახტის წარმოშობა. ამან გამოიწვია ლიხთ-იქითის ბაგრატიონთა დინასტიისა და მათ შთამომავალთა გაჩენა, რომელთაც საქართველოს ისევ გაერთიანების შედეგად დაკარგეს რა სამეფო ტახტი და მეფის ტიტული, „პროვინციის მეფეების“ ეპოქის ხასიათიდან გამომდინარე, ლიხთ-იქითში „ხელმწიფეებად“, ე. წ. ლიხთ-იქითის „მეფეებად“ მოგვევლინენ.

თ ა ზ ი ი

შინაპოლიტიკური ბრძოლა და „პროვინციის მეფეები“ XIV საუკუნეში

§ 1. XIV საუკუნის დამდგის საქართველოს ისტორიის რამდენიმე
ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხი

XIV ს. დამდგის საქართველოს ისტორიაში არაერთი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხია გასარკვევი. ზოგიერთი მათგანი უშუალო დამოკიდებულებაშია „პროვინციის მეფეების“ ინსტიტუტთან, ამიტომაც მათი გარკვევის გარეშე შინაპოლიტიკური და დინასტიური ბრძოლის ისტორიაში წარმოშობილი ამ ახალი მოვლენის შესწავლა არ მოხერხდება. XIV ს. დამდგის საქართველოს ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხების განხილვა და ზოგიერთი თარიღის დადგენა საშუალებას მოგვცემს წარმოვაჩინოთ ეპოქა, რომელშიც „პროვინციის მეფეები“ წარმოიშვნენ, დაგვეხმარება ამ ინსტიტუტის არსის გარკვევასა და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში.

XIV საუკუნის დასაწყისის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას ასუსტებდა როგორც დამპყრობთა შემოსევები და მათ მიერ გატარებული პოლიტიკა, ისე გახშირებული შინაპოლიტიკური ბრძოლა და ფეოდალური შინააშლილობა. განსაკუთრებული დაძაბულობა სამეფოში დემეტრე მეორე თავდადებულის სიკვდილით დასჯის შემდეგ აღინიშნა. აღმოსავლეთ საქართველოში გამეფებულ დავით ნარინის (1247—1293) ძეს ვახტანგ II-ს (1289—1292) მეტოქეები გამოუჩნდნენ დემეტრე თავდადებულის (1271—1289) ძეების — დავით VII-სა და ვახტანგ III-ის სახით. დავით VIII ვახტანგ II მეფობაში კიდევ „მეცა ფლობა“ (43, 294). ტახტზე გარკვეული პრეტენზიები ვახტანგ



დემეტრეს ძესაც აქვს. დავით VIII მალე აღწევს მეფობას, 1293

წლიდან იგი აღმოსავლეთ საქართველოს ერთპიროვნული მმართველია და კარგ ურთიერთობაშია როგორც ყაენთან, ისე თავის ძმასთან — ვახტანგ დემეტრეს ძესთან. მაგრამ ყაზან ყაენთან ურთიერთობა მალე ფუჭდება და 1297 წლიდან დავით VIII „უკუდგა ჟინვანს“ (43, 302). ამას შინააშლილობაც მოჰყვა: დავითმა თავის ძმაში — ვახტანგში პრეტენდენტი დაინახა და იგი იქნა „შეპყრობილცა და პატიმრული ციხესა ჟინვანისასა“ (43, 302). „პატიმრული“ ვახტანგი ახერხებს გაპარვას ჟინვალიდან და ყაენისაგან მეფობასაც იღებს. ჟამთააღმწერელი ვახტანგის საქართველოში მოსვლას და თბილისში გამეფებას სამჯერ აღნიშნავს. იბადება კითხვა: რითაა გამოწვეული სხვადასხვა ადგილას ერთი და იგივე ფაქტის — ვახტანგ III გამეფების (1302 წ.) სამჯერ აღნიშვნა?

1302 წელს ვახტანგ III გამეფება ჟამთააღმწერელს ასე აქვს გადმოცემული: „და ვითარცა დამტკიცდა მეფობა ვახტანგისი, რამეთუ ყაზანმა კელთ-უდგა სამეფო, დაიპყრა ტფილისი და ყოველი სომხითი, დმანისი და სამშკლდე“ (43, 310). მეფე ვახტანგი „არა წინააღუდგებოდა ძმასა თქსსა დავითს“ და ამავე წელს გადასცა მას ჭავჭავთი და ალასტანი (61, 348). აღნიშნული 1302 წლის ცნობა ჟამთააღმწერელთან ვახტანგ III გამეფების მესამე აღნიშვნაა. მანამდე კი XIV ს. ისტორიკოსი ორჯერ მოიხსენიებს ვახტანგ III გამეფებას.

ამ საკითხის შესახებ ვრცლად გვაქვს საუბარი ჩვენს სპეციალურ სტატიაში (159), აქ კი მოკლედ აღვნიშნავთ, რომ რადგან ვახტანგ III გამეფების პირველ და მეორე აღნიშვნაში სრულიად სხვა რეალიებია დატული, ვიდრე მისი გამეფების მესამე მოხსენიებაში, ამიტომ ჟამთააღმწერელი უნდა მიგვიითიებდეს აღმ. საქართველოში ვახტანგ დიმიტრის ძის ორჯერ გამეფების შესახებ. პირველად 1298 წელს, როცა დავით VIII „ზაფხულ მთიულეთს იყვის და ზამთარ ქართლსა“ და მეორედ, უკვე რეალური ხელისუფლებით, 1302 წელს, როდესაც მისი მოქიშპე ძმა გამოყვანილი იქნა გველეთიდან და ფლობა მიეცა ჭავჭავთსა და ალასტანში. ვახტანგ III პირველად გამეფების თარიღს არკვევს ნუმისმატიკური მასალა (140, 75—78; 208, 172; 126, 99; 179, 16) და მხარს უჭერს ჟამთააღმწერელთან დატული ცნობების თანამიმდევრობა.

გ. ოდიშელი ვახტანგ III გამეფების თარიღად 1298/99 წწ. მიიჩნევს. აქვე მიუთითებს გიორგი V გამეფების ივ. ჯავახიშვილის მიერ ულ დათარიღებაზე (1299 წ.) და თვლის, რომ იგი ვახტანგ III გამეფების თარიღზე წინ უნდა იქნას გადატანილი (167, 76). აღნიშნულ საკითხზე ყურადღება გამამახვილა დ. კლდიაშვილმა. იგი ცდილობს გაასწოროს ქრონოლოგიური აღრევები, რომელიც თითქოს ამ შემთხვევაში არსებობს ჟამთააღმწერელის ცნობებსა და ნუმისმატიკურ მონაცემებს შორის. ავტორის აზრით, გიორგი V 1296 წ. ზაფხულში გამეფებულა, ხოლო ვახტანგ III კი 1298 წ. გაზაფხულზე (132, 145).

სავსებით სარწმუნო ჩანს ვახტანგ III გამეფების აღნიშვნა 1298 წლით ან 1297/98 წწ. მიჯნით. მაგრამ ავტორთა ზემოაღნიშნულ მოსაზრებას გიორგი დიმიტრის ძის გამეფების შესახებ ვერ გავიზიარებთ:

1. ვერ ვხედავთ ვერავითარ შეუსაბამობას იმაში, რომ მონღოლთა ბატონობის ჟამს 1297/98 წწ. გამეფებინათ ვახტანგ III, ხოლო 1299 წ. გიორგი V დიმიტრის ძე, მით უმეტეს, ამ პერიოდში ვახტანგ III ფიზიკურად თითქმის არც იმყოფებოდა სამეფო კარზე, მონაწილეობდა ლაშქრობებში მონღოლთა დროშის ქვეშ. დავით VIII კი კონფლიქტშია მონღოლებთან, ამიტომაც მას ვახტანგ III არყოფნის გამო უპირისპირებენ გიორგი V დიმიტრის ძეს.

2. დ. კლდიაშვილი თვლის, რომ 1296 წლის ზაფხულში დავით VIII ყაზან ყაენისაგან განდგომის შემდეგ, მონღოლებმა გიორგი V დიმიტრის ძე გაამეფეს (132, 145). ჩვენი აზრით, 1296 წელს მონღოლებისათვის გიორგი V გამეფება საჭიროებას არ წარმოადგენდა, ასეთი სურვილი მათ იმის შემდეგ უნდა გასჩენოდათ, როცა დავით VIII ყაზან ყაენს განუდგა. ეს კი მოხდა არა 1296 წელს, არამედ 1297 წელს. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებდა კიდევ, რომ კონფლიქტი დავითსა და ყაზან ყაენს შორის მას შემდეგ ჩამოვარდა, რაც 1297 წელს ყაენმა ხუტლუშა ნოინს გაქცეული ნავროზი მოაკვლევინა. კერძოდ, დავით VIII უკუდგომის ხანად 1297 წლის 7 ნოემბერია დასახელებული (190, 242).

საკითხის გარკვევაში გვეხმარება რაშიდ-ად-დინი (69, 181), რომლის ცნობებიდან გამომდინარე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ დავით VIII უკუდგომა ყაზან ყაენისაგან 1297 წლის აგვისტო-ნოემბერში მომხდარა. ამის გამო ყაზან ყაენს არ დასჭირდებოდა 1296

წელს გიორგი V დიმიტრის ძის გამეფება. როცა დავით VIII, დაიბრუნდა, მონღოლებმა გაამეფეს კიდევ ვახტანგ III, ხოლო ქართლში მისი არყოფნის გამო დაუპირისპირეს რა დავით VIII, 1299 წელს გაახელმწიფეს გიორგი V.

3. ვახუშტი პირდაპირ მიუთითებს, რომ გიორგი V დიმიტრის ძე 1299 წელს გამეფდა (35, 245).

ყოველივე ზემოაღნიშნული იძლევა იმის უფლებას, რომ გიორგი V ბრწყინვალეს გამეფების ძველ თარიღში — 1299 წ. ეჭვი არ შევიტანოთ, ხოლო ვახტანგ III გამეფება 1297/98 წლების მიჯნაზე ვცნოთ. ვფიქრობთ, რომ მისი საქართველოში შემოსვლა და გამეფება უფრო 1298 წლის დასაწყისში არის სავარაუდო, რადგან 1297 წლის ნოემბერში მიცემული ფლობის შემდეგ ვახტანგ III საქართველოში მოსვლასა და დამკვიდრებას გარკვეული დრო დასჭირდებოდა. მაგრამ ვინც ვახტანგ III გამეფების თარიღად 1297/98 წლები აღიარა, უარყო 1302 წელი. ჩვენი აზრით, არც 1302 წელია შემთხვევით მოხვედრილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. ქამთალამწერელის ტექსტიდან გამომდინარე ზემოაღნიშნული მსჯელობიდან დავინახეთ, რომ დავით VIII, მიუხედავად უკუდგომისა, დიდი გავლენა აქვს და მის მთავარ საყრდენ ძალას ქართლის აზნაურობა და მთიელები წარმოადგენს. 1298 წლის დასაწყისში გამეფებული ვახტანგ III კი სამეფო ტახტზე ფეხს ვერ იკიდებს. ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით, აღმოსავლეთ საქართველოში მაშინ ისეთი მდგომარეობა იყო, რომ მარტო მეფობის მიცემა თითქმის აღარაფერს ნიშნავდა (190, 244). მაგრამ 1302 წელს ვახტანგ III თბილისში მეორედ დაბრუნდა და რეალური ძალაუფლების მქონე მეფედ ეკურთხა. სწორედ ამ დროს გადასცა მან დავით VIII ჯავახეთი და ალასტანი.

ამდენად, რამდენიმე ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხის განხილვა-შეჭერებამ საშუალება მოგვცა დაგვეთარიღებინა ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ სამეფო შტოს* წარმოშობასთან მჭიდროდ დაკავშირებული ფაქტი: როგორც გამოირკვა, ვახტანგ III დავით VIII სამფლობელოდ ჯავახეთი და ალასტანი გადასცა 1302 წელს. ნათელი ხდება, თუ როგორი პირობებისა და რა მიზეზების

* ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ შესახებ ქვევით ვრცლად გვექნება მსჯელობა.

გამო იქმნება საფუძველი ამ „პროვინციული სამეფო“ შტოს ჩამოსაყალიბებლად.


დავით VIII ჯავახეთსა და ალასტანს ფლობს, ამზადებს ნიადავს ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ შტოს არსებობისათვის, მაგრამ იგი „პროვინციის მეფედ“ ვერ ჩაითვლება. ეს წინა საფეხურია იმისათვის, რომ 1311 წლიდან, დავით VIII გარდაცვალების შემდეგ, მის შვილს — მეღქისედეკს ამ პროვინციაში მიეცეს სამფლობელო და ალასტანელებიდან პირველ „პროვინციის მეფედ“ მოგვევლინოს. თვით დავით VIII კი, მიუხედავად პროვინციაში გადასვლისა, არ განმდგარა პოლიტიკური ცხოვრებიდან. ამას მოწმობს თუნდაც 1310 წლით დათარიღებული დავით VIII სპილენძის ფული, სადაც „მეფეთ-მეფედ“ იწოდება (126, 98—99). ისიც აღსანიშნავია, რომ ვახტანგ III მალე გარდაიცვალა და ყაენთან მეფობის მისაღებად დავითის შვილი გიორგი (მცირე) გაიგზავნა, რაც, ბუნებრივია, მას ხელ-ფეხს უხსნის. ი. ჯალალანია აღნიშნავს, რომ დავითი ამ დროს „правит какой-то частью Восточной Грузии, но которой именно об этом исторические источники умалчивают“ (199, 72). თ. ლომოურის აზრით, მისი სამფლობელო არაგვისა და ნაწილობრივ ქსნის ხეობით უნდა ისაზღვრებოდეს. მკვლევარი მას „სამეფოს“ უწოდებს და დასძენს, რომ „ვინაიდან ეს კუთხე მაინც რაღაც პოლიტიკურ სხეულს წარმოადგენდა მმართველი აპარატით და სხვა ატრიბუტებით, აშკარაა მასაც ესაჭიროებოდა ფული“ (140, 74). მისი ვარაუდით, დავით VIII მონეტა უნდა მოეჭრა მისი მუდმივი ადგილსამყოფელის ერთ-ერთ ბუნქტში — ჟინვანს, სტეფანწმინდას, გველეთსა თუ ჯადაში. ასევე თვლის ი. ჯალალანიაც, რომელიც დავითის სამფლობელო ტერიტორიას გარკვეულ პოლიტიკურ ერთეულად მიიჩნევს (199, 73). გ. არახშიას აზრით, ვახტანგ III 1302 წელს გამეფების შემდეგ დავით VIII ხელისუფლება არაგვის ხეობასა და შიდა ქართლზე ვრცელდებოდა (75, 74). მკვლევარი ემყარება ჟამთააღმწერელის ცნობას: დავითი „ზაფხულ მთიულეთს იყვის და ზამთარ ქართლსა... მეფემან დავით შეკრიბა ყოველი მთიული, წარვიდა და მივიდა ტფილისს, და ჰყვა კაცი ცხენოსანი და ქუეითი...“ (43, 316). მაგრამ ამ დროს დავითის მფლობელობას მთიულეთსა და შიდა ქართლში არც არავინ უარყოფს, რადგან ეს ცნობა 1302 წლამდე ამბების ამსახველია, ვიდრე



ვახტანგ III მეორედ გამეფდებოდა. დაახლოებით შეიძლება თარიღის დადგენაც — ეს მომხდარა 1300 წელს დამასკოს წინააღმდეგ მოწყობილი მონღოლთა ლაშქრობიდან ვახტანგ III საქართველოში დაბრუნებისას. ამდენად, ეს ფაქტი არ გამოგვადგება იმის დასამტკიცებლად, რომ 1302 წლის შემდეგ დავითს არაგვის ხეობასა და შიდა ქართლში ჰქონდა ფლობა და შევიწროებული ჰყავდა ვახტანგ III.

გ. არახამია განიხილავს „ძეგლი ერისთავთა“ აღნიშნულ ცნობას და თვლის, რომ მართალია, ამ დროს დავითი პოლიტიკურ საფრთხეს აღარ წარმოადგენდა, მაგრამ მონღოლები მაინც გარკვეულ დათმობაზე წასულან. გადაუციათ რა მისთვის ჯავახეთი და ალასტანი (75, 75). თუ დავითი არაგვის ხეობასა და შიდა ქართლს ფლობდა, 1302 წლიდან კი ჯავახეთსა და ალასტანსაც იღებს, ისე ჰყავს შევიწროვებული მონღოლთა მიერ მეფედ დამტკიცებული ვახტანგ III, რომ მის განკარგულებაში მხოლოდ თბილისი და ქვემო ქართლი რჩება, მაშინ ვანა შეიძლება დავითი მცირე უფლებების მქონე, მონღოლებისათვის არასაშიშო ხელმწიფედ წარმოვიდგინოთ?! რა თქმა უნდა, ვახტანგ III გამეფების შემდეგაც დავითი გავლენიანი პოლიტიკური ფიგურაა, მაგრამ იმ აზრს, რომ 1302 წლის შემდეგ დავით VIII ჯავახეთსა და ალასტანთან ერთად ოფიციალურად (მონღოლების თანხმობით) ფლობს შიდა ქართლს არაგვის ხეობითურთ (75, 75), ვერ დავეთანხმებით.

ჩვენი აზრით, წყაროებიდან ნათლად ჩანს, რომ ცნობა, დავითი „ზაფხულ მთიულეთს იყვის და ზამთარ ქართლსა“, მხოლოდ 1302 წლამდე ვითარების ამსახველია. იგი „მივიდა მთიულეთს, უკუდგა ჟინვანს შეკრა სიბა, და მცველნი დაუდგინა“, — ესეც ვახტანგ III 1302 წელს ხელმეორედ გამეფებამდე ხდება. 1302 წლიდან დავითი ჯავახეთსა და ალასტანში გადადის სამფლობელოდ, მთებში მას ველარ ვხედავთ, ყოველ შემთხვევაში, წყაროებში ეს არსად ჩანს. იმასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ „ძეგლი ერისთავთა“ ზემოაღნიშნული ცნობა ამბობს: დავითი ვახტანგმა „გამოიყუანა გუელეთით“. ამიტომ ი. სიხარულიძე სამართლიანად თვლის, რომ მისთვის გველეთი ჩამოურთმევიან და ჯავახეთი და ალასტანი გადაუციათ (173, 168). ამასთან მხედველობაშია მისაღები, რომ:



ორივე მკვლევარი — თ. ლომოური და ი. ჯალაღანია ერთხმად ხედავენ დავითის სამფლობელოში ერთგვარ პოლიტიკურ ერთეულს (ლომოური ხომ მას „სამეფოსაც“ უწოდებს). ასეთ პოლიტიკურ ერთეულად კი, ჩვენი აზრით, ჯავახეთი და ალასტანი უფრო ჩანს. როგორც ირკვევა, მთელი XIII საუკუნის მანძილზე, ლაშას უფლისწულობის შემდეგაც, ჯავახეთის ერთი ნაწილი, კერძოდ, ალასტანი და მისი მიმდებარე ტერიტორია, საუფლისწულო მამულად დარჩა, ე. ი. ძველი მდგომარეობა შეუნარჩუნდა. ამდენად, ამ ტერიტორიას გარკვეულად განსხვავებული სტატუსი ჰქონდა ჯავახეთის სხვა სამეფო მიწებთან შედარებით. ამის მინიშნება უნდა იყოს „ძეგლი ერისთავთა“ ცნობაში ალასტანის გამოცალკევებულ ერთეულად მოხსენიება — დავითმა ვახტანგისაგან მიიღო ჯავახეთი და ალასტანი. როგორც ვხედავთ, წყაროში ისინი ცალ-ცალკე არიან აღნიშნული, ე. ი. შეიძლებოდა დავით VIII მიეღო ჯავახეთი ალასტანის გარეშეც. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ მარტო ჯავახეთის აღნიშვნა იქნებოდა საკმარისი და დავითისათვის ალასტანის გადაცემა მემკვიდრე საგანგებოდ აღარ გაუსვამდა ხაზს. საქართველოს სამხრეთი მიწების ერთი ნაწილი რომ ამ პერიოდში საუფლისწულო იყო, ჩანს უამთაღმწერელის ტექსტიდანაც. დავით დემეტრეს ძეს (მომავალ დავით VIII) უფლისწულობის პერიოდში სწორედ ამ რეგიონში აქვს საუფლისწულო მამული: „და წარავლინა ძე მისი დავით მცირე სახლსა ზედა ათაბაგისა, რათა მუნ იზრდებოდეს და აქუნდეს საუფლისწულოდ“ (43, 285). აქედან ისიც ირკვევა, რომ დავით VIII 1302 წელს ჯავახეთისა და ალასტანის გადაცემა შემთხვევითი არ არის, რადგან მას ამ მხარეში, როგორც უფლისწულს, უკვე ჰქონია ფლობა. ამდენად, განმდგარ დავითს, სხვა რაიონებთან შედარებით, ყველაზე უფრო დიდი გავლენა აღნიშნულ რეგიონში უნდა ჰქონოდა. ეს საუფლისწულო მამული, კერძოდ, ალასტანი და მისი მიმდებარე ტერიტორია და, საერთოდ, თვით ჯავახეთიც, სავსებით გამოდგებოდა დავით VIII მდგომარეობაში მყოფი ბაგრატიონისათვის. ვფიქრობთ, ჯავახეთი და ალასტანი უფრო ჩანს ისეთ პოლიტიკურ ერთეულად, რომელსაც ესაჭიროებოდა მონეტა, ვიდრე მთაში შეხიზვნის შემდეგ დავითის მიერ გამაგრებული სხვადასხვა დროებითი სადგომი. ისიც გასათვალისწინე-

ბელია, რომ ჯავახეთი და ალასტანი ოფიციალურად არის მიერ მიცემული დავითისათვის სამფლობელოდ.

ჩვენი აზრით, თუ 1310 წლის მონეტა არ არის მოჭრილი თბილისში, მაშინ მისი ემისია სავარაუდოა არა მთაში, როგორც თ. ლომოური ფიქრობს, არამედ ჯავახეთსა და ალასტანშიც კი, რადგან ამ დროს ეს რეგიონი წარმოადგენს დავით VIII სამფლობელოს და აქვეა მისი რეზიდენციაც. ჯავახეთში ზარაფხანის არსებობა არ უნდა იყოს მოულოდნელი. თ. ლომოური გარდა თბილისისა და დმანისისა, XIII ს. დამლევა და XIV ს. დასაწყისში ზარაფხანის არსებობას ადასტურებს ახალციხეშიც (139, 213—216). დ. კაპანაძე კი თვლის, რომ ზარაფხანები არსებობდა არა მარტო თბილისში, დმანისსა და ახალციხეში, არამედ „ფეოდალური“ მონეტების ემისია საქართველოს სხვა კუთხეებშიც ხდებოდა: იგი უნდა ყოფილიყო ქუთაისში, ოდიშში (დაარსებული ვამეყ დადიანის მიერ); მკვლევარის აზრით, ფული უნდა ეჭრათ იმერეთის მეფეებად ცნობილ მფლობელებსაც (125, 156). ამდენად, შესაძლებლად გვეჩვენება, რომ დავით VIII თავის სამფლობელოში ზარაფხანა მოეწყო და ფული მოეჭრა.

უამთაღმწერელის ტექსტიდან კარგად ჩანს, რომ დავით VIII სიცოცხლის ბოლომდე აქტიურ როლს თამაშობდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი განსაკუთრებით თავისი ძმის — ვახტანგ III გარდაცვალების შემდეგ უნდა გააქტიურებულიყო. როგორც ჩანს, ქიშპი ძმებს შორის ბოლომდე არ შეწყვეტილა. „ძეგლი ერისთავთა“ აღნიშნავს, რომ „შვდ წელ განგრძელდა ჰომი მათი“ (61, 347). უთანხმოება 1297 წელს დაიწყო, ე. ი. 1304 წლამდე გაგრძელბულა. ვფიქრობთ, „ძეგლი ერისთავთას“ ეს ცნობა და 1304 წლის მინიშნება სიმპტომატურია და მჭიდროდ უკავშირდება ვახტანგ III გარდაცვალების თარიღის საკითხს (156, 22—27).

ივ. ჯავახიშვილი ვახტანგ III გარდაცვალებას 1308 წლით აღნიშნავს (190, 249—250), მაგრამ არ ჩანს, თუ ეს თარიღი საიდან არის აღებული. ქართველ მეცნიერთა უმრავლესობაც ამ წელს უჭერს მხარს, მიუხედავად იმისა, რომ წყაროებში ჩვენ ვერსად ვნახეთ პირდაპირი მითითება 1308 წ. ვახტანგ III გარდაცვალების შესახებ.

ვახტანგ მეფის აღსასრული რომ ჯერ კიდევ აღრეულ პერიოდში
შივე ბნელით ყოფილა მოცული, ჩანს ვახუშტის სიტყვებრიდანაც:
„ვახტანგის აღსასრული, დაღაცათუ არა საჩინო არს“ (35, 11).

ჩვენი ყურადღება მიიქცია ვახუშტის ცნობამ: „ვინაითგან უმეფო იყო ქართლი, და დავით მეფე იყო თესად უკუ-მდგარი“ (35, 253). რატომ უნდა ყოფილიყო ამ დროს, XIV ს. დასაწყისში, საქართველო უმეფოდ?! მართალია, გიორგი VI მცირე ჯერ მეფე არ არის, არც გიორგი ბრწყინვალე გამეფებულა (მეორედ — რეალურად), დავით VIII ჩამოშორებულა სამეფო ტახტს და გაბატონებულია ჯავახეთსა და ალასტანში, მაგრამ ვახტანგ III ხომ ამ პერიოდისათვის ტახტზე უნდა მჯდარიყო? რადგან უმეფობაა აღნიშნული, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ამ დროისათვის ვახტანგ III უკვე ცოცხალი აღარ არის. ვახუშტის მიხედვით ისიც ვიცით, რომ როცა 1304 წელს ყაენად დაჯდა ოლჯეთით, მან დავით VIII სთხოვა ძე — გიორგი, რათა იგი აღმოსავლეთ საქართველოს მეფედ დაემტკიცებინა. დავით VIII 1304 წელს მართლაც წარუვლენია გიორგი ოლჯეთუსთან მეფობის მისაღებად. სწორედ ამ ვითარების აღწერისას, 1304 წლისათვის, ვახუშტი აღნიშნავს აღმ. საქართველოში უმეფობას.

ვახუშტის მიერ უმეფობის აღნიშვნისა და 1304 წლისათვის ყაენთან მეფობის მისაღებად გიორგი დავითის ძის ვაგზავნის ფაქტიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ 1304 წლის შემდეგ ვახტანგ III ცოცხლად აღარ არის სავარაუდებელი. ჩვენს მოსაზრებას უნდა ამაგრებდეს ვახუშტისავე ცნობაც: „ვახტანგ გ' წელი მეფა“ (35, 248), ე. ი. ტახტზე ყოფილა სამი წელი, მის გამეფებას კი ბატონიშვილი 1301 წლით აღნიშნავს. გამოდის, რომ ვახუშტის ეს ცნობაც მხარს უჭერს 1304 წლით ვახტანგ III გარდაცვალების აღნიშვნას.

ამ თარიღს უნდა უჭერდეს მხარს „ძეგლი ერისთავთას“ ზემოაღნიშნული ცნობაც, სადაც აღნიშნულია, რომ „შუდ წელ განგრძელდა ჰომი“ ძმებს — დავით VIII და ვახტანგ III შორის (61, 347). უთანხმოება 1297 წელს დაიწყო, ე. ი. დასრულდა 1304 წლისათვის. ამიტომ, ვფიქრობთ, „ძეგლი ერისთავთას“ ცნობა 1304 წელს დავითსა და ვახტანგს შორის ურთიერთქიშპის შეწყვეტის შესახებ იმის მიმანიშნებელია, რომ ამ წელს ვახტანგ III გარდაიცვალა და,



ბუნებრივია, ძმათა შორის არსებული შეიღწლიანი „ჰომიც“ შეწყდა (ამ საკითხთან დაკავშირებული ზოგიერთი დამატებითი არგუმენტის შესახებ იხ. ჩვენი სტატია აღნიშნულ პრობლემაზე (156).

აღ. აბდალაძის აზრით, შეიძლება საფუძველს არ იყოს მოკლებული ვახუშტის ცნობა — ვახტანგ მეფემ 3 წელი იმეფა (ე. ი. 1304 წლამდე), რომ უამთააღმწერელთან და ვახუშტისთან იგი ამ წლის შემდეგაც მეფედ არ მოიხსენიებოდეს (50, 104). მაგრამ, ჩვენი აზრით, აღნიშნულ წყაროთა ტექსტებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ისინი პირიქით, 1304 წლის სასარგებლოდ ლაპარაკობენ, რადგან სხვა ზემოაღნიშნულ მინიშნებებთან ერთად ამ წლის შემდეგ წყაროებში ვახტანგ მეფის ხსენება წყდება.

ვახტანგ III გარდაცვალების 1304 წლით დათარიღებას მხარს უჭერს ჯვრის მონასტრის აღაპი № 206, რომლისგანაც ვგებულობთ, რომ მეფე ვახტანგისა და მეუღლე რიფსიმესათვის განწესებული ყოფილა აღაპი და პანაშვიდი. აღაპში აღნიშნულია ვახტანგ III მიერ ჯვრის მონასტრისადმი დახმარების აღმოჩენის შესახებ, „ოდეს ჯუარისა მონასტერი კვ წელსა სპარსთა წაეღო“ (147, 97—98). ვახტანგ III მიერ შეწირულების გაკეთება, როგორც ეს ქართულ ისტორიოგრაფიაშია აღნიშნული, უნდა მომხდარიყო 1299 ან 1300 წლებში, როცა ყაზან ყაენსა და ვახტანგს ბრძოლები ჰქონდათ ეგვიპტის სულთანთან სირია-პალესტინაში. ქართველებს ამ ბრძოლებში მნიშვნელოვანი როლი უთამაშიათ და იერუსალიმი მიუღიათ. სწორედ ამ დროს უნდა გადაეცა ვახტანგ III შეწირულება ჯვრის მონასტრისათვის, თუმცა, როგორც კი მონღოლთა ოკუპაცია დამთავრდა, მუსლიმებს იგი მომენტალურად დაუბრუნებიათ. ე. ი. შეწირულება 1299/1300 წლებში არის გაკეთებული, მაგრამ აღაპის დაწერა კი შემდეგ უნდა მომხდარიყო, რადგან, აღაპის ტექსტის მიხედვით, ვახტანგ III უკვე გარდაცვლილი ჩანს; ამავე დროს, ჯვრის მონასტერი ჯერ კიდევ არ არის განთავისუფლებული. გამოდის, რომ ვახტანგ III ვერ მოსწრებია 1305 წელს დავით VIII მიერ ჯვრის მონასტრის განთავისუფლებას. ე. ი. აღაპის დაწერა 1305 წლამდე მომხდარა და რადგან მისი ტექსტის მიხედვით ვახტანგ III გარდაცვლილი ჩანს, ამიტომ, ვფიქრობთ, ვახტანგ III გარდაცვალება 1305 წლის წინა პერიოდით, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 1304 წლით დავათარიღოთ. დ. გოჩოლეიშვილი არაბულ წყაროებზე და-

ყრდნობით ფიქრობს, რომ ჯვრის მონასტრის დასხნა მოხდა 1310 წელს, თუმცა არსებობს არაბულივე ცნობა, რომელიც ამ ფაქტს 1305 წ. ათარიღებს (40, 33—38). „1310 წელი ჯვრის მონასტრის დასხნის თარიღად უფრო რეალურად გვეჩვენება. 1305 წლისათვის დავით მეფეს საამისო პირობები არ გააჩნდა, როგორც აღინიშნა, ის გახიზნული იყო მთიულეთში“; იქვე სქოლიოში მკვლევარი მიუთითებს: „საერთოდ კი ძნელი სათქმელია, ვის მიერ იყო მოწყობილი 1305 წლის ელჩობა — დავითის, ვახტანგ III-ის თუ კონსტანტინეს (1293—1327) მიერ“ (40, 39). ვფიქრობთ, ჩვენი ზემოაღნიშნული მსჯელობა იმ აზრს უჭერს მხარს, რომ დავითს სწორედ 1305 წ. ჰქონდა საშუალება მონასტრის დასახსნელად ეზრუნა: 1305 წ. დავით მეფე აღარ არის გახიზნული მთიანეთში, ოფიციალურად აქვს მიღებული სამფლობელოდ ჯავახეთი და ალასტანი. ისიც ხაზგასასმელია, რომ იგი არ არის ჩამოაცილებული პოლიტიკურ ცხოვრებას და გავლენა ქვეყნის სხვა რეგიონებშიც აქვს. რაც მთავარია, 1305 წ. ვახტანგ III ვარდაცვლილია, დავითი კი შერიგებულია მონღოლებთან და მისი შვილი — გიორგიც იგზავნება ყაენთან საქართველოს სამეფო ტახტის მისაღებად. ამიტომ 1305 წ. ელჩობის ორგანიზატორად სავსებით შესაძლებელია დავით VIII გამოსულიყო. ამის შემდეგ უნდა წოდებულიყო იგი ჯვრის მონასტრის „მეორედ აღმშენებლად“.

ვახტანგ III 1304 წლიდან აღმ. საქართველოს მეფედ რომ აღარ არის საგულისხმებელი, ჩანს არაქართული წყაროებიდანაც. მხედველობაში გვაქვს ძველ სომხურ ხელნაწერთა ერთი ანდერძ-მინაწერი, რომელიც ვინმე ხაჩატურის მიერ არის დაწერილი 1304 წელს (50, 17), და ბ. სილაგაძის მიხედვით, არაბული წყარო — თაკი აღ-დინ აბდ არ-რაჰმად აღ-კადავი აღ-მუჰიბბის „თასკიფი“ (172, 98). დ. გოჩოლეიშვილი არ იზიარებს აღ-მუჰიბბი-სთან დასახელებული მეფე დავითის დავით VIII გაიგივებას. მკვლევარის აზრით, აღ-მუჰიბბი ძირითადად XIV ს. II ნახ. მოღვაწეა და აღწერს თავის თანამედროვე ამბებს, ამიტომ მასთან დასახელებული დავით მეფე არის დავით IX (40, 44—45). აღ-მუჰიბბი-ს მიხედვით მართლაც ძნელდება დავითის ვინაობის დადგენა, მაგრამ თუ დავეყრდნობით აღ-კალკაშანდის ცნობას და მასთან შევაჯერებთ ზემოაღნიშნულ მონა-

ემებს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ მეფეში დავით VIII ეგუ-
ლისხმება. ამდენად, როგორც ქართულ, ისე უცხოურ წყაროებშიც
1304 წ. შემდეგ აღმ. საქართველოს მეფედ ვახტანგ III ველარ
გვხვდებით. ამდენად, ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული
1308 წელი, როგორც ვახტანგ III გარდაცვალების თარიღი, უნდა
გადაისინჯოს.

ვახტანგ III გარდაცვალების თარიღის დაზუსტება კიდევ ერთი
საკითხის შესწავლაში გვეხმარება*.

ჯვარის მონასტრის განთავისუფლების მიზნით ეგვიპტის სულ-
თნის კარზე 1305 წელს მივლენილი იქნა ქართული ელჩობა.
აღ-უმარის — „თარღში“ ქართველ მეფედ, რომელიც მოლაპარა-
კებას აწარმოებდა ეგვიპტის სულთანთან, დასახელებულია მეფე
„ბარტილმა“. ქართულ ისტორიოგრაფიაში დავას იწვევს, რომელ
მეფეზე უნდა იყოს ლაპარაკი — დავით VIII, ვახტანგ III, კონ-
სტანტინე დავით ნარინის ძეზე თუ გიორგი V ბრწყინვალეზე. რად-
გან ვახტანგ III 1304 წელს ჩანს გარდაცვლილი, ამიტომ მისი კან-
დიდატურა, ბუნებრივია, გამოირიცხება, იგი ვერ გამოვიდოდა 1305
წლის ქართული ელჩობის ინიციატორად („ბარტილმა“ რომ შეიძ-
ლება ვახტანგ III ყოფილიყო, ფიქრობდნენ დ. ყიფშიძე, ა. ცაგარე-
ლი, ს. კაკაბაძე).

ვახტანგ III 1304 წელს გარდაცვალების შემთხვევაში გასაგები
ხდება რატომ აღნიშნავს ვახუშტი ამ პერიოდის აღმ. საქართველო-
ში უმეფობას. 1304 წელს ვახტანგ მეფის მოულოდნელმა, ნაადრევმა,
გარდაცვალებამ მის ძმას — დავით VIII ხელ-ფეხი გაუხსნა. იგი
1297 წლიდან კონფლიქტშია მონღოლებთან და ჯერ მთიანეთში,
ხოლო 1302 წლიდან კი ჯავახეთსა და ალასტანშია გადასული. მაგ-
რამ მიუხედავად პროვინციაში მფლობელობისა, როგორც ჩანს, და-
ვით VIII არ განმდგარა პოლიტიკური ცხოვრებიდან, ამაზე ისიც
მეტყველებს, რომ 1304 წელს, ვახტანგ III გარდაცვალების შემდეგ,
დავითს მონღოლებთან გარკვეული შეთანხმებისათვის მიუღწევია,
რის საფუძველზეც მონღოლები აღმ. საქართველოს ტახტზე გასა-

* ვახტანგ III გარდაცვალების 1304 წ. დათარიღება სხვა მომენტებსაც
აზუსტებს, კერძოდ, გილანში ქართველთა ლაშქრობის თარიღს და ვახტანგ III
სპილენძის მონეტების II ტიპის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს (156, 25).



მეფებლად მას შვილს — გიორგი VI (მცირეს) თხოვეს. თარებაში დავით VIII უნდა გაეფართოებინა მოქმედების არეალი. სანამ ვახტანგ III ცოცხალია და სამეფო ტახტზე მისი მოწინააღმდეგე ბანაკის მეთაური ზის, დავითის სამფლობელოს, კერძოდ, 1302—1304 წლებში, მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სხეულის მაგვარი სახე უნდა ჰქონოდა. მაგრამ 1304 წელს ვახტანგ III გარდაცვალების შემდეგ ეს მომენტი აღარ წარმოადგენდა აუცილებლობას, დავით VIII თავისი რეალური გავლენა უნდა დაებრუნებინა გაცილებით დიდ ტერიტორიაზე, ვიდრე ამას ჯავახეთი და ალასტანი წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, დავით მეფე აღმოსავლეთ საქართველოს ტახტზე თავის შვილს — გიორგი VI მცირეს ტოვებს, თვითონ კი თავის ძველ სამფლობელო მამულებში — ჯავახეთსა და ალასტანში რჩება. მისმა აქ ბატონობამ ხელი შეუწყო ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ შტოს ჩამოყალიბებას, მოუმზადა ნიადაგი, რათა 1311 წელს, დავითის გარდაცვალების შემდეგ, მის უფროს ვაჟს — მელქისედეკს ამ რეგიონში მფლობელობის საფუძველი ჰქონოდა. ვახტანგის ადრეული გარდაცვალებით უნდა აიხსნას, რომ მან სამეფოში სუსტი გავლენა დატოვა. როგორც აღვნიშნეთ, იგი პირველად 1298 წელს ადის ტახტზე, მაგრამ რეალურ გამეფებას ყაზან ყაენის ლაშქრობებში მონაწილეობის შემდეგ, კერძოდ, 1302 წელს ახერხებს. ბუნებრივია, 1302 წელს გამეფებული და 1304 წელს გარდაცვლილი მეფე დიდ გავლენას ვერ მოიპოვებდა, მით უმეტეს, რომ იგი ძირითადად მხოლოდ თბილისის, სომხეთის, დმანისის და სამშვილდის რეგიონებზე ბატონობს. ვახტანგ მეფის პოზიციები იმდენად სუსტი იყო, რომ მან ვერ შეძლო რომელიმე თავისი ვაჟისათვის დაეტოვებინა სამეფო ტახტი. ამ მომენტზე ქვევით გარკვეულად კიდევ გვექნება საუბარი.

როცა გიორგი VI მცირე მოვიდა თბილისს, „ამას წელსა მიიცვალა მთავარი სამცხისა ბექა“ (43, 323). მის გარდაცვალებას ხან 1306, ზოგჯერ კი 1308 წ. ათარიღებენ.

ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ მომენტმა, რომ ვახუშტისაც ამ მხრივ შეუსაბამობა აქვს დაშვებული. ვახუშტი თხზულების ერთ ნაწილში — „ცხოვრება სამცხე-კლარჯეთისა“, წერს: „შემდგომად მოკუდა ბექა ყოვლითა სიკეთითა აღმატებული ქსა ჩტვ. ქართულსა ფკვ“ (35, 701), ე. ი. 1306 წელს; მაგრამ სხვა ადგილას



აღნიშნავს: გიორგი მცირე ამალით მოვიდა თბილისში „ქსა ჩრტე, ქართულსა ფკვ“ (35, 701), ე. ი. 1308 წელს. როგორც ვხედავთ, ვახუშტი ერთგან მიუთითებს 1306 წელს, მეორე ადგილზე კი 1308 წელს. უდავოა, რომ ბატონიშვილი 1308 წელს უჭერს მხარს: აღნიშვნა — გიორგი მცირემ 10 წელი იმეფა (1318—10=1308) და ქრონოლოგიური ცხრილის მითითება 1308 წელს გიორგი მცირეს გამეფების შესახებ (35, 894), ამის დამადასტურებელი ფაქტებია.

უამთააღმწერელისა და ვახუშტის ცნობები გიორგი VI მცირეს გამეფებასა და ბექა ჯაყელის გარდაცვალებას 1308 წლით ათარი-ლებენ.

როგორც აღვნიშნეთ, 1311 წელს გარდაიცვალა დავით VIII. ვ. კიკნაძე აღნიშნავს, რომ „შემორჩა ერთი უნიკალური დოკუმენტი წყარო, რომელიც ამ დროის საქართველოს ვითარებას ოდნავ სხვაგვარად წარმოგვიდგენს. ამ წყაროს მიხედვით, ამ დროის აღმოსავლეთ საქართველოს ტახტზე (1311 წელს) სხვა პიროვნება — დიმიტრი ჩანს“ (130—183). იგულისხმება პეტრიწონის მონასტრის ღვთისმშობლის ხატის 1311 წლის წარწერა და მასში დასახელებული „ქართლის“ მეფეები: კონსტანტინე და დიმიტრი. საძიებელი დიმიტრის პიროვნებაა. ა. შანიძე ვარაუდობს, რომ იგი დასავლეთ საქართველოს მეფის კონსტანტინეს შვილი და მისი თანამოსაყდრე უნდა ყოფილიყო (180, 360). ვ. კიკნაძე არ იზიარებს აღნიშნულ მოსაზრებას და მას ვახტანგ III ძედ თვლის. სამართლიანობა მოითხოვდა აღნიშნულიყო, რომ ეს აზრი ჯერ კიდევ ს. კაკაბაძემ გამოთქვა (123, 260). ჩვენი აზრით, დიმიტრი მართლაც ვახტანგ III ძე უნდა იყოს, მაგრამ მისი წარმოდგენა აღმოსავლეთ საქართველოს მეფედ და ტახტის მპყრობელად, როგორც ამას ვ. კიკნაძე აღნიშნავს, არ მიგვაჩნია მართებულად. აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე გიორგი VI მცირე ზის, რომელსაც „საზღვრად და საქმის მოურავად“ გიორგი დიმიტრის ძე უდგას. დავით VIII გარდაცვალების შემდეგ 1311 წლიდან პროვინციაში, მამის სამფლობელოში — ჯავახეთში და ალასტანში საგანმგებლოდ გადადის შელქისედეკ „პროვინციის მეფე“. სამფლობელოები ვახტანგ III ძეებსაც უნდა ჰქონოდათ: ვახტანგ III „დარჩეს შვილნი ორნი: დიმიტრი და გიორგი. დიმიტრის დმანისი აქუნდა, და გიორგის სამშკლდე“ (43, 322). ამ გიორგის შემდგომი უფლებრივი მდგომარე-



ობის შესახებ არაფერი ვიცით. რაც შეეხება დიმიტრის, დავით მეფის გარდაცვალება სტიმული უნდა გამხდარიყო, რათა მას თავისი მფლობელობა დმანისში „მეფობის“ რანგში აეყვანა. მაგრამ, ჩვენი აზრით, დიმიტრი უნდა წარმოვიდგინოთ არა საქართველოს ტახტის კანონიერ მპყრობელად, არამედ დმანისის მხარის „პროვინციის მეფედ“. დავითის გარდაცვალების შემდეგ, „პროვინციის მეფეების“ არსებობის ეპოქაში (XIV—XV სს.), სავსებით ბუნებრივია, რომ დიმიტრის პრეტენზია განეცხადებინა მეფობაზე (როგორც „პროვინციის მეფეს“), რეზიდენციად კი სავსებით გამოდგებოდა ისეთი დიდი და ძლიერი ქალაქი, როგორც დმანისი იყო. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დიმიტრის მამა — ვახტანგ III დმანისშია დამარხული, რაც ბაგრატიონთა აღნიშნული შტოს ამ ქალაქისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე ლაპარაკობს. ამდენად, ჩვენი აზრით, დიმიტრი უნდა იყოს აღმოსავლეთ საქართველოს ტახტის არა კანონიერი მფლობელი, არამედ დმანისის მხარის „პროვინციის მეფე“.

დავით VIII გარდაცვალების შემდეგ საქართველოში ასეთი სიტუაციაა: დასავლეთ საქართველოში კონსტანტინე მეფობს, დმანისის მხარეში — დიმიტრი ვახტანგის ძე, ჯავახეთ-ალასტან-სომხითში — დავით VIII ძე მეღქისედეკ „პროვინციის მეფე“. სავსებით ბუნებრივია, რომ ასეთ მძიმე შინაპოლიტიკურ ვითარებაში დამპყრობელთათვის სასურველი პირის, ამ შემთხვევაში, გიორგი მცირეს ხელისუფლებას განმტკიცება დასჭირდებოდა და მონღოლები ასეც იქცევიან. ამით უნდა იყოს გამოწვეული, რომ საჭირო გახდა გიორგი VI მცირეს ხელმეორედ მეფედ კურთხევა: „ამან ოლჯათ სულტანმან წარმოავლინა მცირე გიორგი მეფედ“ (43, 324), რასაც ადგილი ჰქონდა 1314 წელს მაჰმუდ ფარვანეს რუმის აჯანყების 1314/15 წწ. წინ.

გიორგი VI მცირე 1318 წლამდე სამეფო ტახტის მფლობელია, რადგან ვიცით, რომ მან 10 წელი იმეფა (35, 253). 1318 წლიდან კი მეფეა გიორგი V ბრწყინვალე. ამ თარიღთან დაკავშირებულ საკითხებს აღარ ჩაუვლრმავედებით, რადგან ვ. კიკნაძისა და დ. კლდიაშვილის მიერ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევის შედეგების შედარებამ მიგვიყვანა იმ აზრამდე, რომ მართლაც 1318 წელი უნდა იყოს გიორგი V ბრწყინვალეს რეალურად



გამეფების თარიღი. ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ ერთ ამოწმებაზე: ჯ. ოდიშელი აღნიშნავს, რომ „სხვაობა ვახუშტი ბაგრატიონთან დაცულ თარიღსა და დაბის ეკლესიის თარიღს შორის, შეიძლება შეესაბამებოდეს სხვაობას — გიორგი ბრწყინვალის, გიორგი VI მეურვის, ფორმალურად მეფედ კურთხევისა და იმ დროს შორის, რა დროიდანაც ანგარიშობს იგი, მის მიერ სრული სამეფო ხელისუფლების ხელში აღებას, გიორგი VI (მცირის) შემდეგ“ (167, 77). მკვლევარი ფორმალურად მეფედ კურთხევის წლად გულისხმობს 1314 წელს, სრული სამეფო ძალაუფლების ხელში აღების თარიღად კი 1318 წელს. უნდა აღვნიშნოთ, რომ გამოთქმა — „რა დროიდანაც ანგარიშობს იგი (გიორგი ბრწყინვალე, დ. ნ.) მის მიერ ძალაუფლების ხელში აღებას“, ამ შემთხვევაში არ უნდა იყოს სწორი. გიორგი მეფე თავის სამეფო მმართველობას ანგარიშობს 1299 წლიდან. მთავარი კი ის არის, თუ რა საჭირო იყო გიორგი V 1314 წელს ფორმალურად მეფედ კურთხევა. 1299 წელს მისი გამეფება პართლაც ფორმალური იყო. თუ 1314 წელს განიზრახეს გიორგი V კიდევ ერთხელ (მეორედ) გამეფება, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ გიორგი VI მცირეს აღარ აქვს არავითარი ძალაუფლება, ან უნდათ მისთვის სამეფო უფლებების ჩამორთმევა და მათი გიორგი დიმიტრის ძისათვის გადაცემა. გიორგი V 1314 წელს ამ მოტივით გამეფება ჩვენთვის გასაგები იქნებოდა, მაგრამ მაშინ ასეთ მეფედ კურთხევას ფორმალური ვერ დაერქმევა. გაუგებარია, რა საჭირო იყო 1299 წ. ფორმალურად მეფედ კურთხევის შემდეგ, 1314 წ. მისთვის მეორედ ფორმალურად მეფობის მიცემა, თუ არავითარი ძალაუფლება მას არც ამ შემთხვევაში ექნებოდა და რეალური სამეფო უფლებები ისევ გიორგი VI მცირეს დარჩებოდა. ვფიქრობთ, რომ 1314 წელს არც არავინ ეცდებოდა გიორგი VI მცირესათვის სამეფო უფლებების ჩამორთმევას და გიორგი V, ბრწყინვალეს გამეფებას, რადგან, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სწორედ ამ პერიოდში თვით ოლჯებითუმ განუმტკიცა და ხელმეორედ დაუმტკიცა მეფობა გიორგი VI მცირეს. ვახუშტი პირდაპირ აღნიშნავს: „ამისა შემდგომად კუალად წარმოავლინა ულჯათ-სულტანმან იგივე მცირე გიორგი“ (36, 254). სრულიად ბუნებრივად გვებადება კითხვა, თუ რატომღა აკურთხებდნენ ამავე ხანებში გიორგი დიმიტრის ძეს? იმასაც უნდა გავუწიოთ ანგარიში, რომ თუ ჯ. ოდიშელის მოსაზრე-



ბას გავიზიარებთ, გამოვა, რომ გიორგი V სამეფრ გამეფებულ 1299 და 1314 წელს ფორმალურად, 1318 წელს კი მესამედ და რეალურად. გიორგი V ბრწყინვალეს სამეფრ გამეფება კი არც ერთ წყაროში არ არის დაცული. ამდენად, 1318 წელი უნდა იყოს გიორგი ბრწყინვალეს რეალურად გამეფების თარიღი.

§ 2. ალასტანი და ალასტანელ „პროვინციის მფეთა“ ისტორია

სამცხე-ჯავახეთის მრავალ საინტერესო ისტორიულ სოფელთა შორის ალასტანი ყოველთვის იწვევდა გარკვეულ ინტერესს. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ დამოკიდებულებას ალასტანის მიმართ თავიდანვე აღვივებდა თუნდაც ის ფაქტი, რომ ლაშა-გიორგის წყაროები „ალასტანელის“ ტიტულით მოიხსენიებენ. ცნობილია ამ ტიტულის მატარებელი სამეფო გვარის სხვა წარმომადგენლებიც. ბუნებრივია, დგება საკითხი, თუ რით უნდა ყოფილიყო გამოწვეული ეს გარემოება. ისიც იქცევს ყურადღებას, რომ „ალასტანელებს“ „პროვინციის მეფეთა“ შორის გამორჩეული ადგილი უკავიათ. ამიტომ იყო, რომ აკად. ნ. ბერძენიშვილი „ალასტანელებს“ ფეოდალური სეპარატისტული ინსტიტუტის სხვადასხვა წარმომადგენლების ზოგად ტერმინად თუ სინონიმად ხმარობდა (82, 133).

ალასტანის მნიშვნელობა ფეოდალურ საქართველოში ჩანს იმ ფაქტიდანაც, რომ ვახტანგ III თავის ძმას — დავით VIII სამფლობელოდ ჯავახეთი და ალასტანი გადასცა (61, 348). როგორც ვხედავთ, ალასტანი იმდენად ანგარიშგასაწევი პუნქტია, რომ „ძეგლი ერისთავთას“ ავტორი ჯავახეთსა და ალასტანს განცალკევებით, ცალ-ცალკე აღნიშნავს. ფაქტია, რომ ალასტანი ჯავახეთის შემადგენელი ნაწილია, მაგრამ ავგაროზ ბანდაისძე საჭიროდ თვლის მის გამოცალკევებით მოხსენიებას. აქას, რა თქმა უნდა, თავისი ახსნა უნდა მოეძებნოს. მრავალი მსგავსი საკითხი იყრის თავს ალასტანის წარსულის გარშემო, ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მათგანს შევხებით, რომელნიც უშუალოდ არიან დაკავშირებული ჩვენთვის საინტერესო „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის ისტორიასთან*.

* სოფ. ალასტანის ისტორიის შესახებ იხ. ჩვენი ტატია — სოფელ ალასტანის ისტორიიდან, მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის, ნაკვ. III, თბ., 1987 (155).



ალასტანი აღრევე ხედება სამეფო სახლის ყურადღების არცაა აქ საზაფხულო სამეფო სადგომი უნდა ყოფილიყო, ისე როგორც დღევანდელი, ღრტილასა და ბოქანოში. დ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ მეფეები მათ დროებით სადგომებად თვლიდნენ, სადაც ხანგრძლივად დარჩენა მიზანშეწონილი არ იყო (88, 113).

ალასტანის ისტორია შემდეგ სხვაგვარად განვითარდა და საზაფხულო სამეფო სადგომიდან სოფელმა თავისი მნიშვნელობა შეიცვალა: იგი შედის ლაშა-გიორგის საუფლისწულო მამულში, რომელიც თრიალეთისა და ჯავახეთის ნაწილისაგან შედგებოდა. ამ მხარის მიმართ ლაშა-გიორგის „განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე“ მეტყველებენ ბარალეთის ეკლესიის, ლაშა-გიორგის „კელის“ (გუნია-ყალის წარწერა), თამარისა და ლაშას „კელის“ (პრტენას) წარწერები (168, 20, 30, 107). მაგ. გუნია-ყალის წარწერაში, რომელიც თანამოსაყდრეობის ხანას ეკუთვნის, თამართან ერთად მოხსენიებულია გიორგიც; საინტერესოა, რომ წარწერას არათუ თამარი, არამედ ლაშა-გიორგი ამტკიცებს, რაც იმის გამოხატულება უნდა იყოს, რომ გუნია-ყალა მის საუფლისწულოში შედის და მეფე-უფლისწული ამ პროვინციაში „უფალიც“ არის. ამიტომაც უნდა იყოს იგი „კელის“ დამსმელად აღნიშნული. ამის დამამტკიცებელია ზედწერილი ლაშა-გიორგის სახელით მოჭრილ მონეტაზე: „ქ. გიორგი მეფისა, თამარის ძისასა, ჯავახთ უფლისა“ (126, 51; 208, 99). როგორც ჩანს, მონეტის ემისია, თამარის გარდაცვალების შემდეგ, ლაშას ერთმეფობის ხანაში ხდება. ერთიანი საქართველოს მეფის ასეთი ტიტულით მოხსენიება ლაპარაკობს იმაზე, რომ ჯავახეთი ლაშა-გიორგისათვის განსაკუთრებულ პროვინციას წარმოადგენდა, ამიტომ, როგორც ჩანს, მისი ერთმეფედ დაჯდომა სპეციალურად აღუნიშნავთ სამხრეთ საქართველოს იმ რეგიონში, სადაც მთელი საქართველოს მეფე ამას გარდა „განსაკუთრებით ჯავახთუფალიც“ იყო (81, 146). მაგრამ ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს ლაშა-გიორგის ზედწოდება — „ალასტანელი“. ერთ ქართულ ქრონიკაში ვკითხულობთ: „ამ დროს ალასტანელისა შვილი ღთ — (დავით) მეფე მივიდა ყაენს წე (წინაშე) მეფობის გამოსათხოვნელად. და, ვე (ვიდრე) იქით მოუბრუნდებოდა, მოუხდეს თათარნი და სრულიად სამცხის სახლნი გარდავლნეს“ (96, 65). ეს მომენტი ასევე დასტურდება ქართლის ცხოვრების ბარათაშვილისეულ და ბროსესეულ ნუსხებში (52, 622—



შენ. 7). ზედწოდება „ალასტანელი“ იმის მიმანიშნებელი უნდა იყოს, რომ ლაშა-გიორგის საუფლისწულო დომენის ცენტრი სოფ. ალასტანში მდებარეობდა. ე. ი. XIII საუკუნის დამდეგისათვის ალასტანი საუფლისწულო მამულში შედის და მის ცენტრს წარმოადგენს. ვამოდის, რომ ამ რეგიონის სხვა მნიშვნელოვან სოფელთა შორის (ღრტილა, ბარალეთი, გოკია...) დაწინაურებულია ალასტანი, რომელიც, როგორც ჩანს, ყველაზე უფრო აკმაყოფილებდა ლაშა-გიორგის საუფლისწულო რეზიდენციისათვის საჭირო მოთხოვნილებებს. ლაშას საუფლისწულოში, მართალია, თრიალეთიც შედიოდა, მაგრამ რადგან მისი რეზიდენცია ჯავახეთში მდებარე ალასტანი იყო, ამიტომ იწოდა „ალასტანელად“ და თრიალეთის ფლობის მიუხედავად, განსაკუთრებით „ჯავახთუფლობითაც“ იმიტომ აღინიშნა. ამასთან აღსანიშნავია, რომ მონეტა წარწერით „ჯავახთ უფალი“ სულ რამდენიმე ათეულ ცალს არ აღემატება და ნაპოვნია ახალციხეში, ჯავახეთის ახალქალაქში, ორი ცალი დმანისში, ე. ი. ძირითადად იმ ტერიტორიაზე, რომელიც ლაშას საუფლისწულო მამულში შედიოდა.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ანანაურის ეკლესიის დასავლეთის სათავის კედელზე მოთავსებული მეფედ კურთხევის სცენა, რომელსაც ანა კლდიაშვილი XIII ს. I ნახევრით ათარიღებს. მკვლევარი ითვალისწინებს რა ლაშას ასეთ „განსაკუთრებულ დამოკიდებულებას“ ჯავახეთისადმი, ფიქრობს, რომ შესაძლებელია აქ ლაშა-გიორგის მეფედ კურთხევის სცენა იყოს გამოსახული. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ლაშას მეფედ კურთხევის გამოსახვა სწორედ ჯავახეთში, ვარძიაში, მისი სახელოვანი წინაპრების, დედის — თამარის და პაპის — გიორგი III, პორტრეტების სიახლოვეს არის მოსალოდნელი (131; 205, 68—69).

ლაშა-გიორგის დროს, რა თქმა უნდა, ის „ალასტანელობა“ არ იგულისხმება, რომელიც XIV საუკუნიდან განვითარდა. ჯავახეთის განკუთვნება საუფლისწულო მამულად იყო საფუძველი, „რომელზედაც *mutatis mutantis* შემდეგდროინდელი „ალასტანელობა“ წარმოიქმნა“ (82, 147). როგორც ჩანს, ერთ-ერთი პირველი ფაქტორი, რამაც XIV ს. დამდეგს ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ შტოს წარმოქმნას შეუწყო ხელი, იყო XII ს. ბოლოდან ჯავახეთის

თრიალეთთან ერთად ლაშა-გიორგისათვის საუფლისწულო მამულად გადაცემა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დადასტურებულია, რომ ლაშას ერთმეფობამდე ეს ტერიტორია მისი საუფლისწულო მამული იყო. ერთმეფობის შემდეგ კი იგი მეფემ სამეფო დომენად აქცია. ჯავახეთის საუფლისწულოს დიდი ნაწილი და თრიალეთი მართლაც სამეფო დომენი გახდა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს არ გავრცელებულა ალასტანსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი, რომ ყოფილი საუფლისწულო მამული სამეფო დომენი გახდა, არის ამ ტერიტორიაზე მეფეთა „კელიანი“ სტელების აღმოჩენა. მხედველობაშია რუსუდანის „კელი“ (არხოტისა და დიდი თონეთის წარწერა) და მეფეთ-მეფის დავით ულუს „კელი“ (სალამოს წარწერა). ეს „კელიანი“ სტელები უდავოდ მიუთითებენ საუფლისწულო მამულების სამეფო დომენად გადაქცევას, მაგრამ რაც შეეხება ალასტანსა და მის მიმდებარე ტერიტორიას, ასეთი სტელები აქ არ დასტურდება. ამიტომ რუსუდანისა და დავით-ულუს „კელიანი“ სტელები არ ეწინააღმდეგება ჩვენს მოსაზრებას ლაშას ერთმეფობის შემდეგაც ამ რეგიონის საუფლისწულო მამულად დატოვების შესახებ. ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ იქნებ ლაშა-გიორგიმ თავის ყოფილ ცოლსა და უკანონო შვილს სასახლიდან წასვლის შემდეგ მისცა ალასტანი საკუთრებად და საცხოვრებლად (190, 127). ივ. ჯავახიშვილის მსჯელობიდან გამომდინარე, ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, რომ ალასტანი შეიძლება ჩაითვალოს დავით ლაშას ძის დედისთვის მიცემულ სამფლობელოდ*. ამ მხრივ ყველაზე საინტერესო უნდა იყოს პლანო კარპინის ცნობა, რომ „ამ უკანონო ვაჟს (დავით ულუს, დ. ნ.) მამამისმა თავისი სამფლობელოს ერთი ნაწილი დაუტოვა“ (38, 37).

ჩვენი აზრით, საკმაო საბუთი არსებობს იმის სამტკიცებლად, რომ ლაშა-გიორგის, ერთმეფობის შემდეგ, თავისი საუფლისწულოს ერთი ნაწილი შვილისათვის — დავითისათვის მიუცია სამფლობელოდ. ვფიქრობთ, ეს საუფლისწულო მამული ჯავახეთის ერთი ნაწილი უნდა ყოფილიყო, კერძოდ, მისი სამფლობელოს ცენტრალური რეგიონი — ალასტანი და მისი მიმდებარე ტერიტორია. როგორც

* იხ. ს. ყაუხჩიშვილის შენიშვნა — „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 632.



ჩანს, ჯავახეთის ამ ნაწილმა შეინარჩუნა ძველი სტატუსი, ალასტანის გადამწვეტილებით არ გადაუქცევიათ სამეფო მიწებად და საუფლისწულო მამულად დაუტოვებიათ. აქედან გამომდინარე, ალასტანის ჯავახეთის მამულებისაგან გარკვეულად განსხვავებულ პირობებში ყოფნამ, როგორც ჩანს, ერთგვარად ხელი შეუწყო ამ რეგიონის იზოლირებულობას სხვა მიწებისაგან. ამ მოსაზრებას ზურგს უნდა უმაგრებდეს ისიც, რომ ალასტანის რეგიონი, როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, მთელი XIII ს. მანძილზე განსხვავებულ ვითარებაში მყოფ ტერიტორიად ჩანს — საუფლისწულო მამულს წარმოადგენს და ამიტომ გარკვეულად გამოცალკევებულია ჯავახეთის სხვა მიწებისა და დიდ ფეოდალთა მამულებისაგან. ჯავახეთის ეს ტერიტორია უნდა შედიოდეს დავით დიმიტრის ძის (მომავალი დავით VIII) საუფლისწულოშიც, რომელიც, ყამთააღმწერელის ცნობით, სამცხეს გარკვეულ მიწებს მოიცავდა — იგი იზრდებოდა „სახლსა ზედა ათაბაგისა“ და აქ „აქუნდა საუფლისწულო“. სომხეთში მდებარე ავანის ეკლესიის 1285 წლის წარწერით (213, 127) კი მისი როგორც უფლისწულის მფლობელობა დასტურდება უფრო სამხრეთითაც — ისტორიულ სომხეთში, რომლის ძირითადი ტერიტორია ამ დროს საქართველოს სამეფოს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა (აქ უნდა შევნიშნოთ, რომ დავით VIII სომხეთში მფლობელობა გასაღებს გვაძლევს ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ სამფლობელოების ლოკალიზაციის პრობლემის გასარკვევად, რაზეც ქვევით დაწვრილებით გვექნება მსჯელობა). „ძეგლი ერისთავთას“ 1302 წ. ცნობაში ჯავახეთისა და ალასტანის ცალცალკე დამოუკიდებელ ერთეულებად მოხსენიება, ვფიქრობთ, ამაგრებს მოსაზრებას, რომ ლაშა-გიორგის ერთმეფობის შემდეგაც ალასტანი საუფლისწულო მამულად დარჩენილა და სხვა გარკვეულ მამულებთან ერთად ასე ყოფილა 1302 წლამდე, როცა ვახტანგ III იგი დავით VIII გადასცა. ასეთ განსხვავებულ ვითარებაში ყოფნამ ეს ტერიტორია გარკვეულ „პოლიტიკურ ერთეულად“ ჩამოაყალიბა. ალასტანის გარშემო დადასტურებული ვერანაების სიმრავლე ლაპარაკობს ამ რაიონის მჭიდრო დასახლებაზე, რომელთა გაერთიანებაც ქმნიდა, როგორც ჩანს, ერთიან იზოლირებულ ალასტანის რეგიონს. ნ. ბერძენიშვილს აქ დადასტურებული აქვს ვერანაები: ოლდანი, დევათი, ერიკლი, ბურასტანი, ორთა ხარაბა, ვარდის ციხე.

გვხვდება აგრეთვე ცხია და სხვ. ასეთ ვითარებაში მყოფ ალასტანს და მის მიმდებარე რეგიონს 1302 წლისათვის სამფლობელოდ დაბუღობს დავით VIII.

ალასტანის ზემოაღნიშნულ მდგომარეობაში ყოფნა და დავითისათვის მისი გადაცემა იყო უპირველესი მიზეზი და ნიადაგის მომზადება აქ ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ სამფლობელოს წარმოსაქმნელად. ვახტანგ III ჩანაფიქრით, დავითისათვის გადაცემული რეგიონი უნდა გამხდარიყო საბატონიშვილოს მაგვარი ტერიტორია, რომელიც იქნებოდა მისი შემოსავლის წყარო თავისი ყმა-ვასალთა ფენით. ესამთააღმწერელთან კარგად ჩანს 1302 წ. ფაქტთან დაკავშირებული ვითარება: როცა 1302 წელს ვახტანგმა მეორედ რეალურად მიიღო მეფობა, „არა წინააღმდეგობა დაძვინა თვისსა დავითს“ (44, 203). აქ აშკარა 1302 წ. შეთანხმების ანარეკლია, მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს მშვიდობიანობა ცოტა ხანი გაგრძელდა, „არათუ ვახტანგ მტერი იყო ძმისა, არამედ თათართა შიშითა იძულებით შეება“ (44, 211). ასეთ ვითარებაში დავითმა მიღებული სამფლობელო პროვინცია, როგორც ეს შემდგომ არაერთხელ ხდებოდა „პროვინციის მეფეთა“ არსებობის ეპოქაში, თავის სამკვიდროდ, იზოლირებულ, პოლიტიკურ ერთეულად აქცია, რომელიც, როგორც ჩანს, ვახტანგ მეფის გარდაცვალებამდე (1304 წ.) სახელმწიფო სხეულს უფრო ჰგავდა, ვიდრე საბატონიშვილოდ გადაცემულ მამულს. ამდენად, ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ წარმოშობის საკითხი პოლიტიკური მოღვაწეებიდან, უპირველესად, დავით VIII სახელთანაა დაკავშირებული; თავად იგი, როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, არ არის „პროვინციის მეფე“, მაგრამ მისი ამ პროვინციაში მფლობელობის ხასიათი და თავად რეგიონის იზოლირებულობა იძლევა იმის საფუძველსა და შესაძლებლობას, რომ მისმა შთამომავლებმა საქართველოს სამხრეთ რეგიონში „პროვინციული სამეფო“ შექმნან.

ე. თაყაიშვილი აღნიშნავდა, რომ „ეტყობა მონღოლების დროს ერთი შტო ბაგრატიონთა გამეფებულა ალასტანში“ (96, 65). ვფიქრობთ, უკვე უფრო ზუსტად შეიძლება მივუთითოთ ამ მოვლენის თარიღი; ასევე შესაძლებელი ხდება პასუხი გაეცეს ე. ხოშტარის მიერ დასმულ საკითხსაც: „როგორ უნდა გავიგოთ „ძველი ერისთავთას“ ცნობა იმის შესახებ, რომ ვახტანგმა მისცა დავითს ალასტანი



და ჯავახეთი, ამაზე პასუხის გაცემა ამჟამად ჩვენთვის ძნელია“ (186, 148). ჩვეულებრივ ვითარებაში ამის ახსნა მართლაც ძნელია. ბოდა, მაგრამ „პროვინციის მეფეების“ ინსტიტუტის არსის კვლევა გვიჩვენებს, რომ ეს არ იყო უცნაური და ერთადერთი მოვლენა ამ ეპოქაში.

ჩვენი აზრით, დავითის სამფლობელოს ცენტრალური მამულები და მომავალ ალასტანელთა პირველი ძირითადი სამფლობელოები უნდა ყოფილიყო ჩრდილო ჯავახეთის ტერიტორიაზე (163), რომელშიც შემოჩამოთვლილ ვერანებთან ერთად სხვა დაწინაურებული პუნქტებიც იქნებოდა გაერთიანებული: გოკია, ბარალეთი, ღრტილა, ვარევანი... ჯავახეთის აღნიშნული რეგიონის გამოყოფას, შემოაღნიშნულ მომენტებთან ერთად, როგორც ჩანს, ხელი შეუწყო ფიზიკურ-გეოგრაფიულმა ფაქტორმაც: მას ჯავახეთის ძირითადი ნაწილისაგან, კერძოდ ცენტრისაგან (ახალქალაქი), გამოჰყოფდა ჯავახეთის მტკვარი, ამიტომ დგება საკითხი ხომ არ არსებობდა ჯავახეთი ახალქალაქით და, მეორე მხრივ, ცალკე მიკრორეგიონი — ჯავახეთის ტერიტორია ალასტანი?! საერთოდაც, ამ რეგიონებს შორის საზღვარი, როგორც დ. ბერძენიშვილს აქვს აღნიშნული, გეოგრაფიულად გამოყოფილ ზოლს მიჰყვება: სამსარის ქედიდან წამოსული მთების შემდეგ ხაზი ჯერ ბარალეთისწყალს, მერე კი სოფ. არაგვასთან ფარავნის მტკვარს მიჰყვება, დილიცკასთან დასავლეთით უხვევს და ნაქალაქეთან მტკვარს გადაჰყვებს; შემდეგ იგი ისევ წყალგამყოფ მთებზე გადის და დასავლეთისაკენ — ნიალის ველისკენ მიემართება. სწორედ ეს მთები გამოჰყოფენ ნიალის ველის მდინარეთა აუზებს ტაშლი-ყიშლასა და შალოშეთისწყლის აუზისაგან (90, 113). ასეთმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ, შესაბამის პოლიტიკურ ვითარებასთან ერთად, ხელი შეუწყო ალასტანის გარშემო რეგიონის იზოლირებულობას, რასაც უნდა მოჰყოლოდა ჩრდილო ჯავახეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული და სამეურნეო მიკროქვეყნის ჩამოყალიბება.

ერთმანეთისაგან ჩამოშორების შედეგად აღნიშნული რაიონები უკვე პოლიტიკურადაც დამოუკიდებელი განვითარების გზას ადგებიან:

ა) მაშინ როცა ჯავახეთის უმეტესი ნაწილი სამეფო დომენს, ახალქალაქის საერისთავოსა და დიდ ფეოდალთა მამულებს უკავია,

„ხერთვის ზეით“-ი ალასტანის რეგიონი მთელი XIII ს. მანძილზე საუფლისწულო მამულად რჩება.

ბ) XIV ს. თითქმის მთელ მანძილზე ჩრდილო ჯავახეთის ტერიტორია „პროვინციის მეფეების“ სამფლობელოს წარმოადგენს. ამ დროს ჯავახეთის ძირითად ნაწილში სამეფო დომენისა და დიდ ფეოდალთა მამულებია.

გ) XIV ს. ბოლოს ალასტანი მისი მიმდებარე ტერიტორიით 1392 წლის სითარხნის გუჯარის მიხედვით მცხეთის საკათალიკოსო მამულების შემადგენლობაში შედის (55, 178), მაშინ როცა ჯავახეთის ძირითად ნაწილში ხან სამეფო მფლობელობაა, ხანაც სამცხის ათაბაგთა ხელისუფლება. დ. ბერძენიშვილის მიერ შედგენილი ჯავახეთის საეკლესიო გეოგრაფიის რუკა თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ჯავახეთის ძირითადი რაიონები წყაროსთაველის, ვარძიელისა და კუმურდოელის სამწყსოში შედიან, მაშინ როცა სწორედ ალასტანის რეგიონი განსხვავებულ მდგომარეობაშია და მცხეთის საკათალიკოსოს ეკუთვნის მიკრორეგიონის ზვარეთის სახით (90, 124). როგორც ირკვევა, ალასტანის რეგიონის იზოლირებულობისა და მისი განსხვავებული ფიზიკურ-გეოგრაფიული თუ მეურნეობრივი თავისებურებების გამო ეს ტერიტორია XIV ს. ისტორიულ-გეოგრაფიულ „ქვეყანა“ ზვარეთად ჩამოყალიბდა. ისტორიული პროვინციიდან — ჯავახეთიდან ფიზიკურ-გეოგრაფიული, ადმინისტრაციული და მეურნეობრივი ნიშნების საფუძველზე მისი გამოყოფა და „ქვეყანად“ ჩამოყალიბება მაჩვენებელი და დასტურია ამ რეგიონის იმ იზოლირებულობისა, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი და რის საფუძველზე, როგორც ჩანს, „პროვინციის მეფეებს“ აქ მფლობელობის საშუალება უნდა მისცემოდათ.

ასეთი განსხვავებული განვითარების გზები, თავის მხრივ, ხელს უწყობს ამ ორი რეგიონის ერთმანეთისაგან ჩამოშორებას და ალასტანის რეგიონის ცალკე მიკროქვეყანად ჩამოყალიბებას.


ჯავახეთის ძირითადი ნაწილისაგან ჩრდილო რეგიონის ასეთი იზოლირებულობა-გამოცალკევებულობა გვიანაც გამოვლინდა, კერძოდ, გურჯისტანის ვილაიეთის ჯაბა დავთარში:

თურქების მიერ ჯავახეთის დანაწილებას, როგორც ცნობილია, საფუძველად დაედო უკვე ძველადვე არსებული ტრადიცია. მისი

ლივებად და ნაპიებად დაყოფა ნებისმიერი არ ყოფილა, თითოეული მათგანი იგივე ძველი ქართული მიკროქვეყნები იყო, რომელთაც თავიანთი ინდივიდუალური ფიზიკურ-გეოგრაფიული, მეურნეობრივი თუ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ნიშნები ახასიათებდათ (90, 113). ამ ფიზიკურ-გეოგრაფიულ და ადმინისტრაციულ რაიონებს შორის ერთ-ერთი სწორედ ალასტანის რეგიონი იყო. იგი დავთრის მიხედვით დანაწილებაშიც კვლავ ახალქალაქისაგან ცალკე მიკროქვეყანაში შედის — ალასტანი ჯავახეთის უფრო ჩრდილოეთში მდებარე ხერთვისის ლივაშია, ახალქალაქის ლივა კი ამ პროვინციის სამხრეთ ტერიტორიებს აერთიანებს. განსაკუთრებით კი ის არის აღსანიშნავი, რომ ხერთვისის ლივაში ალასტანის რაიონი ცალკე ნაპიესაც ქმნის. ეს ტერიტორია თრიალეთისა და თორისაგან მაღალი ქედებით არის გამოყოფილი, ახალქალაქის ლივისაგან ბარაღეთისა და ფარავნისწყლებით, ხოლო სამცხისა და ხერთვისისაგან კი ზეგნის ბუნებრივი დასასრულით. ხერთვისის ლივაში რომ ალასტანის რაიონი ცალკე ნაპიეს ქმნიდა, არც უნდა იყოს მოულოდნელი, რადგან ისინი ტრადიციული ჯავახური ისტორიულ-გეოგრაფიული მიკროქვეყნები იყვნენ, მათ შორის იყო ჩრდილო ჯავახეთის აღნიშნული რეგიონიც, ცენტრით ალასტანი. თურქთა მიერ დანაწილებამ ეს ტერიტორია შეინარჩუნა ცალკე ნაპიედ, რომელიც დავთარში ტყე-ჯავახეთის სახელწოდებითაა აღნიშნული.

დავთრის მიხედვით დანაწილება იმდენად ვერ ცვლიდა ტრადიციით განმტკიცებულ ქართულ მიკროქვეყანათა საზღვრებს, რომ მათ ძველ სახელწოდებასაც კი უტოვებდა. მაგრამ რაც შეეხება ჩრდილო ჯავახეთის რაიონს, მას ძველი ცენტრის სახელი ვერ შერჩა, რადგან XVI საუკუნეში, როგორც სოფლის ისტორიის შესწავლამ გვიჩვენა, ალასტანი იმდენად დამცრობილია, რომ ვეღარ ასრულებს პოლიტიკური ცენტრის ფუნქციას. ეს რეგიონი ტყე-ჯავახეთად იწოდა, რომლის სახელშიც გეოგრაფიული ფაქტორი, მისი ტყიანობა აღინიშნა. როგორც ვხედავთ, გურჯისტანის ვილაიეთის ჯაბა დავთარსაც შეუნარჩუნებია ალასტანის მხარის გამოცალკევებულად არსებობის ტრადიცია.

ვფიქრობთ, შემოაღნიშნული ასეთი რეგიონი თავისი ბუნებრივი თუ ადმინისტრაციული საზღვრებით, იზოლირებულობით სავსებით გამოდგებოდა XIV ს. ალასტანელებისათვის. არსებული ვი-



თარებიდან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურადაც კი გვეჩვენება აქ „პროვინციის მეფეთა“ გაჩენა. ვფიქრობთ, შეძლებისდაგვარად იკვეთება ის თავდაპირველი ტერიტორია, რომელიც ალასტანელ „პროვინციის მეფეებს“ უნდა სჭეროდათ ჯავახეთში. იგი დაახლოებით შემდეგდროინდელი ტყე-ჯავახეთის ნაპიეს საზღვრებში უნდა ჯდებოდეს. ჯავახეთის მიწებისაგან გამოყოფილი ეს ტერიტორია, როგორც ჩანს, წარმოადგენდა ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ უპირველეს, მთავარ-ცენტრალურ სამფლობელოს, სადაც მდებარეობდა მათი რეზიდენციაც; თუმცა მოსალოდნელია და არც არის გამორიცხული, რომ თავიანთი გავლენა ჯავახეთის ზოგიერთ სხვა მამულებზეც ჰქონოდათ, ისე როგორც მათ მფლობელობა ჰქონდათ საქართველოს სხვა ისტორიულ პროვინციებში. მაგრამ ამ იზოლირებულ რეგიონში ალასტანელ „პროვინციის მეფეებს“ ფეხი რომ მოეკიდებინათ და ფლობა დაეწყოთ, გარკვეული საფუძველი და ნიადაგის მომზადება იყო საჭირო. სწორედ ეს მომენტებია, როგორც აღვნიშნეთ, დაკავშირებული დავით VIII სახელთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვფიქრობთ, ასეთი იზოლირებული რეგიონის არსებობითა და ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარებით უნდა ესარგებლათ ტახტს ჩამოცილებულ ბაგრატიონებს — დავით VIII შთამომავლებს, ეზრუნათ ამ რაიონის კიდევ უფრო გამოყოფისა და სამფლობელოების გაფართოებისათვის, რომ აქ ალასტანელ „პროვინციის მეფეებად“ მოგვევლინებოდნენ, მით უმეტეს, რომ დავით VIII, როგორც ჩანს, უფრო სამხრეთითაც აქვს გავლენა (დავითის 1285 წ. ავანის წარწერა).

ამრიგად, XIV საუკუნის დამდეგიდან ალასტანი საუფლისწულო „პროვინციული სამეფოს“ ცენტრი ხდება. რა ვიცი ამ ალასტანელი „მეფეების“ შესახებ?

ცნობილია მელქისედეკ „პროვინციის მეფე“, რომელიც ჯვრის მონასტრის აღაპში „მეფეთ-მეფედ“ (147, 92), ხოლო სინას მთის სულთა მატთანში კი „მეფედ“ (189, 242) იხსენიება. მელქისედეკს, როგორც „მეფეს“, ასახელებს პოპანავანქის მონასტრის ეგეტერის წარწერა (215, 100). იგი ძმასთან, ანდრონიკესთან ერთად ამტკიცებს დავით VIII მიერ 1297 წელს გაცემულ სიგელს (116, 141—142; 53, 182). მელქისედეკის „მეფობას“ ამტკიცებს ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემული ზემოთ აღნიშნული ქართული ქრონიკა: „პლნი

(პირველნი) მეფენი ესენი არიან. მათ უკან მელქისედეგ 
(96, 65).

ცნობილია ალასტანელი „პროვინციის მეფის“ მელქისედეკის ძმა ანდრონიკე. იგი მეფედ იწოდება 1348 წლის წითლოსან ქვენიფნეველისადმი ბოძებულ სიგელში (7; 47, 11), სადაც აღნიშნულია ანდრონიკეს ზეობის მე-9 ინდიქტიონი, ე. ი. ანდრონიკე 1339—1340 წწ. გამეფებულა. მის „მეფობას“ ადასტურებს სინას მთის სულთა მატიანეში მისი მეფედ მოხსენიება (189, 242). მეფეთ-მეფედ იწოდება ჯვრის მონასტრის ალაპებშიც (147, 105). ე. თაყაიშვილი ფიქრობდა, რომ ანდრონიკე შეიძლება იყოს გიორგი ბრწყინვალეს შვილის — დავით IX მეორე სახელი (47, 11), რაც არ უნდა იყოს სწორი; 1915 წ. კი დიდი მეცნიერი აღნიშნავს: „Малоизвестный царь Грузии Багратид Андроник“ (209, 87). როგორც ვხედავთ, აქ ე. თაყაიშვილი უკვე აღარ უარყოფს ანდრონიკე მეფის არსებობას, მის ისტორიულობას.

წყაროები უდავოდ ადასტურებენ კიდევ ორი „პროვინციის მეფის“ — გიორგი ალასტანელისა და დავითის „მეფობას“. პირველი იხსენიება ჯვრის მონასტრისა და სინას მთის ალაპებში. ჯვრის მონასტრის სვინაქსარულ ალაპში № 15 ვკითხულობთ: „ჯუარის ამალღებასა დღესა წირვა და ძღაპი საუკუნო მეფეთ მეფისა გიორგისი, შეუნდუნეს ღმერთმან“. ე. მეტრეველი მას სამართლიანად თვლის გიორგი ანდრონიკეს ძე — ალასტანელად (147, 115, 121). ამ გიორგი მეფესთან ერთად სინას მთის სულთა მატიანეში მოხსენიებულია დედოფალი შუენიერ — ყოფილი მაკრინე: „სულსა მეფეთა მეფისა გიორგისსა შეუნდოს ღმერთმან. სულსა დედოფლისა შუტნიერ-ყოფილსა მაკრინეს შეუნდოს ღმერთმან“. რაც ყველაზე ზაზგასასმელია, გიორგი ალასტანელი აქ „დიდის“ ტიტულით იწოდება: „სულსა მეფისა ალასტანელისა გიორგი დიდისა და მათთა ძეთა განსუტნოს და შეუნდოს ღმერთმან“ (189, 242). დედოფალ შუენიერ-ყოფილ მაკრინეზე განწესებულია ჯვრის მონასტრის ალაპიც № 125 (147, 91). ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ გიორგი და მის გვერდით დასახელებული დედოფალი შუენიერი — ყოფილი მაკრინე მეუღლენი უნდა იყვნენ. მათი ალაპები ერთი ხელითაა დაწერილი, რაც მათი მოღვაწეობის თანადროულობაზეც მიუთითებს (147, 115). პ. ინგოროყვას აზრით, შუენიერი არის გიორგი ალასტა-

ნელის და, რომელიც გიორგის დაღუპვის შემდეგ მთავრად — დედოფლად გამოცხადდა (98, 704). ვფიქრობთ, სინამდვილესთან უფრო ახლოს პირველი მოსაზრებაა, რადგან სხვა აღაპების შემთხვევაში მსგავსად დასახელებული პიროვნებანი ძირითადად მეუღლენი არიან.

გიორგი ალასტანელზე კიდევ რამდენიმე აღაპია განწესებული. აღაპში № 289 იგი მეფეთ-მეფედ იწოდება, მას უშუალოდ მოსდევს დედოფალ შუენიერის აღაპი (№ 290) (147, 105). აღაპი № 285 გიორგის გარდაცვალების დღეს არის გაჩენილი, 1373 წ. 6 აგვისტოს, ფერისცვალების დღეს: „ფერისცვალებასა წირვა და აღაპი მეფეთა მეფისა ანდრონიკეს შვილისა გიორგისი. განუსუჴნოს ღმერთმან“ (147, 105). როგორც ე. მეტრეველმა უჩვენა, გიორგი ალასტანელის სახელზე აღაპები სხვადასხვა დროს არის გაჩენილი. როგორც ჩანს, გიორგი ალასტანელის დაღუპვის შემდეგ მისი მეუღლე შუენიერი მონაზვნად აღიკვეცა და შუენიერ-ყოფილი მაკრინეს სახელს ატარებს. ამ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს მასზე გაჩენილი აღაპი № 208 (147, 98). ჯერის მონასტრის აღაპებში დედოფალთა დედოფლის შუენიერ-ყოფილი მაკრინესათვის გაჩენილია აღაპი მისი მიცვალების დღეს (147, 95), აღაპი (№ 180) ეკუთვნის XIV ს. II ნახევარს.

გიორგი დასახელებულია ალექსანდრე I დიდის მიერ მცხეთისადმი ბოძებულ 1435 წ. სიგელში: ლორეს ციხის აღების წინ (ალექსანდრემ იგი 1431 წ. აიღო) კათალიკოს თეოდორეს ჯარი სიტყვით გაუშხნევებია და მოუგონებია მათთვის, რომ „ამა უსჯულოთა აგარის ნათესავთა ანდრონიკეს შვილი ალასტანელი გიორგი მოუკლავს და მრავალნი ქრისტიანენი წამებითა აღუსრულებიან“ (III, 4—5; 54, 123—124). „მეფე“ გიორგი ალასტანელის თურქმანთაგან მოკლის ფაქტს 1373 წ. აღნიშნავს „ძეგლი ერისთავთა“ (61, 350). მის „მეფობას“ ადასტურებს პარიზის ქრონიკა (59, 38), ახალი ქართლის ცხოვრება (მეორე ტექსტი) (32, 446) და ერთი ქრონიკის ცნობა — დავით რექტორის მიერ შედგენილ კრებულში ჩართული „წიგნი ქორონიკონი ძველისა და ახლისა“ (57, 189; 62, 340). გ. ალასანიას გიორგი ალასტანელს არ თვლის ისტორიულ პიროვნებად და მას აიგივებს 1407 წელს ვახუშტის ქორონიკონებში დასახელებულ გიორგი მეფესთან (59, 125—126). ჩვენი აზრით, აღნიშნული პირების გაიგივება არ უნდა იყოს სწორი. გ. არახამიასთან ეს კარგად არის



ნაჩვენები (74, 134). ჩვენი აზრით, გიორგი ალასტანელის ისტორიულობა არ უნდა იყოს სადავო.

ამ პერიოდის „პროვინციის მეფეა“ დავითი, რომელიც 1382 წ. სიგელით მამულებს აძლევს ოქონის საყდარს (112, 138). სიგელში დასახელებულია მისი შვილები — გიორგი და ალექსანდრე. აღნიშნულია დავითის მეფობის 28-ე ინდიქტიონი, რითაც მისი გამეფება 1354 წ. თარიღდება. ამავე ხანებში მიქელ პანარეტოსი ასახელებს „ტფილისის მეფე“ დავითს (42, 42), მაგრამ ისინი სხვადასხვა პიროვნებები უნდა იყვნენ. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ალექსანდრე გამყრელიძე, „ტფილისის მეფე“ დავითი არის საქართველოს მეფე დავით IX (42, 83), 1382 წ. სიგელში დასახელებული დავით მეფე კი ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ შტოს წარმომადგენელია.

ჯვრის მონასტრის აღაპებში ყურადღებას იქცევს ორი აღაპი — ერთი დედოფალ ნათელის და მეორე დედოფალ ნათია-ყოფილ ნისიმეს სახელზე გაჩენილი (აღაპი № 28, ტაბულა XXVII და აღაპი № 223, ტაბულა LII). პ. ინგოროყვა ამ დედოფლებს ერთ პიროვნებად მიიჩნევს და ფიქრობს, რომ ნათია (ნათელა) ყოფილ — ნისიმე ანდრონიკე ალასტანელი „პროვინციის მეფის“ მეუღლეა (98, 704). ე. მეტრეველი, პირიქით, მათში ორ სხვადასხვა დედოფალს ხედავს (147, 118). ჩვენი აზრით აქეთკენ იხრება, რადგან ნათელი ყვარყვარე I ათაბაგის (1334—1361) ასულია, ხოლო ნათია-ყოფილი ნისიმე კი აღბულა ათაბაგისა (1361—1391), დედოფალი ნათელი უნდა იყოს ბაგრატ იმერთა ერისთავის (1330—1372) მეუღლე, ხოლო რაც შეეხება ნათია-ყოფილ ნისიმეს, მის წარმომავლობას ერთი სხვა აღაპიც ამტკიცებს, სადაც იგი ივანე აღბულას ძე ათაბაგის (1391—1444) დად არის მოხსენიებული: „ამასვე დღესა აღაპი ათაბაგისა ივანეს დისა დედოფლისა ნათია-ყოფილისა ნისიმესი, შეუნდვენ ღმერთმან“ (147, 118). ე. მეტრეველის ვარაუდით, რადგან ამ დროს ქართლში მეფობს გიორგი VII (1393—1407), ნათია დედოფალი შეიძლება მისი პირველი ცოლი ყოფილიყო (147, 118).

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ზემოაღნიშნული ვერცერთი დედოფალი ვერ იქნებოდა ანდრონიკე „პროვინციის მეფის“ მეუღ-

ლე, რადგან ისინი XIV ს. II ნახევრის მოღვაწენი ჩანან, ანდრონიკე კი XIV ს. I ნახევრის „პროვინციის მეფეა“. რაც შეეხება № 223 ალაპის ნათია დედოფალს, აქ მხოლოდ შეიძლება ვივარაუდოთ: ჩვენი აზრით, იგი უნდა იყოს მისი მოღვაწეობის პერიოდის თანადროული გიორგი ალასტანელის ძმის — დავით „პროვინციის მეფის“ მეუღლე. მოულოდნელობას ეს არ უნდა წარმოადგენდეს, რადგან ჯვრის მონასტერში გიორგი ალასტანელისა და მისი მეუღლის შუენიერის არაერთი ალაპია გაჩენილი. აქედან გამომდინარე, დგება კიდევ ერთი საკითხი: ჯვრის მონასტრის სვინაქსარული ალაპების XXVII ტაბულის დავით მეფის რამდენიმე ალაპიდან (№ 7, 195, 286) ხომ არ არის ერთ-ერთი მათგანი „პროვინციის მეფე“ დავით ანდრონიკეს ძისადმი განწესებულ-გაჩენილი?!

დავით მეფისა და გიორგი ალასტანელის შთამომავალთა მეფობისა თუ მოღვაწეობის შესახებ არაფერია ცნობილი. მაგრამ, მაგ., საურმაგ კაკაბაძემ ზემოაღნიშნულ 1435 წ. სიგელზე დაყრდნობით გამოთქვა მოსაზრება, რომ აქ მოხსენიებული თურქმანთა მიერ მოკლული გიორგი ალასტანელი და მისი მამა ანდრონიკე არიან XIV ს. ალასტანელი „პროვინციის მეფეების“ ჩამომავალნი. კერძოდ, მკვლევარის აზრით 1435 წ. სიგელში დასახელებული ანდრონიკე ანდრონიკე პირველის (1340—1354) შვილიშვილი გამოდის, ამავე სიგელის გიორგი ალასტანელი კი შვილთაშვილი. არგუმენტად ისიც არის მოყვანილი, რომ „В феодальных фамилиях внука часто называли именем деда“ (64, 89—90). ჩვენი აზრით, საურმაგ კაკაბაძის მოსაზრება არ უნდა იყოს სწორი. 1435 წლის ალექსანდრე I საბუთში არ არის ნათქვამი, რომ ანდრონიკეს შვილი — გიორგი ალასტანელი 1430 წლის ახლოს იქნა თურქმანთაგან მოკლული. როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ეს ფაქტი 1373 წელს მოხდა. ე. ი. საურმაგ კაკაბაძის მიერ აღნიშნული ანდრონიკე და მისი შვილი გიორგი ალასტანელი XV საუკუნეში ვერ იცხოვრებდნენ. „ძეგლი ერისთავთა“ და 1435 წლის საბუთის ანდრონიკე და გიორგი ალასტანელი ერთი და იგივე პიროვნებები, XIV საუკუნის მოღვაწეები არიან.

„პროვინციის მეფეები“ — მელქისედეკი, ანდრონიკე, გიორგი ალასტანელი და დავითი ერთი სამეფო შტოს წარმომადგენელნი არიან: ანდრონიკე მელქისედეკის ძმა, გიორგი კი ანდრონიკეს შვილად



არის მოხსენიებული 1435 წლის სიგელში. დავით მეფე ამ გიორგი ალასტანელის ძმაა. წყაროებში დაცული ქრონოლოგიური ცნობების საფუძველზე დაახლოებით შეიძლება დადგინდეს მათი მეფობის თარიღებიც: ანდრონიკე (1340—1354), დავითი (1354—1382), გიორგი ალასტანელი (1354—1373).

ამრიგად, ცხადი ხდება, რომ ეს „მეფეები“ ალასტანელთა „პროვინციული სამეფო“ შტოს წარმომადგენელი არიან. მათ მფლობელობას საფუძველი ჩაუყარა დავით VIII. მაგრამ გასარკვევი რჩება პირველ ალასტანელთა ვინაობა, მეღქისედეკის მოღვაწეობის წლები, მათი სამფლობელო ტერიტორიების ლოკალიზაციის საკითხები და სხვ. ჩვენი აზრით, ამ პრობლემების განხილვაში უპირველესად დაგვეხმარება ჰოვჰანავანქის მონასტრის ეგვტერის წარწერა.

ჰოვჰანავანქის მონასტერი, რომელიც სომხეთში იმავე სახელწოდების სოფელში მდებარეობს (არარატის პროვინცია, ახლანდელი აშტარაკის რაიონი), საინტერესო სამონასტრო კომპლექსს წარმოადგენს. მონასტრის მთავარი ეკლესია აგებულია 1216—1221 წწ. (212, 385). მისი მშენებლობა მხარგრძელთა საგვარეულოს უკავშირდება. ამის შესახებ ცნობას გვაწვდის ზაქარია ქანაკერცი (67, 242). ამასვე გვამცნობს თვით მონასტრის კედელზე 1217 წ. გაკეთებული წარწერა (215, 100).

ჰოვჰანავანქის მონასტერს 1250 წელს დასავლეთის მხრიდან აუშენეს შავი ქვით ნაგები მდიდრული ეგვტერი (67, 245). სწორედ ამ ეგვტერის ჩრდილოეთ კედელზე გაკეთებულია წარწერა, რომელიც საქართველოს ისტორიისათვის არაერთ საინტერესო მასალას შეიცავს*.

აღნიშნული წარწერა, ეკლესიაზე არსებულ სხვა წარწერებთან ერთად, პირველად გადმოიღვია ზაქარია ქანაკერცის. მისი თხზულება და ამდენად, აღნიშნული წარწერაც, პირველად გამოიცა 1870 წელს (70). 1913 წ. ეგვტერის წარწერა შემოკლებით გამოსცა კ. კოსტანეანცმა წიგნში „მატიანე ქვაზე“ (213, 142).

* ამ საკითხის შესახებ იხ. მ. სანაძესთან თანაავტორობით შესრულებული ჩვენი სტატია — ჰოვჰანავანქის მონასტრის ეგვტერის წარწერა და ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ ისტორიის ზოგიერთი საკითხი (161).

1924 წ. წარწერის სომხური ტექსტი, შემოკლებული ქართული თარგმანით და კომენტარებით გამოაქვეყნა ს. კაკაბაძემ (116, 138-139).

საბოლოოდ, 1948 წ. აღნიშნული წარწერა ჰოვჰანავანქის მონასტრის სხვა შემორჩენილ წარწერებთან ერთად, თავისი ფოტოთი, გრაფიკული მონახაზით და კომენტარებით გამოსცა კ. ლაფადარიანი (215, 100).

წარწეროს ტექსტი:

1. *Շնորհին Ա. (սփուճո) Ժ, ի փերութն (ա) ն պար (ոն) դգնփուլ թամարին, իր թագավորածպար*
2. *ն որդի մեձ (ի) ն մալքիսէթիսկին Գաւրդէ, ես Ա.մասլան, որդի Գրիգորին եւ ամուս*
3. *ին իմ Բեսուճին, հել ելալ պար (ոնաց) ձեռնէ գերկիր առին, ես չբաձանցայ ի ծառու*
4. *Թինէս: Ա. (սփուա) ձ պար (ոն) ացն աշողում էրեփ, երկիրս էրեկ: Ոհանայվանք ինձ փվին հերեն*
5. *Իք: Հասարակաց տունս խլած էր ու էգեց հուլի շարխատ էր դրած. մեկ էլ գ*
6. *Հասարակ ի ս (ուր) ս կարապետս տպըպարեցաք վանից էգոլ հողի շարխաին վեր կալաք վ (ա) ս (ն) արեւշափութն (ան) պարոն*

სხვა გამოცემებში:

შემოკლებები: კოსტანენაცი — კ.; კაკაბაძე — კაკ.; ლაფადარიანი — ლ.

1. კ. *Թագաւորաց*; კაკ. *Թագաւորացն*, ლ. *Թագավորալգար*
2. კ. *մեձին մելքիսեգեկի*; კაკ. *մելքսեղեկին*, ლ. *մեձն մալքիսեթիսკին*
კაკ. *գիարդէ*; ლ. *Գաւրդէ*
კ. *ამასჯան, որդի Գրիգორին*; კაკ. *Գրիգორին*
ლ. *Ա.մასլան որդի Գրიգորին*
3. კ. *Բեսուճ*; კაკ. *Բէսուճ*; ლ. *Բեսուճնի*
კ., კაკ. *հէնց*; ლ. *հეց*

7. აყ მხროგ ხე ყარონ აწთყակ წანანჯანი ხე
 წრქანჯანი ზოგონ ზამარ ხე არდამ (ა) გრხეგა
 ქაქიქინაკანი
8. ხე ამათქანე ყხე ლქაქ ხე დათათხეგე ყარონანგე
 ზრამანაქი იქ ირ ვაქს არდანი სარანხე ჯანაქ ყ (ა)
 რონაგ ხე
9. მხე მხეჯონე ყართაკანი ხეჩი, ჟათე მ (ათოღი) ქ,
 ლარდ მთეჯი ხე ლქინეჩი ათგე ხე ქხეჩე ა (ორ) რ
 დოქოქაგ ზეოქად ხეჩეჩი, ამქე:
10. ხე აყათათორე ა (ორ) რ იქიქი სოთათგანი ჩ
 ყაროქე: დე: ყათარაქ ჩ
11. ყანეჩი ზოგოქ ვაქრსიქანი: ვ: წანანჯაქ: გ: წრქანჯანი:
 რ: ჯანქე: რ: ამათქანეჩი: რ: მხე:
12. ადქ: ლათაროქე გეჩი ა (რ) ზე (ოქქი) მ (აქოღი) ქ
 ამქე:

- ქ., ქაქ. ვხეჩიქიქი; ლ. ვხეჩიქი
- 3/4 ქ., ქაქ. ჩ დათოქოქინქე; ლ. ჩ დათოქინქე
4. ქ., ქაქ. ხეჩი: ლ. ლეჩიქი
- ქ., ქაქ. ხეჩიქი: ლ. ლეჩიქი
- ქ., ქაქ. იანანაქანე; ლ. იანანაქანე
5. ქ. ლეგე ზოქი ჯარაქ ლე გრად
 ქაქ. ლეგე ზოქი ჯამე ლე გრად
 ლ. მ ლეგე ზოქი ჯარქათ ლე გრად
- 5/6. ქ., ქაქ. ზათარაქ... აყათარეგაქ.
 ლ. გრათარაქ... აყათარეგაქ
6. ქ. ყანაგ ლეგე ზოქი ჯარქაქი
 ქაქ. ყანაგ ლეგე ზოქი ჯარქი...
 ლ. ყანეჩე ლეგე ზოქი ჯარქათან...
7. ქ. აქარაქ, ლ. აქაქაქ

მე-7 ბწკარედში კოსტანენციის ტექსტი შირვანშაჰზე წყდება და მხოლოდ მე-10 ბწკარიდან ახლდება.

- ქაქ. ზაქიქე; ლ. ზოგონ
8. ქაქ. ყხე ლქაქ; ლ. ყხე ლქაქ
 სარანხე; სარანხე



როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებობს წარწერის შემოკლებული ქართული და სრული რუსული თარგმანი. შემოკლებული ქართული თარგმანი ეკუთვნის ს. კაკაბაძეს (116, 139), ხოლო რუსული თარგმანი შესრულებული აქვს დარბინიან-მელიქიანს (67, 252—253).

ჩვენ თარგმანის პარალელურად, ქვემოთ ბჭარების ნუმერაციის მიხედვით, მოგვყავს ის კითხვასწავლობები, რომლებსაც აღნიშნული ავტორების თარგმანები იძლევიან ჩვენ თარგმანთან შედარებით.

თ ა რ გ მ ა ნ ი

1. წყალობითა ღმრთისა, ხელმწიფობაში პატრონისა დედოფლისა თამარისა და მისისა სამეფოსა (ვაჟისა).
2. ძისა დიდისა მელქისედეკისა გიორგისა, მე ამსაჯანმა გიორგის ძემ და მეუღლემა ჩემმა ბესუჭიმ.
3. რა უამს მოხდა და პატრონთა ქვეყანა წაართვეს, მე არ დავაკელი (მათ) ჩემი
4. სამსახური. ღმერთმა გაუმარჯვა პატრონთა, დაუბრუნა ეს ქვეყანა. ჰოვჰანავანქი მე მიწყალობეს სამკვიდ-
5. როდ. სახლი ეს მთლიანად დანგრეული იყო და სავენახე მიწას შარიათი დადებოდა. ჩვენც
6. სრულად წმინდა კარაპეტს ჩავაბარეთ. მონასტრის სავენა-

9 კაკ. *ქარბა*; ლ. *ქარბ*

კაკ. *ტიყიციუნ*; ლ. *ტიყიყავ*

კაკ. _____ ლ. *ამქნ*

10. კ., კაკ. *ჩ თარციუნ*; ლ. *ჩ თარციუნ*

კ. *ყათთარაყ*; კაკ. *ყათთარაყა*; ლ. *ყათთარაყ*

11. კაკ. *ზიციცი ყაქითქანზ*; ლ. *ზიციცი ყაქლითისან*; კ. წინააღდების ეს ნაწილი გამოტოვებული აქვს.

კ., კაკ. *ზანანჯორი*; ლ. *ზანანჯაქი*

კაკ. *ღანქ*; კ., ლ. *ღანქ*

კ., კაკ. *მნათჯანქი*; ლ. *მნათჯანქია*

11/12 კ. *ჩქათანქ*; კაკ. *ჩქათანქი*; ლ. *ჩქათან ქ*

12. კ. ეს ბჭარი გამოტოვებულია, კაკ. *ორნჩინ*; ლ. *აინ*

წინა თარგმანებში:

შემოკლებები: კაკ. — კაკაბაძე, ლ. — დარბინიან-მელიქიანი.



ხე მიწა შეწერილი შარიათისაგან გავათავისუფლდეთ და განვაწესეთ სადღეგრძელოდ პატრონ-

7. თა ჩვენთა და პატრონის ათაბაგის შაჰანშაჰისა და შირვან-შაჰის სულთათვის. და დავწერეთ სიგელი სამულდამო.
8. მე ამსაჯანმა აღვადგინე და პატრონთა ბრძანებით დავადგინე: ვინც ეცადოს ამ განგებულის შეცვლას, ცოდვები ჩემი და ჩემთა პატრონთა
9. მას მოეკითხოს, მსჯავრი ღმრთისა (მასზედ იყოს), სასყიდელი იუდასი და კენისა მისგან აიღონ, სამი წმინდა კრებისაგან წყეულ იყოს, ამენ.
10. და ამ წმინდა მონასტრის მსახურთა თავს იდევს ყოველწლიურად 12 წირვა გადაიხადონ.
11. სულის წმინდის მოფენის დღესასწაულზე: 3. შაჰანშაჰისათვის, 3. შირვანშაჰისათვის, 2. ჯანესთვის, 2. ამსაჯანისა და 2. ბესუ-
12. ჭისათვის. ამ დაწერილის აღმსრულებელთა (ზედა) კურთხევა იყოს ღმრთისა, ამენ.

წარწერის დათარიღება:

1. წარწერას თავის დროზე ყურადღება მიაქცია მ. ბროსემ. ის ფიქრობდა, რომ წარწერაში მოხსენიებულია თამარ მეფე და ამიტომ წარწერას XIII საუკუნის დასაწყისით ათარიღებდა (216, 173).
2. კოსტანენცი, როგორც ჩანს, წარწერაში მოხსენიებული თამარის ასევე თამარ მეფესთან იდენტიფიკაციის გამო, წარწერას 1201 წლის ახლო ხანებით ათარიღებს.
3. ს. ჯანაშიაც აღნიშნულ წარწერას თამარ მეფეს მიაწერს და ათარიღებს 1201 წლით (არგუმენტები არ არის მოყვანილი) (200, 44).

1 და 2 ბჭკარი: კავ. „ბატონობასა პატრონისა დედოფლის თამარისა და მისი ძისა, ძესა მეფეთასა, დიდისა მეღქისედგეკისა, შეილისა გიორგისა“ დ. «В правление парон-госпожи Тамары и её царственного сына великого Мелкиседека Георга».

მე-3 ბჭკარი: დ. «Когда только [чужеземцы] отняли у наших паронов нашу страну, я не изменил служению своим господам». კავ. „როდესაც ჩვენს პატრონებს წაართვეს ქვეყანა, ჩვენ მაინც არ დაუკლეთ მათ სამსახურს“.

4. დ. «Господ вернул паронам удачу и нашу страну. Отдали они мне

4. ს. კაკაბაძემ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ წარწერაში მოხსენიებული შაჰანშაჰი (შანშე) ატარებს არა მანდატურთუხუცესის, არამედ ათაბაგის ტიტულს, ამდენად, მისი შანშე I დიდად მიჩნევა არ იქნებოდა სწორი. გარდა ამისა, მანვე ყურადღება მიაქცია წარწერაში მოხსენიებული „დიდი მეღქისედეკის“ პიროვნებას, რომელიც ქართული დოკუმენტური წყაროებით XIII ს. ბოლოსა და XIV ს. დასაწყისის მოღვაწედ ჩანს. ყოველივე ამის შედეგად ს. კაკაბაძე წარწერას XIV ს. დასაწყისით ათარილებს და მისი ამოკვეთის ზედა ქრონოლოგიურ საზღვრად 1320 წ. მიიჩნევს (ვინაიდან 1320 წ. ანისის წარწერით შანშე II უკვე გარდაცვლილია) (116, 140).

5. კ. ლაფაძარიანი, როგორც ჩანს, არ იცნობდა ს. კაკაბაძის საბუთიანობას წარწერის დათარილების შესახებ. მისი თვალსაზრისი აღნიშნული საკითხის ირგვლივ შემდეგია: წარწერა ამოკვეთილი იყო XIII ს. დასაწყისში, მაგრამ შემდგომ, სამრეკლოს აშენების შედეგად, წარწერის შუა ნაწილი დაზიანდა და ის ხელახლა ამოკვეთეს იმავე კედელზე XIII ს. შუა წლებში. თუმცა მკვლევარი თვითონ არ არის საკითხის ასეთი გადაწყვეტით კმაყოფილი. უფრო ჭკვემოთ ის დასძენს: ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთი მძიმე შრომის გაწევის მიუხედავად (იგულისხმება წარწერის შესრულების და შემდგომ მისი ხელახლა ამოკვეთის ფაქტი) დიალექტური ელემენტები მაინც შენარჩუნებულ იქნა წარწერაში. როგორც მისი დათარილებიდან ჩანს, კ. ლაფაძარიანიც წარწერაში დასახელებულ თამარს თამარ მეფედ მიიჩნევს.

ჩვენ ვიზიარებთ წარწერაში დასახელებულ პირთა სარგის კაკაბაძისეულ იდენტიფიკაციას, მაგრამ გვინდა შევიტანოთ ერთგვარი

в вотчину [село] Ованнаванк». კაკ. „შემდეგ ღმერთმა მოსცა ძლევა ჩვენს ბატონებს, დაუბრუნა მათ მათი ქვეყანა და ბატონებმაც გვიწყალობეს ოპანუ-ვანქი“.

5. დ. «Все наши дома были разрушены, земли [и] сады были обложены шарнатом». კაკ. „საზოგადო სახლი დანგრეული იყო, ვენახები გარდაქცეული იყო შარა გზად“.

6. დ. «Мы же все передали святому Карапету, освободив монастырские земли, сады от шарната во имя долголетия»... კაკ. „ჩვენ ყველაფერი ჩავბარეთ წმინდა კარაპეტს და აღვადგინეთ წესისამებრ ვენახები საღვთობად...“

მე-7—9 სტრიქონები ს. კაკაბაძესთან გამოტოვებულია მრავალწერტილით.



კორექტივი წარწერის მისეულ დათარიღებაში. როგორც ჩანს, ს. კაკაბაძეს მხედველობიდან გამორჩა ის ფაქტი, რომ, წარწერის მიხედვით, შანშე უკვე გარდაცვლილია. ამიტომ 1320 წ. უნდა იქნეს მიჩნეული წარწერის ამოკვეთის ქვედა და არა ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად. მაგრამ წარწერა 1320 წელზე ბევრად გვიანაც ვერ გაკეთდებოდა, ვინაიდან წარწერაში გიორგი ჯერ კიდევ მცირეწლოვანია. ამიტომ ჩვენ წარწერას 1320—1321 წწ. ვათარიღებთ.

ახლა ჩვენ შევეცდებით პარალელური მასალის მოშველიებით დავაზუსტოთ წარწერაში მოხსენიებულ პიროვნებათა ვინაობა და ისტორია XIV ს. დამდეგის საქართველოს პოლიტიკური ვითარების ფონზე.

როგორც წარწერიდან ჩანს, ამსაჯანის პატრონების, ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენლების, მეღქისედეკისა და თამარის გამგებლობაში სხვა მამულებთან ერთად (მათზე ქვემოთ გვექნება საუბარი) ყოფილა ჰოვჰანავანქის მხარეც, რომელიც მათ გარკვეულ პერიოდში რაღაც მიზეზების გამო დაუკარგავთ და 1320-21 წწ. ხელმეორედ დაუბრუნებიან. ამავე დროს ცნობილია, რომ ეს რეგიონი მხარგრძელთა სამფლობელო ტერიტორიას წარმოადგენდა (როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მათ მიერვე იყო აშენებული თვით ჰოვჰანავანქის მონასტერიც). ახლა შეძლებისდაგვარად შევეცდებით ვაჩვენოთ, რა ვითარებაში შეიძლებოდა დაეკარგათ მხარგრძელებს აღნიშნული მამულები და დაუფლებოდნენ მათ ალასტანელები.

იმ გამწვავებულ შინაპოლიტიკურ ბრძოლაში, რომელიც XIII—XIV სს. მიჯნაზე დავით VIII და მის ძმებს შორის მიმდინარეობდა, წარწერაში დასახელებული შანშე II მხარგრძელი, წყაროების მონაცემებით, ყოველთვის დავით VIII მოწინააღმდეგეთა ბანაკშია. ეპითაღმწერლის მიხედვით, შანშე ათაბაგი, რომელიც იმ პერიოდის საქართველოს აქტიური პოლიტიკური მოღვაწეა, ებრძვის რა დავითს, 1299 წ. გამეფებული გიორგი V ბანაკშია. დავითის განდგომის გამო განაწყენებულმა ყაზან ყაენმა, როგორც ცნობილია, გიორგი დიმიტრის ძის დასმა გადაწყვიტა ტახტზე; მან „წარმოავლინა ყურუმჩი და ერინჯი ვინმე, შინაური მისი, და შანშე მხარგრძელი. და მოუწოდეს ძმასა დავითისასა მცირესა გიორგის“ (43, 304; 44, 197), ხოლო როდესაც მონღოლები დავითს მის ძმას ვახტანგს უპირისპი-

რებენ, შანშე ახლა ვახტანგის ბანაკშია: ვახტანგ III „მოვიდა ტფილისს. და მუნ შემოეყარნეს ყოველნი თათარნი და ქართველნი, და სამცხის ბატონის ბექას შვილი სარგის სპასალარი, ტაოელნი, თმოგუელნი და სომხითარნი, რამეთუ შანშე პირველივე იყო მუნ“ (43, 308; 44, 201). ან კიდევ, დავით VIII და მონღოლთა ლაშქარს შორის ციკარესთან ბრძოლაში დავითის მხარეს არიან „შინაურნი მეფისანი, ჯადელნი და კევით მოსრულნი რჩეულნი“, ხოლო თათართ „შემწედ ჰყვა ივანეს ძე შანშე და ოვსნი, რომელი სხდეს გორს, მესხნი ლაშქარნი, რომელნი წარმოევლინნეს სამცხის მთავარსა ბექას — თორელნი, თმოგუელნი და ტაოელნი“ (43, 306; 44, 199). ხოლო ფ. გორგიჯანიძე პირდაპირ აღნიშნავს: „და შანშე პირველვე იყო ვახტანგის მეფობის მდომელი“ (44, 239).

სანამ გამარჯვება დავით VIII მოწინააღმდეგეთა მხარესაა, შანშეს თავისი მამულების მფლობელობაში ვერავინ შეეცილებოდა. მაგრამ გიორგი V მხოლოდ დროებითმა მეფობამ, ვახტანგ III აღრულმა სიკვდილმა (1304 წ.) (156, 22—27), შემდეგ გარკვეულმა შეთანხმებამ დავით VIII და მონღოლებს შორის, რასაც 1308 წ. გიორგი VI მცირის გამეფება მოჰყვა, გამოიწვია იმ ბანაკის მარცხი, რომელშიც შაჰანშაჰი შედიოდა. როგორც ჩანს, დავით VIII სიცოცხლის ბოლო პერიოდში საშუალება მიეცა გასწორებოდა თავის მოწინააღმდეგეებს. ამიტომ ჩვენც შანშეს მიერ ჰოვჰანავანქის მხარის დაკარგვას 1308—1311 წწ. ვათარილებთ, ანუ პერიოდით გიორგი მცირეს გამეფებიდან დავით VIII გარდაცვალებამდე. დავითის გარდაცვალების შემდგომ კი ჰოვჰანავანქის მხარეს უნდა დაპატრონებოდნენ ალასტანელები, კერძოდ, დავით VIII უფროსი ვაჟი, პირველი ალასტანელი „პროვინციის მეფე“ მელქისედეკი (155, 37—38). ჩვენს თვალსაზრისს ამაგრებს ჟამთააღმწერლის ტექსტზე დაკვირვებაც: თუ საუკუნის დასაწყისისათვის შანშე მხარგრძელი ჟამთააღმწერელთან ხშირად იხსენიება და როგორც სამეფო კარის ერთ-ერთი მსხვილი მოხელე აქტიურ მონაწილეობას იღებს ტახტის გარშემო მიმდინარე მწვავე შინაპოლიტიკურ ბრძოლაში, აღნიშნული პერიოდისათვის ჟამთააღმწერელთან მისი ხსენება ქრება, რაც, ჩვენი აზრით, გამოწვეულია იმით, რომ შაჰანშაჰი ქვეყნის შინაპოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოცილებული ჩანს.

ქამთაალმწერლის მიხედვით, შანშე II პოლიტიკურ და ვით VIII გარდაცვალების შემდგომ პერიოდში, მხოლოდ მეორე ათეულის შუა ხანებში უბრუნდება (43, 324). მათიანიში ვკითხულობთ, რომ ოლჯებით სულთანმა „წარმოავლინა მცირე გიორგი მეფედ“ და სხვებთან ერთად მას თან ახლდა შანშე მხარგრძელი და ზაქარია. ამ ამბის შემდეგ მოთხრობილია აჯანყების შესახებ, რომლის ჩასახშობად გაგზავნილ იქნა ჩოფანი და რომელსაც თან გაჰყვა გიორგი V, „ხოლო გიორგი (მცირე), ზაალ მელიქ, შანშე და ზაქარია არა წარჰყვეს თანა, წარვიდეს და აიყარნეს, და ტფილისს შევიდეს“ (44, 219). აჯანყებულთა დამორჩილების შემდეგ გიორგი V ბრუნდება საქართველოში, სწორედ ამის შემდეგ „მოკუდა ოლჯათ სულტანი“ და „ესმა რა გიორგი მეფესა (ბრწყინვალეს, დ. ნ.) სიკუდილი ყაენისა... წარვიდა ურდოსა“. გიორგი ბრწყინვალე ლეზულაბს მეფობას და 1318 წ. სამეფო ტახტზე მკვიდრდება (130, 178—179). ამას უნდა მოჰყოლოდა ალასტანელთა, როგორც დავითის მემკვიდრეთა დამცრობა (რაც აისახა კიდევ ეგვიპტის წარწერაში: „რა ქამს მოხდა და პატრონთა ქვეყანა წაართვეს, მე არ დავაკელი (მათ) ჩემი სამსახური“) და შანშე II მხარგრძელის მიერ დაკარგული მამულების დაბრუნება. ალასტანელთა გარკვეულ პერიოდში გიორგი ბრწყინვალესადმი დაქვემდებარების და ამდენად მათი ერთგვარი დამცრობის ფაქტი, ჩვენი აზრით, აისახა ქამთაალმწერელთანაც: ყაენმა გიორგი ბრწყინვალეს „მოსცა ყოველი საქართველო, და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი, და შვილნი დავით მეფისანი, და მესხნი, შვილნი ბექასნი“ (43, 325; 44, 220). „შვილნი დავით მეფისანი“ სწორედ დავით VIII ძეები, ალასტანელი „ბროვინციის მეფეები“ — მელქისედეკი და ანდრონიკე არიან.


როგორც ანისის წარწერა გვიჩვენებს, შანშე II 1320 წ. გარდაცვლილია. ამის შემდგომ, როგორც ჩანს, გიორგი ბრწყინვალემ ალასტანელებთან ურთიერთობის გამწვავება მიზანშეწონილად არ მიიჩნია და ჰოვპანავანქის მხარე შანშეს შვილს კი არ გადასცა, არამედ ალასტანელებს დაუბრუნა ან ალასტანელებმა თავად განახორციელეს ეს აქცია. როგორც ჩანს, ეს ამბავი 1320-21 წწ. უნდა მომხდარიყო, რაც აისახა კიდევ ეგვიპტის წარწერაში: „ღმერთმა გაუმარჯვა პატრონთა, დაუბრუნა ეს ქვეყანა“. ე. ი. გამოდის, რომ

ალასტანელთა დროებით დამცრობას 1318—1320 წწ. ჰქონია აღმწიქნა
ლი.

ახლა საგანგებოდ გვინდა შევეხეთ წარწერაში მოხსენიებულ პირთა ვინაობის საკითხს, რომელიც უნდა დაგვეხმაროს პირველ ალასტანელთა ვინაობის გარკვევაში.

ჯერ კიდევ ს. კაკაბაძემ გაავლო პარალელი წარწერაში დასახელებულ „დიდ“ მელქისედეკსა და 1297 წლის დავით VIII საბუთში მოხსენიებულ მეფე მელქისედეკს შორის. მან სამეფოში შექმნილი ვითარება ასე აღადგინა: კაკაბაძის აზრით, 1318 წელს დავით VIII შვილი გიორგი VI მცირე კარგავს სამეფო ტახტს და პროვინციაში გადადის საგანგებლოდ. ტახტს კი გიორგი ბრწყინვალე ეუფლება. გიორგი დავითის ძე თავის უფლებებს ინარჩუნებს იმ ტერიტორიაზე, რომელიც თავის დროზე ვახტანგ მეფის ბრძანებით საგანგებლოდ მიიღო დავით მეფემ. ე. ი., მკვლევრის აზრით, დავით VIII შემდეგ ალასტანის რეგიონში გაბატონებულა გიორგი VI მცირე, ყალიბდება ორი შტო — გიორგი ბრწყინვალეს შტო მთელ საქართველოში სამეფო განმგებლობის უფლებით და გიორგი VI მცირეს შტო უფრო შეზღუდული უფლებებით (116, 148).

წარწერაში აღნიშნული პირები შემდეგ მიმართებაშია წარმოდგენილი — პატრონი თამარი და გიორგი ს. კაკაბაძეს მეუღლეებად, ხოლო მელქისედეკი მათ შვილად მიაჩნია, წარწერაში მოხსენიებულ გიორგის კი მკვლევარი გიორგი მცირესთან აიგივებს. საბოლოოდ, მისი გენეალოგიური შტო შემდეგ სახეს ატარებს:



წარწერის აღნიშნული ადგილის ს. კაკაბაძისეული გაგება, ვფიქრობთ, არასწორი უნდა იყოს. საერთოდ, აღსანიშნავია, რომ წარწერის ეს ადგილი ბუნდოვანია და მას აშკარად რაღაც სიტყვა აკლია, რაც სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, ს. კაკაბაძეს, როგორც ჩანს, მხედველობიდან გამორჩა ის გარემოება, რომ 1297 წელს დავით VIII მიერ გაცემულ საბუთში მელქისედეკი სრულიად აშკარად დავით VIII ძედ გვევლინება (ამ

გარემოებას ყურადღება მიაქცია ჯ. ოდიშელმა; მანვე პირველად გამოთქვა თვალსაზრისი, რომ მელქისედეკი დავითის გიორგისა (167, 88—89). შესაბამისად მისი დედა ოლჯათია და არა თამარი. ამდენად, ზემოთ დასახელებულ პირთა ს. კაკაბაძის მიერ შემოთავაზებული მიმართება არ მიგვაჩნია მართებულად.

არ უნდა იყოს სწორი ტექსტის აღნიშნული ადგილის დარბინიან-მელიქიანისეული ინტერპრეტაციაც. როგორც ამ ადგილის რუსული თარგმანიდან ჩანს, დიდ მელქისედეკსა და გიორგის დარბინიან-მელიქიანი ერთ პიროვნებად მიიჩნევს და თამარის ძედ თვლის. ტექსტის ასეთი გაგების შემთხვევაში ჩნდება შემდეგი წინააღმდეგობანი: 1. მელქისედეკი და გიორგი ორი სხვადასხვა სახელია და გაუგებარია ერთ პიროვნებას, თამარის ძეს რატომ ერქვა მელქისედეკიც და გიორგიც. 2. თუ ეს მელქისედეკ-გიორგი ისეთ ასაკშია, რომ უკვე „დიდია“, რატომ არის ის მხოლოდ „**ქაყაიყაყარ**“ და არა „**ყარინ**“ როგორც დედამისი. ფაქტია, რომ, წარწერის მიხედვით, გიორგი მცირეწლოვანია, ის მხოლოდ თამარის „სამეფო“ ძეა — „**ქაყაიყაყარ ირქ**“ და არა უფალი — „**ყარინ**“-ი. გიორგის მცირეწლოვნება ძნელი შესათავსებელია „დიდობასთან“. ამდენად, ჩვენი აზრით, წარწერაში ორი პიროვნებაა — „დიდი მელქისედეკი“ და „საუფლო, სამეფო გიორგი“.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე ჩვენ ვიძლევიტ წარწერაში დასახელებულ პირთა შემდეგ გენეალოგიას:

დიდი მელქისედეკი = თამარი

|
სამეფო ვაჟი გიორგი

რა შეიძლება ითქვას წარწერაში აღნიშნულ პიროვნებათა შერევაზე?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მელქისედეკის მამა იყო დავით VIII. ჩვენ მიერ ზემოთ მოხსენიებულ 1297 წლის დავით VIII საბუთის ამტკიცებს თავის ძმა ანდრონიკესთან ერთად: „ქ. ჩუენ, მელქისედეკ მეფისაგანცა, მტკიცეა ნებითა ლ(მრ)თისა(ი)თა.

ქ. პატრონთა მამისა და ძმისა ბ(რძანე)ბითა მეცა, ანდრონიკე დამამტკიცებელი ვარ“ (6; 53, 184).



საბუთის დაწერის დროისათვის — 1297 წ. მელქისედეკი, ვორც ვხედავთ, მეფედ იწოდება, ე. ი. დავითის შვილებს (მას და მელქისედეკი, ანდრონიკე და გიორგი VI მცირე) შორის იგი უფროსია და მეფეს უკვე თანამოსაყდრედაც გაუხდია. რატომ არ ამტკიცებს საბუთს გიორგი VI მცირე? ან 1308 წელს, როცა გარკვეულ შეთანხმებას ჰქონდა ადგილი დავით VIII და მონღოლებს შორის, რატომ გაამეფეს გიორგი VI მცირე და არა უფროსი ვაჟი მელქისედეკი?

1297 წელს დავით VIII და ყაზანს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების გამო, 1298 წელს მონღოლებმა, როგორც აღვნიშნეთ, თბილისში მეფედ დასვეს დემეტრეს ძე ვახტანგი. ეს იყო მისი პირველი გამეფება. „ვითარ ცნა მეფემან დავით, რომე ვახტანგს მეფედ ჰყოფენ, წარგზავნა მისი ერთგული ბურსელი ხუტლუშას წინაშე ზავისა და ერთგულების აღთქმით“. ხუტლუშამ „ყოველი სათხოველი აღუსრულა“ და დავითმაც წარავლინა მის წინაშე მეუღლე, ქეიღათუ ყენის და ოლჯათი, კათალიკოსი აბრაჰამ და ბურსელი. ხუტლუშამ ოლჯათი „დაიმჭირა და არღარა წარავლინა“, კათალიკოსი და ბურსელი კი გაგზავნა დავითის მოსაყვანად. დავითმა ნახა რა ოლჯათის მოუსვლელობა, „არღარა ინება ნახვა თათართა“ და უთქვამს: „უკვე მომეც ოლჯათ, მოვიდე ურდოსა“. განრისხებულმა ხუტლუშამ „მოაკუდინა ბურსელი“ და „ოლჯათ წარავლინეს ურდოსა“. ქამთა-აღმწერელის ტექსტზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ეს XIV ს. დამდეგს მომხდარა, ვახუშტი კი პირდაპირ მიუთითებს 1301 წელზე (36, 248). იაპონელი მეცნიერი სეიჩი კიტაგავა მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ოლჯათის დავით VIII დაქორწინების საკითხს. მის ერთ-ერთ სტატიას ასეც ჰქვია — „უფლისწული ოლჯათის ქორწინების გარემოებანი და ილხანთა პოლიტიკა საქართველოში“ (ყურნალი „შიხო“ — „საისტორიო მოამბე“) (91, 147). იაპონელი მეცნიერი თვლის, რომ დავითისათვის ოლჯათის შერთვას ხელი უნდა შეეწყო მონღოლებისათვის საქართველოში მათი ბატონობის განმტკიცებისათვის, მაგრამ ჩამოვარდნილი უთანხმოების შემდეგ, ჩაიშალა რა დავითთან შერიგების ყოველგვარი შესაძლებლობა და გადაწყდა ვახტანგ III გამეფება, მონღოლებმა ოლჯათი აღარ დაუბრუნეს დავითს. ამის შემდეგ მონღოლთა შემწეობით 1302 წელს ვახტანგმა უკვე მეორედ და რეალური ძალაუფლებით დაიკავა სამე-

ფო ტახტი. „ხოლო ვითარ ცნა მეფემან არღარა მოცემა ცოლის
თვისისა ოლჯათისი, იქორწინა ქართლისა ერისთავისა ჰამადასის უღლი
ფრიად ქმნულ-კეთილი“ (43, 309; 44, 203). ეს ქორწინება, წყაროე-
ბის მიხედვით, ემთხვევა ვახტანგის მეორედ გამეფებას, რომელსაც
1302 წელს აქვს ადგილი. ვახუშტი ბატონიშვილიც დავით მეფის
მეორედ ქორწინებას პირდაპირ ათარილებს 1302 წლით (36, 248—
249). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ დავითს
უფროსი ვაჟები — მელქისედეკი და ანდრონიკე ოლჯათისაგან უნდა
ჰყოლოდა. ისინი მამის გვერდზე მდგომნი და ყაზანთან კონფლიქ-
ტის შემდეგაც დავითის ხელისუფლების დამცველნი და გამტარე-
ბელნი ჩანან. უფროსი შვილი, როგორც აღვნიშნეთ, დავითს თანა-
მოსაყდრედაც გაუხდია. მამის მთიანეთში გახიზვნის შემდეგ მელქი-
სედეკი და ანდრონიკე დავითის გვერდში უნდა იდგნენ, ამიტომ
ბუნებრივია, ეს გამოიწვევდა მათი ურთიერთობის გაფუჭებას მონ-
ღოლებთან.

რაც შეეხება დავითის მესამე ვაჟს — გიორგის, იგი მეფეს მე-
ორე ცოლისაგან უნდა ჰყოლოდა. როგორც აღვნიშნეთ, ქორწინის
1302 წ. ჰქონდა ადგილი, ბუნებრივია, გიორგის დაბადებაც 1303 წ.
ვივარაუდოთ, ამიტომაც, რომ იგი არ ამტკიცებს ზემოაღნიშნულ
1297 წლის დავით VIII სიგელს და შემდგომ პერიოდში მისი მცირე-
წლოვნების გამო „მცირედაც“ იმიტომ იწოდება.

1302 წლამდე დავითი მთიანეთშია გახიზნული, ამ წლიდან კი
მელქისედეკთან და ანდრონიკესთან ერთად გადადის ჯავახეთსა და
ალასტანში (155, 31—32). მალე, ვახტანგ III და ყაზან ყაენის გარ-
დაცვალების შემდეგ, დავითი ახერხებს გარკვეული შეთანხმების
დადებას მონღოლებთან და შესაძლებლობაც ეძლევა თავისი შვილი
დასვას სამეფო ტახტზე, თვითონ კი სიკვდილამდე ჯავახეთსა და
ალასტანში რჩება. მართალია, ქართველობა მას თვლის მეფედ, მაგ-
რამ იგი უკვე ძველებურად ვეღარ ერევა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვ-
რებაში. ამის მიზეზი ისიც არის, რომ იგი დაავადებული ყოფილა
„სენიცა შეედვა ბოროტი, მიკრისი ჯელთა და ფერჯთა, და უჟმარ
იქმნა... ბოროტსა სენსა შთავარდნილი უღონოებდა“ (44, 211)
ქამთააღმწერელი სხვა ადგილზეც აღნიშნავს: „ხოლო აღესრულ
მესამესა წელსა მეფე დავით, გარჯილი სენთა მწარეთა მიერ“ (44
218).

მონღოლებთან დავითის შეთანხმების საფუძველზე, როგორც აღვნიშნეთ, სამეფო ტახტზე მისი შვილი უნდა დამჯდარიყო. მელქისედეკსა და ანდრონიკეს დავითის ბანაკში ყოფნისა და დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლის გამო მონღოლებთან ურთიერთობა გაფუჭებული ექნებოდათ, ამიტომაც ისინი მათ არ გაამეფებდნენ. არჩევანი შეაჩერეს დავითის მეორე ცოლისაგან შეძენილ შვილზე — გიორგი მცირეზე, თან, სავარაუდოა, ითვალისწინებდნენ მის მცირეწლოვნებას, რაც მონღოლებისათვის ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო (1308 წელს გიორგი მცირე 5 წლის ბავშვი თუ იქნებოდა). მელქისედეკი და ანდრონიკე კი, როგორც ჩანს, ბოლომდე მამის ერთგულნი დარჩნენ და მონღოლებთან ცუდი ურთიერთობის გამო ჯავახეთსა და ალასტანის რეგიონში იმყოფებოდნენ. 1311 წელს დავით VIII გარდაცვალების შემდეგ, მამის მფლობელობა მათ უნდა გაეგრძელებინათ. აქედან უფროსი მელქისედეკი, როგორც ირკვევა, ამ სამფლობელოში „მეფის“ ტიტულით იწყებს მოღვაწეობას და იგი გვევლინება პირველ ალასტანელ „პროვინციის მეფედ“ (155, 37—38, 40). სწორედ ეს მელქისედეკია მოხსენიებული ჰოვჰანავანქის მონასტრის ეგვტერის წარწერაში.

ვფიქრობთ, ეგვტერის წარწერის ჩვენეული წაკითხვა და თარგმანი, ზემოაღნიშნული მსჯელობა და 1297 წლის დავით VIII საბუთი თვალნათლივ არკვევს მელქისედეკის წარმომავლობის საკითხს, ავსებს ალასტანელთა გენეალოგიაში არსებულ ხარვეზებს, უარყოფს ს. კაკაბაძის მოსაზრებას გიორგი VI მცირეს ალასტანელებთან დაკავშირების შესახებ და პასუხს გვაძლევს კითხვაზე, თუ ვინაა პირველი ალასტანელი „პროვინციის მეფე“.

ჰოვჰანავანქის მონასტრის ეგვტერის წარწერის მიხედვით, მელქისედეკს ჰყავს მეუღლე დედოფალი თამარი და ძე გიორგი. ტექსტის მიხედვით, მელქისედეკი გარდაცვლილია, ამიტომაც ჰოვჰანავანქის რეგიონის პატრონად და ხელმწიფედ დედოფალი თამარია აღნიშნული. მისი ვაჟი — გიორგი, როგორც ჩანს, მცირეწლოვანია, ამიტომ მათ სამფლობელოს დედოფალი განაგებს. როგორც ვხედავთ, წარწერა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ცნობებს გვაწვდის უცნობ ალასტანელებზე — თამარსა და გიორგიზე, რომელთაც დღემდე ცნობილ ალასტანელთა გენეალოგიურ ტაბულაში არა აქვთ სათანადო ადგილი მიჩენილი (167, 118). ისიც საინტერესოა, რომ



„პროვინციის მეფე“ მელქისედეკი წარწერაში „დიდის“ არის შემკობილი. სხვა წყაროებიდან მას ვიცნობდით, როგორც „მეფეთა-მეფეს“ ან „მეფეს“ (ჯვრის მონასტრის და სინას მთის ალაპები) (147, 92; 189, 242).

ეგვტერის წარწერა აზუსტებს პირველი ალასტანელების მოღვაწეობის წლებსაც:

რადგან წარწერით მელქისედეკი გარდაცვლილია, ჩვენ კი წარწერას 1320/21 წლებით ვათარილებთ, ამიტომ მისი გარდაცვალების ზედა მიჯნა ამ წელზე უნდა დავდოთ, ე. ი. 1340 წლის (ს. კაკაბაძე მის გარდაცვალებას 1339—1340 წწ. ათარილებს (116, 147), ჯ. ოდიშელი კი მის მოღვაწეობას 1297—1340 წწ. (167, 118) მელქისედეკის გარდაცვალების თარიღად მიჩნევა არ უნდა იყოს სწორი. აქედან გამომდინარე, თამარ დედოფლის გამეფების ქვედა მიჯნაც 1320/21 წლებზე ჩამოდის. ე. ი. მათი მოღვაწეობის ხანაა: მელქისედეკი — 1311—1320 წწ., თამარი — 1320—1340(?) წწ. ალასტანელთა გენეალოგიასთან დაკავშირებით იხილეთ დანართი № 1.

ჰოვჰანავანქის მონასტრის ეგვტერის წარწერას დიდი მნიშვნელობა აქვს ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ სამფლობელო ტერიტორიების ლოკალიზაციის საქმეში. ამასთან დაკავშირებით წინ წამოიწევეს ამ რეგიონში დიდ ფეოდალურ საგვარეულოთა თუ სამეფო მფლობელობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი.

ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ შტოს სამფლობელო ტერიტორიის თავიდან ჯავახეთის ერთი რეგიონი წარმოადგენდა, ცენტრით ალასტანი. დროთა განმავლობაში, როგორც ჩანს, აღნიშნული შტო პოლიტიკურად ძლიერდება და ამიტომ, ბუნებრივია, მათი სამფლობელო მამულებიც იზრდება. ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ მფლობელობა და გავლენა სახელმწიფოს სხვა ისტორიულ პროვინციებშიც დასტურდება.

ჯ. ოდიშელმა ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ სამფლობელო ტერიტორიების ლოკალიზაციის საკითხებზე მსჯელობისას გამოთქვა მოსაზრება, რომ ისინი გორის მიმდებარე რაიონის მეფეები არიან და საქართველოს სამხრეთ რეგიონთან, კერძოდ, ჯავახეთთან და ალასტანთან მათ კავშირი არა აქვთ (167, 91).

განვიხილოთ თითოეული მათგანის სამფლობელო ტერიტორიების ლოკალიზაციის საკითხი.



წყაროებში არსად არის მინიშნება, რომ მელქისედეკი გორის მიმდებარე ტერიტორიის მეფე იყო. ჯ. ოდიშელთანაც ამის დამამტყიცებელ არგუმენტებს ვერ ვნახულობთ. პირველმა ალასტანელმა „პროვინციის მეფემ“ მფლობელობა დაიწყო თავისი მამის — დავით VIII სამფლობელოში — ჯავახეთსა და ალასტანში. შემდეგ მათ, როგორც ირკვევა, ეს ტერიტორიები გაუფართოებიათ და, როგორც წყაროებიდანაც ჩანს, სამეფოს სხვა მიწებზეც მიუწვდებათ ხელი. მაგ., გავიხსენოთ 1435 წ. ალექსანდრე I დიდის სიგელი, რომლითაც დასტურდება ალასტანელთა ბატონობა ქვემო ქართლში — ლორეს მხარეში (54, 123—124).

ჰოვჰანავანქის მონასტრის ეგვტერის წარწერა ამ საკითხთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის. იგი აკონკრეტებს და აფართოებს ჩვენს ცოდნას ალასტანელთა სამფლობელოების შესახებ. მონასტრის ეგვტერის 1320/21 წწ. წარწერა გვიჩვენებს, რომ პირველი ალასტანელები — „დიდი“ მელქისედეკი და „პატრონი“ თამარი ბატონობენ ისტორიული სომხეთის გარკვეულ რეგიონზე, საიდანაც გამომდინარეობს, რომ მელქისედეკი არ დასჯერებია მამის მფლობელობაში მყოფ მამულებს და იგი გაუზრდია. აღნიშნული წარწერით, პირველ ალასტანელთა სამფლობელო ტერიტორიებს — ჯავახეთს ალასტანითურთ ემატება ისტორიული სომხეთის ტერიტორიების ნაწილი, რომელშიც ჰოვჰანავანქის მიწებიც შედის. ეს ფაქტიც ერთ-ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ალასტანელთა მოწყვეტა საქართველოს სამხრეთი რეგიონებისაგან არ უნდა იყოს სწორი. მელქისედეკი არ შეიძლება ყოფილიყო გორის მხარის „პროვინციის მეფე“, რადგან ასეთ შემთხვევაში ვერ მოხვდებოდა გორიდან საკმაოდ მოშორებით, სომხეთში, კარბის ციხესთან ახლოს მდებარე ჰოვჰანავანქის მონასტრის აღნიშნულ წარწერაში და გორის მხარის „პროვინციის მეფე“ ვერც სომხეთის გარკვეული ტერიტორიის პატრონად მოგვევლინებოდა.

სავარაუდოა, რომ გარდა ჰოვჰანავანქის მამულებისა, ალასტანელები ისტორიული სომხეთის სხვა ტერიტორიებზეც მფლობელობდნენ, კერძოდ, აირარატში, ამბერდად წოდებული გავარის გარკვეულ მამულებზე, როგორც 1310 წ. ჰიშატაკარანშია აღნიშნული „წმ. და ღვთის სამკვიდრო ტაძარი“ ჰოვჰანავანქი მდებარეობს „აირარატში, ანბერდად წოდებულ გავარში“ (50, 18). ამ მხრივ სა-

ინტერესთა ზაქარია ქანაქერცის თხზულებაში დაცულია ლეგენდები. გიორგის ნეშტის სომხეთში ჩატანისა და იქიდან საქართველოში მოხვედრის შესახებ: წმ. გიორგის ნეშტის ჰოვჰანავანქში ჩატანის შემდეგ „აქ თავს იყრიდნენ კეთროვანნი და ხეიბარნი, სანამ არ დაეცა ძლიერება სომეხი ხალხისა და არ მოექცა იგი სხვა ხალხთა ძალაუფლების ქვეშ. მაგრამ ქვეყანა შირაკისა და ოლქი კარბისა იმყოფებოდნენ ქართველი მეფეების ხელში“ (151, 114). შემდეგ ზ. ქანაქერცის აღნიშნული აქვს, რომ სწორედ ამ დროს ქართველი მეფის* ძეს კანის სნეულება შეეყარა და მაშინ უამბნიათ ქართველთა მეფისათვის: „არის შენს სამეფოში, კარბის ოლქში, ერთი მონასტერი, რომელსაც ოვანავანქს ეძახიან, და იქ განისვენებს ნეშტი წმიდა გიორგისა... და იკურნებიან წმიდა გიორგის წყალობით. მას გაგზავნე იქ შვილი შენი და განიკურნება ისიც“ (151, 114). ყველა რეალიებით ჩანს, რომ ლეგენდაში ასახულია XIII—XIV სს. ვითარება, როცა კარბის ოლქი, სადაც ჰოვჰანავანქი მდებარეობს და ქვეყანა შირაკისა ქართველი მეფეების ხელშია და საქართველოს სამეფოს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ამ რეგიონის გარკვეულ მამულებზე ალასტანელებსაც ექნებოდათ მფლობელობა. როგორც წყაროებიდან ჩანს, შანშე II შაჰანშაჰის საპატრონოში ანისის მხარეც (იგი შირაკის პროვინციაში მდებარეობდა) შედის, 1310 და 1320 წწ. ანისის წარწერებში იგი ათაბაგად იწოდება; ამასთან, დავას არ იწვევს, რომ XIV ს. 20-იან წლებში ანისი ძველებურად „საქართველოს ვილაიეთის“ შემადგენლობაშია (89, 90). ამიტომ შეიძლება გამოვთქვათ ფრთხილი ვარაუდი, რომ ამ მხარეშიც ხომ არ ჰქონდათ მფლობელობა ალასტანელებს?! საბოლოოდ გამოდის, რომ „შვილნი დავით მეფისანი ფლობდნენ ჯავახეთის გარკვეულ რეგიონს ცენტრით ალასტანი, ქვემო ქართლის მამულებს ლორეთურთ, ჰოვჰანავანქთან ერთად

* თ. ნატროშვილი ამ ლეგენდის მონაცემებს უჯერებს „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს და თვლის, რომ იგი უნდა ეხებოდეს დავით ულუსა და მის შვილს — მათი მოღვაწეობის ხანას (151, 117—118). ჩვენი აზრით, არ არის აუცილებელი ამ გადმოცემაში, რომელიც XVII ს. ისტორიკოსთან არის დაცული, კონკრეტული ისტორიული პიროვნებები ვეძებოთ და მათი იდენტიფიკაცია მოვახდინოთ; მთავარია მასში დაცული პოლიტიკური ვითარების განხილვა, რომელიც ამ შემთხვევაში სწორად ასახავს XIII—XIV სს. I ნახ. ამიერკავკასიაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების სურათს.




სწორედ დავით დიმიტრის ძის საუფლისწულოში სომხურ-პროვინციების არსებობამ შექმნა საფუძველი, ქართული მიწების გარდა, ალასტანელ ბაგრატიონთა მფლობელობისა სომხეთის ტერიტორიებზეც. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ რეგიონებში არც ქართველთა სახლობაა მოულოდნელი. 1310 წ. ჰიშატაკარანში ვკითხულობთ: „...მოგვიხსენეთ ქრისტეს მხევალი მამახათუნი და ჩემი ღვთისმსახური მეულლე, პატივდებული მთავარი ჯაჯური, თუმცაღა ტომით ქართველი, მაგრამ ყველა ეკლესიის კეთილ მოსურნე“ (50, 18). საინტერესოა, რომ ეს ჰიშატაკარანი დაწერილია ამბერდად წოდებულ გავარში მდებარე ჰოვჰანავანქის მონასტერში (აღლ. აბდალაძე, თვლის, რომ იგი შეიძლება არ იყოს ქართველი, არამედ ტომით სომეხია, სარწმუნოებით კი ქალკედონიტი; ჯაჯური, როგორც მკვლევარი აღნიშნავს, ასეთი სახელი არ გვხვდება ქართულ წყაროებში, სომხურ წყაროებში კი ხშირია (50, 106).

როგორც ვხედავთ, ალასტანელებს მფლობელობა ჰქონიათ გავახეთში ალასტანიურთ, ქვემო ქართლში და უფრო სამხრეთით — სომხეთშიც. აქედან გამომდინარე, უსაფუძვლოა იმის ვარაუდი, თითქოს ლორე არ შედიოდა ალასტანელთა საგამგეოში*. 1435 წლის ალექსანდრე I საბუთიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ ბრძოლაში თურქმანებს გიორგი ალასტანელი მოუკლავთ და 1373 წელს ამას საქართველოსათვის ლორეს დაკარგვა მოჰყოლია, ამიტომ, ჩვენი აზრით, ალასტანელთა სამფლობელოში იმ დროისათვის გავახეთთან ერთად ლორეს მხარეც უნდა ყოფილიყო. იგივე საბუთი მეტყველებს იმაზე, რომ ლორეს მხარეში მამულები ჰქონიათ არა მხოლოდ დავით VIII ჩამომავალ ალასტანელ ბაგრატიონებს, არამედ „ზემოთა და ანუ ქვემოთა“ ქართველ დარბაისელთაც, რომელთაც ისინი ალექსანდრე მეფის ლორესთან ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ დაუბრუნებიათ კიდევ.

ახლა რაც შეეხება სხვა ალასტანელთა მფლობელობის საკითხებს.

* დ. ბერძენიშვილის აზრით, 1435 წლის ალექსანდრე I საბუთში აღნიშნულ „ტახტი მეფეთა“-ში: „ამას უსჯულოთა... ტახტი მეფეთა განურყვნია, და საპატ(ი)ონი და ცამდის მალაღნი საყდარნი შეურაცხ უქმნიან“ — შეიძლება იგულისხმებოდნენ არა ალასტანელები, არამედ ტაშირ-ძორაყეტის მეფეები, რომელთა ადგილზე შემდეგ მხარგრძელები ისხდნენ (89, 52).



გიორგი ალასტანელის დაკავშირებაც გორის რაიონთან მოი-
 თხოს დამატებით არგუმენტებს. თვით წოდება „ალასტანელი“
 ვფიქრობთ, მიუთითებს მის „პროვინციის მეფედ“ ყოფნას ჯავახე-
 თის გარკვეულ რეგიონში, ცენტრით ალასტანი. ჯ. ოდიშელის ვა-
 რაუდით, რადგან გიორგის გარკვეული კავშირი აქვს ქსნის ერის-
 თავებთან, ის გორის მიმდებარე ტერიტორიების გამგებელი უნდა
 იყოს. როგორც ცნობილია, „ძეგლი ერისთავთა“ 1373 წელს გიორ-
 გი ალასტანელთან ერთად ქსნის ერისთავის ქვენიფნეველის დალუპ-
 ვასაც აღნიშნავს. ამასთან, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში
 გიორგის აღაპს მოსდევს ამილახვარ ქვენიფნეველის აღაპი. ამ ფაქ-
 ტის გამო ჯ. ოდიშელი გიორგი ალასტანელს გორის მიმდებარე მა-
 მულების მეფედ თვლის (167, 91).

გიორგი ალასტანელისა და ამილახვარ ქვენიფნეველის აღაპები
 რომ ერთმანეთს მოსდევენ, არც უნდა იყოს მოულოდნელი. ისინი
 ერთსა და იმავე დროს გარდაიცვალნენ და ამიტომ ერთად შეიტანეს
 იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მოსახსენებელში. მაგრამ „ძეგლი
 ერისთავთა“ ხომ გიორგისა და ქვენიფნეველის ერთად დალუპვას
 აღნიშნავს, რაც, ჯ. ოდიშელის აზრით, მათ კავშირზე უნდა მიუთი-
 თებდეს. უნდა აღვნიშნოთ, რომ „ძეგლი ერისთავთა“ ქსნის ერის-
 თავის გვერდით „ყოველნი“ მთავართა და დიდებულთა დახოცვასაც
 აღნიშნავს. ქვენიფნეველის პერსონალური დასახელება კი აიხსნება
 იმით, რომ „ძეგლი ერისთავთა“ წარმოადგენს ქსნის ერისთავთა
 გვარის განსაზღვრებლად შექმნილ დოკუმენტს. აქედან გამომდინარე,
 გასაგები ხდება, თუ შემთხვევით „ყოველნი“ მთავარში რატომ გამო-
 ყოფს ქსნის ერისთავს. ამასთან დაკავშირებით ვნახოთ „პარიზის
 ქრონიკა“: „ქორონიკონსა 61 (61) თურქნი მოვიდნენ; მეფე
 გიორგი მოკლეს; ლაშქარნი სრულად დახოცნეს, საქართველო მოარ-
 ბიეს და წარტყუენეს თუესა აგვისტოსა 6(6)“ (59, 38). როგორც
 ვხედავთ, ქვენიფნეველი აქ არ არის აღნიშნული. ეს იმის მიმანიშ-
 ნებელი უნდა იყოს, რომ „ძეგლი ერისთავთაში“ გიორგი ალასტა-
 ნელისა და ქვენიფნეველის ერთად მოხსენიება არ ადასტურებს მათ
 შორის რაიმე განსაკუთრებულ კავშირს, ე. ი. წყარო არ იძლევა
 იმის მტკიცების საშუალებას, რომ გიორგი ალასტანელი გორის
 მიმდებარე ტერიტორიის მეფედ ჩავთვალოთ და არა ჯავახეთ-სომ-
 ხეთის მხარისა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ



„ძეგლი ერისთავთას“ ცნობაში იმ საკითხს, რომ გიორგი ალასტანელი ქართლში კი არ იბრძვის ქვენიფნეველთან ერთად, არამედ თვითონ ქვენიფნეველი არის გადასული გიორგი ალასტანელის სამფლობელოში და იმყოფება სომხითში მის გვერდით. აქედან გამომდინარე, წყარო არ ლაპარაკობს გიორგი ალასტანელის ქართლში, კერძოდ, გორის მხარის ტერიტორიაზე მფლობელობის შესახებ. იგი ერთ-ერთი დიდი პროვინციის — ჯავახეთის, სომხითისა და ისტ. სომხეთის გარკვეული ნაწილის „პროვინციის მეფეა“ და სავსებით მისაღებია, რომ თურქმანთა შემოსევის გამო მასთან დასახმარებლად სხვადასხვა რეგიონის ერისთავები მისულიყვნენ. გიორგისთან მიდიან „ყოველნი“ მთავართა გარკვეული ნაწილი და მათ შორის, „ძეგლი ერისთავთას“ ცნობით, არის ქსნის ერისთავი ქვენიფნეველიც.

თვითონ ის ფაქტი, რომ „პროვინციის მეფე“ გიორგი სომხითში იბრძვის და „ალასტანელის“ ტიტულს ატარებს, ლაპარაკობს მისი სამფლობელო ტერიტორიის შესახებ — ესაა სამხრეთ სომხითი და ჯავახეთის ნაწილი, ცენტრით ალასტანი. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ გიორგი ალასტანელის მოკვლას საქართველოს მიერ ლორეს დაკარგვა მოჰყვა. ამდენად, გიორგის გორის მიმდებარე ტერიტორიის „პროვინციის მეფედ“ გამოცხადება არ მიგვაჩნია მართებულად.

ერთგვარი ახსნა უნდა მოეძებნოს სხვა ალასტანელთა მფლობელობას შიდა ქართლის გარკვეულ რეგიონში. ჯერ ერთი, პირველ ალასტანელებს (მელქისედეკი და ანდრონიკე) თავიანთი მამის დავით VIII მეფობაში უნდა ჰქონოდათ საუფლისწულო მამულები შიდა ქართლში, რომელზედაც პრეტენზიას ისინი დავით VIII გარდაცვალების შემდეგაც განაცხადებდნენ. მეორე, გასათვალისწინებელია საკმაოდ მნიშვნელოვანი შემდგომი გარემოებაც: დავით VIII-ის უკანონოდ გამეფებული გიორგი VI მცირისა და კანონიერი ტახტის მემკვიდრის, დავითის თანამესაყდრის — მელქისედეკის გარდაცვალების შემდეგ (ყველაფერს ამას ადგილი უნდა ჰქონოდა 1320 წლამდე), ტახტის კანონიერი მემკვიდრეები იყვნენ უფროსი ძეები: მელქისედეკის ძე გიორგი ან მელქისედეკის ძმა ანდრონიკე. ამდენად, 1340 წლიდან ხდება რა ანდრონიკე ალასტანელი „პროვინციის მეფე“ (როგორც ჩანს, თამარისა და მისი ძის გიორგის გარდაცვა-

ლების შემდეგ, ის უნდა იწყებდეს ბრძოლას საქართველოს ტახტზე თავისი, ასე ვთქვათ, „კანონიერი“ პრეტენზიების აღსადგენად. ამიტომაც უნდა ახერხებდეს გავლენის მოპოვებას, შიდა ქართლის ზოგიერთ რეგიონზე (შესაძლოა თავის ყოფილ საუფლისწულო მამულებზე). სწორედ გიორგი ბრწყინვალესთან 40-იან წლებში მის მიერ წარმოებული შინაპოლიტიკური ბრძოლის გამოძახილი უნდა იყოს 1348 წელს წითლოსან ქვენიფნეველისადმი გაცემულ სიგელში დაცული ცნობა ანდრონიკეს კავშირისა ქსნის ერისთავებთან. როგორც ცნობილია, იგი წითლოსან ქვენიფნეველს აძლევს გორის მხარის სოფლებს: „კარბაი და გარეჯან ბაკურის უბანი, მისითა სამართლიანითა მძღვრითა მკ(უ)იდრად, სამამულოდ, შეუვ(ა)ლად და შეუტკვალებად“ (54, 98—99). განსაკუთრებული ინტერესი და „პრეტენზიები“ 40-იანი წლებიდან იმითაც უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ XIV ს. 30-იანი წლების ბოლოდან საქართველოს სამეფო ტახტი კარგავს ისტორიული სომხეთის სამხრეთ ტერიტორიებს. ამას უნდა მოჰყოლოდა ალასტანელებისათვის მათი უკიდურესი სამხრეთი სამფლობელო რეგიონების დაკარგვა, თუმცა ლორე და სომხეთის სხვა მამულები კვლავ მათი განმგებლობის ქვეშ ჩანს. ამ დროს ანდრონიკე თავისი ძირითადი მამულების — ჯავახეთისა და სამხრეთ სომხეთის გვერდზე უნდა ახერხებდეს ქართლის გარკვეულ რეგიონზეც გავლენის მოპოვებას და ყმა-ვასალთა გაჩენას.

ამდენად, შიდა ქართლში გარკვეული ტერიტორიების მფლობელობა არ მეტყველებს იმაზე, რომ ალასტანელები გორის მხარის „პროვინციის მეფეები“ არიან. პირიქით, ყველა განხილული საბუთი აშკარად მიგვიჩვენებს იმაზე, რომ მათი ძირითადი სამფლობელოები მდებარეობენ საქართველოს სამეფოს სამხრეთ რეგიონებში (ჯავახეთი, ქვემო ქართლი — ლორე, ისტ. სომხეთი).

ანდრონიკეს ორი ვაჟი ჰყავდა: გიორგი ალასტანელი და დავითი. რადგან ორივეს „პროვინციის მეფობაზე“ ჰქონდათ პრეტენზია, ამიტომ მათ, როგორც ჩანს, ან თავად, ან მამის გადაწყვეტილებით, სამფლობელოები გაუყვიათ: გიორგი ალასტანელს სამფლობელოების სამხრეთი რეგიონი უნდა მიეღო (ამიტომაც ებრძვის ის ლორესთან თურქმანებს). დავითს კი ალბათ სამხრეთ საქართველოშიც ექნებოდა გარკვეული მამულები, მაგრამ მათ გვერდზე იგი



მამამისის — ანდრონიკეს სამფლობელოებსაც ეუფლება შიდა ქართლში (1382 წელს ოქონის ეკლესიას აძლევს ყმა-მამულებს) ზემო რეხაში 10 საკომლო, გარეჯვრის ლომსათუბანი, რუისში და ატენში ყმა-მამული) (167, 90). ვინაიდან გიორგი უფროსი იყო და ალასტანელთა სამფლობელოს ძირითად ტერიტორიებს ის ფლობდა ამ სამფლობელოთა ცენტრით — ალასტანით, ამიტომ, ბუნებრივია, ძმებიდან ზედწოდება „ალასტანელი“ მას ერგო.

ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ სამფლობელო ტერიტორიების ლოკალიზაციის საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება, რომელიც გამოთქმულია ღრტილას ეკლესიის 1308 წ. სამშენებლო წარწერასთან დაკავშირებით*. მოგვყავს წარწერის ტექსტი:

„ქ. გათავდა ქვეშელისა ლიპარიტის ცოლისა და თმოგველთა ქალისა რუსუდანისაგან. შეუხდვენ ღმერთმან. ქორონიკონი იყო ფკჳ. ჭურვანის ძესა იოანეს შეუხდვენ ღმერთმან“ (81, 148).

თავიდანვე დგება ლიპარიტ ქვეშელის წარმომავლობის საკითხი. ვ. ცისკარიშვილის აზრით, იგი თორელთა საგვარეულოს წარმომადგენელი უნდა იყოს, ეყრდნობა ბაგრატ VI 1468 წ. 6 ნოემბრის სიგელს ჯავახიშვილებისადმი (83, 95). ამ საკითხის გარკვევაში ერთგვარად გვეხმარება XVI ს. დასაწყისის ჯავახიშვილების საბუთი, რომელსაც ნ. შოშიაშვილმა მიაქცია ყურადღება: ამ საბუთში თორელთაგან წარმომობილი ჯავახიშვილების საგვარეულოს წარმომადგენლებში დასახელებულია ქვეშელი, როგორც პიროვნების აღმნიშვნელი სახელი. ეს კი დადასტურება უნდა იყოს იმისა, რომ ქვეშის ციხისა და ხევის მფლობელი ლიპარიტ ქვეშელი თორელთა საგვარეულოს წარმომადგენელია (182, 50). ჩვენც ვფიქრობთ, რომ ლიპარიტი მართლაც თორელთა საგვარეულოს წარმომადგენელი უნდა იყოს. წარწერის გაკეთების ხანისათვის, XIV ს. დამდეგს, თორელებს, ისევე როგორც თმოგველებს, ჯერ კიდევ არა აქვთ დაკარგული თავიანთი უფლებები ძველ მამულებზე და არ არიან გადასახლებულნი შიდა ქართლში. ამ პერიოდისათვის ხშირად ეს საგვარეულოები ერთმანეთის გვერდით მოიხსენებიან ხოლმე, რაც

* ამ საკითხზე იხ. ჩვენი სტატია — ღრტილას ეკლესიის 1308 წლის სამშენებლო წარწერისათვის (164).

მათ სიახლოვეზე უნდა ლაპარაკობდეს. როგორც დ. ბერძენიშვილი შენიშნავს, წყაროდან კარგად ჩანს, რომ XIV ს. დასაწყისისათვის ჯაყელთა „ყოველი ქვეყნისაგან“ ცალკე არიან თმოგველებიც და თორელებიც (90, 49). მათი გადასახლება შიდა ქართლშიც ერთად მოხდა. ამიტომ ვვარაუდობთ, რომ თმოგველთა და თორელთა შტოების კიდევ უფრო დაახლოებისა და დამოყვრების მიზნით (მათ საერთო მოწინააღმდეგე ჰყავდათ ჯაყელთა საგვარეულოს სახით) თმოგველთა ქალი რუსუდანი შეიძლება მიეთხოვებინათ თორელ ლიპარიტისათვის, რომელიც, ამავე დროს, ქვეშის ციხის პატრონი იყო?

წარწერის შესწავლასთან დაკავშირებით აკად. ნ. ბერძენიშვილმა რამდენიმე საკითხი დასვა:

1. რა ესაქმებოდა წარწერის გაკეთების დროს — 1308 წ. ლიპარიტ ქვეშელის (თრიალეთის ხელისუფლის) ცოლს ღრტილაში, რადგან ღრტილა უფლისწულ ალასტანელთა („მეფეთა“) სამფლობელოში შედიოდა?! (81, 148).

ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ წარწერა 1308 წლით თარიღდება, ამ დროისათვის კი ჯერ კიდევ არ არსებობს არც ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ შტო და, ბუნებრივია, არც მათი სამფლობელოები. ამ შტოს ბაგრატიონთა „მეფობის“ ისტორია 1311 წლიდან იწყება, როგორც აღნიშნული იყო, როცა გარდაიცვალა დავით VIII და მის სამფლობელო მამულებში პირველ ალასტანელ „პროვინციის მეფედ“ მელქისედეკ დავითის ძე მოგვევლინა. 1308 წლისათვის კი სამხრეთის რეგიონებში ფლობდა უპირატესობა აქვს დავით VIII. რადგან ამ პერიოდისათვის აქ ჯერ კიდევ არ არსებობს ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ სამფლობელო, ამიტომ თითქოს მოულოდნელი აღარ უნდა იყოს შესაძლებლობა იმისა, რომ ლიპარიტ ქვეშელის ცოლს ღრტილაში აღმშენებლობა ეწარმოებინა. მაგრამ თავად დავით VIII მფლობელობის ხასიათმა 1302 წლიდან განაპირობა მისი სამფლობელოს გარკვეულ პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბება. ასეთ ვითარებაში თამარის აღმშენებლობითი მოღვაწეობა აქ თითქოს ირიცხება, მაგრამ როგორც XIV ს. დამდეგის შინაპოლიტიკური ისტორიის საკითხების განხილვამ გვიჩვენა, ამის შესაძლებლობა მაინც არსებულა. დავითის სამფლობელოს მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური სხე-



ულის სახე 1302—1304 წწ. უნდა ჰქონოდა — სანამ ვახტანგ III-
 და, საერთოდ, დავითის მოწინააღმდეგე იჯდა აღმ. საქართველოს
 ტახტზე, მანამ მის სამფლობელოს ჯავახეთში „სამეფოს“ მსგავსი
 ერთეულის სახე ექნებოდა. ამიტომ 1302—1304 წწ. რუსუდანს აქ
 აღმშენებლობითი სამუშაოები შეიძლება ვერ ჩაეტარებინა. მაგრამ
 1304 წელს ვახტანგ III გარდაიცვალა, რასაც დავითის მონღოლებ-
 თან გარკვეული შეთანხმება მოჰყვა, რის შედეგად აღმოსავლეთ
 საქართველოს ტახტზე მისი შვილი გიორგი VI მცირე ავიდა. ამ
 ხნიდან, აღმ. საქართველოს ტახტს ჩამოცილდა რა დავითის მოწი-
 ნააღმდეგეთა ბანაკი, უკვე აღარ არსებობს იმის საჭიროება, რომ
 ჯავახეთსა და აღასტანის რეგიონს მკვეთრად გამოცალკევებული
 სამფლობელოს სახე ჰქონოდა. უკვე ასეთ ვითარებაში სავსებით შე-
 საძლებლად გვეჩვენება ლიპარიტ ქვეშელის ცოლს თამარს ჯავა-
 ხეთში აღმშენებლობითი სამუშაოები ეწარმოებინა. იგი ხომ თან
 თორელთა სახლის წარმომადგენლის ლიპარიტის მეუღლე იყო. თო-
 რელები კი ამ რეგიონის ძველი მფლობელები იყვნენ. აქ ისიც
 სავარაუდებელია, რომ დავითი შეიძლება კეთილ ურთიერთობაში
 იყო თავისი შვილის — მეფე გიორგი VI მცირეს ქვეშევრდომ ქვე-
 შის-ციხის პატრონ ლიპარიტთან, ამიტომ მან ნება დართო ქვეშელის
 ცოლს ჯავახეთში ეკლესია აეშენებინა.

ამ საკითხთან დაკავშირებით ყურადღება უნდა მივაქციოთ იმა-
 საც, რომ რუსუდანი თმოგველთა საგვარეულოს წარმომადგენელია;
 XIV ს. დამდეგისათვის კი ისინი ჯერ კიდევ ფლობენ თავიანთ ძველ
 მამულებს. ნ. ბერძენიშვილი თავად ღრტილას წარწერაზე დაყრ-
 დნობით თვლის, რომ XIV ს. დასაწყისში „თმოგვი თმოგველთაგან
 ობლად“ არ არის დარჩენილი. აქედან გამომდინარე, განა შეიძლე-
 ბოდა, რომ თმოგველთა გვარის წარმომადგენელი ჯავახეთში უცხო
 ჩათვლილიყო? ამდენად, გასაგები ხდება, თუ რა ესაქმებოდა ლიპა-
 რიტ ქვეშელის (თრიალეთის ხელისუფლის) ცოლს ღრტილაში.
 რუსუდანს როგორც თმოგველს და თორელის მეუღლეს შეიძლება
 ლიპარიტის ჩაურევლადაც უშუალოდ თავისი სახსრებით ეწარმოე-
 ბინა ეკლესიის მშენებლობა, ამიტომ ლიპარიტი, ბუნებრივია, წარ-
 წერაში აღმშენებლად არ არის აღნიშნული, მოიხსენიება მხოლოდ
 როგორც თამარის მეუღლე. აქედან გამომდინარე, არ არის აუცი-
 ლებელი 1308 წლისათვის ლიპარიტი გარდაცვლილად ჩავთვალოთ.

2. ნ. ბერძენიშვილი წარწერასთან დაკავშირებით აყენებს შემდეგ საკითხს: რადგან ღრტილა ალასტანელთა სამფლობელოში მდებარეობს და ქვეშელის ქალი აქ თავის აღმშენებლობით საქმიანობას ეწევა, ამიტომ „ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ალასტანელთა „სამეფო“ ამ დროს ჯავახეთთან ერთად თრიალეთ-დმანისსაც (საბარათიანო) მოიცავდა. ასეთი დაშვებისას ლიპარიტ ქვეშელი, საფიქრებელია, დმანელ მეფეთა („ალასტანელთა“) უმაღლესი ხელისუფალი, ჯავახეთშიაც არ ყოფილიყო უცხო“ (81, 148). უკვე აღვნიშნეთ, რომ 1308 წლისათვის ჯერ კიდევ ალასტანელთა „სამეფო“ არ არსებობდა, ამიტომაც ამ პერიოდისათვის ღრტილა ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ სამფლობელოში ვერ შევიდოდა. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან ყურადღებას იქცევს ალასტანელთა მფლობელობასთან დაკავშირებით გამოთქმული ნ. ბერძენიშვილისეული დაკვირვება: ალასტანელთა სამფლობელოები ჯავახეთთან ერთად ხომ არ მოიცავდა თრიალეთ-დმანისსაც?! მაშინ ხომ ლიპარიტ ქვეშელისა და მისი მეუღლის მოღვაწეობა ჯავახეთში აღარ იქნებოდა მოულოდნელი. უნდა აღინიშნოს, რომ საუკუნეების მანძილზე არსებობდა ტენდენცია ჯავახეთისა და თრიალეთის ერთმანეთთან დაახლოებისა ან ერთ რეგიონად გადაქცევისა; საუფლისწულო მამულიც, რომელიც XII ს. ბოლოს გადაეცა ლაშა-გიორგის, სწორედ ჯავახეთისა და თრიალეთისაგან შედგებოდა, „კელიანი“ სტელებიც არ სცილდება ამ ტერიტორიას და სხვ. ამდენად, ამ პროვინციების ერთ სამფლობელოში მოქცევა არც XIV საუკუნისათვის იქნებოდა მოულოდნელი, მაგრამ როგორც ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ სამფლობელო ტერიტორიების ლოკალიზაციის საკითხებზე მუშაობამ გვიჩვენა, ამ შტოს ბაგრატიონები, როგორც აღნიშნული იყო, ჯავახეთის გარკვეული რეგიონის გარდა ფლობენ მამულებს ლორეს მხარეში, ისტორიულ სომხეთში, შიდა ქართლშიც, მაგრამ, წყაროთა მონაცემებით, თრიალეთ-დმანისი ჯერჯერობით არც ერთი ალასტანელის სამფლობელოში არ დასტურდება.

3. ნ. ბერძენიშვილის წარწერასთან დაკავშირებულ მსჯელობაში მეღაწენდება მისი დამოკიდებულება XIV ს. დამდეგის დმანისის ისტორიისადმი. იგი დიდ ისტორიკოსს მიაჩნია ისეთ რეგიონად,



რომელიც საესებით აკმაყოფილებდა და შეიძლება გამოყენებულიყო „პროვინციის მეფეთა“ მიერ სამფლობელო ტერიტორიადა. ამის გამოხატულებაა აკად. ნ. ბერძენიშვილის მიერ ნახმარი ტერმინიც — „დმანელი მეფენი“ („ალასტანელნი“). 1311 წლიდან, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დავით VIII გარდაცვალების შემდეგ დმანისში მფლობელობა უნდა ჰქონოდა ვახტანგ III შვილს — დიმიტრის, „პროვინციის მეფეს“, რომელიც ალასტანელთა ბიძაშვილია და იხსენიება პეტრიწონის მონასტრის ღვთისმშობლის ხატის 1311 წლის წარწერაში.

ჰოვჰანავანქის წარწერიდან გამომდინარე, უნდა შევეხოთ ამ პერიოდის ისტორიის კიდევ ერთ საინტერესო მხარეს: ქართველ ბაგრატიონთა მიერ სომხური ტერიტორიების მფლობელობის საკითხს მონღოლობის პერიოდში (XIII ს. ბოლოსა და XIV ს. I ნახევარში).

როგორც ცნობილია, თანამედროვე სომხურ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია თვალსაზრისი, რომ თითქოს ამ პერიოდში სომხეთის დაქვემდებარება საქართველოს სამეფოსადმი ნომინალურ ხასიათს ატარებდა და მას დამოუკიდებელი თვითმმართველობა, სასამართლო და საგადასახადო შეუვალობა ჰქონდა (214; 194; 210). ეს მცდარი კონცეფცია ამოსავალია იმისა, რომ სომეხი ისტორიკოსები ამ ხნის სომხეთის ისტორიას საქართველოსაგან მოწყვეტით განიხილავენ, როგორც რაღაც დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულს. სომხურ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ ამ ტენდენციას სამართლიანად აკრიტიკებენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერები, მაგ., იაპონელი ისტორიკოსი სეიჩი კიტაგავა სტატიაში — „საქართველოში ილხანთა ბატონობა და არწრუნთა ოჯახის აღზევება“, ლ. ბაბაიანის დასახელებულ ნაშრომთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ მკვლევარი სომხეთის ისტორიას უსაფუძვლოდ განიხილავს საქართველოს სამეფოსაგან მოწყვეტით, თვლის რა სომხეთის მთავრებს თავიანთ ტერიტორიაზე დამოუკიდებელ გამგებლებად, მაშინ როდესაც, ს. კიტაგავას აზრით, იმდროინდელი სომხეთი საქართველოს ტერიტორიაში შედიოდა და ქართველ მეფეთა ძალაუფლება ამ მხარეზე ძველებურად ვრცელდებოდა, „რაც მონღოლთა ინტერესებს უბრალოდ კი არ შეესატყვისებოდა, არამედ სანქციონირებულიც იყო მათ მიერ“ (91, 151).

მართლაც, ქართული და უცხოენოვანი წყაროები უდავოდ აღსტურებენ, რომ სომხეთი ამ პერიოდში საქართველოს სამეფოს შემადგენელი ნაწილია. XII ს. მოყოლებული სომხური მოსახლეობა ქართულ სახელმწიფოებრიობას მშობლიურად აღიქვამს და ამ შეგნებამ, როგორც აკად. ს. ჯანაშია აღნიშნავს, საუკუნეებს გაუძლო (200, 47). საქართველოს სამეფო კარი მიმართავს ღონისძიებებს სომეხთა ქალკედონიტობაზე მოსაქცევად, არსდება ქართული სავანეებიც (მაგ., პლნდაჰანქი) და როგორც ალ. აბდალაძე აღნიშნავს, არ არის გამორიცხული სომხურ პროვინციებში ქართული ახალშენების გაჩენა, აგრეთვე ქართველი მოხელეების დამკვიდრებაც სომხეთში (50, 105). აღსანიშნავია, რომ მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, მართალია, საქართველოს ჩამოსცილდა ბაგრე-ვანდი, დვინი, ნახჭევანი, მაგრამ ანისი, კარი და სხვა რეგიონები XIV ს. I ნახ. ისევ საქართველოს ეკუთვნის.

სომხური ანდერძმინაწერებიდან კარგად ჩანს, რომ XIV საუკუნეშიც სომხეთის მცხოვრებნი საქართველოს მეფის ქვეშევრდომებად თვლიან თავს. მაგ., გლადორში 1323 წ. დაწერილი ანდერძით ვხედავთ, თუ როგორ აღიარებენ სივნიეთის „მთავრები“ გიორგი ბრწყინვალეს ხელისუფლებას (50, 20). XIV ს. 30-იანი წლებისათვის სომეხი პოეტი ტერტერი ერევანს საქართველოს ქალაქად თვლის (50, 22—23). თუ რამდენად არის შეჭრილი ქართული სახელმწიფოებრიობა სომხეთში, ჩანს ანისში (1330 წ.) ამოკვეთილი აბუ საიდის ბრძანებიდან, რომლის სპარსულ ტექსტს ერთვის მინაწერი სომხურ და ქართულ ენებზე. აქედან ვხედავთ, რომ ქართულ ენას XIV საუკუნეშიც, მონღოლთა ბატონობის დროსაც, შეუნარჩუნებია ოფიციალური ენის მნიშვნელობა, ჩანს, სომხეთის მნიშვნელოვანი ნაწილი იცნობს ქართულ ენას და ქალკედონიტური მრევლიც ძლიერია. სხვაგვარად ვერ ავხსნით სპარსულენოვანი ბრძანებისათვის სომხეთში ქართული მინაწერის ვაკეთებას (143, 87—88).

უამთაჲლმწერლის მიხედვითაც, შანშე II მხარგრძელი, ისევე როგორც მისი საგვარეულოს დანარჩენი წარმომადგენლები, სხვა ქართველი მთავრების მსგავსად, საქართველოს სამეფოს ერთ-ერთი ფეოდალი და სამეფო კარის ერთ-ერთი მოხელეა. ჩრდილოეთ სომხეთში მისი მფლობელობის შესახებ ცნობებს ერთგვარად ავსებს ჰოვჰანავანქის მონასტრის ზემოაღნიშნული წარწერა. იგი კიდევ

ერთხელ ადასტურებს ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული თვალსაზრისის სისწორეს. როგორც წარწერიდან დასტურდება, მხარგრძელებს ჰოვჰანავანქის მხარეზე რაღაც განსაკუთრებული უფლებები სრულიადაც არ გააჩნიათ. ამ რეგიონის უშუალო (და არა ნომინალურ) პატრონებად ალასტანელი ბაგრატიონები გვევლინებიან. წარწერა ამ მხარეში მხარგრძელთა მფლობელობაზეც მიგვითითებს, მაგრამ არც ამ მფლობელობის ხასიათი და არც მათი დამოკიდებულება საქართველოს მეფეებთან არ აღემატება სხვა რეგიონის მსხვილი ქართველი დიდებულების უფლებებს (როგორც ზემოთ გვაქვს ნაჩვენები, XIV საუკუნის შინაპოლიტიკურ პერიპეტივებში, ქართველ მეფეთა ნება-სურვილის მიხედვით, ისინი ხან კარგავენ, ხან იბრუნებენ თავიანთ მამულებს). ამდენად, ჰოვჰანავანქის წარწერა, გვიჩვენებს რა ალასტანელთა ფაქტობრივ მფლობელობას ჩრდილოეთ სომხეთში, კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ აღნიშნულ პერიოდში ეს მხარე საქართველოს სახელმწიფოს ორგანული, განუყოფელი ნაწილია.

ცალკე საკითხია, როდის შეწყდა ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ შტოს არსებობა და რა არის ამის მიზეზი.

დ. ბერძენიშვილი თვლის, რომ XV საუკუნიდან ჯავახეთს ჯაყელები დაეპატრონენ, ამიტომ ალასტანელ „მეფეთა“ არსებობა ამ პერიოდიდან აღარ არის მოსალოდნელი: „ამ დროიდან (XV ს-დან — დ. ნ.) აღარ იხსენიება ალასტანელი უფლისწულები, ჩანს საუფლისწულო აღარ არსებობს და ჯავახეთი სამცხე-საათაბაგოში შედის. ეს უნდა მომხდარიყო ალექსანდრეს შემდეგ, 1460-იან წლებში, როცა ყვარყვარე მეორემ გიორგი მერვე დაატყვევა“ (88, 120). ასევე ფიქრობს ვ. ცისკარიშვილიც (183, 105). ჩვენი აზრით, ეს უფრო ადრე უნდა მომხდარიყო. 1392 წლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში ვკითხულობთ: „ზვარეთს: სოფელი გოგია, სოფელი ალასტანი, სოფელი ზემო-გომი, გაღმა დიეში, სოფელი ბნელა“ (55, 178). როგორც ვხედავთ, ალასტანი მიმდებარე სოფლებთან ერთად გაერთიანებულია ე. წ. ზვარეთში, რომელიც ისტორიული პროვინციის მიკრორაიონს, ნ. ბერძენიშვილის ტერმინს თუ ვიხმართ, „ისტორიულ-გეოგრაფიულ ქვეყანას“ უნდა წარმოადგენდეს. გუჯარის მიხედვით, ზვარეთი მცხეთის საკათალიკოსო ტახტს ეკუთვნის. აქედან გამომდინარე, ალასტანიც საკათალიკოსო მამუ-



ლებს შემადგენლობაში შედის და, ჩვენი აზრით, პროვინციული სამფლობელოს აქ არსებობა აღარ არის მოსალოდნელი. ე. ი. 1460-იანი წლებიდან, არამედ უკვე XIV საუკუნის 90-იანი წლების წინა პერიოდიდან უნდა ვიგულისხმოთ ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ შტოს დასასრული. მით უმეტეს, წყაროებში დასახელებული უკანასკნელი ალასტანელებიდან, რომელიც ჩვენთვის ცნობილია, ერთი ილუპება 1373 წელს, ზოლო მეორეს მოღვაწეობის ზედა საზღვრად 1382 წ. არის დასახელებული. ჩვენი აზრით, აღნიშნული „პროვინციული სამეფო“ შტოს არსებობის ისტორია XIV ს. 80-იან წლებში უნდა დასრულებულიყო და ამ პერიოდიდან ეს რეგიონი საქათალიკოსო მამულებში შედის ე. წ. ზვარეთის სახით.

კონკრეტულად რას უნდა წარმოადგენდეს ზვარეთი, რომელშიც გაერთიანებულია ალასტანი? გარკვეულად ამ საკითხს ზემოთაც შევეხეთ, აქ უნდა აღინიშნოს შემდეგი:

ზ. ალექსიძე და შ. ბურჯანაძე, როცა აღნიშნული დოკუმენტის მასალებს იყენებენ, ზვარეთზე წერენ, როგორც სოფელზე: „ზვარეთი სოფელი ალექსანდრე მეფემ შესწირა სვეტიცხოველს“ (145, 98). ეს არ უნდა იყოს სწორი. ზვარეთი არა სოფელს, არამედ ისტორიულ პროვინციაში — ჯავახეთში ისტორიულ-გეოგრაფიულ „ქვეყანას“, მიკრორაიონს უნდა წარმოადგენდეს. ასეთი მიკროქვეყნების შესახებ ნ. ბერძენიშვილი წერს: „ესა თუ ის ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყანა“ გარკვეულს დროსა და ვითარებაში ჩნდება, სახეს იცვლის დროსა და ვითარების შესაბამისადვე: იზრდება, მცირდება თუ მოიშლება“ (86, 345). ეს ისტორიულ-გეოგრაფიული „მიკროქვეყნები“ გამოიყოფოდნენ თავიანთი ფიზიკურ-გეოგრაფიული, ადმინისტრაციული თუ მეურნეობრივი ნიშნების საფუძველზე. მათ რიცხვს უნდა ეკუთვნოდეს ზვარეთიც. დიდი ისტორიული პროვინციიდან — ჯავახეთიდან იგი თავისი გეოგრაფიული, ადმინისტრაციული და მეურნეობრივი ნიშნების საფუძველზე უნდა გამოყოფილიყო. როგორც სამართლიანად აღნიშნავს დ. ბერძენიშვილი, ზვარეთი უნდა რქმეოდა ტყეჯავახეთის რაიონის ერთ ნაწილს, რომელიც მცირე ქედებით არის შემორკალული. ამ ბუნებრივი გეოგრაფიული საზღვრებით შემოფარგლულ „ქვეყანაში“ შედიან სოფლები: გოკია, ალასტანი, ზემო-გომი, გაღმა დადემი, ბნელა. ეს სოფლები და მათი მიმდებარე ტერიტორია, ჩაკეტილი მცირე ქედებში,

წარმოადგენდა ე. წ. ზვარეთს. თავად ამ ისტორიულ-გეოგრაფიულ „ქვეყნის“ — ზვარეთის ეტიმოლოგიაც მიგვანიშნებს, რომ ამ რეგიონის გამოყოფასა და ბუნებრივი საზღვრებით შემორკალვას ხელი შეუწყო სხვა რეგიონებისაგან განსხვავებულმა ფიზიკურ-გეოგრაფიულმა პირობებმა. მცირე ქედებით შემოსაზღვრულ ტყეჯავახეთის ნაპიჯეს ერთ ნაწილს, როგორც ჩანს, მზეზე მიფიცებული მდებარეობის გამო უნდა დარქმეოდა ეს სახელი (90, 114). ზვარეთის სახელწოდებაში, დ. ბერძენიშვილის აზრით, ამოსავალი უნდა იყოს „მზვარე“ ან „ზვარე“, რომლის საფუძველზეც არაერთი გეოგრაფიული პუნქტის სახელი იქნა წარმოშობილი. სულხან-საბა ორბელიანთან ვკითხულობთ: „მზვარე ადგილი მზის მდეგი“ (169, 210); ნ. მარის განმარტებით, „მზუარ“ ნიშნავს ადგილს — «залитый лучами солнца, букв. солнечный» (207, LIX). ე. ი. ზვარეთი უნდა ყოფილიყო თბილი ადგილი, მზიანი მიკრორაიონი ჯვახეთისა, რომლის გამოყოფასაც ბუნებრივ ფაქტორთან ერთად, როგორც აღნიშნეთ, ხელი შეუწყო სხვა რაიონებისაგან განსხვავებულმა პოლიტიკურ-ადმინისტრაციულმა და თავისებურმა მეურნეობრივმა ნიშნებმა. თვით ალასტანის ეტიმოლოგიაში „სტან“-ის — „მხარის“, „ქვეყნის“ არსებობა უკვე მიუთითებს მის გარკვეულ გამოცალკევებულობაზე, იზოლირებულობაზე ჯავახეთის სხვა მიკრორეგიონებისაგან. ს. ს. კაკაბაძე საგანგებოდ არ შეჩერებულა ამ მიკროქვეყნის ისტორიაზე, აღნიშნავს მხოლოდ, რომ ზვარეთი — ზუარეთი ქართლშიაო (64, 234). ეს ზვარეთი რომ ქართლში იყოს, მაშინ მასში შემავალი სოფლებიც, ბუნებრივია, ამ ისტორიულ რეგიონში უნდა მდებარეობდნენ. ზვარეთი მოიცავს ხუთ კარგად ცნობილ ისტორიულ სოფელს და ყოველი მათგანი ჯავახეთშია. ამიტომ მოსაზრება, თითქოს ეს ზვარეთი ქართლშია, არ მართლდება.

რა იყო ძირითადი მიზეზი ამ პროვინციული „სამეფო“ შტოს არსებობის შეწყვეტისა? ჩვენი აზრით, ამად უნდა ჩაითვალოს ალასტანელთა სამფლობელო რეგიონებში „პროვინციის მეფეთა“ არსებობისათვის საჭირო პირობების უქონლობა-გაქრობა. ამ საკითხს უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს საქართველოს სამხრეთი საზღვრის ცვალებადობა XIV ს. II ნახევარში. 1373 წელს, გიორგი ალასტანელის დროს, თურქმანთა შემოსევის შედეგად იკარგება ლორე



და მისი მიმდებარე ტერიტორია. 1386/7 წწ. თემურ-ლენგის პირველი შემოსევის შემდეგ ეს რეგიონი კვლავ მტრის ხელშია. როგორც ამ პერიოდის საქართველოს სამხრეთი საზღვრის ცვალებადობის საკითხის შესწავლამ გვიჩვენა, XIV ს. ბოლოსათვის ქართველთა სამეფოს დაკარგული აქვს სომხური პროვინციების მნიშვნელოვანი ნაწილი. ამიტომ ალასტანელი „პროვინციის მეფეები“ ამ რეგიონში მფლობელობას ვეღარ შეძლებდნენ. მაგრამ მთავარი ის არის, რომ მათი არსებობისათვის საჭირო პირობები უკვე აღარც ჯავახეთში, ალასტანელთა უპირველეს სამფლობელოებში აღარ არსებობს. 1392 წ. საბუთიდან გამომდინარე, როგორც აღნიშნული იყო, მათი სამფლობელოები — ჩრდილო ჯავახეთის მამულები ალასტანიტურთ მცხეთის საკათალიკოსო ტახტს ეკუთვნის. ასეთ ვითარებაში ალასტანელებისათვის არც ჯავახეთის სხვა რეგიონებში იარსებებდა პირობები ფეხის მოსაკიდებლად. ყოველივემ, საბოლოოდ, გამოიწვია კიდევ ბაგრატიონთა ამ პროვინციული „სამეფო“ შტოს გაქრობა.

§ 3. XIV ს. დასასრულის აღმოსავლეთ საქართველოს „პროვინციის მფრთხა“ ისტორიისათვის

აკად. ნ. ბერძენიშვილმა 1937 წელს გამოქვეყნებულ თავის ცნობილ სტატიას — „ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში“, დაურთო მეტად საინტერესო ისტორიული დოკუმენტები, რომელთაგან პირველი ოთხი (უფრო სწორად, ეს არის ერთი დოკუმენტი ოთხ ფურცელზე გადაწერილი) წარმოადგენს ზევდგინიძის მიერ დარბაზისადმი წარდგენილი საჩივრის დედნის შავ პირს (80, 32). მათ ემატება საბუთი, რომელიც, მისი აღმომჩენლის თ. ენუქიძის აზრით, ზევდგინიძეთა საბუთების დადგენილ რიგში № 3 და № 4 დოკუმენტს შორის უნდა მოვათავსოთ (95, 147). საჩივარი, როგორც ირკვევა, ბაგრატ VI გარდაცვალების (+ 1478) შემდეგ არის დაწერილი, კერძოდ, კონსტანტინე II მეფობაში. საბუთის ამ ოთხ ფურცელს აგრძელებს კიდევ ორი დოკუმენტი, რომელიც ზევდგინიძის მოხსენების დასასრულს უნდა წარმოადგენდეს (80, 33).

ავთანდილ ან გურამ ზევდგინიძის საჩივარი თავისი ძმისწული-სადმი, ამირინდო ამილახორის შვილის ზაალისადმი, შეიცავს მეტად



საინტერესო ცნობებს „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის ინსტიტუტის შესასწავლად.

№ 1 საბუთში დასახელებული პირველი მეფე არის გიორგი ბრწყინვალე: „ოდეს გიორგი მეფე ოვსეთით მოვიდა სხუილოსი ამოწყუდილინი დახუდეს“ (80, 39). შემდეგ კი ამავე საბუთში ლაპარაკია სხვა მეფე გიორგიზე: „გამოცდა დიდი ხანი და გაილაშქრა გიორგი მეფემან თათართა“. იქ ზევდგინიძეთა 29 კაცი მომკვდარა, ერთი კი თათრებს ტყვედ ჩაუგდიათ. მეფის მარცხის შემდეგ „ათაბაგსა აღბუღას თათარნი მოუცდეს“, ბრძოლაში ათაბაგს ტყვედ აუყვანია „თავადი თათარი“ და ზევდგინიძე „იმითა“ დაუხსნია რის შემდეგაც განთავისუფლებული დაბრუნებულა „იმავე მკუიდრსა მამულზედა“. თათრებთან დამარცხების შემდეგ მეფე გიორგი ათაბაგ „აღბუღას შეეხუეწნა“ და მას შეაფარა თავი (80, 39). ამის შემდეგ ამ საბუთში აღწერილია ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად ცნობილი შეთქმულების ისტორია გიორგი მეფის წინააღმდეგ, როცა ღამით გიორგის მაგივრად საგებელში ზევდგინიძე ჩაწვა, რამაც მეფე სიკვდილს გადაარჩინა. ერთგულებისათვის ზევდგინიძემ მიიღო ნასისხლად „ახალციხე სამოცი კუამლი“ კაცით და „მღუიმე მისითა შესავალითა სასაფლაოდ“ (80, 40). ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს შეთქმულება XV ს. შუა ხანებით თარიღდებოდა, წყაროში აღნიშნული მეფე გიორგი VIII იყო გაიგივებული, ხოლო ზევდგინიძე — ამ პერიოდში მოღვაწე იოთამთან (36, 286—287; 57, 284—285; 127, 106—107; 191, 84—86). მაგრამ თავად ზევდგინიძის საჩივრიდან კარგად ჩანს, რომ მომჩივანი ამ ამბავს უფრო ადრეული პერიოდის ფაქტად მიიჩნევს. ნ. ბერძენიშვილი წყაროზე დაყრდნობით აღნიშნავს კიდევ, რომ ზევდგინიძეთა მიერ ახალციხისა და მღვიმის ნასისხლად მიღება XIV ს. 70—80-იან წლებში ხდება (80, 5). ე. ი. შეთქმულებასაც ამ დროს უნდა ჰქონოდა ადგილი. საჩივრის შინაარსის მიხედვით აღდგენილი ზევდგინიძეთა წინაპართა სიით დგინდება, რომ მეფისადმი ერთგულება გამოუჩენია თავა ზევდგინიძეს, ხოლო მისი შვილები ავთანდილი და ჯანიბეგი ალექსანდრე I დიდის (1412—1442) უფროსი თანამედროვენი არიან. ნ. ბერძენიშვილის გამოკვლევით, პირველი ზემოაღნიშნული დოკუმენტის მომდევნო საბუთებში ასახულია XV ს. ვითარება და ეხება კონსტანტინე I, ალექსანდრე I დიდისა და ვახტანგ IV მეფობის



ხანას. ამ დროს სხვილოსი ზევდგინიძიანთ „მკუიდრი მამულია“ და იგი კონსტანტინე I ან ალექსანდრე დიდისაგან კი არ არის მიღებული, არამედ უკვე საკმაო ხანია მათი სამკვიდროა. ამიტომ სხვილოსის შემცველი ამბავი XV საუკუნეზე უწინდელი უნდა იყოს, შიო-მღვიმისა და ახალციხის ნასისხლად მიღებაც ამ საუკუნეზე ადრეულ ხანაზე მოდის. აქედან გამომდინარე, გიორგი მეფის წინააღმდეგ შეთქმულებაც XIV საუკუნის ამბავია, ხოლო საბუთის „დიდი აღბულა“ XIV ს. სჯულმდებელი დიდი აღბულა ათაბაგია (80, 8, 40—41).

ბ. ლომინაძე შეთქმულების ფაქტს უკავშირებს XIV ს. II ნახ. მეფე გიორგის, რომელმაც ზევდგინიძეებს „ნასისხლად მისცა“ შიომღვიმე და რომლის მეპატრონენიც ისინი XIX ს. I ათეულ წლებამდე იყვნენ (135, 31—32). ეს მოსაზრებაა გატარებული მის მიერ „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ (137, 739). მ. ქიქოძეც შეთქმულებას გიორგი VII (1393—1407) სახელთან აკავშირებს (178, 99).

ვფიქრობთ, ქვემოთ ჩამოთვლილი რამდენიმე არგუმენტი ამაგრებს ზემოაღნიშნულ მოსაზრებას:

1. № 1 საბუთი იწყება გიორგი ბრწყინვალეს ამბებით, ამიტომ არარეალურად გვეჩვენება იმავე დოკუმენტში მომჩივანი XIV ს. I ნახ. ვითარებიდან გადასულიყო XV ს. 60-იან წლებზე — გიორგი VIII მეფობაზე, რომლის წინააღმდეგაც თითქოს მოეწყო შეთქმულება, მით უმეტეს, რომ მომხსენებლის მიზანი იყო გადმოეცა დარბაზის წევრებისათვის ზევდგინიძეთა მამულის გაბმული ისტორია „სსუილოსის“ მზითვად მიღებიდან XV ს. 80-იან წლებამდე.

2. № 2 საბუთში ლაპარაკია კონსტანტინე I, ალექსანდრე I და ვახტანგ IV მეფობის ხანაზე. იგი ვაგრძელება № 1 საბუთში აღწერილი XIV ს. ვითარებისა, ამიტომ № 1 დოკუმენტში არ შეიძლება იყოს ლაპარაკი ამ მეფეების შემდგომ მოღვაწე გიორგი VIII შესახებ. იგი კონსტანტინეს, ალექსანდრესა და ვახტანგის მეფობის წინარე პერიოდის მეფე უნდა იყოს.

3. როგორც ნ. ბერძენიშვილს აქვს აღნიშნული, XV ს. მეფეების — კონსტანტინეს, ალექსანდრესა და ვახტანგის დროს ზევდგინიძეებს უკვე მკვიდრი მამული აქვთ და მათ მიერ ახალციხისა და მღვიმის ნასისხლად მიღება XIV ს. უნდა ხდებოდეს. ამას კი ადგი-



ლი აქვს № 1 საბუთში დასახელებული XIV ს. II ნახ. მოღვაწე მეფე გიორგის დროს. ეს რომ ასეა, ჩანს სხვა საბუთებიდანაც, მაგ., XV ს. შუახანებში მოღვაწე კარგად ცნობილი თაყა ზევდგინიძის სიგელით (171, 72), რომელსაც თ. ჟორდანიას 1433 წ. ახლო ხანებით ათარიღებს, ირკვევა, რომ ამ პერიოდისათვის შიომღვიმე ზევდგინიძეთა მამულია და მათი წინაპარნი — „მამანი“ იქ არიან დასაფლავებულნი. ბუნებრივია, ამ რეგიონის ზევდგინიძეთა სამკვიდრო მამულად ქცევა წინა პერიოდში, კერძოდ, XIV ს. II ნახ. სავარაუდებელი.

4. გიორგი VIII (1446—1466) ლაპარაკი მხოლოდ № 3 საბუთიდან იწყება, როცა მთავრდება საუბარი კონსტანტინე I, ალექსანდრე I და ვახტანგ IV მეფობის ხანაზე. ამიტომ № 1 საბუთის მეფე გიორგისა და გიორგი VIII გაიგივება არ უნდა იყოს სწორი.

5. № 3 და № 4 საბუთები ეხება გიორგი VIII მეფობის პერიოდის ამბებს და იქ არაფერი არის ნათქვამი მის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების შესახებ.

6. № 1 საბუთს, რომელშიც გიორგი მეფეა დასახელებული, თან ერთვის ზევდგინიძეთა წინაპართა სია, საიდანაც ჩანს, რომ ისინი უფრო ადრეული პერიოდის მოღვაწენი არიან, ვიდრე ეს გიორგი VIII მეფობის ხანაა. ამ სიაში დასახელებული ზევდგინიძეები № 1 საბუთის გიორგი მეფის მოღვაწეობის ეპოქაში ცხოვრობენ. ამდენად, გიორგის მეფობა XIV ს. ბოლოსა და XV ს. დამდეგზე გვიან არ არის მოსალოდნელი.

7. № 1 საბუთში დასახელებულია აღბულა ათაბაგი, რომლის თანამედროვეა მეფე გიორგიც. № 2 საბუთში კი ათაბაგი უკვე ივანეა (1391—1444). ამიტომ № 1 დოკუმენტში ლაპარაკი უნდა იყოს XIV ს. მეორე ნახევრის სჯულმდებელ დიდ ათაბაგ აღბულაზე, რომლის შერეც მოღვაწეობს ივანე ათაბაგი. რადგან აღბულა XIV ს. მოღვაწეა და მისი თანამედროვეა შეთქმულების პერიოდის მეფე გიორგიც, ამიტომ ამ მეფის გაიგივება XV ს. მეფე გიორგი VIII არ იქნება სწორი. ე. ი. შეთქმულებასაც XIV ს. II ნახევარში ჰქონია ადგილი. ამდენად, № 1 საბუთში აღნიშნული გიორგი მეფე უნდა იყოს ბაგრატ V დიდის ძე გიორგი VII (1393—1407).

შეიძლება თუ არა დაახლოებით მაინც დადგინდეს, თუ როგორ ვითარებაში და რა პერიოდში მოხდა ეს შეთქმულება.



თემურ-ლენგის შემოსევის შედეგად, 1386 წ. ნოემბერში, დატყვევებულ იქნა მეფე ბაგრატ V და დედოფალი ანა. სახელმწიფო საქმეებს უმეფოდ დარჩენილ სამეფოში განაგებს ბაგრატის შვილი გიორგი, რომელსაც, იოანე ბატონიშვილის ცნობით, ბაგრატის ტყვეობის პერიოდში თვითონ ქართველი დიდებულები ურჩევდნენ, „რათა ეკურთხოს გიორგი მეფედ“. მაგრამ იგი არ ღებულობს ამ წინადადებას, რადგან „მამამ ჩემი (გიორგი, — დ. ნ.) არს ცოცხალი და ჯელთა შინა თემურისათა, რათა არა რაიმე მიზეზთა ჩემითა ევნოს მას რაიმე, და მე მხოლოდ ნაიბობის სახითა ვმართავდე ქვეყანასა ჩვენსა“ (175, 80). ე. ი. ქვეყანას მართავს ბაგრატის შვილი გიორგი, რომელიც საქართველოს მეფედ ჯერ არ არის კურთხეული. ამას ადგილი ჰქონდა მხოლოდ 1393 წელს, ბაგრატ V დიდის გარდაცვალების შემდეგ. თუ რა იგულისხმება „ნაიბობის სახით“ ქვეყნის მართვაში, ვფიქრობთ, ქვემოთ განხილულმა ვითარებამ უნდა გვიასუსხოს.

როგორც ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოცემული № 1 საბუთიდან ვიცით, გიორგი აქ მეფის ტიტულით არის მოხსენიებული და რეალური ძალაუფლებაც აქვს. ბაგრატის მეფობაზე კი არაფერია მინიშნებული, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მეფე ბაგრატი ამ დროს სამეფო ტახტზე არ იმყოფება, სახელმწიფო საქმეებს კი მისი შვილი გიორგი განაგებს. ამას 1386 წ. ბაგრატ V დატყვევების შემდეგ ჰქონდა ადგილი. აქ განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ გიორგი მეფე აღბულა ათაბაგის თანამედროვეა, შეთქმულებასაც დოკუმენტით ამ აღბულას ათაბაგობის პერიოდში აქვს ადგილი, იგი კი ათაბაგია 1391 წლამდე. ამდენად, შეთქმულება უნდა მომხდარიყო პერიოდში ბაგრატ V დატყვევებიდან (1386 წ.) აღბულას ათაბაგობის ბოლომდე (1391 წ.) ანუ 1386—1391 წლებში. როგორც ვხედავთ, № 1 საბუთში გიორგის მოღვაწეობის იმ პერიოდზეა საუბარი, როცა ის ჯერ კიდევ არ არის კურთხეული საქართველოს მეფედ. დოკუმენტში კი მეფის ტიტულით მოიხსენიება; თან მის წინააღმდეგ შეთქმულებაც ეწყობა. შეთქმულებს გადაუწყვეტიათ: „მეფე ჯელთა შევიპყრათ და ქართლი ჩუენ დაგურჩებისო“. გიორგი VII, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ 1393 წელს ეკურთხა მეფედ, მაგრამ, როგორც ამ საბუთიდან ვხედავთ, იგი ადრეც მოღვაწეობს მეფის ტიტულით და, რაც მთავარია, რეალური



ძალაუფლებაც აქვს — ეს შეთქმულთა სიტყვებიდან კარგად ჩანს, ზემოაღნიშნული ვითარება, ბუნებრივია, ახსნას საჭიროებს.

ვფიქრობთ, რომ აქ XIV ს. წარმოშობილ „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტთან უნდა გვქონდეს საქმე. როგორც აღნიშნული იყო, XIV—XV სს. ე. წ. „პროვინციის მეფეების“ წარმოშობისა და არსებობისათვის რამდენიმე გზა არსებობდა. რომელ ვითარებას უნდა ჰქონდეს ადგილი გიორგი VII შემთხვევაში?

უურადლებას იქცევს ის გარემოება, რომ გიორგი VII, ჯერ კიდევ ბაგრატ V დიდის მეფობაში, თემურ-ლენგის შემოსევებამდეც აქვს ფლობა და „მეფის“ ტიტულითაც მოღვაწეობს: ა) 1393 წ. მურვან ღარიბაძეს ძის მიერ ვაჰანის მონასტრისათვის მიცემულ მამულის შეწირულების წიგნში ბაგრატ მეფის ძე გიორგი მეფის ტიტულით მოიხსენიება (171, 45). ბ) 1393 წ. 5 ივლისის საბუთით გიორგი მეფე ვარძიის ღვთისმშობლის ეკლესიას უმტკიცებს მამულებს (57, 200). აქ ინდიქტიონით მისი გამეფება 1369 წ. გამოდის. გ) 1377 წ. გუგუნა მაცაშვილისათვის მიცემული წყალობის წიგნით გიორგი 1358 წელს გამეფებულა (აქ, ცხადია, ინდიქტიონი არასწორადაა აღნიშნული) (4, 57; 190; 54, 100—101). „ქართლის ცხოვრება“ 1393 წლამდე გიორგის მეფის ტიტულით მოიხსენიებს: „მაშინ სცნა რა საქმე ესე მეფემან ბაგრატ მწუხარე იქმნა ფრიად, და ეძიებდა ღონესა რასამე საქმისასა, რამეთუ ვერ ძალ-ედგა წინააღმდეგობა მისი. ხოლო შევიდა ციხესა ტფილისისა. მაშინ გიორგი მეფე წარვიდა და მივიდა სამწევრისს. და ოდეს ესმა მოსვლა ტფილისს თემურისა, მაშინ აღიყარა მეფე გიორგი ლიხთ-იმერეთით“ (32, 449).

ზემოაღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე, დ. კაპანაძე XIV ს. ქართულ მონეტებზე საუბრისას აღნიშნავს, რომ ბაგრატ V თავის ძეს გიორგის ტახტს უთმობს 1386 ან 1387 წლებში (124, 143). თ. ჟორდანიას აზრით, გიორგი მამის მეფობის პერიოდში მეფის ტიტულით განაგებდა საქართველოს ცალკეულ ნაწილებს — კახეთს 1377 წლამდე, შემდეგ იმერეთს 1384—1395 წწ. (57, 190). ჯ. ოდიშელი კი ამ ვითარებას ბაგრატისა და გიორგის თანამოსაყდრეობით ხსნის (167, 79).

ვითვალისწინებთ რა XIV ს. მეორე ნახევარში საქართველოში შექმნილ ვითარებას და ამ პერიოდის „პროვინციის მეფეთა“ ინსტი-



ტუტის ისტორიის საერთო სურათს, ვფიქრობთ, რომ გიორგის მამის მეფობაში ფლობა ჰქონდა „მეფის“ ტიტულით, იყო „პროვინციის მეფე“ და განაგებდა მეფე-მამის მიერ მიწებებულ საქართველოს გარკვეულ რეგიონს. ეს „პროვინციის მეფის“ წარმოშობის სწორედ ის შემთხვევაა, როცა მეფე თვითონ აძლევს სამეფო ოჯახის წევრს ქვეყნის რომელიმე რეგიონს, ის კი თავის საუწყებო ქვეყანაში „მეფის“ ტიტულით იწყებს გამგებლობას. ასე უნდა ყოფილიყო გარკვეულ პერიოდამდე. თემურ-ლენგის მიერ ბაგრატ V დატყვევების შემდეგ უმეფოდ დარჩენილი ქვეყნის მართვას, ბუნებრივია, იგი ჰკიდებს ხელს. წყაროები ამ პერიოდში გიორგის მეფის ტიტულით მოიხსენიებენ, მიუხედავად იმისა, რომ მისი ოფიციალური კურთხევა სამეფო ტახტზე 1393 წელს ხდება.

„პროვინციის მეფობის“ პერიოდში „მეფის“ ტიტულით მოღვაწეობას და გარკვეულ მფლობელობას თავისი გავლენა უნდა მოეხდინა ბაგრატ V დიდის დატყვევების შემდეგ ჯერ კიდევ არაგვირგინოსანი გიორგის მეფედ მოხსენიებისა და ძალაუფლების ხელში აღების საქმეში. ე. ი. გვაქვს ორი სხვადასხვა პერიოდი: ერთი, როცა გიორგი „პროვინციის მეფეა“, კერძოდ, 1386 წლამდე და, მეორე, როცა ბაგრატი დაპატიმრებულია თემურ-ლენგის მიერ და იგი უმეფო ქვეყანას, როგორც იოანე ბატონიშვილი ამბობს, „ნაიბობის სახით“ მართავს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოქვეყნებულ № 1 საბუთში მოხსენიებული მეფე გიორგი არის ბაგრატ V დიდის ძე — გიორგი VII. დოკუმენტში ლაპარაკია მისი მოღვაწეობის იმ პერიოდზე, როცა 1386 წ. ნოემბერში თემურ-ლენგმა დააპატიმრა ბაგრატ V და სახელმწიფო საქმეთა მართვას ხელი გიორგიმ მოჰკიდა. რადგან № 1 საბუთში აღწერილია პერიოდი, როცა ათაბაგი აღბულაა და მის გვერდით მოღვაწეობს გიორგიც, ამიტომ ეს ხანა 1386—1391 წწ. იფარგლება. ამ წლებში უნდა ჰქონოდა ადგილი შეთქმულებასაც მის წინააღმდეგ. მართალია, დატყვევებული იყო კანონიერი მეფე და სამეფოში გიორგის „მეფის“ ტიტულით მოღვაწეობდა, მაგრამ სინამდვილეში იგი „ჯერეთ არ იყო კურთხეული მეფედ“. ამიტომ, როგორც ჩანს, მას მთლად უმტკივნეულოდ ვერ გაუტრძელებია მამის ტახტის მართვა, რადგან დიდებულთა ერთი ნაწილი ამხედრებულა კიდევ



მის წინააღმდეგ და განუზრახავთ „მეფე კელთა შევიპყრათ და ქართლს
თლი ჩუენ დაგურჩების“-ო.

XIV ს. II ნახ. დათარიღებულ საბუთებში ყურადღებას იქცევს მეფე ალექსანდრეს მოხსენიება, რომელიც ამ პერიოდის ბაგრატიონთა გენეალოგიისათვის უცნობია. მას, როგორც ირკვევა, არაფერი აქვს საერთო XIV ს. II ნახ. ლიხთ-იქითის „მეფე“ ალექსანდრესთან.

ჩვენამდე მოაღწია ალექსანდრე მეფის სიგელმა მცხეთისა და კათალიკოს ბასილისადმი, რომლითაც მეფე კათალიკოსს უმტკიცებს სვეტიცხოვლის ყმების სარდლობას (10; 57; 188; 54, 190—191; 133, 138). თ. ჟორდანიას ფიქრობდა, რომ ეს ალექსანდრე შეიძლება იყოს ბაგრატი ერისთავის ძე იმერთა მეფე (1387—1389 წწ.), რომელიც იმერეთში ბაგრატი V დიდმა დასვა და იქ იწოდა „მეფედ“. თუმცა თავადვე აღნიშნავს, რომ შინაარსობრივად ეს სიგელი უფრო ქართლის მეფეს უნდა ეკუთვნოდეს. თ. ჟორდანიას ხაზს უსვამს, რომ იმერეთი დამოკიდებული ჩანს ქართლზე და მცხეთის კათალიკოსს იმერეთშიც ჰყავს ყმები, ამიტომ სიგელი XIV ს. უნდა ეკუთვნოდეს (57, 188).

ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ 1362 წ. მეფე ალექსანდრე ცნობილი არ არის, ამიტომ ქორონიკონი შეიძლება შეცდომით იყოს მოყვანილი, სიგელი კი უნდა ეკუთვნოდეს ალექსანდრე I დიდს — მცხეთის განმაახლებელს (46, 244—245). თუმცა ე. თაყაიშვილი იმასაც უსვამდა ხაზს, რომ იმერეთში ამ დროს ცნობილი იყო მეფის ტიტულით მოღვაწე ალექსანდრე, რომელიც 1389 წ. გარდაიცვალა.

ჯ. ოდიშელის აზრით, საბუთის დამწერს სიტყვა „ქორონიკონის“ ბოლო ასო „ს“, რომელიც მეორე სტრიქონის დასაწყისში გადაუტანია, 200-ის რიცხვით აღმნიშვნელად ჩაუთვლია და განმეორებით აღარ დაუწერია. გამოდის, რომ თითქოს ქორონიკონი არის „მი“, როცა უნდა იყოს „სმი“. ჯ. ოდიშელი სიგელს ალექსანდრე II კახთა მეფეს (1574—1605) აკუთვნებს, რადგან, მისი აზრით, ხელრთვა და სიგელში აღწერილი პოლიტიკური ვითარება უფრო ალექსანდრე II კახთა მეფის ხანას შეესაბამება (167, 102).

ივ. ჯავახიშვილი საქართველოს ეკლესიის უპირატესობათა სიმტკიცის წიგნებიდან ხაზს უსვამდა ალექსანდრე მეფის ამ ზემო-



აღნიშნულ წიგნს. მისი აზრით, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, სიგელი სრულიად საქართველოს მეფის მიერ უნდა იყოს ბოძებული, რადგან მისი განკარგულების ასპარეზი იმიერ-ამიერ საქართველოს მოიცავს. თითქოს ამიტომ საბუთი ალექსანდრე I დიდის მიერ უნდა იყოს გაცემული, მაგრამ თავადვე დიდი მეცნიერი აღნიშნავს არსებულ წინააღმდეგობას — სიგელს ზუსტი თარიღი უნის — 1362 წ., ალექსანდრე დიდი კი მხოლოდ 1412 წელს გამეფდა, ამასთან, ალექსანდრე I თავის საბუთებში სხვაგვარად იწოდება და დათარიღების წესიც მათში სხვა არის (192, 68). ისიც ანგარიშგასაწევია, რომ ალექსანდრეს საბუთებში კათალიკოსი ბასილი არ გვხვდება, სიგელს კი მეფე სწორედ მას უბოძებს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ამ მეფე ალექსანდრეს გაიგივება ალექსანდრე I დიდთან არ უნდა იყოს სწორი.

აქ კლიმიაშვილის აზრით, ქორონიკონი „მი“ ანუ 1362 წ. შეცდომით არის მოყვანილი, რადგან ამ დროს არც ალექსანდრე მეფე და არც ბასილი კათალიკოსი ცნობილნი არ არიან. მისი ვარაუდით, აქ უნდა იგულისხმებოდეს ალექსანდრე გიორგის ძე (1476—1511), ან ალექსანდრე ლევანის ძე (1574—1605); საბუთში საბარათიანოს მოხსენიებაც XV საუკუნეზე ადრეულ თარიღს გამორიცხავს (133, 138).

ინტერესს იწვევს ის გარემოება, რომ ეს სიგელი ბოძების შემდეგ არც ერთი მეფისათვის არ წარუდგენიათ, ამიტომ მასზე არა გვაქვს სხვა მეფეთა დამამტკიცებელი ხელრთვები. სიგელს გვიან ამტკიცებს ერეკლე II, კერძოდ, XVIII ს. 60-იან წლებში. ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით, „ეს მეტად დამაფიქრებელი და გასაოცარი გარემოებაა, თუ გაეხსენებთ, რამდენად დიდმნიშვნელოვანია ეს სიგელი კათალიკოსისადმი მინიჭებული უფლებების მხრით“ (192, 68).

ჯ. ოდიშელის აზრით, ამ სიგელის (Hd-1721) ხელრთვისა და სხვა ატრიბუტიკის შედარება ალექსანდრე II კახთა მეფის სიგელებთან ადასტურებს, რომ იგი მას უნდა ეკუთვნოდეს (167, 102). მართლაც, ამ სიგელისა და ალექსანდრე II კახთა მეფის წიგნების ხელრთვები, სიტყვა-გამოთქმები, გაფორმება და სხვა ატრიბუტიკა ერთმანეთს ჰგავს (2; 15). მაგრამ როგორ უნდა აეხსნათ ის მომენტი,

რომ ეს სიგელი, ჯ. ოდიშელის მიხედვით, 1562 წ. თარიღდება, ალექსანდრე კი 1574 წ. გამეფდა?! მკვლევრის აზრით, ალექსანდრე ეკლესიის წარწერის თარიღი (აქ ალექსანდრეს გამეფება 1570—1573 წწ. მერყეობს) და სხვა საბუთებშიც არეული ინდიკტიონები უნდა მიგვანიშნებდნენ, რომ ალექსანდრე თავისი მამის — ლევანის მეფობის პერიოდში სამეფო ტახტისათვის იბრძვის, მეფობას ეჭიდება, ამ ტიტულს ისაკუთრებს და რეალური ძალაც გააჩნია, ან ტახტისათვის ბრძოლაში გამარჯვებული ალექსანდრე (მემკვიდრეობის წესით, მოკლული უფროსი ძმის გიორგის შემდეგ მეფობა მომდევნო იესეს ეკუთვნოდა) განზრახ მიმართავს საბუთების თარიღთა ფალსიფიცირებას (167, 103).

ჩვენი აზრიც თითქოს ამ სიგელის კახთა მეფისათვის მიკუთვნებისაკენ იხრება, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს საკითხი მაინც საჭიროებს შემდეგ კვლევას. აღნიშნულ წყალობის წიგნს ქრონიკონი „მი“ ზუსტად უზის, თუ ჯ. ოდიშელის დათარიღებას გავიზიარებთ, მაშინ დამატებითი არგუმენტები გვჭირდება 1562 წ. ალექსანდრეს კახეთში მეფობის დასამტკიცებლად (როგორც აღვნიშნეთ, მიღებული ქრონოლოგიით იგი 1574 წ. გამეფდა). XV ს. 60-იან წლებში არ იცნობს რა ბაგრატიონთა გენეალოგია მეფე ალექსანდრეს, ს. კაკაბაძე ამ სიგელს სიმონ დიდს აკუთვნებს (122, 118). ისიც გასათვალისწინებელია, რომ სიგელი ბოძებულია კათალიკოსი ბასილისათვის, ასეთი სახელის მატარებელი ეკლესიის საკეთილშობილი კი ამ დროს ცნობილი არ არის. ჩვენი მხრიდან ისიც გვინდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს მეფის გიორგი VIII ძე ალექსანდრე I კახთა მეფის სიგელების ხელრთვები და სხვა ატრიბუტიკა გარკვეულ მსგავსებას იჩენენ ამ სიგელისადმი; ალექსანდრე II კახთა მეფეს ნაკლებად შეეძლო მიეცა კათალიკოსისათვის სარდლობის უფლება საკათალიკოსო ყმებზე, რომლებიც იჯდნენ როგორც კახეთში, ისე ქართლში, საათაბაგოში, სომხით თუ საბარათიანოში და მით უმეტეს, იმერეთში. ალექსანდრე I კახთა მეფე (1476—1511) კი საქართველოს მეფის შვილია, ამიტომ მის მოქმედებაში ყოველთვის იქნებოდა ლტოლვა თავისი უფლებების არსებობის ჩვენებისა იმ ტერიტორიაზე, სადაც მისი მამა კანონიერი პატრონი იყო. ალექსანდრე ხომ ყოველთვის ხაზს უსვამს თავის მამისშვილობას. მაგ., ჯ. ოდიშელი აღნიშნავს, რომ მოაღწია ამ ალექსანდრეს მცხე-

თისადმი ბოძებულმა სიგელებმა, სადაც კარგად ჩანს ტენდენცია კახთა მეფისა აჩვენოს თავისი უფლებები საქართველოს რელიგიური ცენტრისა და ქართლის კათალიკოს-პატრიარქის მიმართ (167, 98). ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ კათალიკოსი ბასილი მოლვაწეობს XVI ს. I ნახევარში, ალექსანდრე I კახთა მეფის ხელმწიფობის ახლო პერიოდში. ამდენად, არსებობს გარკვეული არგუმენტები ამ სიგელის გიორგი VIII ძის — ალექსანდრე I კახთა მეფისადმი მიკუთვნებისათვისაც.

საბოლოოდ, მაინც უნდა დავუბრუნდეთ იმ მომენტს, რომ აღნიშნული სიგელი ზუსტად თარიღდება 1362 წლით. საინტერესოდ გვეჩვენება ის ფაქტი, რომ ბერი ეგნატაშვილი XIV ს. II ნახევარში აღნიშნავს ვინმე ალექსანდრეს მეფობას. აღნიშნული წყაროთი, იგი მეფედ დაჯდა „ქრისტეს აქათ ჩტნიბ“, რაც უდრის 1362 წელს. ისიც ხაზგასმულია, რომ ამ ალექსანდრეს დროს, ბერი ეგნატაშვილის მიხედვით, კათალიკოსად არის ბასილი, ისე როგორც ეს 1362 წ. სიგელშია. „და იმეფა კეთილად ამან ალექსანდრე მშვდობით და ხანსა რაოდენსამე უკან მოკულა“ (34, 339).

ასევე დავას იწვევს ამ პერიოდის ალექსანდრესათვის მაღალაძეთა სიგელის მიკუთვნება. ჩვენამდე მოაღწია 1391 წლით დათარიღებულმა სიგელმა გიორგი მეფის ძის — ალექსანდრე მეფისა მაღალაძეთადმი, სადაც მეფე ივანეასძეთა საქადაგო სახლის კავთისხევურ მამულებს აძლევს მცხეთისშვილს მახარებელს და მის შვილებს (5; 57, 192—193).

ეს ალექსანდრე ვერ იქნება XIV ს. II ნახ. მოლვაწე იმერთა მეფე, სიგელის მონაცემები ამის საშუალებას არ იძლევა, თან ლიხთ-იქითის „მეფე“ ალექსანდრე 1389 წ. გარდაიცვალა, საბუთი კი 1391 წლით თარიღდება. მისი გაიგივება არც ალექსანდრე I დიდთან იქნება მართებული, რადგან სიგელის ალექსანდრე გიორგი მეფის ძედ არის დასახელებული, ალექსანდრე I კი, როგორც ცნობილია, კონსტანტინე I შვილი იყო. რაც მთავარია, ალექსანდრე I 1389/91 წწ. დაიბადა, ამიტომ, ბუნებრივია, ზემოაღნიშნულ სიგელს ვერ გამოსცემდა; მით უმეტეს, არ შეიძლება ჰყოლოდა ორი ძე — გიორგი და დიმიტრი, როგორც ეს მახარებელისადმი ბოძებულ დოკუმენტშია აღნიშნული.



ჯ. ოდიშელის აზრით, თ. ჟორდანიამ გადაშლილი ქორთონიკონი შეეცდომით „ოთ“-დ ამოიკითხა და ამიტომ საბუთი 1391 წლით დაათარიღა. მკვლევარი თვლის, რომ ეს უნდა იყოს ალექსანდრე I კახთა მეფე (1476—1511), რადგან საბუთში ხაზგასმულია, რომ იგი არის მეფეთ-მეფის გიორგის ძე; ამ გიორგის კი გიორგი VIII თვლის (167, 99).

ჩვენამდე მოაღწია ამ სიგელის ორიგინალმა და პირმა (8); ორიგინალში ქორთონიკონი დაზიანებულია, შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ უნდა ეწეროს „ოთ“, ამიტომაც თ. ჟორდანიამ მას 1391 წ. ათარიღებს. სიგელის პირში კი ქორთონიკონი „ოთ“ გარკვევით იკითხება. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ თარიღის დასამტკიცებლად დამატებითი არგუმენტების არსებობაა საჭირო, რადგან არაერთი მონაცემი უჭერს მხარს აღნიშნული სიგელის ალექსანდრე I კახთა მეფისადმი მიკუთვნებას (როგორც ფიქრობს ჯ. ოდიშელი). პალეოგრაფიულადაც საბუთი ამ პერიოდს განეკუთვნება. 1470 წ. სიგელი (9), რომელიც ასევე მახარებელ მაღალაძისადმი კათალიკოსისაგან წყალობას ეხება, იგივე ხელით არის შესრულებული; ამ წყალობის წიგნის ხელრთვაც და ბეჭედიც ასევე ალექსანდრე I კახთა მეფეს ეკუთვნის. რაც მთავარია, ირკვევა, რომ მახარებელი მაღალაძე თავისი შვილებით მართლაც XV ს. II ნახ. მოღვაწეობს. ამ მომენტის წარმოსაჩენად საჭიროა მოკლედ განვიხილოთ „ივანიასძისეული მამულის“ ისტორია.

1392 წ. საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში ივანიასძეთა მამული დასახელებული არ არის. 1447 წ. სითარხნის გუჯართი გიორგი VIII საკათალიკოსო მამულების გარკვეულ ნაწილს უმტკიცებს მცხეთის ტახტს, მათ შორის „კავთისწყევს ვაგელისშვილი მისითა მამულითა ივანიასძეთურითა“ (55, 191). ე. ი. ამ წლიდან ივანიასძეთა მამული მცხეთის საკათალიკოსოს კუთვნილება ხდება. აქედან გამომდინარე, ქადაგ ივანიასძეთა მფლობელობა წინა პერიოდში არის სავარაუდებელი — ამიტომაც არ უნდა იყოს ეს მამული დასახელებული 1392 წ. საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში. გამოდის, რომ ირიცხება შესაძლებლობა 1391 წ. „ივანიასძეთა ნაქონების“ ქადაგ მახარებელ მაღალაძისათვის გადაცემის შესახებაც. რაც მთავარია, თავად მახარებელ მაღალაძის (მაღალაშვილის) მოღვაწეობა დასტურდება XV ს. II ნახევარში, კერძოდ,



1470 წ. წინა პერიოდის წყალობის წიგნით დავით კათალიკოსის
 ოქროპირ მაღალაშვილისადმი (55, 216—217).

ჩვენამდე მოაღწია ამ შემთხვევაში განსაკუთრებით საინტერესო
 წყალობის წიგნმა დავით კათალიკოსისა თავად მახარებელ მაღალა-
 ძისადმი, რომელიც 1470 წ. თარიღდება (9; 55, 214—215). ამ სიგე-
 ლით ირკვევა, რომ 1470 წელს „რაცა ივანისძეთა და დიმიტრის
 მამული“ იყო, გადავიდა მახარებელ მაღალაძის ხელში. სწორედ ამ
 მახარებლისადმი უნდა იყოს ბოძებული ზემოაღნიშნული 1391 წ.
 დათარიღებული ალექსანდრე მეფის სიგელი. სხვა არგუმენტებთან
 ერთად, მოვლენების თანამიმდევრობითაც გამოდის, რომ ეს უნდა
 იყოს ვიორგი VIII-ძე — ალექსანდრე I კახთა მეფე, რომელმაც
 რადგან ივანისძეთა საქადაგო სახლი „უხმარი ქმნილიყო“, ამ სახ-
 ლის კავთისხვევური მამულები მახარებელ მაღალაძეს დაუმტკიცა.
 ალექსანდრე იმასაც უსვამს ხაზს, რომ ეს ამბავი „მამა ჩვენსო და
 ჩვენს გვარს გადაუწყვეტია“. აღნიშნული სიგელი ზუსტად იმ ხე-
 ლით არის ნაწერი, როგორითაც 1470 წ. წყალობის წიგნი დავით
 კათალიკოსისა მახარებელ მაღალაძისადმი. ესეც, ვფიქრობთ, კარგი
 არგუმენტია, რომ ეს სიგელი ალექსანდრე I კახთა მეფეს მივაკუთ-
 ვნოთ.

XIV ს. II ნახევარში ალექსანდრეს „მეფობას“ კი უდავოდ
 უნდა ადასტურებდეს ქართლ-კახეთ-მესხეთის მამულების სითარხნის
 გუჯარი, რომელიც 1392 წ. თარიღდება. ჩვენამდე მოაღწია ამ სიგე-
 ლის პირების საკმაოდ დიდმა რაოდენობამ, ძირითადად გვიან, გან-
 საკუთრებით კი XIX ს. შექმნილებმა, რომლებიც გადმოწერილია
 არა სიგელის ორიგინალიდან, არამედ XV—XVI სს. განახლებული
 პირებიდან.

აღნიშნული სიგელის ერთ-ერთ საინტერესო პირს, რომელსაც
 უნდა დავეყრდნოთ, წარმოადგენს დაკარგული ორიგინალიდან გად-
 მოწერილი ნუსხა (იგი 1848 წ. თბილისში გადაუწერია მ. კოლუ-
 ბანსკის), რომელიც ინახება მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთ-
 მცოდნეობის ინსტიტუტის სანქტ-პეტერბურგის განყოფილებაში (29).
 მასში აღნიშნულია ქორონიკონი „80“, მეფობის მესამე წელი (მეფის
 სახელი მოხსენიებული არ არის), დოკუმენტის დამწერად წინა-
 მძღვარი იოსები. მეორე ნუსხა აღნიშნული სიგელისა ასევე გადა-
 წერილია ორიგინალიდან ს. კაკაბაძის მიერ 1911 წელს (24). აქაც



ქორონიკონი უდრის „80“-ს და მეფობის მესამე წელია აღნიშნული. ე. ი. ორივე შემთხვევაში სიგელი 1392 წლით თარიღდება. ს. კაკაბაძის მიერ გადმოღებულ-გადმოწერილი სიგელი, მისი სიტყვებით, დამტკიცებული იყო XVI ს. ბოლოს, დოკუმენტის ბოლოს მიწერილი ყოფილა: „სიმონი, ნესტან-დარეჯანი“, ბეჭედი ლეგენდით გიორგი (რომელიც სიმონ დიდის ძეა, მომავალი გიორგი X). მესამე ნუსხა ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (12), იგი დათარიღებულია 1398 წლით (ქორონიკონი „პვ“). ი. დოლიძე გუჯარის ამ პირს ადარებს თ. ჟორდანიასეულ გამოცემას და აქვეყნებს „ქართული სამართლის ძეგლებში“ (55, 176—181). ნუსხა XIX ს. ჩანს გადაწერილი.

თ. ჟორდანიას მიერ გამოცემულ ნუსხის ქორონიკონია „პ“, ე. ი. 1392 წელი. მას იგივე შინაარსი აქვს, რაც 1398 წ. დათარიღებულ ნუსხას, მაგრამ სხვა რედაქციას წარმოადგენს, ვიდრე ზემოაღნიშნული პირველი და მეორე პირები. თ. ჟორდანიას გამოცემაში სიგელის ბოლო ნაწილი გამოტოვებულია. მისი სიტყვებით, ეს არის სინოდალური კანტორის გუჯრებში არსებული სიგელი, რომელიც გამოცემულია 1392 წელს ალექსანდრე მეფის მიერ და წარმოადგენს XV ს. პირს ძველი გუჯრისა. ცნობილი მკვლევარი მიუთითებს ამ გუჯრის XVI ს. ნუსხაზეც, რომელიც ეკუთვნის სიმონ მეფის დროს, როცა დაუმტკიცებიათ ეს პირი (57, 195).

სიმონ I დიდის დროს, მის მიერ მოხდა ძველი მამულების განახლება მცხეთის საკათალიკოსოსათვის — 1559 წ. გაცემული ეს სიგელი წარმოადგენს 1392 წ. გუჯარის დამტკიცებას, ოღონდ პოლიტიკური ვითარების შესაბამისად, შეტანილია გარკვეული ცვლილებები. სიმონმა ის მამულები განუახლა მცხეთას, რომელზედაც ქართლის სამეფო ტახტს ხელი მიუწვდებოდა. ამის პარალელურად იგივე ვააკეთა ალექსანდრე კახთა მეფემ — ის ყმა-მამულთა შეწირულობანი დაამტკიცა, რომელზედაც მას რეალური ბატონობა ჰქონდა (15). 1559 წ. სიგელი დაიწერა ქვათახევის წინამძღვრის ფილიპე ბარათაშვილის „ველითა“. ამ დოკუმენტს სხვა ხელით აქვს მინაწერი: „როდესაც ეს გუჯარი დავსწერეთ, მაშინ არც ჯინჭვლიძის მამული ჰქონდათ, არც ჭარებელისძისა, არცა ცალყურიძისა და არცა ტინძელი. თუ ღმერთმან ქნას და ასეთი ყამი დაგურჩეს, რომ მათი მამული დაგურჩეს, საყდარს არ დაუჭიროთ; თუ არადა



ფიცის გამტეხად ნუ დაგვიდებთ“ (122, 121; 55, 268). ეს მინაწერი საინტერესოა მცხეთის ტახტისათვის განსაახლებელი მამულებისა და, საერთოდ, პოლიტიკური ვითარების დასახასიათებლად. ამ მინაწერს თან მოსდევს ხელრთვა: „აღექსანდრე ვამტკიცებ ბრძანებითა ღმრთისათა“ და ორი ბეჭედი: „მონა ღთისა აღექსანდრე“, „გიორგი“. გიორგი უნდა იყოს სიმონ დიდის ძე — უფლისწული გიორგი, ხოლო აღექსანდრე კი სიმონ მეფის ძმა, რომელიც საკმაოდ აქტიური პოლიტიკური ფიგურა და ძმის გვერდით ერთგულად მებრძოლი ბაგრატიონი ჩანს*.

საქ. ცსსა ფონდებში ვხვდებით 1392 წ. გუჯარის სხვადასხვა პირებსა თუ აღწერილობებსაც. 1398 წ. დათარიღებული გუჯარის აღწერილობას ვხვდებით ფონდში 1451, გუჯრების აღწერილობის დავთარი № 1, საბუთი 59 და საბუთი 348. იმავე ფონდის № 506 საბუთიც ერთ-ერთ ასეთ პირს წარმოადგენს, რომელიც ისევ 1398 წ. თარიღდება — მას თან ახლავს ხელმოწერა რუსულად: სიმონა ცარ. ეს უნდა იყოს აღწერილობა სიგელის იმ ნუსხისა, რომელიც 1559 წ. იქნა დამტკიცებული სიმონ მეფის მიერ და დაწერილია ფილიპე ბარათაშვილის მიერ. მსგავს აღწერილობას ვნახულობთ საქ. ცსსა ფ. 1449 № 1312 საბუთში — გუჯარი კვლავ 1398 წ. არის დათარიღებული. ამდენად, ეს აღწერილობები მხარს უჭერენ ჩვენთვის საინტერესო სითარხნის გუჯარის XIV ს. 90-იანი წლებისადმი მიკუთვნებას.

ჩვენამდე მოაღწია ამ გუჯარის ისეთმა პირმა, რომელიც დათარიღებულია 1397 წ. და დაწერილია კარგად ცნობილი კალიგრაფის კლემი კაკლაჩასძის მიერ. იგი ინახება საქ. ცსსა ფ. № 1449, № 1642, ქართული ისტორიული დოკუმენტების პირთა კოლექციაში. იგი

* იხ. ჩვენი სტატია — შინაპოლიტიკური და დინასტიური ბრძოლის ისტორიისათვის XVI ს. საქართველოში (ლუარსაბ I ქართლის მეფის ძე აღექსანდრე) (153, 37—45).



1392 წ. სიგელის განსხვავებულ რედაქციას წარმოადგენს. ნუსხაში ვკითხულობთ: „...ესე წიგნი და პირი გკადრეთ და მოგახსენეთ ჩუენ თქუენ მიერ ცვაფარვა სკიპტრა გვირგვინ პორფირ მოვლინებულმან მეფემან ალექსანდრე და დედამან ჩვენმან დედოფალმან ნესტან-დარეჯანმან და ძემან ჩუენმან გიორგიმ ესე ვითარნი პირნი და წიგნი მოგვიხსენებიან და შემოგვიწირავს თქუენ სვეტის ცხოვლისა და მირონის წმიდისა და კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისათვის და მას შინა მკვიდრი ელიას ხალენისათვის მონასტერი და საყდარი მეტეხი...“. შემდეგ განსხვავებული რედაქციით ჩამოთვლაა მამულებისა, რომლებიც განუახლებიათ მცხეთისათვის. „დაიწერა ინდიქტიონსა ჩვენსა იე, ქკს პე, კელითა კლიმი კაკლახაძისათა. მონა ღთისა მეფე ალექსანდრე გამტკიცებ. ნამდვილისა თანა სწორე არს პროტოიერეი დიმიტრი ალექსიევი“. ამ ნუსხით საბოლოოდ მტკიცდება, რომ აღნიშნული გუჯარის გამომცემელი არ არის ალექსანდრე I დიდი: 1397 წელი ვერ იქნებოდა ალექსანდრე დიდის მეფობის 15 ინდიქტიონი. ამავე დროს, ალექსანდრეს დედად დასახელებულია ნესტან-დარეჯანი, მაშინ როცა კარგად ვიცით, რომ იგი შვილია კონსტანტინე I და ნათია დედოფლისა; შვილადაც მხოლოდ გიორგი იხსენიება, მისი უპირველესი ძეები კი ვახტანგი და დიმიტრი არიან, ამიტომ მის სიგელებში პირველად ისინი არიან აღნიშნული. მსგავსი რედაქციით 1397 წ. დათარიღებული ნუსხის აღწერილობა დაცულია საქ. ცსსა სხვა ფონდშიც 1451, გუჯრების აღწერილობის დავთარი № 1, საბუთი № 21; იმავე ფონდში გუჯრების აღწერილობის დავთარი № 4, საბუთი № 1, ასევე დავთარი № 5, საბუთი № 5. 1397 წ. დათარიღებული ალექსანდრე მეფის სიგელზე მივკითხულობთ დ. ფურცელაძეც (65, 102).


1392 წ. მცხეთის მამულების სითარხნის გუჯართან დაკავშირებით საურმაგ კაკაბაძე აღნიშნავს: «Несмотря на указанные противоречия, детальное сравнение разновременных списков даёт основание утверждать, что в датированных поздним

временем грамотах основной слой более ранний и первоначальный» (64, 108).

როგორც ჩანს, 1392 წ. გუჯარში შემდეგ პერიოდში, პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, შეჰქონდათ მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო ცვლილებები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, პირველდაწყებითი ტექსტი არსებითად შეცვლილი არ ჩანს. დამატებები ხდებოდა არა მარტო ახალი მამულების ბოძების შემთხვევაში, არამედ ამა თუ იმ კონკრეტული წყალობისა თუ საზღვრების დაკონკრეტების დროსაც. ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის დაშლის შემდეგ, სავსებით ბუნებრივია, რომ შინაპოლიტიკური აშლილობის გამო, გარკვეული მამულები სადავო ხდება, ამიტომ აუცილებლობამ მოითხოვა მათი ერთი ნაწილის ზუსტი ლოკალიზაცია. ის მიწები, რომლებიც სადავო არ იყო, მექანიკურად გადაიწერებოდა 1392 წ. სითარხნის გუჯარის მაგვარ დოკუმენტებში.

ის მომენტი, რომ 1392 წ. სითარხნის გუჯარის მამულების შემდგომ პერიოდში განახლება ხდება, გარკვეული ნაწილის კი მომდევნო მეფეების მიერ დაკონკრეტება და ლოკალიზაცია მიმდინარეობს, ვფიქრობთ, მხარს უნდა უჭერდეს ამ დოკუმენტის სწორედ XIV ს. II ნახევრით დათარიღებას. ეს არგუმენტი საურმაგ კაკაბაძემ წარმატებით განაწერა, ამიტომ ჩვენ მასზე აღარ შევჩერდებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XIX ს. მომხდარა ამ სითარხნის გუჯარის ნუსხების არაერთი აღწერა — იგი გაკეთებულია სხვადასხვა წელს და სხვადასხვა პირის მიერ, მაგრამ ყველა მათგანი ერთხმად სითარხნის გუჯარს XIV ს. II ნახ. ათარიღებს და ალექსანდრე მეფეს აკუთვნებს. სიგელის ნამდვილობას კი ისიც უჭერს მხარს, რომ იგი დაწერილია კარის მწიგნობარის იოსების მიერ, რომელიც მართლაც მოღვაწეობს XIV ს. ბოლოს და გვევლინება სხვა სიგელების შემქმნელადაც (57, 204).

თ. ჟორდანიას ალექსანდრე ლიხთ-იქითის „მეფეს“ თვლის ამ სიგელის მამტიციებლად (57, 195). ალექსანდრეს გარდაცვალების თარიღია 1389 წელი, ე. ი. 1392 წ. გუჯარს იგი ვერ დაამტიციებდა. ამიტომ თ. ჟორდანიას ფიქრობს, რომ ალექსანდრე „მეფე“ 1389 წ. შემდეგაც ცოცხალია და 1392 წ. მეორედ გამეფდა, როცა მეგრელთ მოუკლავთ მისი ძმა — ლიხთ-იქითის „მეფე“ გიორგი. ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული სითარხნის გუჯარი არ იძლევა იმის



საშუალებას, რომ ეს ალექსანდრე ლიხთ-იქითის „მეფედ“^{ჩვეთვით} ლოთ, მით უმეტეს, იმერთა „მეფე“ 1392 წ. გარდაცვლილი^{ჩვენს} ამიტომ ვვარაუდობთ, რომ ხომ არ შეიძლება იგი ამ პერიოდში მოღვაწე „პროვინციის მეფე“ ალექსანდრე იყოს?!

1408 წ. სასისხლო სიგელს კონსტანტინე I მეფისა გენათის მელვინეთუხუცეს ნავროზ ცირლილაძისადმი ახლავს ხელრთვა: „ქ. კოსტანტინე ვამტკიცებ ნებითა ღმრთისათა“, მას მოსდევს მეორე ხელრთვა: „ქ. მეფეთა მეფე ალექსანდრე მოწამე ვარ“ (48, 435). 1408 წ. კონსტანტინე I მიერ ნავროზ ცირლილაძისადმი მამულების დამტკიცების „მოწამე“ არ შეიძლება ყოფილიყო ალექსანდრე I დიდი, რომელიც მხოლოდ 1412 წ. გამეფდა, ამიტომ ვვარაუდობთ, რომ ამ ფაქტის დამსწრე „მეფეთ მეფე“ ალექსანდრე შეიძლება იყოს XIV ს. ბოლოსა და XV ს. დამდეგს ფლობამიცემული ალექსანდრე „პროვინციის მეფე“ (ალსანიშნავია, რომ ივ. ჯავახიშვილი ისტორიული სინამდვილის დასადგენად სასისხლო სიგელეზიდან სწორედ ამ დოკუმენტს უცხადებს ნდობას).

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ალექსანდრე მეფის 1392 წ. სასისხლო სიგელი გორგაძეთადმი, რომელიც ასე იწყება: „ქ. სახელითა ღმრთისათა ჩუენ მეფეთა მეფემან ალექსანდრემან და ძეთა ჩუენთა ვახტანგ...“ (3; 57, 193). თ. ჟორდანიამ ამ საბუთს აკუთვნებს ზემოაღნიშნულ იმერთა „მეფე“ ალექსანდრეს, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, იგი 1392 წლისათვის უკვე გარდაცვლილია. ქორონიკონი ზუსტად იკითხება — „80“. აქაც ვვარაუდობთ, ხომ არ შეიძლება ამ ალექსანდრეს გაიგივება XIV ს. II ნახ. მოღვაწე ალექსანდრე „პროვინციის მეფესთან“?!

XIV ს. II ნახ. ალექსანდრე „პროვინციის მეფის“ მოღვაწეობის შესასწავლად განსაკუთრებით საინტერესოა კარგად ცნობილი ისტორიული პირას—ქუცნა ამირეჯიბის სიგელი ულუმბას მონასტრისადმი. სიგელის ორიგინალი დაკარგულია, ერთადერთი პირი ინახება მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სანქტ-პეტერბურგის განყოფილებაში—P 18/130, II. 38a-39. ეს სიგელი ოდნავი შემოკლებით გამოსცა თ. ჟორდანიამ (57, 207—213). ჩვენამდე მოღწეული სიგელის ტექსტი დაცულია მ. ბროსეს რვეულში, რომელსაც იგი აწარმოებდა ქართულ ხელნაწერებზე მუშაობის დროს, სინოდალურ კანტორაში, თბილისში, 1847 წ. ოქტომბერში. მ. ბრო-

სემ, ისევე როგორც თ. ჟორდანიამ, ეს სიგელი გადმოწერა ქართული დოკუმენტების პირების წიგნიდან. ეს პირი, თავის მხრივ, გადმოწერილი მოღებული ყოფილა ორიგინალიდან (57, 207; 64, 128).

სიგელის შემადგენლობაზე პირველად თ. ჟორდანიას შეჩერდა. მან იგი რამდენიმე, კერძოდ, 8 ნაწილად დაჰყო. საურმაგ კაკაბაძე თავის ვარიანტს გვთავაზობს, მაგრამ იქვე აღნიშნავს: «Но поскольку для уверенной реконструкции текста нет данных, в издании последовательность оставлена без изменений» (64, 130).

ჩვენ ხელთა გვაქვს დღემდე მოღწეული ამ ერთადერთი პირის ფოტო; მასზე მუშაობამ დაგვარწმუნა, რომ როგორც არ უნდა გადავადგილოთ სიგელის სხვადასხვა ნაწილები, იმ მომენტებზე, რაზეც ქვევით ვილაპარაკებთ, იგი გავლენას ვერ მოახდენს. ისიც აღსანიშნავია, რომ სიგელის ეს ნაწილები თითქოს სავსებით ლოგიკურად ებმიან ერთმანეთს, ამიტომ იგი შეკრული, გამართული ქართული იურიდიული დოკუმენტის შთაბეჭდილებას ტოვებს. ვფიქრობთ, აღნიშნული სიგელი არ უნდა აღძრავდეს მისი სხვადასხვა ნაწილების ერთმანეთისაგან დაშორებისა და გადაადგილების აუცილებლობის საკითხს. მასში ვკითხულობთ: „და განვაჩინენ აღაპნი ცხრა დღე თვთ ჩემთვის, ექვსი დღე ძისა რამინისთვის, ოთხი დღე მეუღლისა ჩემისა რუსასთვის, ორი დღე რძლისა ჩვენისა ანასათვს, ორი დღე მამისა ჩემისა ცუარისაათვს, ერთი დღე ბიძისა ჩემისა რამინისათვს, ორი დღე პაპის ჩემის ქურციკისათვს, სამი დღე მეფის ალექსანდრესათვს, ორი დღე მეფის კონსტანტინესათვს, ერთი დღე დედოფლის ნათიასათვს, ორი დღე გიორგი მეფისა, ერთი დღე რუსუდან-მეფისა, ერთი დღე ქურციკის მეუღლისა“ (30; 57, 209). საბუთის სხვა ადგილას აგრეთვე აღნიშნულია: „როდეს ფავანდიშვილის საქმეზედა მეფეთ მეფემა ალექსანდრემა შეხუთა ალი, ორნი ძმანი პაპის ჩემისა დაიჭირეს და ტყავები დაჰჯადეს და ბზით დატენეს ალინჯას. აიღეს (ალი) მისად სანუქფოდ. კიდევ შეგვწყალნა ჩუჴნ და ჩუჴნგან აშენებული ალი ისრევე გვბოძა“ (57, 209—210). ბუნებრივია, იბადება კითხვა, თუ ვინ უნდა იყოს ეს „მეფე ალექსანდრე“.

1. შეიძლება გვეფიქრა, რომ ამ სიგელში დასახელებული მეფე არის ალექსანდრე I დიდი და თუ საბუთში აღწერილი მოვლენები

მისი მეფობის (1412—1442 წწ.) პერიოდი არ არის, შეიძლება ბატონიშვილობის ხანა მაინც იყოს. მაგ., საურმაგ კაკაბაძე, რომელიც წინებს რა ამ გარემოებას, თვლის, რომ ალექსანდრე I დიდი უფრო ადრე იქნა კურთხეული მეფედ, ვერ კიდევ მამის სიცოცხლეში (64, 130). მაგრამ სიგელი თავისი შინაარსით XIV—XV სს. მიჯნით ან XV ს. I ათეულით თარიღდება, მასში გადმოცემული მოვლენები უფრო ადრეული ჩანს, ამიტომ ალექსანდრე I დიდი, რომელიც 1389/90 წწ. დაიბადა, ვერ იქნება ამირეჯიბთა სიგელის მეფე ალექსანდრე, რადგან ულუმბას მონასტრისადმი ბოძებულ ამ დოკუმენტში გადმოცემულ მოვლენებს მის მეფობაზე ადრე აქვს ადგილი.

2. ქუცნა ამირეჯიბი გარდაცვლილი ჩანს XV ს. I ათეულში, ყოველ შემთხვევაში, ალექსანდრე I დიდის გამეფებამდე. საურმაგ კაკაბაძე მას 1410 წელზე ადრე თვლის გარდაცვლილად (64, 128—129). ამირეჯიბთა (გაბელიძეთა) სიგელში მოხსენიებული ალექსანდრე კი ქუცნას თანამედროვეა. რადგან ქუცნა და მისი ცოლი რუსა გარდაცვლილნი ჩანან ალექსანდრე I დიდის გამეფების დროისათვის, სიგელში კი ქუცნა თავად აღწერს ალექსანდრე მეფის მოღვაწეობას, ამიტომს გამოდის, რომ მას მხედველობაში სხვა ალექსანდრე მეფე ჰყავს.

3. ქუცნა ამირეჯიბი სიგელში გადმოგვცემს თავისი საგვარეულოს წარსულ ისტორიას: ფალავანდიშვილის საქმეზე ალექსანდრე მეფემ „შეხუთა“ ალი, ქუცნას პაპის ორი ძმა დაიჭირა და „ტყავები დაჰკადა“, შემდეგ შეიწყნარა და მათ ალი დაუბრუნა. ამ დროს, როცა ეს ამბები ხდება, ალექსანდრე I დაბადებულიც არ არის. ლაპარაკია ქუცნას პაპის მოღვაწეობის ხანაზე, 1389/90 წწ. დაბადებული ალექსანდრე I დიდი კი, რომელიც მაშინ გამეფდა, როცა თავად ქუცნა გარდაცვლილი იყო, ვერ იქნებოდა მეფედ ქუცნას პაპის სიცოცხლის პერიოდში. ბუნებრივია, ვერც ალის „შეხუთვას“ შეძლებდა. ეს შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ მისი მეფობის წლებში (1412—1442), მაგრამ ქუცნას მიერ აღწერილი ამბები ამ პერიოდზე საკმაოდ ადრე ხდება. ამიტომ აქ სხვა ალექსანდრესთან უნდა გვექონდეს საქმე.

4. საურმაგ კაკაბაძეს დაშვებული აქვს შეუსაბამობა: თუ ფალავანდიშვილის „საქმეზედა“ ქუცნას პაპის ძმებს „ტყავები დაჰ-



კადეს“ და ამას XIV ს. I ნახ. ჰქონდა ადგილი, მაშინ ამ „საქმის“ მთავარი ფიგურა — მეფე ალექსანდრე როგორღა იქნებოდა ალექსანდრე I დიდი?! ასევეა აღის ქუცნასათვის გადაცემის XIV ს. 70-იანი წლებით დათარიღების შემთხვევაშიც — ამ დროს ხომ ალექსანდრე I დაბადებულიც არ იყო.

5. თ. ჟორდანიამ ყურადღება მიაქცია, რომ დროში არ არის თანხედრობა, ამიტომ სიგელში დასახელებული მეფე არ შეიძლება ალექსანდრე I დიდი იყოს. თან იმასაც უსვამს ხაზს, რომ ალექსანდრე I დიდი ასე სასტიკად ვერ მოექცეოდა ქუცნას ნათესაებს, რადგან იგი ქუცნას შვილიშვილი იყო. თ. ჟორდანიამვე ხაზი გაუსვა სიგელში აღნიშნულ მეტად საინტერესო ისტორიულ ფაქტს — ქუცნა ამირეჯიბის სამკვრ ელჩობას შორეულ კონსტანტინოპოლში და სამართლიანად შეუძლებლად მიიჩნია ამ ელჩობების შესაძლებლობა ალექსანდრე I დიდის მეფობის ხანაში (57, 210—212). თ. ჟორდანიას თვლის, რომ ეს არის იმერთა „მეფე“ ალექსანდრე. ამიტომ, მისი აზრით, ქუცნა ამირეჯიბის სიგელი შუქს ჰფენს იმერთ მეფეთა ბრძოლის ისტორიას ქართლის მეფეებთან, ეტყობა ფალავანდიშვილები — ამირეჯიბები ეწინააღმდეგებოდნენ იმერთის „მეფე“ ალექსანდრეს, რომელმაც ისარგებლა ბაგრატ V და გიორგი VII მოუცლევლობით თემურ-ლენგთან ბრძოლების გამო და ქართლის ნაწილი დაიპყრო (57, 210). მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეს ალექსანდრე „მეფე“ 1389 წ. კვდება, ამიტომ ამირეჯიბთა სიგელში იგი მეფედ დასახელებული ვერ იქნებოდა. რჩება მხოლოდ XIV ს. II ნახ. მოღვაწე „ტახტის-იქითა“ ბაგრატიონი, „პროვინციის მეფე“ ალექსანდრე.

6. ქუცნა რომ სიგელში ალექსანდრე I დიდზე არ ლაპარაკობს, კარგად ჩანს თავად საბუთის ერთი ადგილიდან, სადაც იგი მხოლოდ მის, ალექსანდრეს დაბადებას აღნიშნავს: „მესამედ რომე მოველ (ქუცნა, — დ. ნ.) კონსტანტინოპოლით, კახეთით დედოფალი ნათია ვით უბედო ქმნილ იყო და შეეწყალა პატიოსანსა ულუმბისა ღთისმშობელსა და მიეცა ძე“ (57, 212). ეს არის საბუთის ბოლო ნაწილი და ხაზგასმულია ალექსანდრე I დიდის დაბადება; სიგელის წინა ადგილების ალექსანდრე კი უკვე კარგა ხანია გამეფებულია. ამიტომ სიგელში ლაპარაკი უნდა იყოს ორ სხვადასხვა ალექსანდრეზე: პირველზე, რომელიც უკვე „მეფობს“ და მოღვაწეობს

ქუცნას შაპის დროსაც, და მეორე ალექსანდრეზე, რომელიც მხოლოდ ახლახან, მისი კონსტანტინოპოლში მესამე ელჩობიდან დაბრუნებისას დაიბადა 1389/90 წწ. თვალნათლივია, რომ ქუცნა ანსხვავებს მათ და ორ სხვადასხვა პიროვნებად მიიჩნევს. თუ პირველი მეფის ტიტულით მოიხსენიება, მეორე ახალშობილი ალექსანდრე (მომავალი ალექსანდრე I დიდი) ბუნებრივია, ამ ტიტულს არ ატარებს. ამირეჯიბთა (გაბელიძეთა) სიგელი, როგორც აღვნიშნეთ, რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. თ. ჟორდანიას ნუმერაციით № 6 ნაწილამდე ქუცნა მოგვითხრობს გაბელიძეთა საგვარეულოს ახლო წარსულზე, ხოლო № 6 ნაწილიდან გადმოგვცემს მათ თანამედროვე ისტორიას: „მოიწია ჟამსა ცხოვრებისა ჩემისა“, — აღნიშნავს ქუცნა ამირეჯიბი (57, 211). იმ ნაწილში, სადაც გაბელიძეთა წარსულის ისტორიაა მოთხრობილი, ლაპარაკია პირველ ალექსანდრეზე, ხოლო ალექსანდრე I დიდის დაბადება კი სიგელის იმ ნაწილშია აღნიშნული, სადაც ქუცნას მიერ საგვარეულოს თანამედროვე ისტორიაა აღწერილი. უდავოა, რომ აქ ორი სხვადასხვა ალექსანდრეზე უნდა იყოს ლაპარაკი. ჩვენი აზრით, რადგან ამ დროს ალექსანდრე I დიდი ჯერ მეფე არ არის, ამიტომ სიგელში აღნიშნული ქუცნას მიერ აღაპის განწესება უნდა ხდებოდეს ალექსანდრე „პროვინციის მეფისადმი“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ XIV ს. II ნახ. საქართველოში სხვა „ტახტს-იქითა“ მეფეების გვერდით უნდა არსებულებოდა კიდევ ერთი „პროვინციის მეფე“ — ალექსანდრე. ალბათ, იმასაც უნდა გაეწიოს ანგარიში, რომ ამ დროს „ქართლის ცხოვრება“, კერძოდ, ბერი ეგნატაშვილი აღნიშნავს მეფე ალექსანდრეს (ამაზე ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი) მოღვაწეობას, რომლის თანამედროვეცაა ბასილ კათალიკოსი (34, 339).

თ ა ზ ი III

ლიხთ-იქითის „მეფეთა“ ისტორია XIV საუკუნეში

„პროვინციის მეფეების“ ინსტიტუტის დახასიათებისას ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა: „პრინციპულად ამავე კატეგორიისაა ლიხთ-იქითის „მეფეთა“ საკითხიც“ (82, 135). მართლაც, არსებულმა ქვეყნის ორად გაყოფის ტენდენციამ და ყველა იმ მიზეზმა თუ მოვლენამ, რამაც გამოიწვია საქართველოს დაშლა და დამოუკიდებელი სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბება, ნიადაგი მოუმზადა ორი ტახტის ჩამოყალიბებასაც.

რამდენიმესაუკუნოვანი ისტორიის მქონე ერთიანი, ცენტრალიზებული, ძლიერი სახელმწიფოს არსებობის შედეგად ჩამოყალიბდა მტკიცე შეხედულება ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერის ერთიანობის შესახებ, ამიტომ ეს იყო ძლიერი ბარიერი, რომლის მოშლაც ადვილად ვერ მოხდებოდა. მაგრამ საშინაო და საგარეო ფაქტორთა გადაჯაჭვამ, რეალურმა პოლიტიკურმა სინამდვილემ ქვეყანა ორ ცალკეულ ერთეულად აქცია, რასაც მოჰყვა ლიხთ-იქითის ანუ ე. წ. „ქუთაისის ტახტის“ ჩამოყალიბება. ამის საპირისპიროდ არსებობს ტენდენცია მისი ლიკვიდაციისა და იმერ-ამერის გაერთიანებისა საქართველოს მეფის მიერ. როცა საქართველოს მეფე ახერხებს „ქუთაისის ტახტის“ ლიკვიდაციას და ლიხთ-იქითის შემოერთებას, „ძეთაგანი ნარინ დავითისაგან“ არსებობის გამო, სახელმწიფოში წარმოიქმნება და მწვავდება „ბატონიშვილობის“ საკითხი, ტახტს ჩამოცილებული ლიხთ-იმერის ბაგრატიონები იჩემებენ „მეფობას“ და ლიხთ-იქითის „მეფეებად“ გვევლინებიან. ნ. ურბნელი ამ საკითხთან დაკავშირებით ასეთ შენიშვნას აკეთებს: „რაკი მეფის შთამომავალისა იყვნენ, იმერეთის მთავრები ასე ად-



ვილად იმიტომ აღიოდნენ მეფის ტახტზე (იგულისხმება ლიხთ-იქითის ტახტი, — დ. ნ.), უფლება გვაქვსო“ (177, 368).

დასავლეთის ჩამოშორების ტენდენცია ცენტრისაგან არ წარმოშობილა XIV ან XV საუკუნეში. მას თავისი მნიშვნელოვანი წანამძღვრები ჰქონდა.

თავად ტერმინების „იმერთა“ და „ამერთა“-ს გაჩენა მეფის ტიტულატურაში ან მიმართვაში მიგვანიშნებს ლიხთ-იმერსა და ლიხთ-ამერს შორის გარკვეული დაპირისპირება-გაყოფის არსებობაზე. გიორგი III თამარი აკურთხა „თანადგომითა ყოველთა პატრიარქთა და ეპისკოპოზთა დიდებულთა იმიერთა და ამიერთა, ვაზირთა და სპასალართა და სპასპეტთა“ (37, 21). როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, დას. საქართველოსა და მესხეთში უკმაყოფილონი იყვნენ პოლიტიკის ცენტრის აღმოსავლეთში გადატანით. სამეფო პოლიტიკა სულ უფრო მიიწევდა აღმოსავლეთისაკენ, მის დადებით მხარეებს დასავლეთში ველარ გრძნობენ, ხოლო უარყოფითს — ხშირ ლაშქრობებში მონაწილეობასა და დიდი ხნით მეურნეობის ჩამოშორებას უშუალოდ განიცდიან (87, 157). გიორგი III იძულებულიც კი გამხდარა ლაშქრობის წინ დასავლეთელთათვის „წარეცა ფიცნი და ზავი“ და ამის შემდგომ დაეწყო ლაშქრობა.

თამარის დროსაც ლიხთ-იქითელ ფეოდალთა უკმაყოფილება ამკარაა. გავიხსენოთ თუნდაც გიორგი რუსის დაბრუნება, რაც დასავლეთ საქართველოს ფეოდალების ხელშეწყობით ხდება. ივ. ჯავახიშვილი მათ ამგვარ დამოკიდებულებას ასე ხსნის: „აფხაზთა მეფეების“ დროინდელი წესები აღარ არსებობს, მეფეს გვირგვინს ქუთათელი მთავარეპისკოპოსის მაგივრად ქართლის კათალიკოს-პატრიარქი ადგამს. ხმლის შემომრტყმელნი ლიხთ-იმერეთის დიდგვაროვანნი აღარ არიან, ამას ამირსპასალარი აკეთებს, „ამგვარად ყველაფერი, რაც დასავლეთ საქართველოს მეფობასა და დიდგვარიან აზნაურთა ისტორიულ ტრადიციებთან იყო დაკავშირებული, გულმოდგინედ წარხოცილი ყოფილა“ (193, 154—155).

ლაშა-გიორგის დროიდან მოსული მონღოლები არბევენ და თავის ძალაუფლებას ამყარებენ აღმოსავლეთ საქართველოში. დასავლეთ საქართველო კი ძირითადად მტრისაგან დაცული რჩება. ერთიანი სახელმწიფოს ორი ნაწილი სხვადასხვა პოლიტიკურ მდგო-



მარეობაში აღმოჩნდა. განსხვავებული განვითარების გზა ხელს უწყობს მათ ერთმანეთისაგან ჩამოშორებას, ლიხთ-იქითში დამოუკიდებელი ტახტისა და მმართველობითი სისტემის ჩამოყალიბების საქმეს.

მონღოლთა პოლიტიკის შედეგად საქართველოში წარმოშობილმა ორმეფობამ განსაკუთრებული როლი ითამაშა ამ ტენდენციის გაძლიერებაში. „დარჩა ლიხთ-აქათი ლაშას ძესა დავითს და ლიხთ-იმერი რუსუდანის ძესა“, — წერს ჟამთააღმწერელი (43, 229). დავით ნარინის ლიხთ-იქითში გადასვლის შემდეგ ეს მხარე მონღოლებისაგან დამოუკიდებელი ხდება, ამიტომაც ხუტლუბუღას რჩევით და არღუნ ყაენის ჩანაფიქრით გადაწყდა დიმიტრი თავდადებულის სიკვდილით დასჯა და ნარინის ძის — ვახტანგ II გამეფება. მას ყაენმა „ყოველი საქართველო“ დაუმტკიცა. თანამედროვეთა აზრით, სახელმწიფო საზღვრებიც „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“ ითვლება, მაგრამ სინამდვილეში პრინციპულად არაფერი შეცვლილა: ვახტანგი აღმ. საქართველოში რჩება, დასავლეთში კი კვლავ დავით ნარინი ხელმწიფობს, იგი შვილის წინაშე დიდებულთა ფიცის დადებასაც კი არ ესწრება. საინტერესოა, რომ მისი მამა დავითი ვახტანგის მეფედ კურთხევას არ ესწრება. აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსვლას, როგორც ეტყობა, ამ შემთხვევაშიც მორიდებია (190, 234). დავით ნარინის იმერეთში გადასვლა ერთიანი საქართველოს გათიშვის ტოლი აღმოჩნდა. მართალია, სამეფო ოფიციალურად გაყოფილი არ იყო, მაგრამ პოლიტიკურმა რეალობამ იგი ორ ცალკეულ ერთეულად აქცია. ორი ტახტის არსებობის გამოძახილია, როცა ამ პერიოდის საქართველოს მეფეები თავის თავს უწოდებენ „ჩუენ განმაერთებელნი ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა“.

საქართველოს გაყოფას და დასავლეთში დავით ნარინის მიერ დაარსებულ სამეფოს უკავშირდება დასავლურქართული ფულის — კირმანეული თეთრის გაჩენა (72, 41—43). ესაა მიზეზი ამ დროისათვის აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოში ტიპოლოგიურად ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ვერცხლის ფულის არსებობისა (179, 115). დავით ნარინის დასავლეთში გადასვლის შემდეგ ლიხთ იმერეთის მონღოლებისადმი პოლიტიკური დაქვემდებარება შეწყდა, იგი მონღოლთა ყმადნაფიცობისაგან განთავისუფლდა (136, 600). ასეთი ვითარებიდან გამომდინარე, კარგად



ჩანს, რომ დავით ნარინის შთამომავალი, საქართველოს კვლავ რეალურად ერთიანობის პირობებში, ვერ შეეგუებოდნენ ტახტისაგან ჩამოშორებას და თუ თბილისის ტახტი მათთვის მიუწვდომელი აღმოჩნდებოდა, ლიხთ-იქითის „პროვინციის მეფობაში“, არსებობდა რა ამისათვის ყველა საჭირო პირობა, მათ ვერაინ შეეცილებოდა.

ლიხთ-იქითის ჩამოცილების ტენდენციის კვლევისას სათანადო ადგილი უნდა დაეთმოთ საეკლესიო საკითხსაც:

აფხაზთა კათალიკოსისა და „კათალიკოსნი ორივე“-ს არსებობა ხელს უწყობდა ერთიანი ეკლესიის გაყოფის ტენდენციის გაძლიერებას. აფხაზეთის კათალიკოსი თავიდანვე ცდილობდა მცხეთის ტახტისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებას. მათი მოღვაწეობა ლაშა-გიორგის, რუსუდანის, დავით ნარინის დროს კარგად ლაპარაკობს ლიხთ-იქითისა და ლიხთ-აქეთის ერთმანეთისაგან თანდათანობით დაშორებაზე. აფხაზთა კათალიკოსნი ძირითადად იმ სიგელებში ფიგურირებენ, რომელნიც ლიხთ-იმერეთს ეხება, წყაროთა მონაცემებით, გარკვეულ პერიოდში ისინი შეიძლება უფლებბრივად ამ რეგიონში ქართლის კათალიკოსებსაც უსწრებდნენ წინ. როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, ლიხთ-იმერის კათალიკოსს არა აქვს სრულიად საქართველოს მეფის დამოუკიდებლად კურთხევის უფლება, თუმცა ამ ცერემონიალში მონაწილეობს, სამეფო კარის წევრია და მიიღტვის ქართლის კათალიკოსთან უფლებბრივი ვათანასწორებისაკენ. „კელმწიფის კარის გარიგების“ წინასიტყვაობიდან ვიცით, რომ „აცილნეს ორნივე კათალიკოსნი: „არა მე მმართვესო, არა მეო“ მეფის კურთხევა“ (84, 96—97). ის მომენტი, რომ აფხაზეთის კათალიკოსი ლიხთ-იმერეთის საეკლესიო საქმეებში დამოუკიდებელი ჩანს, კარგად მეტყველებს ამ მხარის სეპარატიზმზე. აქ გვებადება ფრთხილი ვარაუდი: აფხაზთა-ლიხთ-იმერეთის კათალიკოსის არსებობით ზომ არ სარგებლობენ განდგომისა და სოციალური საყრდენის მაძიებელი ლიხთ-იქითის „მეფენი“ და მათგან კურთხევასაც ლეზულობენ?! დავით ნარინის ჩამომავალ „მეფეთა“ ერთი ნაწილი, როგორც ჩანს, აღიარებდა ამ კათალიკოსის საეკლესიო საქმეებმპყრობელობას; მცხეთა, როგორც მთლიანობის იდეის მატარებელი და ძლიერი საყრდენი ერთიანი ცენტრალური ხელისუფლებისა, მიუღებელი იყო „პროვინციის მეფეებისათვის“. აფხაზთა



კათალიკოსის მიზნები კი, პირიქით, სწორედ რომ კარგი იარაღი იყო მათი პოლიტიკური ჩანაფიქრების მისაღწევად.

ლიხთ-იქითში შექმნილ ასეთ ვითარებას უნდა გამოეწვია, რომ სასისხლო სიგელები ძირითადად დასავლურქართული წარმომავლობისა არიან. ეს სიგელები უნდა შექმნილიყო იმ წრეში, სადაც სებატისტიკური ტენდენცია ცენტრისაგან ჩამოშორებისა ძლიერია, ხოლო ერთიანი სახელმწიფოს პოლიტიკური ორგანიზაცია და სასამართლო ნორმების განვითარება შედარებით სუსტია. როგორც ჩანს, ამ პერიოდის დას. საქართველოში სამართლებრივი ნორმები ვერ რეგულირდება სათანადო დონეზე და გარკვეული პირნი მეფეთა სიგელების ფალსიფიკაციის გზით ცდილობდნენ მიეღწიათ უკეთესი მდგომარეობისათვის. სავარაუდოა, რომ ამ პროცესში გარკვეული მონაწილეობა ლიხთ-იქითის „პროვინციის მეფეებსაც“ მიეძღოთ.

ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერის ერთმანეთისაგან ჩამოშორებას და ლიხთ-იქითის „მეფეების“ არსებობისათვის საფუძვლის შექმნას ერთგვარად ხელი შეუწყო ამ რეგიონის გეოგრაფიულმა იზოლირებულობამ (გეოგრაფიულმა ფაქტორმა). სწორედ ესაა ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც დამპყრობელი, გამარჯვებული აღმ. საქართველოში, უმეტესად ველარ ახერხებს თავისი ძალაუფლების გავრცელებას დასავლეთში*.

ბუნებრივი ფაქტორებითა და პოლიტიკური სიტუაციით გამოყოფილ, იზოლირებულ ლიხთ-იქითის ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონში მცხოვრებ დიდებულ აზნაურებში მძლავრი იყო ცენტრისაგან ჩამოშორების სურვილი. ამიტომ ლიხთ-იქითელი „მეფენი“ აქ პოულობენ მათი არსებობისათვის აუცილებელ სოციალურ დასაყრდენსა და შემოსავლის წყაროს. თემურ-ლენგის შემოსევების დროს ისეთი შთაბეჭდილებაც კი იქმნება, რომ დას. საქართველო ბედის ანაბარაა მიტოვებული, ბაგრატ V და გიორგი VII მისთვის არ სცალიათ. თემურ-ლენგის შემოსევების პერიოდის იმერისა და ამერის დამოკიდებულების საკითხზე საინტერესო ცნობას გვაწვდის „ძეგლი ერისთავთა“: „მაშინ გიორგი მეფე განილაშქრა აღინჯას ყოვ-

* ამ საკითხზე იხ. ჩვენი სტატია — ლიხთ-იქითის „მეფეთა“ ისტორია XIV საუკუნეში (1965).

ლითა სპითა ქართველთა, იმერლითა, მესხითა და შირვანთა (60, 114). XIV—XV სს. მიჯნაზე ამ ისტორიული პროვინციებს უკვე ცალ-ცალკე აღნიშვნა, ვფიქრობთ, ბევრისმეტყველი ფაქტია. ამიტომ ამ პერიოდში არსებობს რა ყველა პირობა აქ „პროვინციის მეფეების“ არსებობისათვის, „ძეთაგანი ნარინ დავითისაგან“ „მეფობას“ იჩემებენ, მით უმეტეს, რომ ლიხთ-იქითელი „მეფენი“ თავიანთ მოქმედებას, როგორც ჩანს, კანონიერად თვლიან, რამდენადაც ოფიციალურად არსებული დავით ნარინის ტახტის ჩამოშვალნი არიან.

ვფიქრობთ, ლიხთ-იქითის „მეფეთა“ რეალურობა-ისტორიულობა არ უნდა იწვევდეს ეჭვს, მით უმეტეს, რომ ნუმისმატა დაკვირვებით, იმერეთის მეფეებად ცნობილ მფლობელებს სავსებით შეეძლოთ ეჭრათ მონეტები და მათ სახელთან შეიძლება იყოს დაკავშირებული ამ პერიოდის უცნობი მონეტების ემისიის საქმე (125, 156; 94, 20—21; 208, 202). ამიტომაც თ. ყორღანია (57, 186) და ე. თაყაიშვილი (97, 183) მათ მეფეებს უწოდებენ და რეალურ პიროვნებად მიიჩნევენ. ს. კაკაბაძე ამ პერიოდის იმერეთში განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციასაც ხედავს თავისი მანდატურთუხუცესებითა და სხვა მოხელეებით (110, 21—22).

სწავლულ კაცთა კომისიას უჭირს ლიხთ-იმერეთის „მეფეთა“ წარმომავლობის გარკვევა: „ვერა ვსცანით, თუ ბატონი იმერეთისა და კახეთისა რომელი თესლისაგან არიან და ანუ ვითარ უპყრიეს ქვეყანანი იგი“. ტექსტში ამ ადგილზე გაკეთებულია ჩამატება: „რომელიმე იტყვიან: ძეთაგანი ნარინ დავითისაგან იყვნენო“ (34, 348).

აღნიშნული საკითხი გადაწყვიტა ვახუშტიმ, რომელიც აღნიშნავს, რომ კვლევა-ძიებისა და „წინვსენებულთა მეფეთა სხუაობითა მივსწუდით (მათ) ყოფად ნარინ დავითის ჩამომავლობად“ (36, 302—303). ძალზე მნიშვნელოვანია მისი მსჯელობა ამ „მეფეთა“ რეალურობა-ისტორიულობის შესახებ: ლიხთ-იქითელ ბაგრატიონთა მეფობა „ცხადად საჩინო არს“ და დავით ნარინის „ძეთაგანთა“ ისტორია „ცხადად წერილ არს ცხოვრებასა შინა ჩუენსა“ (36, 296). ვახუშტის თხზულებაში, სადაც ლიხთ-იმერეთის ისტორია აღწერილი, არშიაზე გაკეთებულია საინტერესო მინაწერა: „...მოწამე აქა წერილთა ესე არს, რამეთუ ყოველნი აქა წერილნი მეფენი და


მთავარი თამარიდამ სვიმონის ძის გიორგისამდე დაწერილ არიან ძველს ვარიგების და სამართლის წიგნსა შინა იმერეთს გელათურსა“ (36, 302). როგორც ირკვევა, ლიხთ-იქითის „მეფეთა“ ისტორიის კვლევისას ვახუშტი იყენებს უცნობ წყაროს, ე. წ. იმერული ძველი ვარიგების წიგნს, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია. ეს კიდევ უფრო სანდოს და საინტერესოს ხდის ვახუშტის ცნობებს როგორც საერთოდ ლიხთ-იმერეთის, ასევე ჩვენი საკვლევი საკითხის შესახებ.

ს. კაკაბაძე (XV ს. I ნახ. ლიხთ-იქითში მთელი პროვინციული „სამეფო შტოს არსებობას ვარაუდობს. მკვლევრის ამოსავალი იყო ქამთააღმწერელის სიტყვები: „ხოლო მიიღო მეფობა კოსტანტინე, პირმშობისა ძლით, რომლისა მეფობასა წინააღუდგა ძმა მისი მიქელ, და დაიპყრო ქუეყანა რაჭისა და არგუეთი, და დღეთა მათთა იშლებოდა სამეფო, რომელსა საქმენი არა მოვსენებულ არიან, და არა ყვეს მშვიდობა, ვიდრე არა მიიცვალნეს, რამეთუ რომელსა ჟამსა დაიზავნიან, მყის შეიშალნიან“ (43, 295). ს. კაკაბაძე ფიქრობს, რომ რადგან ქამთააღმწერელის ტექსტი გიორგი ბრწყინვალეს გამეფებით მთავრდება და აღნიშნულია დავით ნარინის შვილების — კონსტანტინესა და მიქელის გარდაცვალება, ამიტომ ამ ფაქტს 1316 წელზე ადრეულ ხანაში უნდა ჰქონოდა ადგილი (119, 9). მკვლევარი უარყოფს მიღებულ დათარიღებას: დავით ნარინი — 1259—1293 წწ., კონსტანტინე — 1293—1327 წწ., მიქელი — 1327—1329 წწ. და გვთავაზობს განსხვავებულ გენეალოგიას (იხ. დანართი № 2).

ჩვენი აზრით, კაკაბაძისეულ გენეალოგიურ შტოში ბევრი რამ არის სადავო. წყაროებში დავით ნარინის შვილი ალექსანდრე (მეორე ცოლისაგან) არსად გვხვდება მეფის ტიტულით. აგრეთვე არ არის ცნობილი დავით ნარინის ძის მიქელის შვილი კონსტანტინე. ვიცით, რომ ამ მიქელს დარჩა მცირეწლოვანი ვაჟი ბაგრატი, კონსტანტინე კი არცერთ წყაროში არ არის მის შვილად დასახელებული. ისტორიული წყაროები არც იმის საფუძველს გვაძლევენ, რომ ნარინის შვილების — კონსტანტინესა და მიქელის გარდაცვა-



ლება შესაბამისად 1300 და 1308 წლებით დაეთარიღოთ. ალბათ დაეას არ უნდა იწვევდეს შემდეგი გენეალოგიური შტო:



დასავლეთ საქართველოში პროვინციული სამფლობელოს პირველ „პროვინციის მეფედ“ გვევლინება დავით ნარინის ძე მიქელი, რომელიც „წინააღმდეგა“ თავის გამეფებულ ძმას კონსტანტინეს და „დაიპყრა ქუყყანა რაჭისა და არგუეთი“. ჩვენამდე მოაღწია 1326 წლის სიგელმა მიქელ მეფისა მიქელაძისადმი (47, 33—34). იგი იხსენიება სინას მთის აღაპებშიც (189, 242). უნდა აღინიშნოს, რომ მიქელის მიერ „პროვინციის მეფობის“ პერიოდში რაჭა-ლეჩხუმ-არგვეთში მფლობელობის მოპოვება არ უნდა იყოს შემთხვევითი. რაჭა-არგვეთში კარგად გამოკვეთილი განკერძოების ტენდენციის არსებობა და გეოგრაფიული მდებარეობით გამოწვეული იზოლირებულობა ქმნიდა ყველა პირობას ამ პერიოდში აქ „პროვინციის მეფეების“ არსებობისათვის. მიქელ „პროვინციის მეფის“ სოციალურ საყრდენსა და შემოსავლის წყაროს — რაჭა-არგვეთის მამულებს ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღ-მდე ჰქონდათ მისწრაფება ცენტრისაგან გამოყოფისა, რაც რაჭის საერისთავოს არსებობის მანძილზეც გრძელდება გავიხსენოთ, რომ XIII საუკუნის 80-იან წლებში დავით ნარინმა დასაჯა რაჭის ერისთავის კახაბერი, საერისთავო გააუქმდა და სახასო მამულად აქცია (174,70—71). სავარაუდოა, რომ მიქელს ბატონიშვილობის პერიოდიდანვე ჰქონოდა გავლენა და სამფლობელო მამულები ამ რეგიონში. ამიტომ მამის — დავით ნარინის გარდაცვალებისა და ძმის — კონსტანტინეს გამეფების შემდეგ, ცდილობს რა „მეფობის“ მოპოვებას, სწორედ რაჭა-არაგვეთელთ ეყრდნობა და მათი საშუალებით ებრძვის ლიხთ-იმერეთის მეფე კონსტანტინეს (1293—1327).

1327 წელს „მოკუდა მეფე კონსტანტინეცა... და შემდგომად მისა გამეფდა ძმა მისი მიქელ ამან ილუაწა კუალად შეერთებდა

და დამორჩილებად პირველისაებრ მათ მთავართა და ერისთავთა
არამედ წართმევითა და ცვალებითა ვერლარა შეუძლო. გარნა დაი-
მორჩილნა კუალად ხარკის მოცემითა და მოლაშკრედ თვსად. და
სხუასა ვერლარა რაისა ეწია, რამეთუ მოკუდა წელსა ქსა ჩტკთ,
ქარ. იზ“ (1329 წ.) (36, 801). ე. ი. მიქელი 1327 წლამდე „პროვინ-
ციის მეფეა“, 1327—1329 წწ. ლიხთ-იმერეთის მეფე.

ს. კაკაბაძე XIV ს. I ნახ. ვარაუდობს კიდევ რამდენიმე „პრო-
ვინციის მეფის“ არსებობას: გიორგის (1325 წ. სიგელს აძლევს
მიქაბაძეებს) (119, 6—8), მეორე მიქელსა (1326 წ. საველი მიქე-
ლაძეებისადმი) (47, 33) და დავითს (გელაძეთა სასისხლო სიგელი)
(119, 58). მისი გენეალოგიით, გიორგი დავით ნარინის შვილიშვილია,
ხოლო მიქელი მათი ერთ-ერთი შთამომავალი. უნდა აღინიშნოს,
რომ სინამდვილეში აქ ლაპარაკია არა „პროვინციის მეფეებზე“,
არამედ კარგად ცნობილ ბაგრატიონებზე — გიორგი ბრწყინვალესა
და მიქელ ნარინის ძეზე. რაც შეეხება დავითს, როგორც ე. თაყაი-
შვილი აღნიშნავს, ეს ან დავით VIII ან დავით IX უნდა იყოს
(47, 34—35).

მიქელს „დაშთა ძე მხოლოდ ბაგრატი“, რომელმაც „სიყრმით
თვსით და დაუმორჩილებლობითა მთავართათა ვერ იკადრა მეფობა,
რამეთუ არლარა მოერთნენ ერისთავნი“. როცა გიორგი ბრწყინვალე
მიადგა ქუთაისს, ბაგრატი „ევეღრა მეფესა გიორგის“, მანაც
„პატივ-სცა“, „შეიწყნარა იგი ფრიად სიყუარულითა“ და „ბაგრატს
მისცა საერისთო შორაპნისა და ჰყო მუნ ერისთავად“ (36, 256—
257). დავით IX ნებით მიქელ მეფის ძემ — ბაგრატი ერისთავმა
1358 წ. შეირთო ყუარყუარე ათაბაგის ასული ნათელი, რომლისგა-
ნაც შეეძინა სამი ძე: ალექსანდრე, გიორგი და კონსტანტინე (36,
260, 802). ხაზგასასმელია, რომ ნათელი, როგორც საქართველოს
მეფის სხვა თანამეცხედრენი, „დედოფალთ-დედოფლის“ ტიტულით
მოიხსენიება ცაიშის ტაძარში თ. ჟორდანიას მიერ მოძიებულ ომფო-
რის წარწერაში (57, 186). ამიტომ, ბუნებრივია, გვებადება კითხვა:
ხომ არ იბრძოდა ბაგრატი გიორგი ბრწყინვალეს გარდაცვალების
შემდეგ ლიხთ-იქითში „მეფობის“ მოსაპოვებლად?!

ვფიქრობთ, სამეფოში შექმნილი ვითარება ბაგრატის განზრახ-
ვას ხელს უწყობდა. ვახუშტი მის მხოლოდ ერისთავობას აღნიშნავს,
ერთ ადგილას კი მიგვითითებს: „კუალად იტყვან, ვინაფთვან ბაგრატი

მიქელ მეფის ძე იგიცა მეფეთა ჩამომავალი იყო, ამის გამოც უწოდეს დიდი ბაგრატ (მეხუთე, — დ. ნ.) მეფესა ამას“ (36, 268). ეს მომენტი ერთგვარი მინიშნებაა იმაზე, რომ, როგორც ჩანს, ბაგრატ მიქელის ძე გარკვეულ პერიოდში ლიხთ-იქითის „მეფობას“ იჩემებდა. საინტერესოა, რომ სწავლულ კაცთა კომისია მას მეფის ტიტულით მოიხსენიებს (34, 348). ამიტომ ე. თაყაიშვილი მასზე, როგორც მეფეზე ლაპარაკობს (97, 183). ჯვრის მონასტრის სვინაქსარული აღაპების XXVII ტაბულაში არის სამი აღაპი ბაგრატ მეფის სახელზე. ე. მეტრეველს შესაძლებლად მიაჩნია, რომ ერთ-ერთი მათგანი ბაგრატ იმერთა ერისთავს ეკუთვნოდეს (147, 80, 102, 106, 118).

ბაგრატ მიქელის ძე 1327 წ. გარდაიცვალა. გაერისთავებული მისი ძე „ალექსანდრე ერისთავობდა მორჩილებასა შინა დიდისა ბაგრატ მეფისასა“, მაგრამ თემურ-ლენგის მოსვლიდან „იცა უამი ალექსანდრემ ძემან ბაგრატისამან, ვინაჲთგან მიეღო ძალი გიორგის (მეშვიდეს, — დ. ნ.)... იწოდა მეფედ და ეკურთხა გელათს (რამეთუ ქუთათისი ჯერეთ ეპყრათ გიორგისავეთა)“ (36, 803). ეს მომენტი, ქუთაისში ვერგამეფება, ვფიქრობთ, კარგად ლაპარაკობს ამ ალექსანდრეს „პროვინციის მეფობის“ შესახებ, ამიტომ მას სჭირდება „მოიმტკიცოს იმერნი, და ბრძოდა ციხეთა იმერეთისათა, რომელნი ეპყრნეს მეფესა ბაგრატს (დიდი, — დ. ნ.) და ძესა მისსა გიორგის (მეშვიდე, — დ. ნ.). მერმე ეზრახა ალექსანდრე დადიან-გურიელს შარვაშიძეს და სუანთა. არამედ არა ინებეს, რამეთუ შიში აქუნდათ ჯერეთ ბაგრატ მეფისა და ეგნენ ერთგულებასა მისსა ზედა. გარნა აღიხუნა რომელიმე ციხენი იმერეთისანი ალექსანდრემ, თვნიერ ქუთათისისა“ (36, 803). ალექსანდრეს ლიხთ-იქითში „მეფობას“ აღნიშნავენ სხვა ისტორიული ქრონიკებიც. როგორც ვხედავთ, თემურ-ლენგის შემოსევის შედეგად, თბილისის ტახტს აღარ სცალია ლიხთ-იქითისათვის, ამიტომ ალექსანდრემ აქ „მეფობას“ მიაღწია, თუმცა მას „არა მოერთნენ ერისთავნი“, რის გამოც მისი ძალაუფლება მხოლოდ „რომელნიმე“ ტერიტორიაზე ვრცელდება, რაც მის მხოლოდ „პროვინციის მეფობაზე“ ლაპარაკობს. ალექსანდრე 1389 წელს გარდაიცვალა. ამდენად, იგი ლიხთ-იქითის „პროვინციის მეფე“ ყოფილა 1387—1389 წლებში.

ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ ლიხთ-იქითში „დაჯდნის წილ ძმა მისი გიორგი მეფედ“, მან „უმეტესად დაიპყრა იმერეთი და აღიხუნა ციხენი ბაგრატ მეფისა და გიორგისანი და უმეტესად მცდელობდა დამორჩილებასა და შეერთებასა მათ მთავართასა. ამანვე გიორგიმ დასუა კათალიკოსად არსენი ქსა ჩ'ტუ, ქარ. ო'ჭ (1390)“ (36, 803). აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ცნობა ლიხთ-იქითის „მეფის“ მიერ კათალიკოსის არჩევის შესახებ. ვფიქრობთ, ამ ცნობაში უნდა ივლისსხმებოდეს აფხაზეთ-ლიხთ-იმერთა კათალიკოსი, ყოველ შემთხვევაში, 1390 წლისათვის ქართლის კათალიკოსი არსენი ჩვენთვის უცნობია. ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლიხთ-იქითელი „მეფეები“, როგორც ჩანს, სვამდნენ ხოლმე აფხაზეთის (დას. საქართველოს) კათალიკოსებს და მათგანვე იღებდნენ სამეფო ტახტზე კურთხევას. ეს გარკვეული იურიდიული საფუძველი უნდა ყოფილიყო ლიხთ-იქითის ტახტის დამოუკიდებლობის მოპოვებისა და ამ აქტის გამართლების საქმეში.

ვახუშტი აღნიშნავს: „არღარა ინებეს მთავართა მათ მორჩილება გიორგი მეფისა“ (36, 803) და არც მეგრელნი „მოერთუნენ ერთგულებითა ბაგრატ მეფისათა“ (36, 803). ყოველივე ლაპარაკობს გიორგის „პროვინციის მეფობაზე“. იგი არ ეგუება შექმნილ მდგომარეობას, „ამისთვის შეკრებულთა სპითა მოუჭდა გიორგი მეფე ოდიშს. ეწყო მას დადიანი აფხაზთა შეწვევითა და მოკლეს მეგრელთა მეფე გიორგი და ივლტოდნენ სპანი მისნი“ (36, 265). მეგრელთაგან ლიხთ-იქითის „მეფის“ გიორგის მოკვლას ქართული წყაროები 1392 წ. ათარიღებენ (59, 38; 32, 472; 36, 804; 57, 198; 62, 340). ე. ი. გიორგი ლიხთ-იმერეთში „პროვინციის მეფედ“ ყოფილა 1389—1392 წწ. ალექსანდრესა და გიორგის „მეფობა“ მოდის იმ პერიოდზე, როცა აღმ. საქართველოში ლანგ-თემურის ბატონობის ხანაა, ამიტომ ლიხთ-იქითელი ბაგრატიონები ახერხებენ თბილისის ტახტისადმი ქედის არ დადრეკას და „მეფობას“ მიიტაცებენ. თ. აბრამიშვილი აღნიშნავდა კიდევ, რომ გიორგი VII დასავლეთ საქართველოსათვის ჯეროვანი ყურადღების მიქცევა აღარ შეეძლო, ამით ისარგებლეს იმერეთის მთავრებმა და ჯერ ალექსანდრემ, შემდეგ გიორგიმ თავი მეფეებად გამოაცხადეს (72, 103). დ. კაპანაძე იმის შესაძლებლობასაც უშვებს, რომ ალექსანდრესა და გიორგის ფული მოეჭრათ, უკიდურეს შემთხვევაში გიორგის მაინც, რადგან



მისი მეზობელი და მეტოქე ვამეყ დადიანი ამ დროს მონეტას ქრისტიანული ოდიშის ზარაფხანაში (125, 156).

გიორგი „მეფის“ გარდაცვალების შემდეგ „განზრახვთა ვამიყ დადიანისათა ჩამოვიდა გიორგი (მეშვიდე, — დ. ნ.), ძე დიდისა ბაგრატ მეფისა, და დაიპყრა კუალად იმერეთი“. ამას მოყვა ლიხთ-იქითის ამ პროვინციული „სამეფო“ შტოს დამცრობა: ბაგრატ ერისთავის ძე კონსტანტინე და დიმიტრი ალექსანდრე „მეფის“ ვაჟი „ივლტოდნენ ბასიანს და იყოფებოდნენ წელსა ოთხსა მუნ მწირად“ (36, 804). ეს „მწირად“ ყოფნა კარგად ლაპარაკობს ამ ბაგრატიონთა „პროვინციის მეფობაზე“.

ოთხი წლის შემდეგ „მოსწყდნენ რა იმერნი ბრძოლასა შინ ლანგ-თემურისასა მეფის გიორგისა თანა და ამასვე ქორონიკონსა მოკუდაცა ვამიყ დადიანი და დაჯდა ძე მისი მამია დადიანად. მაშინ შთამოიყვანეს იმერთა კონსტანტინე, ძე ბაგრატისა, და ყვეს მეფედ იმერთა. ამან კონსტანტინემ დაიპყრა კუალად იმერეთი და აღიხუნა ციხენი, რამეთუ იყო გიორგი მეფე (მეშვიდე, — დ. ნ.) უცალო თემურ-ლანგისაგან და კოსტანტინე ამით მცდელობდა გამკვდრებასა იმერეთისასა და შეერთებასა თვსად დადიან-გურიელისასა და სუანთასა“ (36, 804). როდესაც კონსტანტინე ლიხთ-იქითის „პროვინციის მეფეა“, მაშინ გიორგი VII ძმა — მომავალი კონსტანტინე I მოლაპარაკებას აწარმოებს თემურ-ლენგთან, რათა ევედროს „მას მშვდობასა“ (36, 175). ამიტომ ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს ერთსა და იმავე პერიოდში მოღვაწე ორი სხვადასხვა კონსტანტინე. ვახუშტიც ხომ გვაფრთხილებს, რომ „არა არიან ერთ მეფედ“. საქართველოს მეფე გიორგი VII მანამდე ვერ იმორჩილებს ლიხთ-იმერეთს, სანამ არ „მოკლეს მეფე კონსტანტინე იმერეთს და არა დაშთა ძე, არამედ ძმისწული დიმიტრი“, მაშინ გიორგი VII „შთავიდა სპითა და დაიპყრა ყოველი იმერეთი“ (36, 275).


აქ განხილვას საჭიროებს ქართულ წყაროებში დაცული ფაქტი — „ჩალადანს“ კონსტანტინე მეფის მოკვლის შესახებ. დგება საკითხი: ვინ იქნა მოკლული „ჩალადანს“? ქართულ ისტორიოგრაფიაში მათეოს განძასარეცის ცნობებს საქართველოს შესახებ პირველად ყურადღება იღია აბულაძემ მიაქცია, მათ შორის მათეოსის ანდერძსაც, სადაც მოთხრობილია ყარა-იუსუფის ბრძოლებზე, რომელიც მას თემურ-ლენგის შვილებთან და აჰმად ხანთან გადაუხდია



და გამარჯვებული შირვანის ამირას დასასჯელად წამოსულა. მარჯვებულ ყარა-იუსუფს სხვებთან ერთად, წყაროს მიხედვით ტყვედ ჩაუგდია საქართველოს მეფე კონსტანტინე I, რომელიც შირვანის მთავრის დასახმარებლად ყოფილა მისული და იქ მოუკლავს (73, 48). ი. აბულაძე იცნობს რა ქართლის ცხოვრების გაგრძელების ცნობას — „დაჯდა მეფედ ძე ბაგრატისა კონსტანტინე, და იმეფა შვდ წელ, და მოკლეს ჩალაღას“ (32, 472), თვლის, რომ ეს ცნობა ეხება საქართველოს მეფე კონსტანტინე I (1407—1412), რომელიც მოუკლავთ „ჩალაღას“. მკვლევარის აზრით, რადგან იგი შირვანშია მისული შირვანშაჰ იბრაჰიმის დასახმარებლად, ამიტომ მისი სიკვდილის ადგილიც — „ჩალაღა“, რომლის ადგილმდებარეობაც მანამდე უცნობი იყო, შირვანის მიწა-წყალზე არის საძიებელი (73, 49). დღეს ეს მოსაზრება გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ლიხთ-იქითის „მეფეთა“ ისტორიის კვლევა გვიჩვენებს, რომ ქართლის ცხოვრების გაგრძელების ცნობა „ჩალაღას“ კონსტანტინეს მოკვლის შესახებ უნდა ეხებოდეს არა საქართველოს მეფე კონსტანტინე I-ს, არამედ ლიხთ-იქითის „მეფე“ კონსტანტინე ბაგრატი ერისთავის ძეს. ამაზე ისიც მიგვანიშნებს, რომ ქართლის ცხოვრების მიხედვით, ამ კონსტანტინეს უმეფია 7 წელი, კონსტანტინე I მხოლოდ 1407—1412 წწ. საქართველოს მეფე, ლიხთ-იქითის „მეფე“ კონსტანტინე კი სხვა წყაროებითაც, მართლაც, 7 წელია „პროვინციის მეფედ“ (1396—1402 წწ.). ვახუშტი ხაზს უსვამს, რომ ამ პერიოდში ორი კონსტანტინე მოღვაწეობს — 1401 წ. „კუალად მოკლეს მეფე კონსტანტინე“ ლიხთ-იქითელი, ხოლო 1407 წელს გიორგი VII ძმა „კონსტანტინე მეფედ იქცა“. ბატონიშვილის აზრით, სწორედ პირველი კონსტანტინე იქნა მოკლული „ჩალაღას“ (36, 297). სხვა ქართული ქრონიკებიც მიგვითითებენ ამ კონსტანტინეს სიკვდილზე 1401 ან 1402 წწ. და არა 1412 წ. (57, 206; 62, 340). პარიზის ქრონიკა ამ ფაქტს 1407 წ. ათარიღებს (59, 38).

როგორც ლიხთ-იქითელ „მეფეთა“ გენეალოგია გვიჩვენებს, 1402 წ. მოკლული კონსტანტინე უნდა იყოს ამ „პროვინციული სამეფო“ შტოს წარმომადგენელი, კერძოდ, ბაგრატი ერისთავის ძე, რომელიც 1396—1402 წწ. მოღვაწეობს. კვლევას საჭიროებს მისი მოკვლის ადგილმდებარეობა: ქართლის ცხოვრების მიხედვით ეს




არის „ჩალაღა“, პარიზის ქრონიკა აღნიშნავს „ჩალაღანს“^{*} თხის გარკვევაში გვეხმარება ვახუშტი. იგი ხაზს უსვამს, სტანტინე ლიხთ-იქითის „მეფე“ მოკლული იქნა იმერეთში (36, 275), ხოლო მეორე ადგილას კი ცნობას კიდევ უფრო აკონკრეტებს — „არამედ მოკლეს მეფე კოსტანტინე ჩალაღანს ანუ ჩალიანსა“ (36, 804). პირდაპირ ჩალიანს მიუთითებს დავით რექტორის ე. წ. „ლექსთა კრებაში“ ჩართული „წიგნი ქორონიკონი ძველისა და ახლისა“: „1402 ქაქკსჟ. მეფე კონსტანტინე ჩალიანში მოკლეს“ (62, 340). საინტერესოა, რომ აღმოსავლურ წყაროებში არსად შებრძოლების ადგილად „ჩალაღანი“ დასახელებული არ არის (მითითებაა მდ. მტკვრის სანაპიროზე), ხოლო თავად მათეოს მონაწენის — განსარეცის ანდერძში სხვა გეოგრაფიული რეგიონი — „ვატნიანის ველი“ ფიგურირებს*. ამდენად, ეს ცნობა შესაძლებელია საქართველოს მეფე კონსტანტინე I არ ეხებოდეს; თუმცა ამ ბოლო დროს, ჩვენვე გამოვთქვით გარკვეული ეჭვი ამ საკითხთან დაკავშირებით, რადგან იმავე საუკუნის ზვედგინიძეთა საჩივრის წიგნით „ჩალაღანს“ დაღუპულ მეფედ კონსტანტინე I (1407—1412) მოჩანს; ლიხთ-იქითის „მეფე“ კონსტანტინე (+1402) კი იმერეთში უნდა კვდებოდეს, კერძოდ, გეოგრაფიულ პუნქტში, რომელსაც ვახუშტის მიხედვით „ჩალიანი“ ეწოდება**.

კონსტანტინე ლიხთ-იქითის „მეფის“ მოკვლის შემდეგ „დაშთა დიმიტრი ძმისწული კოსტანტინესი და ძე ალექსანდრე მეფისა და მცდელობდა მეფობასა. გარნა იყო ყმა და ვერა ღონიერ და არლარა ვინ დაემორჩილებოდნენ მეფობისათჳს“ (36, 804). წყაროს ცნობა, რომ დიმიტრი „მცდელობდა მეფობასა“, ჩვენი აზრით, მითითებაა მის განზრახვაზე ლიხთ-იქიოში გახდეს „პროვინციის მეფე“, მაგრამ, როგორც ირკვევა, „არლარა ვინ დაემორჩილებოდნენ მეფობისათჳს“. ამის უპირველესი მიზეზი ისაა, რომ „მაშინ ჟამთა ამათ მოცალე იქმნა გიორგი მეფეცა თემურ-ლანგისაგან და იხილა იმერეთი ესრეთ, ჩამოვიდა სპითა თჳსითა იმერეთს, მოერთო დადიანი მამია და ყოველნი იმერნი“ (36, 804), შეიპყრეს და „მოსცეს

* ამ საკითხის შესახებ ვრცლად იხ. ჩვენი სტატია — „ვინ მოკლეს „ჩალაღანს?“ (166).

** ვრცლად იხ. ჩვენი სტატია — „ჩალაღანის“ საკითხისათვის, „ორიენტალისტური ძიებანი“, კრ. I, თბ., 1994.



მეფისა (გიორგი VII, — დ. ნ.) დიმიტრი ძე ალექსანდრე მეფისა უმეტეს გულდებისა და ერთგულებისათჳს“ (36, 275). ნიშანდობ-
 ლივია, რომ გიორგი VII ლიხთ-იქითის „მეფეთა“ შთამომავალსა
 „არა რაჲ ავნო. არამედ წარავლინა ქართლს და დაასადგურა სომ-
 ხითს სარჩოთი და იყოფებოდა მუნ. და იმერეთი სრულიად დაიპყრა-
 მეფემან გიორგი“ (36, 805, 275). როგორც ვხედავთ, გიორგი VII
 იგი მოაშორა იმერეთს და „საზრდო“ მისცა ქართლში. ამას უნდა
 მოჰყოლოდა ლიხთ-იქითის „მეფეთა“ პროვინციული შტოს დამ-
 ცრობა.

ლიხთ-იქითის „პროვინციის მეფეთა“ შტოს ჩამომავალი დიმი-
 ტრი კვლავ ამოტივტივდა პოლიტიკურ სარბიელზე ალექსანდრე I
 დიდის დროს. ალექსანდრე I დიდმა 1414 წელს „მოიყვანა დიმიტრი
 ძე ალექსანდრესი და მისცა ერისთობა იმერეთისა, რამეთუ ამის
 დიმიტრის და ...მოეყვანა ალექსანდრეს ცოლად თამარ და ექმნა
 ქორწილი და ამით დაამშჳდნა იმერნი“ (36, 278—279). „იყო ერის-
 თავად ესე დიმიტრი მორჩილებასა შინა ალექსანდრე (პირველი, —
 დ. ნ.) მეფისასა, ვახტანგისა (მეოთხე, — დ. ნ.) და გიორგი (მერვე,
 — დ. ნ.) მეფისასა“ (36, 805). დიმიტრი ერისთავი გარდაიცვალა
 1455 წელს.

XV ს. დამდეგისათვის „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელება
 (მეორე ტექსტი) მიგვითითებს კიდევ ერთი ლიხთ-იქითის „მეფის“
 არსებობის შესახებ, თუმცა სხვა წყაროებით ამ ცნობას ვერ ვამოწ-
 მებთ: „მაშინ ოდეს დაიპყრა ალექსანდრე (დიდი, — დ. ნ.) იმერეთი,
 განაძეს ძე კონსტანტინესი (ლიხთ-იქითის „მეფე“, — დ. ნ.), მეფე
 იმერეთისა ბაგრატ“ (32, 475), ე. ი. ამ ცნობით იმერეთში 1402 წ.
 კონსტანტინეს მოკვლიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ „გამე-
 ფებულა“ მისი ძე ბაგრატი, რომელიც ქართლის ცხოვრებაში „იმე-
 რეთის მეფედ“ იწოდება. ეს ის პერიოდი, როცა კონსტანტინე
 ლიხთ-იქითის „მეფის“ ძმისწული — დიმიტრი ალექსანდრეს ძე
 გიორგი VII ჩამოაშორა ლიხთ-იმერეთს და „დაასადგურა სომხითს
 სარჩოთი“. ქართლის ცხოვრების გაგრძელებაში მეორე ადგილზე
 ვკითხულობთ: „ოდეს ადესრულა მეფე ალექსანდრე (დიდი, —
 დ. ნ.), მაშინ მოვიდა მეფე ბაგრატ იმერეთს, ძე იმერელ მეფისა
 კონსტანტინესი. გამოაძო ვახტანგ, ძე ალექსანდრე მეფისა, და

დაიბყრა იმერეთი“ (32, 476). სამწუხაროდ, სხვა მონაცემები „მეფის“ შესახებ ჩვენ არა გვაქვს, ამიტომ მის შესახებ კარგად ვიცნობთ მხოლოდ რაიმეს თქმა ჭირს. ლიხთ-იქითის „მეფეთა“ გენეალოგიური შტო იხილეთ დანართში № 3.

ლიხთ-იქითის განყოფის ტენდენციას და ე.წ. ლიხთ-იქითის „მეფეთა“ არსებობას სამეფო ტახტი ვერ შეეგუებოდა, ამიტომ ცენტრს კონტრზომებისათვის უნდა მიემართა. როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოს შემომტკიცების საჭიროების გამო, ერთიანი საქართველოს მეფეები ამ რეგიონში ნიშნავენ თავიანთ შვილებს — ბატონიშვილებს, სადაც ისინი ლიხთ-იქითის მმართველებად გვევლინებოდნენ. შეიძლება ვივარაუდოთ XIV—XV საუკუნეებში სპეციალური ინსტიტუტის არსებობაც, როცა ბატონიშვილები ცენტრის სახელით მოქმედებდნენ დას. საქართველოში განყოფის ტენდენციის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს უნდა ყოფილიყო შემადგენელი ნაწილი XIV—XV სს. სამეფო ხელისუფლების ღონისძიებისა, რომელიც მიმართული იყო ისტორიული რეგიონების შემომტკიცებისაკენ, ქვეყნის ფარგვული მხარეების სამეფო ოჯახის წევრთათვის „მინებების“ გზით. ბატონიშვილთა ჩართვა ამ საკითხში სამეფო ხელისუფლების ჩანაფიქრით უნდა ყოფილიყო ერთგულების გარანტიც. ცენტრის პოლიტიკის გამტარებელთა ერთი ნაწილი, „პროვინციის მეფეთა“ ეპოქის ხასიათიდან გამომდინარე, განმგებლობს რა ლიხთ-იქითის რეგიონში, „მეფის“ ტიტულითაც კი იწყებს მოქმედებას. ჩვენი აზრით, არ არის გამორიცხული, არსებობდა რა ნოყიერი ნიადაგი სეპარატიზმისათვის, საქართველოს მეფე თავად ანიჭებდეს დას. საქართველოში მმართველ თავის ძეებს „მეფის“ ტიტულს ბატონიშვილთა მოქმედების სიმტკიცის, სტატუსის აწევისა თუ მათი უფლებების ხაზგასმის მიზნით. „პროვინციის მეფეთა“ ეპოქაში ასეთი ღონისძიება არც არის მოულოდნელი და ამისათვის საკმარისი ნიადაგიც არსებობს. ასეთ ბატონიშვილთა „მეფის“ ტიტულით მოქმედება ზოგჯერ იმ კატეგორიის მოვლენად ყალიბდება, რასაც „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტი წარმოადგენდა.

ჩვენი აზრით, პირველი ასეთი ბატონიშვილია მომავალი საქართველოს მეფე გიორგი VII; მისი ასეთი სტატუსი უკავშირდება სწორედ ზემოგანხილულ XIV ს. II ნახევარში არსებულ ე. წ. ლიხთ-იქითის „პროვინციის მეფეთა“ საკითხს. აქვე აღვნიშნავთ,



რომ XV ს. ასეთებად ჩანან: ალექსანდრე I დიდის შვილი — ვახტანგი (მომავალი ვახტანგ IV), გარკვეულ პერიოდში შესაძლებელია მისი მეორე ძეც — „წყალს-იქითის“ „პროვინციის მეფე“ დემეტრე, ალექსანდრე I დიდის თანამეცხედრე — თამარი, მფლობელობის პირველ ეტაპზე ბაგრატ VI, კონსტანტინე II შვილი — დავითი (მომავალი დავით X), ალექსანდრე I ძმა — გიორგი...

რადგან ლიხთ-იქითის „მეფეთა“ საკითხს უშუალოდ უკავშირდება გიორგი VII მმართველობის სტატუსი, ამიტომ შევჩერდეთ ამ პრობლემაზე:

როგორც აღინიშნა, ბაგრატ V დიდის მეფობაში დასტურდება მისი შვილის — გიორგი VII „პროვინციის მეფობა“; როგორც დგინდება შეთქმულებას გიორგი მეფის წინააღმდეგ სწორედ იმ დროს ჰქონია ადგილი (ჩვენი აზრით, 1386 წ. II ნახ. — 1387 წ. I ნახევარი), როცა საქართველოს მეფე ბაგრატი დატყვევებულია და ქვეყანას გიორგი განაგებს „მეფის“ ტიტულით, იოანე ბატონიშვილის სიტყვებით, მართავს „ნაიბობის სახით“ (29, 152—154). გიორგი ბატონიშვილის „მეფის“ ტიტულით მოღვაწეობა, ბაგრატის ხელისუფლების ხანაში, დასტურდება „ქართლის ცხოვრების“, ზევდგინძეთა საჩივრის წიგნისა და XIV ს. II ნახ. რამდენიმე ისტორიული სიგელით. როგორც ჩანს, გიორგის „განსაკუთრებული დამოკიდებულება“ აქვს ლიხთ-იქითისადმი — იგი გარკვეულ პერიოდებში ცენტრის მიერ უნდა იგზავნებოდეს დას. საქართველოში მისი შემოქმედების მიზნით, სადაც იგი უპირისპირდება ჩვენს მიერ ზემოაღნიშნულ ლიხთ-იქითის „მეფეებს“ და იწყებს „მეფის“ ტიტულით მოქმედებას. „ახალი ქართლის ცხოვრების“ მეორე ტექსტის მიხედვით, როცა თემურ-ლენგი 1386 წელს შევიდა თბილისის ციხეში, „მაშინ გიორგი მეფე წარვიდა და მივიდა სამწევრისს“, საიდანაც შემდეგ „აღიყარა მეფე გიორგი ლიხთ-იმერეთით“ (26, 449). როგორც ჩანს, მაინცდამაინც ამ რეგიონში „მეფე“ გიორგის გადასვლა არ არის შემთხვევითი, მას აქ შესაძლებელია ადრეც ჰქონდა გავლენა. საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ თ. ჟორდანიას აღნიშნავდა, ბაგრატის მეფობის პერიოდში, გიორგის „მეფის“ ტიტულით განმგებლობას საქართველოს ცალკეულ რეგიონებში — კახეთში 1377 წლამდე, ხოლო იმერეთში 1384—1395 წწ. (16, 190).

სწორედ გიორგის ლიხთ-იქითში გადასვლის პერიოდში, გორც ჩანს, მის საპირისპიროდ ლიხთ-იქითელ ბაგრატიონთა მავალი ბაგრატი ერისთავის ძე — ალექსანდრე 1387 წელს „მეფის“ ტიტულით იწყებს მფლობელობას და ამ რეგიონის „პროვინციით მეფედ“ გვევლინება. „ახალი ქართლის ცხოვრების“ მეორე ტექსტის ავტორი ასეთ ბაგრატიონს სპეციალურ ტერმინსაც უძებნის: „იმერელთ მეფე“ (26, 476). ეს ალექსანდრე 1372 წელს მისი მამის — ბაგრატი ერისთავის გარდაცვალების შემდეგ ერისთავობს „მორჩილებასა შინა“ ბაგრატი V დიდისა, მაგრამ როცა 1386 წელს თემურლენგი მოვიდა თბილისს, „იცა ჟამი ალექსანდრემ“, „განდგა“, ვახუშტის ტერმინით, „დაიპყრა“ ლიხთ-იქითი და „იწოდა მეფედ“. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ამ დროს გადავიდა ლიხთ-იმერეთში, შექმნილი შინაპოლიტიკური ვითარებისა და გამწვავებული საგარეო ფაქტორის შედეგად, ვერაფერი გააწყო ლიხთ-იქითელი „პროვინციის მეფის“ წინააღმდეგ — ვახუშტი ხაზს უსვამს, რომ ეს შესაძლებელი გახდა „ვინაითგან მიელო ძალა“ გიორგი VII.

ასეთ ვითარებაში ბუნებრივიც ჩანს, მეფე ბაგრატი V დიდს, რეგიონში არსებული სეპარატისტული ტენდენციების გამო, გიორგი ბატონიშვილისათვის საგანმებლოდ გადაეცა ქვეყნის ეს მხარე მისი ცენტრისათვის შემოსამტკიცებლად. სამეფო ხელისუფლების ჩანაფიქრით, ეს იქნებოდა ქმედითი კონტროლისძიება ლიხთ-იქითის „მეფეთა“ წინააღმდეგ ბრძოლაში. რადგან მოწინააღმდეგე მხარე „მეფის“ ტიტულით მოქმედებს, არ არის გამორიცხული, ამ ბრძოლაში გიორგის სტატუსის ასაწევად, თავად ცენტრს მიენიჭებინა მისთვის ეს წოდება. არც ის არის მოულოდნელი, „პროვინციის მეფეთა“ ეპოქის ხასიათიდან გამომდინარე და შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, გიორგი ბატონიშვილს თავად დაეწყო ამ რეგიონში „მეფის“ ტიტულით მმართველობა. ასეთ მოვლენას, რომელიც XV საუკუნეშიც პოულობს თავის გამოვლინებებს, ადგილი უნდა ჰქონოდა უკვე XIV ს. II ნახევრიდან, როცა განსაკუთრებით გაძლიერდა დას. საქართველოს ჩამოშორების საშიშროება და მოქმედება გააფართოვა მთელმა შტომ ე. წ. ლიხთ-იქითის „პროვინციის მეფეებისა“. ასეთი სტატუსის — „მეფობის“ მქონე პირველი ბატონიშვილი, რომელიც სამეფო ტახტის გადაწყვეტილებით იბრძვის „ძეთაგანი ნარინ დავითის“ წინააღმდეგ, უნდა იყო გიორგი VII.



მან უკვე 1386—1387 წწ., თუ უფრო ადრეც არა, აქვს ასეთი ტიტული და შესაბამისი უფლებბრივი მდგომარეობაც. ეს ვახუშტიდანაც კარგად ჩანს: 1387 წელს ალექსანდრე ლიხთ-იქითელი „მეფე“ „ეკურთხა გელათს“ და არა ქუთაისს, „რამეთუ ქუთათისი ჯერეთ ეპყრათ გიორგისავეთა“ (20, 803). ამდენად, გიორგის გადასვლა ლიხთ-იქითში არ არის შემთხვევითი, სადაც მებრძოლი ბატონიშვილი „მეფის“ ტიტულითაც იწყებს მფლობელობას. ლიხთ-იქითელი „პროვინციის მეფე“ ალექსანდრე (1387—1389) მიმართავს საპირისპირო ზომებს, ცდილობს „მოიმტკიცოს იმერნი და ბრძოლა ციხეთა იმერეთისათა, რომელნი ეპყრნეს მეფესა ბაგრატს და ძესსა მისსა გიორგის“ (20, 803). როგორც ჩანს, გიორგის ქმედითი ღონისძიებების გამო ალექსანდრეს მდგომარეობა ვერ გასცილდა „პროვინციის მეფეთა“ უფლებბრივ მდგომარეობას, ამიტომ როცა იგი „ეზრახა“ დადიან-გურიელს, შარვაშიძეს და სუანთა, მათ „არა ინებეს, რამეთუ შიში აქუნდათ ჯერეთ ბაგრატ მეფისა და ეგნენ ერთგულებას მისსა ზედა“ (20, 803). თუმცა საქართველოს სამეფო ტახტი და ლიხთ-იქითში „მეფის“ ტიტულით მოქმედი ბატონიშვილი ყოველთვის ვერ აღწევს წარმატებას: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, როცა 1389 წელს გარდაცვლილი ალექსანდრე ლიხთ-იქითელის ადგილზე „დაჯდა მის წილ“ ძმა გიორგი, ვახუშტის სიტყვებით, მან „უმეტესად დაიპყრა იმერეთი და აღიხუნა ციხენი ბაგრატ მეფისა და გიორგისანი...“ (20, 803). როგორც აქ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტებიდანაც ჩანს, მიუხედავად ბაგრატ V მეფობისა, ლიხთ-იქითში ყოველთვის ხაზი ესმება მისი ძის — ბატონიშვილი გიორგის უფლებბრივ მდგომარეობას თუ სტატუსს.

როგორც კი საქართველოს სამეფო ხელისუფლებას თემურ-ლენგისაგან ოდნავი მოსვენება ეძლევა, მაშინვე ბატონიშვილი გიორგი ანახლებს ბრძოლას ლიხთ-იქითელ „მეფეთა“ წინააღმდეგ — 1387 წლიდან 1394 წლამდე შემოსევებს თემურის მხრიდან ადგილი არ ჰქონია, ამ შედარებითი სიმშვიდით არ შეიძლება არ ესარგებლა გიორგის: 1392 წელს გიორგი ლიხთ-იქითელი „მეფის“ გარდაცვალების შემდეგ გიორგი ბატონიშვილი, ჯერ კიდევ მეფე ბაგრატ V მეფობის ხანაში, „ჩამოვიდა“ ლიხთ-იმერეთში „განზრახვთა ვამიყ, დადიანისათა“ და „დაიპყრა კუხლად იმერეთი“. ის, რომ ამ პერიოდებში ყოველთვის გამოპყოფენ და ხაზს უსვამენ გიორგის პერ-



სონას, ლაპარაკობს მის „განსაკუთრებულ სტატუსზე“ საქართველოს ამ მხარეში.

1394 წელს კვლავ განახლდა თემურ-ლენგის შემოსევები, წინა წელს კი გარდაიცვალა საქართველოს მეფე ბაგრატ V დიდი. შექმნილი ვითარებით უნდა ესარგებლად ლიხთ-იქითელ სეპარატისტულად განწყობილ ბაგრატიონებს: 1396 წელს აღნიშნული სიტუაცია მოხერხებულად გამოიყენა ზემოაღნიშნულმა ბასიანს ლტოლვილმა კონსტანტინემ, რომელიც „ყვეს მეფედ იმერთა“, ხოლო 1393 წელს საქართველოს სამეფო ტახტზე ოფიციალურად კურთხეული მეფე გიორგი VII ველარ წინააღმდეგა კონსტანტინეს, რომელიც „მცდელობდა გამკვდრებასა იმერეთისა“, რადგან გიორგი იყო „უცალო“ თემურ ლენგისაგან“ (20, 804) აღწერილი ვითარებიდან, როგორც ვხედავთ, კარგად იკვეთება საგარეო ფაქტორის როლი „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის არსებობის საკითხში.

გიორგის სტატუსის მსგავსი ბატონიშვილები, რომელნიც ცენტრის ჩანაფიქრით „მეფის“ ტიტულით მოქმედებენ ლიხთ-იქითში, უფრო ხშირად გვხვდებიან XV საუკუნეში; როგორც ჩანს, ეს სპეციალურად შემუშავებული ინსტიტუტია, კონტროლისძიებაა მიმართული განყოფისა და სეპარატიზმის წინააღმდეგ.

ლიხთ-იქითის „მეფეთა“ არსებობა იგივე კატეგორიის მოვლენაა, როგორც „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტი. ლიხთ-იმერეთის პოლიტიკური და ისტორიულ-გეოგრაფიული იზოლირებულობა, ორმეფობა და გარკვეულ პერიოდში ორი სამეფო ტახტის არსებობა, განყოფის ტენდენციის სიძლიერე და დასაყრდენი ვასალური ფენის არსებობა ქმნიან ნიადაგს ლიხთ-იქითის „მეფეთა“ შტოს წარმოსაქმნელად. რაც შეეხება ამ შტოს დამცნობის ხანას, ასეთად, ჩვენი აზრით, ჩანს XV ს. დამდეგი და იგი კვლავ გიორგი VII სახელს უკავშირდება. როცა 1402 წელს ვახუშტის მიხედვით „ჩალიანში“ მოკლეს კონსტანტინე ლიხთ-იქითელი „მეფე“, გიორგი VII „მოიცალა“ და თუმცა ლიხთ-იქითელთა ჩამომავალი დიმიტრი „მცდელობდა მეფობასა“, მას უკვე „არღარა ვინ დაემორჩილებოდნენ მეფობისათვის“ — ამას შედეგად ლიხთ-იქითის „პროვინციის მეფეთა“ შტოს „გალარბება“ მოჰყვა.

თ ა ვ ი IV

**შინაპოლიტიკური ბრძოლა და
„პროვინციის მეფეები“ XV ს. საქართველოში**

XV ს. საქართველო გიორგი VII მეფობის ხანით შეხვდა. მალე იგი გარდაიცვალა (+1407 წ.) და სამეფო ტახტზე მისი ძმა — კონსტანტინე I ავიდა. ქვეყნის მოსამძლავრებლად მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება იყო საჭირო, მაგრამ მისი მეფობის დასაწყისშივე სამეფო სახლში „ბატონიშვილობის“ საკითხის მკვეთრი გამწვავებით აღინიშნა. 1407 წელს კონსტანტინე მეფესა და მის შვილს — მომავალ ალექსანდრე I შორის არსებულ კონფლიქტს ამ უკანასკნელის სამეფო ცენტრისაგან ჩამოშორება მოჰყვა, იგი „ლარიზობის“ წლებს სამცხის მთავრის ივანე ათაბაგის სახლში ატარებს. ალექსანდრე, რომელსაც თავიდანვე ქვეყნის მომძლავრება და ერთიანობის შენარჩუნება ჰქონდა მიზნად, არ სარგებლობს შექმნილი ვითარებით და ზოგიერთ სხვა ბატონიშვილისა თუ გვერდითი შტოს ბაგრატიონთა მსგავსად არ იჩემებს „პროვინციის მეფობას“.

1412 წლიდან სამეფო ტახტზე ადის ალექსანდრე I დიდი. მის სახელს უკავშირდება არაერთი პროგრესული ღონისძიება თუ რეფორმა, რომელიც სახელმწიფოში არსებული სეპარატისტული და დაშლის ტენდენციის წინააღმდეგ იყო მიმართული. მიუხედავად მთელი რიგი მნიშვნელოვანი ძვრებისა, ამ მოვლენების შეჩერება შეუძლებელი აღმოჩნდა. სწორედ განსაკუთრებით ალექსანდრეს ხანიდან შეიმჩნევა სამეფო ოჯახის წევრთა და ბატონიშვილთა გავლენა სამეფო საქმეებზე, რომელთა ინტერესები მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ სახელმწიფო პოლიტიკას (190, 430).

ალექსანდრე I დიდს პირველი თანამეცხედრისაგან — გულახ-
დუხტისაგან (იგი 1414 წ. გარდაცვლილი ჩანს) ჰყავს შვილები ვახ-
ტანგი და დიმიტრი, მეორე მეუღლისაგან — თამარისაგან კი გი-
ორგი და დავითი, ზოგიერთი ცნობით ზაალიც. ამ მრავალრიცხო-
ვანმა ბატონიშვილებმა, XV ს. საქართველოში შექმნილი ვითარები-
დან გამომდინარე, ბუნებრივია, გარკვეული როლი ითამაშეს გამ-
წვავებული „ბატონიშვილობის“ საკითხისა და სეპარატიზმის —
დაშლის ტენდენციის გაძლიერებაში. ისიც გასათვალისწინებელია,
რომ მაინცადამაინც ალექსანდრეს მიაწერენ ისტორიული დოკუმენ-
ტები საქართველოს დაშლა-განაწილებას (ამ საკითხზე შევჩერდე-
ბით ჩვენი ნაშრომის შესაბამის თავში დაშლის შესახებ). ყურად-
ღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ ალექსანდრე მეფის შვილები
მამის სიცოცხლეში მთელ რიგ დოკუმენტებში მეფის ტიტულით
მოქმედებენ.

ასეა 1429 წლის მცხეთის სიგელში, რომელიც ალექსანდრე
მეფის შვილის ვახტანგის მიერ არის ბოძებული ურდოელისა და
მისი შთამომავლებისათვის (108, 14—15). საინტერესოა, რომ სი-
გელზე პირველი ხელმოწერა ვახტანგს ეკუთვნის: „ქ. მე ვახტანგსა
დამიტკიცებია“; ტექსტს თან ახლავს გაგრძელება: „ალექსანდრე
ვამტკიცებ ნებითა ღ'თა“ (22). ისიც აღსანიშნავია, რომ ამ ურდო-
ელს და მის შთამომავლებს პირადად ალექსანდრე კუთვნილ მამუ-
ლებს ცალკე სიგელით ცოტა მოგვიანებით უმტკიცებს (1438 წ.)
(54, 124—126).

1433 წლის სიგელში ალექსანდრე მეფე ვახტანგს თავად მოიხ-
სენიებს მეფის ტიტულით (108, 15; 28). ასევეა 1438 წლის მცხეთის
სიგელში, რომელიც ალექსანდრე მეფის მიერაა ბოძებული (108,
20).

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „ის გარემოება, რომ ალექსანდრე
რატომღაც იძულებული იყო თავისი ვაჟიშვილი ვახტანგი მეფედ
მოეხსენებინა, ამჟღავნებს იმ გარემოებას, რომ მეფის ოჯახში რა-
ღაც ისეთი განხეთქილება მომხდარა, რომელმაც აიძულა ასე არა-
ჩვეულებრივად მოქცეულიყო და თავისი სიცოცხლის დროსაც თა-
ვისი ვაჟიშვილი მეფედ მოეხსენებინა“ (191, 431). ჯ. ოდიშელი
თვლის, რომ ეს მომენტი თანამოსაყდრეობით უნდა აიხსნას. ამ
შემთხვევაში ერთი გარემოება იქცევს ყურადღებას: XV ს. 30-იანი

წლების საბუთებში ალექსანდრე დიდი ვახტანგს მეფედ მოიხსენიებს, 40-იანი წლების დამდგენისათვის კი იგი უკვე მეფედ აღარ იწოდება (108, 23). დგება საკითხი — თუ თანამოსაყდრეობასთან ვაქვს საქმე, მაშინ რატომ ამ ბოლო პერიოდის საბუთებში იგი აღარაა მეფად დასახელებული?! ამიტომაც თვლის ნ. ბერძენიშვილი, რომ აქ შეიძლება მეფის მიერ უფლისწულისადმი ქვეყნის რომელიმე ნაწილის „მინებება“ (და შეიძლება არც მთლად ნებაყოფლობით) ვიგულისხმობთ (82, 134). ვფიქრობთ, რომ ვახტანგი ამ პერიოდში „პროვინციის მეფე“ უნდა ყოფილიყო.

ამ მხრივ ძალზე საინტერესოა მეორე ძის დიმიტრის ისტორია. ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოქვეყნებული საბუთებიდან ძალზე მნიშვნელოვანი საბუთი Sd 1242, რომელიც, მისი სიტყვებით, არის ცოცხალი სურათი XV საუკუნის ფეოდალური ზემო ქართლიდან (80, 20).

როგორც ირკვევა, გამეფებულმა ვახტანგ IV-მ 1442 წელს თავის ძმას — „პატრონსა“ დემეტრეს გადასცა „წყალს იქით“ ანუ ქართლის გაღმა მხარი, ამიერიდან მტკვრის გაღმა მხარის ფეოდალები დემეტრეს ყმები არიან. ვახტანგს არ უნდა თაყაის მინებება დემეტრესადმი, რადგან იგი მეფისათვის ხელმიუწვდომელი გახდება, რატომაც მის მამულსა და ციხეს ჩიუავაძეს ველარ „მიანებებს“. გამრეკელ-ჯაკახიშვილის დახმარებით თაყა ფანასკერტელ-ციციშვილი დემეტრეს ყმა შეიქნა, ამით იგი ვახტანგ მეფისაგან „წაჯდენას“ გადარჩა. აქედან კარგად ჩანს, რომ დემეტრე სუვერენული მმარ, თველია თავისი გარკვეული იმუნიტეტით, ამიტომ მას აღარაფერი უშლის ხელს თავის თავს „მეფე“ უწოდოს. ვახტანგ მეფეს სურს თაყაის „ველთ შეპყრობა“, მაგრამ ამას ვერ ახერხებს დემეტრეს გამო, რადგან, როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, იცის, რომ ასეთი რამ მას ადვილად არ ჩაუვლის (80, 22).

ყურადღებას იქცევს, თუ რა ტერიტორიას ღებულობს დემეტრე „პროვინციის მეფე“ სამფლობელოდ. ეს არის ე. წ. „წყალს იქით“ ანუ გაღმა მხარი, რომელიც ისტორიულ-გეოგრაფიულ „მიკრო-ქვეყანას“ წარმოადგენს. „პროვინციის მეფისათვის“ ასეთი რეგიონის მინებება არ უნდა იყოს შემთხვევითი, რადგან ისინი სწორედ ასეთ „ქვეყნებში“ პოულობენ ან ღებულობენ სოციალურ საყრდენს — ვასალებს და შემოსავლის წყაროს.

„წყალს იქითი“ — გაღმა მხარი ეს იგივე სათარხნო, საჯავახიანო, საციციანოა, რომელიც სავსებით გამოდგებოდა ამ პერიოდში „პროვინციის მეფის“ სამფლობელო-საჯდომად. იგი როგორც იზოლირებული ისტორიულ-გეოგრაფიული მიკრორეგიონი უკვე ადრევე არსებობდა. VII ს. სომხური გეოგრაფია შიდა ქართლის გაღმა მხარეში ახსენებს ტუნისხევს, ე. ი. ტანისხევს. ჯ. გვასალიას აზრით, ეს იმაჲ ნიშნავს, რომ ტანისხევი რამდენიმე ხევის გამაერთიანებელი ყოფილა (92, 26, 150). ტანისხევი იგულისხმება თეძამ-ატენის ხეობანი და მათ შორის მდებარე ტერიტორია. დ. მუსხელიშვილი აღნიშნავს, რომ ამ პერიოდში ტანისხევი მთელი შიდა ქართლის გაღმა მხარს უნდა მოიცავდეს, იგი შეიძლება დასავლეთისკენაც ყოფილიყო გაზიდული და ძამის ხეობაც მასში შედიოდეს (149, 192). ეს „ქვეყანა“, როგორც ჩანს, შემდეგ საუკუნეებშიც ასე დარჩა ერთხელ ჩამოყალიბებულ ბუნებრივ-გეოგრაფიულ საზღვრებში. გაღმა მხარის, როგორც გარკვეული ერთიანი ერთეულის, მფლობელები იყვნენ: მცხეთის ეკლესია, ორბოძლელნი, ისევ მცხეთა, ჩიყვაძე-საზურელნი, ჯავახიშვილები, ციციშვილები. როცა ფანასკერტელები გადმოსახლდნენ ქართლში, გაღმა მხარი უკვე ჩამოყალიბებული „ქვეყანა“ უნდა ყოფილიყო. „წყალს იქითის“ იზოლირებულობას გარკვეულად ხელი შეუწყო ამ რეგიონში ფანასკერტელ-ციციშვილთა დამკვიდრებამ, შემდეგ კი მათი სათავადოს ჩამოყალიბებამ. „საციციანო ქვეყნის გადაჭიმვას ვრცელ ტერიტორიაზე გააჩნდა თავისი ეკონომიკური და, მაშასადამე, აუცილებელი ისტორიულ-გეოგრაფიული წანამძღვრები. საციციანო პოლიტიკური მემკვიდრეა რატი ბაღვაშის სამთავროსი“, — აღნიშნავს ჯ. გვასალია (92, 129). გაღმა მხარი გვიან საშუალო საუკუნეებში ადმინისტრაციულ ერთეულადაც ჩამოყალიბდა: XVI ს. ქართლის სამეფო დაიყო ოთხ სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულად, სადროშო ანუ სასარდლოდ. შიდა ქართლის ტერიტორიაზე იქმნება 3 სადროშო. მესამე სადროშოში შედიოდა სამუხრანბატონო, არაგვი და ქსანი, მეორე სადროშოში — ქსნის დასავლეთით მდებარე მიწები ხეფინისხევამდე, მეოთხე სადროშოში კი გაღმა მხარი (92, 62).

ასეთ ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონში 1442 წლიდან იწყებს „პროვინციის მეფობას“ დემეტრე ალექსანდრე დიდის ძე. ამ ტერიტორიაზე მსხდომი ფეოდალები თავიანთი ვასალებით დე-

მეტრეს ყმები ხდებიან — ესაა ამ „პროვინციის მეფის“ შემოსავლის წყარო და საარსებოდ აუცილებელი დასაყრდენი სოციალური ფენაც. დიმიტრის ერთგულნი არიან ციციშვილები, მათ ვადმოსახლებას ამ რეგიონის მფლობელთა ჩიყავასძეთა შევიწროება მოჰყვა. Sd-1242 საბუთიდან ჩანს, რომ XV ს. შუა ხანებში ჩიყავასძენი აღარ არიან გაღმა მხარის მფლობელნი, ვახტანგ მეფე ცდილობს „წყალს იქითი“ მათ მისცეს და ჩიყავასძეს ამის საბუთიც აქვს, მაგრამ საწადელს ვერ აღწევს (80, 68). „წყალ იქითელი“ დარბაისელნი ჩანან მიწობელნი და თურმანისძე საგია.

დემეტრეს მფლობელობაზე ლაპარაკობს ქართლის ცხოვრებაც: როცა ალექსანდრე დიდმა „დასუა“ ვახტანგი ქართლსა და იმერეთს, „მასთან დააყენა უმრწემესი ძმა მისი დიმიტრი“ (32, 475). მაჩაბლი-სეული ნუსხის მიხედვით კი ალექსანდრემ დიმიტრის მისცა ქართლი (34, 340). უდავოა, რომ დიმიტრის მიერ ქართლის გარკვეული ნაწილის ფლობას მისი მამის — ალექსანდრე დიდის სიცოცხლეშივე უნდა ჰქონოდა ადგილი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „წყალს-იქითის“ მამული მის საუფლისწულოს წარმოადგენდა, სადაც დიმიტრის ჰყავდა თავისი „გამზრდელ-გაზრდილები“, ხოლო 1442 წელს, ალექსანდრე I დიდის გარდაცვალების შემდეგ, მისმა ძმამ, საქართველოს მეფემ ვახტანგ IV სცნო არსებული ვითარება. შემთხვევითი არაა, რომ დიმიტრი აქტიური პოლიტიკური ფიგურა ჩანს 1442 წლამდეც. პასან რუმლუსთან ვკითხულობთ: „იმ დროს ალექსანდრემ, საქართველოს გამგებელმა, თავისი ძე, სახელად დემეტრე, ზეცასავით დიდებულ სასახლეში გაგზავნა“, დიმიტრი პატივით მიიღეს და მისიაც წარმატებით იქნა შესრულებული (134, 79). ვახუშტისთან კი ვკითხულობთ, რომ 1433 წ. „გამოჩნდა კაცი შარუხი... და შემოვიდა სომხითს“, „ამისთვის აღიღო მეფემან (ალექსანდრე I დიდმა, — დ. ნ.) ძღუენი დიდი და ძე თვისი დიმიტრი წარავლინა ქსა ჩუღე, ქართულსა რკგ და მოითხოვა მშვიდობა“ (36, 281). დიმიტრის შაჰროხმა პატივი სცა და საქართველოსათვის ზავიც მიღწეულ იქნა.

ჩვენამდე არაერთმა ისტორიულმა დოკუმენტმა მოაღწია, სადაც დიმიტრი ან მეფის უფლებებით არის მოხსენიებული, ან მათ ამ ტიტულით თავად ამტკიცებს თუ გამოსცემს.



საინტერესოა სავენახეს ნასყიდობის წიგნი დიმიტრი მეფის დარიბეგაშვილებისადმი (1445 წ.) (56, 818; 57, 257). სიგელი დაწერილია 1445 წელს, მას აქვს ხელრთვა „მეფე დიმიტრი“ და „არხიმანდრიტი ელევთერ“. „პროვინციის მეფის“ მიერ გამოცემულ დოკუმენტში ზუსტად ისეთი რეალიებია (მაგ., „ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და მოგყიდეთ...“) დაცული, როგორც კანონიერი მეფეების სიგელების შემთხვევაში გვაქვს. როგორც ჩანს, ეს პროცედურა ისევე ხდებოდა, როგორც საქართველოს მეფეების სამეფო კარზე. ამ სიგელის ერთი პირი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (14), სხვა პირები სახ. საისტორიო არქივში (21).

დიმიტრი მეფეთ-მეფის ტიტულით იხსენიება ცაიშის ტაძრის საწინამძღვრე ჯვრის წარწერასა (57, 270) და სიგელში ცაიშელი მთავარეპისკოპოსისა ლაბსყელდაშისადმი (49, 103—104). ამ სიგელს ვ. სილოგავა 1445—1452 წწ. ათარიღებს. ისტორიული პირებია: დიმიტრი „პროვინციის მეფე“, დანიელ ცაიშელი მთავარეპისკოპოსი, ერისთავთ-ერისთავი ოზბეგ დადიანი. ამდენად, დიმიტრის გავლენა ჰქონია სამეგრელო-სვანეთზეც.

შოთ-მღვიმის ერთ-ერთ ეტრატზე არსებული წარწერის მიხედვით დემეტრე „მეფის“ ტიტულით მამულებს უბოძებს მღვიმის კრებულს (171, 74). თ. ჟორდანიას წარწერას ათარიღებს 1445—1450 წწ. 1450 წ. მას მამულები უწყალობებია თბილისის სიონისთვისაც (27; 65, 52).

ს. კაკაბაძე აქვეყნებს მეფე დიმიტრის სასისხლო სიგელს კაპანაძისადმი, სადაც დიმიტრის მეავჯანდეებად დასახელებულნი არიან დადიანი და გურიელი. მკვლევარი მას ალექსანდრე I დიდის შვილად თვლის; რადგან დიმიტრის მეავჯანდეები დადიანი და გურიელი არიან, ამიტომ იგი აფხაზეთ-იმერეთის მფლობელი უნდა იყოსო (119, 12). ს. კაკაბაძე ითვალისწინებს იმ ცნობებს, სადაც ალექსანდრე I დიდის სხვა შვილები — გიორგი და ვახტანგი მამის სიცოცხლეშივე მეფედ იწოდებიან. ამიტომ შესაძლებლად თვლის დიმიტრის მეფობასაც, თან დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. ვფიქრობთ, რომ ეს სასისხლო სიგელი მართლაც დიმიტრი „პროვინციის მეფეს“ უნდა ეკუთვნოდეს. შესაძლებელია დიმიტრი „წყალს იქითის“ „პროვინციის მეფეს“ თავისი ხელისუფლების გასაძლიერებლად კავშირი გაეხადებინა ლიხთ-იქითელ დიდებულებთან, აქე-

დან გამომდინარე, გავლენა მოეპოვებინა დასავლეთ საქართველოს გარკვეულ ტერიტორიაზეც. ცნობილია, რომ დიდგვარიანი ფეოდალები ლიხთ-იმერის თუ ლიხთ-ამერის მეფეს ემხრობოდნენ არა ამ მეფეთა სადაურობის მიხედვით, არამედ თავიანთი ფეოდალური ინტერესებიდან გამომდინარე. ამიტომ დიმიტრის, რომელსაც ძირითადი გავლენა და მფლობელობა ჰქონდა აღმ. საქართველოში, როგორც ჩანს, „ეზრახა“ ზოგიერთი ლიხთ-იქითელი ფეოდალი. საერთოდ, სხვა წყაროებითაც ხომ ჩანს, რომ მას გარკვეული უფლებები აქვს დასავლეთ საქართველოშიც, კერძოდ, ცაიშის ტაძრის საწინამძღვრე ჯვრის წარწერითა და სიგელით ცაიშელ მთავარეპისკოპოსისა ლაბსყილდაშისადმი ირკვევა, რომ მას გავლენა აქვს სამეგრელო-სვანეთში. ამ ბოლო სიგელით მისი გარკვეული კავშირი ჩანს დადიანებთანაც. დიმიტრის „მეფობას“ ადასტურებს იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ შემავალი „საქართველოს ისტორიაც“ (128, 287).

დიმიტრი მეფედ იხსენიება არა მარტო თავის სიცოცხლეში, არამედ გარდაცვალების შემდეგაც — კონსტანტინე II და ბაგრატ VI 1475 წ. სიგელში ვკითხულობთ: „მეფეთ მეფისა დემეტრესი ძემან, პატრონმან აღმაშენებელმან კონსტანტინე“ (47, 42). ალბათ იმასაც უნდა გავსვას ხაზი, რომ დიმიტრის მეუღლე გულანშარი, დედოფლის ტიტულს ატარებს (32, 476, 57, 289).

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ დიმიტრის ამბიციებს იურიდიულად გარკვეული კანონიერი საფუძველი ჰქონდა. ვახტანგ IV გარდაცვალების შემდეგ (+1446) სამეფო ტახტის პატრონი ზღვება გიორგი VIII, რომელიც დიმიტრიზე უმცროსი და თან ალექსანდრეს ვაჟი იყო მეორე ცოლისაგან. ამიტომ, ბუნებრივია, ვახტანგის გარდაცვალებისას დიმიტრის, რომელსაც 1442 წლიდან „მეფის“ ტიტულით მფლობელობა აქვს „წყალს-იქითში“ — გაღმა მხარში და, საერთოდ, აქტიური პოლიტიკური ფიგურაა, თავისი პრეტენზიები განეცხადებინა და ძალაუფლების მოსაპოვებლად გარკვეული ღონისძიებებისადმი მიემართა. ალბათ სწორედ ეს მომენტები აისახა ქართლის ცხოვრებაში: „ამასვე ქორონიკონსა (1447, — დ. ნ.) მეფე ვახტანგ მიიცვალა, და არა ესუა ძე. და დაჯდა მის წილად უმრწემესი ძმა მისი დიმიტრი. და ჰყვა მეუღლედ დედოფალი გულანშარი და მეფობდა კეთილითა და მშვიდობის-მყოფელობისა მეფობითა“

(32, 476). საინტერესოა, რომ ნუმიზმატები შესაძლებლად თვლიან, რომ „მეფეებად“ წოდებულ მფლობელებს მონეტები ეჭრათ. ლანგლუა, სხვათა შორის, ვარაუდობდა დიმიტრი „მეფის“ მიერ მონეტების ემისიას — XV ს. ქართული არაერთი გაურკვეველი მონეტის არსებობის გამო, ამ მოსაზრების სისწორე კითხვის ქვეშ არის დაყენებული (141, 5, 9), მაგრამ თავად ფაქტი, რომ ავტორს შესაძლებლად მიაჩნია დიმიტრის მიერ ფულის მოჭრა, კარგად ლაპარაკობს ამ ბაგრატიონის მფლობელობის რაობაზე.

იმ მკვლევართათვის, რომლებიც არ იცნობდნენ „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტს, ასეთი ბაგრატიონების მოღვაწეობის შინაარსი გაურკვეველი დარჩა, ამიტომ ისინი საკითხის არსს სხვადასხვაგვარად ხსნიდნენ. მაგ., პ. კარბელაშვილი აღნიშნავს: „მეფე გიორგი VIII რომ შინ და გარეთ ებრძოდა სამეფოს მტრებსა, შინაურ საქმეებს განაგებდა მისი ძმა დიმიტრი“ (127, 107). ცხადია, პრობლემის ასეთი ახსნა არ არის სწორი.

დიმიტრი „პროვინციის მეფე“ მოულოდნელად გარდაიცვალა: „შემდგომად ნადირობასა შინა მოკლა ცხენმან დიმიტრი ძე ალექსანდრე მეფისა და ძმა გიორგი მეფისა ქსა ჩ'უნბ, ქართულსა რ'მ“ (1452 წ.), — აღნიშნავს ვახუშტი (36, 284); ახალი ქართლის ცხოვრებაში კი ვკითხულობთ: „ქორონიკონსა რ'ნა: მიიცვალა მეფე დიმიტრი, და დარჩა ძე მისი კოსტანტინე“ (32, 476). საინტერესოა კათალიკოს ნიკოლაოზ ამილახვარის XVII საუკუნის გუჯარი, საიდანაც დასტურდება დიმიტრი „პროვინციის მეფის“ ქართლში მფლობელობის ფაქტი; აქვე ვგებულობთ „წყალს-იქითის“ მამულის შემდგომ ბედსაც — ალექსანდრე I დიდის შვილს გიორგი VIII-ს „მამული დიდი ნაქონი დიმიტრი ბაგრატიონისა“ შეუწირია სამთავისის ეკლესიისათვის (1; 184, 38—40).

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, ვფიქრობთ, უსაფუძვლოა თვალსაზრისი XV ს. მოღვაწე დიმიტრი იმერეთის ერისთავისა და დიმიტრი „პროვინციის მეფის“ გაიგივების შესახებ. მაგ., ს. კაკაბაძე თვლის, რომ საქმე გვაქვს ერთ პიროვნებასთან — ალექსანდრე I დიდის ძე დიმიტრისთან (105). დიმიტრი ერისთავი 1414 წ. გახდა, 1445 წ. ის გარდაიცვალა; დიმიტრი „პროვინციის მეფე“ კი 1452 წ. დაიღუპა. დიმიტრი ერისთავის და თამარი, ალექსანდრე I თანამე-

ცხედრეა, დიმიტრი „პროვინციის მეფე“ კი ამ ალექსანდრე დიდის შვილია.

ალექსანდრე I დიდის სიცოცხლეში მეფის ტიტულით მოღვაწეობს მისი მესამე ვაჟიც — გიორგი. ახალი ქართლის ცხოვრება აღნიშნავს, რომ ალექსანდრემ „დასუა“ კახეთს „მეფედ“ უმრწემესი ძმა დიმიტრისი, გიორგი, და მისცა ზემო-კერძონი მთის ალაგნი“ (32, 475, 476). 1446 წლის გუჯარით, გიორგი „მეფობს“ 1433 წლიდან, თან ამ დოკუმენტში მამამისი — ალექსანდრე I დიდი არ იწოდება „მეფეთ-მეფედ“ (100, 15). ნ. ბერძენიშვილი თვლის, რომ იგი მეფის ტიტულით მოქმედებს არა მარტო ალექსანდრე მეფის, არამედ თავისი ძმის ვახტანგ IV მეფობის ხანაშიც.

XV ს. „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის ისტორიის კვლევისას საინტერესოა ალექსანდრე I დიდის თანამეცხედრესთან — თამართან დაკავშირებული საკითხები.

როგორც ცნობილია, დიმიტრი იმერთა ერისთავის და „მოყვანა ალექსანდრეს ცოლად თამარ და ექმნა ქორწილი და ამით დაამშვიდნა იმერნი...“ (36, 279). ალექსანდრე I დიდის შვილებთან დაკავშირებულ ზემოაღნიშნულ ვითარებას ეხმიანება ამ თამარის „მეფეთ-მეფის“ ტიტულით მოხსენიება. განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ ამ დოკუმენტს თავად თამარი გამოსცემს. მხედველობაშია მამულების დამტკიცების სიგელი იაკობიძეთადმი (105, 2). ქორონიკონი არის 121 ანუ 1433 წელი; სიგელის ბოლოს ხვეულად აწერია: „თამარ მეფემან უმტკიცე“ (105, 3).


ს. კაკაბაძე თვლის, რომ რადგან თამარი მეფის ტიტულითაა, ამიტომ იგი არ შეიძლება იყოს ალექსანდრე I დიდის მეუღლე. სიგელი ბოძებულია „გელათის წინამდევთა“ იაკობიძეთა მიმართ, ამიტომ, მისი აზრით, თამარი არის დასავლეთ საქართველოს მეფეთა დინასტიის წარმომადგენელი (105, 4). ს. კაკაბაძის მიერ შემოთავაზებული გენეალოგია იხ. დანართში № 4.

ს. კაკაბაძე აღნიშნულ სტატიაში თვლის, რომ თამარი უნდა იყოს კონსტანტინე I ძის — ბაგრატ V მეუღლე, ბაგრატ V კი ალექსანდრე I დიდის ძმაა; თამარი, მკვლევარის აზრით, არის 1402 წელს მოკლული აფხაზეთის მეფის კონსტანტინეს (ამ ლიხთ-იქითის „მეფის“ შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი) ასული, რომელიც ტახტზე ასულა მამის (ცნობილია, რომ კონსტანტინეს ვაჟი არ

ჰყავდა) გარდაცვალების შემდეგ, 1402 წელს და ცოცხალია 1433 წლისათვის (105, 8). შემდეგ სარგის კაკაბაძემ შეიკვალა თავისი შეხედულება ამ საკითხზე: ასათიანთა სიგელის მონაცემებზე დაყრდნობით თამარს თვლის „პროვინციის მეფის“ ვახტანგ „გორგასალის“ თანამეცხედრედ. ამ სიგელში ვკითხულობთ: „საკვლმწიფოსა ტახტისა და გურიგუინისა მქონებელმან მეფეთმეფემ გორგასალ და დედოფალთ დედოფალმან ბატონმან თამარ“. მკვლევარი ასათიანთა და იაკობიძეთა სიგელების თამარს აიგივებს და თვლის ვახტანგ „გორგასალის“ მეუღლედ“ (119, 14—15, 62). ვახტანგ „გორგასალთან“ დაკავშირებულ საკითხებზე ქვემოთ შევჩერდებით. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ იაკობიძეთა სიგელის თამარის გაიგივება ვახტანგის მეუღლესთან არ უნდა იყოს სწორი.

ე. თაყაიშვილს ეჭვიც არ ებარებოდა, რომ იგი ალექსანდრე I დიდის მეუღლე იყო; თამარის ტიტულზე — „მეფეთა-მეფე“ კი ფიქრობდა, რომ ალექსანდრე მეფის თანამეცხედრე ასე იწოდებოდა დიდი თამარის მიბაძულობით, წარმომავლობით კი თამარს თვლიდა ლიხთ-იქითის „მეფის“ ალექსანდრეს დად (47, 371—372). უნდა აღინიშნოს, რომ თამარი იყო ამ ალექსანდრეს არა და, არამედ შვილი. იგი დაა ალექსანდრე ლიხთ-იქითის „მეფის“ ძის — დიმიტრი იმერთა ერისთავისა (36, 804).

რადგან თამარი ლიხთ-იქითელი ბაგრატიონია, ბუნებრივია, მას გავლენა ჰქონდა ამ რეგიონის ადგილობრივ ფეოდალებზე, შესაძლებელია, გარკვეული უფლებრივი მდგომარეობაც მოეპოვებინა და აქ „მეფის“ ტიტულით ეწარმოებინა თავისი საქმეები. აღსანიშნავია ალექსანდრეს განსაკუთრებული დამოკიდებულებაც ცოლისადმი. მაგ., „ალექსანდრემ სიყუარულითა ცოლისა თვისისა... მისცა კუალად ერისთაობა (დიმიტრის) იმერეთს“ (36, 804) და სხვ. ამიტომ სავარაუდოა, რომ ალექსანდრე I დიდმა, როგორც თავის შვილებს, ისე ცოლსაც მისცა სამფლობელო, რომელიც, თამარის დასავლური წარმომავლობის გამო, ლიხთ-იქითში მდებარეობდა. იაკობიძეთა სიგელით კიდევ დასტურდება მისი ასეთი მფლობელობა იმერეთში, სადაც თამარი „მეფეთ-მეფისა“ და „ყოვლისა საქრისტიანოსა აღმოსავლეთისა დასავლეთისა მპყრობელის“ ტიტულითაც კი მოიხსენიება.



ინტერესს იწვევს ალექსანდრე I დიდის ძმების — ბაგრატისა და გიორგის უფლებრივი მდგომარეობაც. შექმნილი ვითარებებიდან გამომდინარე არ არის გამორიცხული, რომ მათაც „პროვინციის მეფეების“ მსგავსი უფლებრივი მდგომარეობა თუ ადგილი მოეპოვებინათ. ბაგრატის მოღვაწეობის შესახებ გარკვეულად ლაპარაკი გვექნება ქვემოთ ვახტანგ „გორგასალზე“ საუბრისას. ეჭვს არ იწვევს სამეფოში გიორგის მნიშვნელოვანი უფლებრივი მდგომარეობაც. ამაზე თუნდაც ისიც ლაპარაკობს, თუ რა ადგილი დაიჭირა და როგორი როლი ითამაშა XV ს. შუა ხანების საქართველოს ცხოვრებაში მისმა შვილმა — ქართლ-იმერეთის მეფე ბაგრატ VI-მ. განსაკუთრებით ხაზგასასმელი კი არის სამთავისის „მეორედ აღმშენებლის“ წარწერა ეკლესიის დასავლეთ ფასადზე: „ჰოე დიდისა ამილახორისა თანამეცხედრესა, მეფეთ მეფისა ასულსა, მეორედ აღმშენებელსა გაიანეს შეუნდვნეს ღმერთმან. ამინ“.

როგორც ჩვენს ისტორიოგრაფიაშია გარკვეული, გაიანე, სამთავისის მეორედ აღმშენებელი, არის ბაგრატ VI და, ე. ი. ალექსანდრე I დიდის ძმის გიორგის ასული, რომელიც გათხოვილი ყოფილა XV ს. II ნახევრის ცნობილ ისტორიულ პირზე, გორის მოურავსა და ამილახორზე ამირინდო ზევდგინიძეზე (78, 571—572; 127, 109). როგორც წარწერიდან ვხედავთ, გაიანესა და ბაგრატ VI მამა გიორგი „მეფეთ მეფის“ ტიტულით არის მოხსენიებული, რაც XV ს. I ნახ. საქართველოს გარკვეულ რეგიონში „პროვინციის მეფობაზე“ უნდა მეტყველებდეს.

ასეთი ვითარებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ალექსანდრე I დიდის სამეფო პოლიტიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ოჯახის წევრთა და ნათესავთა ინტერესებმა. „ბატონიშვილობის“ საკითხი ძალზე გამწვავდა; გამრავლებული ბატონიშვილები და ნათესავი ბაგრატიონები ითხოვენ შემოსავლის წყაროს, სამფლობელო მიწებს, ვასალებს, რაც ამ პერიოდში ძალზე მცირეა. ამ დროს, 1442 წელს, ალექსანდრე მეფე ბერად აღიკვეცა და სვეტიცხოვლის ეგვტერში ცხოვრობს ათანასეს სახელით. ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით, „თავის ოჯახშივე ჩამოვარდნილი უთანხმოების გამწვავების ასაცილებლად, მან (ალექსანდრე დიდმა) ამჯობინა თავის პატივმოყვარე შვილისათვის მეფობა თვითონვე დაეთმო, ვიდრე განხეთქილება ჩამოეგდო და საქართველო განსაცდელში გაეხვია“ (190, 431). აქვე უნდა აღ-



ენიშნოთ, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმა მოუწევთ XV ს. საქართველოს სხვა მეფეებსაც.

XV ს. I ნახევარში მოღვაწეობს კიდევ ერთი „პროვინციის მეფე“ — დავითი. მასზე ცნობებს გვაწვდის მცხეთის გუჯარებიდან ერთ-ერთი სიგელი, რომელიც არ არის სასისხლო და დაწერილია კარგად ცნობილი მოღვაწის კლიმი კაკლაძის მიერ. სიგელში ვკითხულობთ: „...ჩუენ პატრონმან მეფეთ მეფემან დავით ძემან ჩუენმან ვახტანგ და დიმიტრიმ... შემოგწირეთ თქუენ დიდსა და ცათა მობაძავსა სვეტს ცხოველსა... ლორეს სოფელი ამუჭი... სოფელი დირსიელი... პირველად მამა პაპათავან შეწირული ყოფილიყო სვეტის ცხოვლისათუის მარმაშენის თავს სოფელი წყარო მრავალა და ვარდისუბანი და ფარვანასპირს სოფელი ასფარვანი და ფოკა... აწე ჩუენცა განვაახლეთ გუჯართა ამით და შევსწირეთ ჩუენსა სასოებასა სვეტს ცხოველს...“ (115, 23—25). სიგელს ხვეულად ამტკიცებს: „მეფეთა მეფე დავით ვამტკიცებ ნებითა ღთისათა ან“, იქვე ბეჭედი წარწერით: „მეფე ალექსანდრე“ (57, 228—229; 65, 102—103).

სიგელი ბოძებულია დავით „მეფის“ მიერ ქორონიკონს 113, ე. ი. 1425 წელს, მისი მეფობის 21 ინდიქტიონს. ამდენად, დავითის ხელმწიფობა თარიღდება 1404—1425 წწ. ამ პერიოდის ბაგრატიონთა გენეალოგიაში დავით „მეფე“ ცნობილი არ არის, ამიტომ აღნიშნულ სიგელს გარკვეული ეჭვით უყურებენ (57, 229). მაგრამ „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის არსებობა და, რაც მთავარია, თავად სიგელის რამდენიმე პირის სახით მოღწევა (23), სადაც გარკვევით იკითხება მეფის სახელი, ქორონიკონი, ინდიქტიონი, საფუძველს იძლევა ეჭვი არ შევიტანოთ ამ წყალობის წიგნის ნამდვილობასა და დავით „მეფის“ ისტორიულობაში.

სიგელიდან ჩანს, რომ დავითი ჯავახეთ-ლორე-სომხითის მხარის მფლობელია, რამდენადაც ამუჭი, დირსიელი მდებარეობენ ლორე-ტაშირში, ასევე სომხითში, მარმაშენის მხარეშია წყარომრავალი; ვარდისუბანი ახტალის ხევში მდებარეობს, ფარვანი და ფოკა კი ჯავახეთის კარგად ცნობილი ისტორიული სოფლებია.

ს. კაკლაძის აზრით, 1405 წელს გარდაიცვალა გიორგი VII და ამ დროს გამეფდა გარკვეულ რეგიონში ზემოაღნიშნული დავითი. მისივე ვარაუდით, რადგან გიორგი VII შემდეგ მისი ძმა კონსტან-

ტინე ავიდა ტახტზე, მერე კი კონსტანტინეს ძე ალექსანდრე, ამიტომ გიორგი VII შვილი არ ჰყოლია. ს. კაკაბაძე დავითს თვლის ბაგრატ V დიდის შვილად, ე. ი. გიორგი VII და კონსტანტინე I ძმად (115, 26). მკვლევარი მას ლორე სომხითის მხარის განმგებლად მიიჩნევს. სიგელში აღნიშნულ 1425 წელს დავით „მეფის“ მიერ საკათალიკოსო ტახტისადმი ამუჭის დამტკიცებას, მისი აზრით, მხოლოდ იურიდიული აქტის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, რადგან ამ დროს საკათალიკოსო ტახტს თითქოს არ შეეძლო თავის მფლობელობაში ჰქონოდა ეს ტერიტორია (115, 26). ასეთ დასკვნას ს. კაკაბაძე აკეთებს ალექსანდრე დიდის 1435 წ. სიგელზე დაყრდნობით, სადაც ლაპარაკია 1373 წელს გიორგი ალასტანელის დაღუპვის შესახებ. ამ სიგელით ირკვევა, რომ „აგარიანთაგან“ მიტაცებული მამულებიდან 1431 წელს ალექსანდრეს სოფ. ამუჭი და „მისნი შესავალნი“ შეუწირავს სვეტიცხოველისადმი. ამიტომ, როგორც ჩანს, ს. კაკაბაძე თვლის, რომ ამ დრომდე სოფ. ამუჭსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ქართველთ ხელი არ მიუწვდებოდათ.

დავით „მეფის“ მიერ ლორე-სომხითის მამულების მფლობელობის გასარკვევად საჭიროა განვიხილოთ საქართველოს სამხრეთი საზღვრის ცვალებადობის საკითხი XIV—XV სს-ში. ცვალებადობას კი სამხრეთი საზღვარი ხშირად განიცდის, რაც გამოწვეულია ერთიანი ქართული მონარქიის პოლიტიკური მდგომარეობის არასტაბილურობით და მეზობელი ქვეყნების ხშირი შემოსევებით. მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობიდან XIV ს. 30-იანი წლების ბოლომდე საქართველოს საზღვრებში შემოდის და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს როგორც უკიდურესი ქართული სამხრეთი რაიონები, ასევე სომხეთის გარკვეული ისტორიული პროვინციები. XIV ს. I ნახევარში საქართველო კარგავს ბაგრევანდს, დვინს, ნახჭევანს, მაგრამ მის შემადგენლობაში ისევა ანისი, კარი და მიმდებარე რეგიონები. ამ პერიოდის სახელმწიფო სამხრეთი სასაზღვრო ხაზი, წყაროთა მონაცემების მიხედვით, კარგად იკვეთება: საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შემოდის როგორც ქართული სამხრეთი მიწები — ლორე-ტაშირი, ასევე ჩრდ. სომხეთიც, რომელიც ქართულ სახელმწიფოებრიობასთან უშუალოდ იყო დაკავშირებული და მის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა.



XIV ს. 30-იანი წლების ბოლოსათვის დაკარგულია პროვინციების პირველი ნაწილი. XIV ს. II ნახევარში ბრძოლა მიმდინარეობს უშუალოდ ქართული სამხრეთი ისტორიული მიწებისთვისაც. 1373 წელს თურქმანებთან ბრძოლაში გიორგი ალასტანელი, რასაც ლორეს დაკარგვა მოჰყვა. 80-იანი წლების ბოლოს, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, სამხრეთში საჭირო პირობების გაქრობის შედეგად არსებობას წყვეტს ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ შტო. თემურ-ლენგის პირველი შემოსევების გამო საქართველოს სამხრეთი საზღვარი ჩრდილოეთისაკენ გადაადგილდა. იკარგება სომხეთის მნიშვნელოვანი პროვინციები. რაც შეეხება უკიდურეს სამხრეთ ქართულ მიწებს, საქართველოს ტახტი მათ დაკარგვას არ ეგუება, ხელსაყრელი პირობების არსებობის შემთხვევაში კი იბრძვის სომხური პროვინციებისთვისაც.

1373 წელს დაკარგული ლორე-ტაშირი თემურ-ლენგის პირველი შემოსევის ხანაში — 1386—1387 წწ. — კვლავ საქართველოს ტახტის მფლობელობის გარეთაა. ამ შემოსევით S საზღვარში, მართალია, დარჩა ანისი, მაგრამ კარი, გარნისი, ნახჭევანი უკვე მაჰმადიანთა ხელშია. მიუხედავად ამისა, ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით, ძველ უკიდურეს სამხრეთ სამფლობელოებთან კავშირი ჯერ კიდევ არსებობს (188, 179—180). ბუნებრივია, მიმდინარეობს ბრძოლა ლორე-ტაშირის დასაბრუნებლადაც. 1392 წლის ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარით ირკვევა, რომ XIV ს. 90-იან წლებში საქართველოს დაუბრუნებია გარკვეული სამხრეთი მიწები. ამ სიგელით მცხეთის საკათალიკოსო ტახტს სხვა მამულებთან ერთად ეკუთვნის: „სომხითს: ფარვანას-თავი, ფარვანი, სოფელი ფოკა; ტაშირს: სოფელი საბაწმინდა, კეთილდაბა; მარმაშენის თავს: სოფელი წყარომრავალი... ლორეს: სოფელი ამუქი ეკლესიითა და მამულითა, სოფელი დისარლი; ახტალას: კუამლი სომეხი ათი, მათითა მამულითა, კუალად ახტალის ქვეზე სოფელი ვარდისუბანი... ზვარეთს: სოფელი გოგია, სოფელი ალასტანი, სოფელი ზემო-გომი და გაღმა დიეში, სოფელი ბნელა...“ (55, 177—178).

როგორც ვხედავთ, XIV ს. 90-იან წლებში ლორე-ტაშირ-სომხითის მამულები საქართველოს სამეფო ტახტს დაუბრუნებია. მათ შორისაა ალასტანელთა სამფლობელო მიწებიც; მათი ცენტრალური

მამულები, რომელიც ამ დროს ზვართად იწოდება, მცხეთის საეპისკოპოსოს ტახტს ეკუთვნის.

XIV—XV სს. მიჯნაზე თემურ-ლენგის შემოსევების შედეგად საქართველოს S საზღვარზე იკარგება ძველი ალბანური და სომხური ოლქები. თემურ-ლენგის გარდაცვალების შემდეგ კი გიორგი VII იბრძვის თემურიანთა ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის. მან 1405 წელს ილაშქრა ნახიჭევანსა და ვანჯაში, მოარბია ანისი და არზრუმი, თავრიზამდეც მიადწია. ამ დროს, ბუნებრივია, სომხურ პროვინციებზე საქართველოს ტახტის გავლენა იზრდება, ლორეს სომხითი კი მის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს.

1410 წ. ყარა-იუსუფი საფუძველს უყრის შავბატნიან თურქმანთა სახელმწიფოს. ამ პერიოდში სომხითის მოგლეჯა ქართული სახელმწიფოებრიობისაგან საგრძნობია, თუმცა კავშირი სრულიად გაწყვეტილი არ არის. მაგ., სომეხთათვის ამ ხანის საქართველოს მეფე თავიანთ ხელმწიფედ აღიქმება (50, 35—36) და სხვ. 1420 წ. ყარა-იუსუფი იღუპება. სწორედ ამ ფაქტის შემდეგ აქტიურ მოქმედებას იწყებს ალექსანდრე I დიდი: 1420—1422 წწ. იგი იბრუნებს ლორეს (71, 77—79), 1424 წ. სანაინში გადაწერილ ჰიშატაკარანში ალექსანდრე ლორეს „ქვეყნის“ უზუნაეს ხელისუფლად იხსენიება (50, 44—45). ამდენად, ამ ხანისათვის აქ სავსებით მოსალოდნელი და შესაძლებელია ბაგრატიონთა და საქართველოს მთავართა მფლობელობა. ამას ადასტურებს დავით „მეფის“ 1425 წ. სიგელიც, რომელმაც ამ რეგიონში ალექსანდრეს ტახტის წარმატებული პოლიტიკის შედეგად მოიპოვა რა მფლობელობა, მცხეთის ტახტს უბოძა სწორედ ის მამულები, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი და რომელიც 1392 წ. სითარხნის გუჯარით საკათალიკოსოა: ლორეს „ქვეყნის“ სოფელი ამუჭი და დირსიელი (1392 წ. სიგელით მას ეწოდება დისარლი, თ. უორდანიას გამოცემით კი დირსი), მარამაშენის რეგიონის წყარომრავალი, ახტალის ხევზე ვარდისუბანი და ჯავახეთის ცნობილი სოფლები — ფარვანა და ფოკა. იქნებ არც იყოს შემთხვევითი, რომ დავით „მეფის“ სიგელში დავითის ხელრთვის თან ერთვის ალექსანდრე დიდის ბეჭედი, თავად წყალობის წიგნიც ალექსანდრე მეფის ცნობილი კარის მწიგნობრის კლიმიკაკლაჩაძის მიერ არის დაწერილი, რაც შეიძლება ალექსანდრე დიდსა და დავით „პროვინციის მეფეს“ შორის არსებულ გარკვეულ

შეთანხმებაზე მეტყველებდეს. როგორც ჩანს, 1392 წლის შემდეგ თემურ-ლენგისა და ყარა-იუსუფის მომძლავრების შედეგად რეგიონში ქართული სამეფო ტახტის გავლენა შესუსტდა. XV ს. 20-იანი წლებიდან კი ალექსანდრემ აღნიშნულ ქართულ მიწებზე მფლობელობა აღადგინა. არსებობდა რა ამ პროვინციაში ზემოხსენებული მამულების მისწრაფება გარკვეული განკერძოებისაკენ (რადგან ისინი ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ მფლობელობაში იყვნენ) და აქ მდებარეობდა ბუნებრივ-გეოგრაფიული საზღვრების მქონე „ქვეყანა“ ზვარეთი, XV ს. I ნახ. აღნიშნული ტერიტორიის გარკვეულ მამულებს იყენებენ სამფლობელოდ ე. წ. „პროვინციის მეფეები“, კერძოდ, დავითი, რომელსაც მფლობელობა აქვს სამხრეთ რეგიონებში და რომელმაც 1425 წელს თავისი საგამგებლოდამცხეთის ტახტს დაუბრუნა 1392 წ. სითარხნის გუჯართ კუთვნილი, მაგრამ შემდეგ დაკარგული მამულები.

რადგან 20-იან წლებში საქართველო ფლობს ამ ტერიტორიებს, თითქოს გარკვეულ გაუგებრობას იწვევს აქ, კერძოდ, ლორეს „ქვეყნისათვის“ 30-იანი წლების დასაწყისში ალექსანდრე I დიდის ხელმეორედ ბრძოლა. ცნობილია ალექსანდრე I დიდის წყალობის წიგნი სვეტიცხოველისადმი (1435 წ.), რომლისგანაც ვგებულობთ, რომ 1431 წელს „შეწვენითა ღმრთისათა ლორეს ციხე მიტაცებულთა აგარიანთაგან ჩუენ... და მისი შესავალნი ერთობილნი ჩუენ ვიშოვნით და დავიჭირენით“ (54, 123). კინკლოსური ცნობებითაც ალექსანდრე მეფე 1431 წელს იღებს ლორეს (57, 236). იგივეს მიუთითებენ ვახუშტი (36, 280) და ახალი ქართლის ცხოვრება (32, 474).

ბუნებრივია დგება საკითხი: რატომ გახდა საჭირო XV ს. 20-იანი წლების დამდეგს დაბრუნებული ლორეს „ქვეყნისათვის“ 1431 წელს ხელმეორედ ბრძოლა. როგორც ირკვევა, 1430 წელს „სარკინოზების“ შემოსევის შედეგად საქართველოს სამეფო ტახტს ეს რეგიონი დროებით დაუკარგავს. ამის შესახებ ვკითხულობთ ვახუშტისთან (36, 280). 1430 წელს ქართველთა მიერ ლორეს დაკარგვას აღასტურებს სომხური პიშატაკარანიც (50, 46, 146—147).

ალექსანდრე 1431 წ. იბრუნებს ლორეს, „განუყავით და უბოძეთ“ მცხეთის ტახტს და კათალიკოს თეოდორეს „ამუჭი სოფელი, ეკლესიითა, სასახლითა, გლეხებითა, ყანითა“ (54, 124). როგორც ვხედავთ, დავით „მეფის“ მიერ 1425 წ. მცხეთისადმი შეწირულ

სოფელ ამუქს 1431 წელს ალექსანდრე მეფე ხელმეორედ უმტკიცებს საკათალიკოსო ტახტს. რადგან 1430 წელს ეს მამულები ხელში ჩაუვდიათ „სარკინოზებს“, სავარაუდოა, რომ დავით „პროვინციის მეფეს“ აქ მფლობელობა დაეკარგა. 1431 წელს მათი დაბრუნების შემდეგ ალექსანდრემ აქაური მამულები კვლავ დაუმტკიცა საკათალიკოსო ტახტს.

დგება მეორე საკითხი: ვინ არის დავით „პროვინციის მეფე“ წარმომავლობით.

ჩვენი აზრით, იგი უნდა იყოს ბაგრატ V დიდის შვილი, ძმა გიორგი VII და კონსტანტინე I-ისა. ბერი ეგნატაშვილი მას ისტორიულ პიროვნებად თვლის და მის მეფობასაც აღნიშნავს (ამ პერიოდის ბაგრატიონთა გენეალოგიის დადგენისას სწავლულ კაცთა კომისიას არაერთი შეცდომა აქვს დაშვებული, მაგრამ ამ შემთხვევაში საინტერესოა თავად ფაქტი დავითის ისტორიულ პიროვნებად ჩათვლისა და მისი მეფობის აღნიშვნისა): როცა გიორგი VII გარდაიცვალა, „დაჯდა მის წილ ძე მისი დავით... იმეფა კეთილად ამან დავით მეფემან ხანსა რაოდენსამე შინა მშვიდობით და მოკუდა“ (34, 339). იგივეს ადასტურებს ახალი ქართლის ცხოვრების მეორე ტექსტი (32, 472). როგორც ჩანს, ქართლის ცხოვრების ავტორებს აქვთ საბუთები, სადაც ამ პერიოდის მეფედ აღნიშნულია დავითი, რაც, ჩვენი აზრით, მის „პროვინციის მეფობას“ უნდა ნიშნავდეს. ვახუშტი კი პირდაპირ აღნიშნავს, რომ ბაგრატს ჰყავს შვილი დავითი (36, 262). ძალზე საინტერესოა თოვმა მეწოდვეცის ცნობა, რომ ტყვეობაში მყოფი ბაგრატ მეფე უკავშირდება თავის შვილებს გიორგი VII, კონსტანტინე I და დავითს (39, 25) მიქელ პანარეტოსის მიხედვითაც, დავითი ისტორიული პიროვნებაა და ბაგრატ V დიდის შვილია (41, 211).

დავითი რომ ბაგრატ V დიდის ვაჟი და გიორგი VII ძმაა, აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი (191, 22). ე. პახომოვის აზრით, დავითს კონსტანტინე I ერთდროულად ან წინა პერიოდში უნდა ემეფა (208, 205). საბოლოოდ, ხაზი უნდა გავუსვათ იმ მომენტსაც, რომ გიორგი VII და კონსტანტინე I ბაგრატ V დიდის შვილები არიან პირველი მეუღლისაგან — ელენესაგან (გარდაიცვალა 1366 წ.); დავითი კი ძეა მეორე ცოლისაგან — ტრაპიზონის კეისრის ასული ანასაგან. ისიც გასათვალისწინებელია, რომ დავითი გიორგისა და



კონსტანტინეზე საგრძნობლად უმცროსი ჩანს, ამიტომ მას საყვარელით შეეძლო „ემეფა“ XV ს. I ნახევარში.

XV ს. I ნახ. გვაქვს ცნობები სხვა „პროვინციის მეფეებზეც“. შევჩერდეთ ვახტანგ „გორგასალზე“. მის შესახებ მოგვითხრობენ შემდეგი დოკუმენტები: 1. ვახტანგ „მეფის“ სიგელი გელათის საყდრისადმი (100, 3—6), 2. 1432 წ. სიგელი ვახტანგ „გორგასალისა“ კოტრიძეთადმი (18; 100, 10; 119, 59), 3. 1437 წ. სიგელი ვახტანგისა გურალიძეთადმი (100 11—13), 4. „მეფეთ-მეფის“ გორგასალისა და დედოფალთ-დედოფლის თამარის სიგელი ასათიანებისადმი (13; 119, 14—15, 62).

ს. კაკაბაძემ ვახტანგის პროვინციის გარკვევას რამდენიმე ნაშრომი უძღვნა, სადაც გვთავაზობს ამ პერიოდის ბაგრატიონთა გენეალოგიას (99; 109) და სადაც კარგად იკვეთება მისი დამოკიდებულება ვახტანგ „გორგასალის“ წარმომავლობის საკითხისადმი (იხ. დანართი № 5). მის მიერ შემოთავაზებული ბაგრატიონთა გენეალოგია არაერთი უზუსტობის შემცველია. ს. კაკაბაძის მიხედვით, ვახტანგ „გორგასალი“ არის მემკვიდრე ბაგრატ V აფხაზ-იმერთა მეფისა, რომელიც კონსტანტინე I შვილი და ალექსანდრე I დიდის ძმაა. ბაგრატ V, აღნიშნული გენეალოგიით, კარგად ცნობილი ქართლ-იმერეთის მეფის ბაგრატ VI-ის (1466—1478) პაპია. ამ ბაგრატის მამა — გიორგი ვახტანგ „გორგასალის“ ძმა გამოდის. ს. კაკაბაძე ასახელებს კიდევ ერთ „პროვინციის მეფეს“ — ვახტანგ „გორგასალის“ შვილს ბაგრატ „გორგასალს“. ბაგრატ მეფის მიერ ივანე და მიქაელ თულასძეთადმი მიცემულ სიგელში (17; 104; 47, 13—14), რომელსაც მკვლევარი 1446 წ. ათარიღებს, მართლაც აღნიშნულია ბაგრატ „გორგასალის“ მფლობელობა. ს. კაკაბაძე ტიტულის — „გორგასალის“ დამთხვევის გამო თვლის, რომ ეს ბაგრატ „გორგასალი“ არის ვახტანგ „გორგასალის“ ვაჟი. ე. თაყაიშვილი ამ სიგელს აკუთვნებს ბაგრატ V დიდს (1360—1395) (47, 8). ს. კაკაბაძის გენეალოგიით, ვახტანგ „გორგასალის“ მამა არის ბაგრატ V აფხაზთა მეფე (1413—1439) (114, 3—5). ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ შევჩერდებოდით ალექსანდრე I დიდის ძმის — ბაგრატის პროვინციებზე, რომელსაც სამეფოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ჩვენი ვარაუდით, გარკვეულ რეგიონში შეიძლება „ბატონობისათვის“ მიემართა. ს. კაკაბაძეს საყვარელით შესაძლებლად მიაჩნია



მისი „მეფის“ ტიტულით მოღვაწეობა, როგორც ვხედავთ, მას ატ-
 ხაზ-იმერთა „მეფედაც“ თვლის 1413—1439 წწ. ისიც უნდა აღინიშ-
 ნოს, რომ „ქართლის ცხოვრება“ ამ პერიოდში იცნობს მეფე ბაგ-
 რატს. „ახალი ქართლის ცხოვრების“ მეორე ტექსტით, იგი არის
 ლიხთ-იქითის მეფის კონსტანტინეს (+1402) შვილი (32, 475—476).
 „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტიც აღნიშნავს ალექსანდ-
 რე I დიდის ძმის ბაგრატის მეფობას: „ქორონიკონსა რ^ამბ (1454):
 დაჯდა მეფედ ძე გიორგისა ბაგრატ და ძმა მეფისა ალექსანდრესი“
 (33, 477). რა თქმა უნდა, „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებების
 ბაგრატიონთა გენეალოგია არაერთი აღრევის შემცველია, მაგრამ აქ
 ისაა ხაზგასასმელი, რომ მის ავტორებს აქვთ გარკვეული ცნობები
 ამ პერიოდში ბაგრატის „მეფობის“ შესახებ, რაც შეიძლება გავი-
 ვოთ მისი როგორც მხოლოდ „პროვინციის მეფობა“.

ს. კაკაბაძის შემოაღნიშნულ გენეალოგიაში, როგორც აღვნიშ-
 ნეთ, არაერთი საკითხი იწვევს ეჭვს. ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ
 იმ მომენტებზე, რომლებიც „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის
 ისტორიას ეხებიან. პირველ რიგში, კონსტანტინე I მესამე შვილის
 გიორგისა და ბაგრატ V აფხაზთა მეფის ძის გიორგის შესახებ.
 ს. კაკაბაძესთან ისინი სხვადასხვა პიროვნებები არიან; სინამდვილე-
 ში კი ეს ერთი და იგივე ბაგრატიონი, კონსტანტინე I შვილი გი-
 ორგია. კონსტანტინე II (1466—1505) ძეა არა ბაგრატ V აფხაზთა
 მეფის ძის გიორგისა, არამედ ალექსანდრე I დიდის შვილის დიმი-
 ტრი „პროვინციის მეფისა“. ბაგრატ VI, რომელიც ს. კაკაბაძის
 გენეალოგიით ბაგრატ V აფხაზთა მეფის ძის გიორგის შვილია, რეა-
 ლურად კონსტანტინე I ძის გიორგის ვაჟია. საერთოდ უნდა აღი-
 ნიშნოს, რომ ბაგრატ VI-ის წარმომავლობა ქართულ ისტორიოგრა-
 ფიაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა (191, 80; 82, 134; 99, 2—5;
 127, 105). დღეს ეს საკითხი გადაწყვეტილად ითვლება: 1466 წ.
 მცხეთისადმი ბოძებული სიგელის მონაცემებსა და ჯვრის მონასტ-
 რის აღაპებზე დაყრდნობით ბაგრატ VI არის ალექსანდრე I დიდის
 ძმის — გიორგის შვილი (147, 102, 170—171).

ს. კაკაბაძის გენეალოგიის არამართებულობა იქიდანაც ჩანს.
 რომ ბაგრატ VI მისი მსჯელობით გამოდის კონსტანტინე I შვილი-
 შვილის შვილი, მაშინ როცა იგი შვილიშვილია; ასევე გამონაგონია
 და ვერ ჩაითვლება „პროვინციის მეფედ“ ვინმე აფხაზთა მეფე



კონსტანტინე, რომელიც, ს. კაკაბაძის აზრით, ბაგრატ VI-ის (103, 3). უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდის დოკუმენტების კონსტანტინე არის დიმიტრი „პროვინციის მეფის“ ძე კონსტანტინე II (1466—1505).

1914 წ. ს. კაკაბაძემ შეიკვალა თავისი შეხედულება ვახტანგ „გორგასალის“ წარმომავლობის შესახებ. 1392 წლის ალექსანდრე მეფის გორგაძეთადმი მიცემულ ზემოაღნიშნულ სიგელში იკითხება: „ქ. სახელითა ღმრთისათა ჩუენ მეფეთა მეფემან ალექსანდრემან და ძეთა ჩუენთა ვახტანგ...“ (57, 193). ს. კაკაბაძის აზრით, სწორედ ამ ალექსანდრე მეფის შვილი უნდა იყოს ვახტანგ „გორგასალი“ (113, 131). ალექსანდრეს, რომელიც გორგაძეებს აძლევს მამულებს, გავლენა უნდა ჰქონდეს ლიხთ-იქითში, ვახტანგ „გორგასალიც“ ზემოაღნიშნული სიგელებით ქუთაისის მხარის „მეფეა“, კოტრიძეთა სიგელით კი ქუთაისშიც კი ზის: ჭურულიძენი და კოტრიძენი „მოვიდნეს ქუთათისსა... ამოვიდნეს ბატონის მეფეთ მეფის ვახტანგ გორგასლისა წინაშე და მისითა ბრძანებითა დასხნეს მართალნი მოურავნი...“ (18).

ჩვენი მხრიდან უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდის დოკუმენტების კრიტიკული შესწავლის მიუხედავად, ვახტანგ „გორგასალის“ წარმომავლობის დადგენა არ ხერხდება. მართალია, მოაღწია რამდენიმე ისტორიულმა დოკუმენტმა, რომელნიც ადასტურებენ მის მფლობელობას ლიხთ-იქითის გარკვეულ რეგიონში, მაგრამ დამატებითი არგუმენტებისა და სანდო წყაროების მოუშველიებლად „პროვინციის მეფის“ ვახტანგ „გორგასალის“ რეალურად არსებობის — ისტორიულობის საკითხი ღიად რჩება. აქ უნდა მოვიხსენიოთ იკორთის № 6 ქამნ-გულანი, რომელსაც არშებზე მიწერილი აქვს ქრონიკული ცნობები. იქვე, ს. კაკაბაძის აზრით, XVIII ს. ხელით გადმოცემულია მოკლე შინაარსი იკორთის მონასტრის შეწირულობათა საბუთებისა. იკორთის მონასტრისადმი სხვადასხვა პირთა მიერ შეწირულობათა ჩამოთვლაში აღნიშნულია: „ქ. იკორთის მთავარანგელოზს შევსწირე მეფემ გორგასალმან სულისა ჩემისა სამეოხოდ რათა მსაკურონ წმინდასა შენსა ეკლესიასა, იკორთა, არცვი, ქვეში, ფლავსმანი, ფლავი. მხილველნო წმინდისა ამის ეკლესისანო, შენდობა ითხოვეთ ჩემ(თვის)“ (102, 16).

რაც შეეხება ზედწოდება „გორგასალს“:

ს. კაკაბაძე აღნიშნავს, რომ თემურ-ლენგი ატარებდა გურგანის ხარისხს, რაც სიძეს ნიშნავს. ეს იყო გამოხატულება თემურ-ლენგის ჩინგიზ-ყაენის სახელთან დანათესაების მისწრაფებისა. იგი ცოლად ირთავს ჩინგიზის ჩამომავლის ყაზან-ყაენის ქალს, რის შემდეგაც მას დაუმკვიდრდა გურგანის, ე. ი. ყაენის სიძის ტიტული. ს. კაკაბაძის აზრით, ვახტანგ აფხაზ-იმერეთის დინასტიის წარმომადგენელი შეიძლება თავის თავს უწოდებდა გორგასალს თუ გურგასლანს შუა აზიაში XIV—XV სს. ფეხმოკიდებული ტიტულის გურგანის ანალოგიით, რაც უნდა ყოფილიყო ვახტანგის საქართველოს სამეფო ტახტზე მჯდომ ბაგრატიონთა შტოსთან ნათესაობის სურვილის გამოხატვის შედეგი. ზედწოდებას ქართულ ნიადაგზე V ს. გორგასალთან დაკავშირების გამო ასეთი ფორმა უნდა მიეღო. აქედან გამომდინარე, მკვლევარის აზრით, ვახტანგ „გორგასალის“ ცოლი თამარი საქართველოს მეფის ასულად არის სავარაუდებელი, კერძოდ, კონსტანტინე I-ის (1407—1411) შვილად (120, 243). გ. ბედოშვილი თვლის, რომ სახელი გორგასალი მეფე ვახტანგ გორგასალის სახელწოდების მიხედვით შეიძლება იყოს გაფორმებული (79, 66).

ძალზე საინტერესოა „პროვინციის მეფეთა“ ისტორია XV ს. შუა ხანებსა და მეორე ნახევარში.

პირველ რიგში შევჩერდებით გიორგი VIII-ის ოჯახზე. XV ს. 50-იანი წლების დასაწყისის საბუთებში გიორგი თავის თანამეცხედრედ ასახელებს დედოფალ თამარს. 1460 წ. საბუთში უკვე დასახელებულია დედოფალი ნესტან-დარეჯანი და მათი შვილი ალექსანდრე (57, 277). აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე უკვე 1457 წ. საბუთში არის დასახელებული. ივ. ჯავახიშვილის აზრით, 1453 წლამდე გიორგის თანამეცხედრე არის თამარი, ხოლო რადგან 1457 წელს ალექსანდრე დაბადებულია, 1454—1456 წწ. დედოფლად სავარაუდოა ნესტან-დარეჯანი (191, 46). ალექსანდრე, რომელიც მხოლოდ 1476 წ. გამეფდა კახეთში, ჯერ კიდევ 1463 წ. იხსენიება მამის სიკოცხლეში „მეფის“ ტიტულით — გიორგი VIII სიგელში ჯავახიშვილებისადმი ვკითხულობთ: „ქ. ნებითა ღთა ჩუენ, მეფეთა მეფემან გიორგი და ძემან ჩუენმან პირმშომან მეფემან ალექსანდრე...“ (47, 19; 54, 133—134) ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ ალექსანდრეს „მეფედ“ მოხსენიება ამ დროს სავსებით ლოგიკუ-

რია: ბაგრატ მეფე, დიმიტრი „პროვინციის მეფის“ ძეები — კონსტანტინე და დავითი, ტახტის მაძიებელნი არიან. მათ საპირისპიროდ ალექსანდრეც „მეფის“ ტიტულით მოღვაწეობს, რაც მის შინაშენელოვან მფლობელობაზე უნდა მიუთითებდეს (80, 30). ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა თავად ალექსანდრეს მიერ 1464 წელს გაცემული სიგელი: „ჩუჴნ მეფეთ მეფის გ'ის ძემან მეფემან ალექსანდრე და ძემან ჩუჴნმან პატრონმა გიორგი... მოვიდეს წინაშე ჩუჴნსა იათორისშვილნი შოთასძენი... გარესჯის წინამძღუარი...“ (57, 283). ამავე პერიოდის მცხეთის ერთ გუჯარში ვკითხულობთ: „მე... მეფეთა მეფემან გ'ი (გიორგი) და საყუარელმან ძემან ჩემმან მეფემან ალექსანდრე შემოგწირეთ... კახეთს ახალშენთა ხერხაულისძეთა ჯავშანისი და გოგაის სახლი და მამული...“ (57, 284; 108, 39). როგორც ჩანს, ალექსანდრე გიორგი VIII მეფობისა თუ ტყვეობის პერიოდში გარკვეულ რეგიონში ფლობამიცემულია და „მეფის“ ტიტულით მოღვაწეობს. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე სავარაუდოა, რომ მისი მფლობელობა ყველა იმ ატრიბუტს ატარებდეს, რასაც ამ ეპოქის სხვა „პროვინციის მეფეების“ განმგებლობა.

ამ პერიოდის „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის შესასწავლად ძვირფას ცნობებს შეიცავს ქრ. შარაშიძის მიერ განხილული და გამოქვეყნებული სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (181). ყურადღებას იქცევს ათაბაგთა სახლის სულთა მოსახსენებლების ნუსხა, კერძოდ, ქეთეონ-ქრისტინეს „სულთა მოსახსენებელი“. მასში მოთავსებულია ლოცვა ახლობელ მიცვალებულთათვის მათი სახელების ჩამოთვლით. არსებული სამი ვარიანტიდან ვგებულობთ ქეთეონის სანათესაოს შემადგენლობას: მისი პაპა — ყუარყუარე, დიდედა — დედისიმედი, მამა — მეფეთ-მეფე გიორგი, ბიძები — ქაიხოსრო, ბაადურ, მართალიხოზ, იანქო, დეიდა — გულბუდახ (181, 207). მოსახსენებელთა მეორე ვარიანტში, იქ სადაც წერია — „და პატრონსა მამას ჩემსა მეფესა გიორგის“, ჩამატებულია — „დედას ჩემსა თამარს და ძესა მათსა ვახტანგ-ყოფილსა ვარსიმეს“ (181, 210). აღსანიშნავია, რომ თამარი და ვახტანგი მოსახსენებლების ძირითადი ტექსტის სამივე ვარიანტის შედგენის, ე. ი. 1505 წლის შემდეგ არიან გარდაცვლილნი; ქეთეონი-ქრისტინეც 1511 წ. ცოცხალი ჩანს. მის გარდაცვალებას ქრ. შარაშიძე 1515 წ. ახლოს ვარაუდობს (181, 211—215).

მეცხუთადღებას იქცევს თამარის პიროვნება:

1504 წ. გადაწერილი ოთხთავის ანდერძის ერთ ადგილზე ვკითხულობთ: „...რომლისა ბრძანებითა აღიწერა წმიდაჲ ესე წიგნი: დიდისა, ღვთის მოყურისა და მოწყალისა პატრონისა დედოფალთ-დედოფლისა თამარისნი მრავალმცა არიან წელნი სუფევისა მათისნი“ (181, 215). ქრ. შარაშიძემ უდავოდ დაამტკიცა, რომ იგი ყვარყვარესა და დედისიმედის ასულია. ზემომოყვანილ ტექსტში ხაზგასმელია თამარის „დედოფალთ-დედოფლის“ ტიტულით მოხსენიება, რომლითაც, როგორც წესი, მეფეთა თანამეცხედრენი იწოდებიან. ბუნებრივია, დგება საკითხი, თუ ვისი მეუღლეა დედოფალთ-დედოფალი თამარი. ქეთეონ-ქრისტინეს „სულთა მოსახსენებელში“ თამარის შესახებ იმ ადგილზეა ლაპარაკი, სადაც მოხსენიებულია საქართველოს მეფე გიორგი VIII. ამასთან, სხვა წყაროებითაც ვიცით, რომ გიორგის პირველი მეუღლე თამარი იყო. „გერგეტის სამეფის სულთა მატთანეში“ სხვა მეფეთა მოსახსენებელთა გვერდით ვკითხულობთ გიორგის შესახებაც: „სლნი დიდისა ღთივ გურგვონისისა, მეფეთა მეფის გვიგისი კხლ იყვნ“. ამ მოსახსენებლის ქვევით, უშუალოდ მომდევნო სტრიქონზე ვკითხულობთ: ათაბაგთა ასულსა, დედოფალთა დედოფალსა თამარს სული კურთხეულ იყავნ. ამინ“ (181, 231).

ექვევარეშეა, რომ თამარი არის გიორგი VIII-ის თანამეცხედრე და მათი შვილები არიან ზემოაღნიშნული ქეთეონი და ვახტანგი. აქედან გამომდინარე, გასაგებია, თუ ვინ არის რ. ბარტიციანის მიერ მოპოვებულ სამცხის ათაბაგებისადმი მიძღვნილ პანეგირიკში დასახელებული დედოფალი თამარის ქმარი: მფლობელობით... «Не уступала и ныне здравствующая его (ქაიხოსროსა და მზეჭაბუკის, — დ. ნ.) сестра, супруга царя всей Нижней Иверии царица Тамар» (195, 89).

ზემოაღნიშნულ „სულთა მატთანეში“ დედოფალთა-დედოფლის თამარის მოსახსენებელს უშუალოდ მოსდევს დედოფალთ-დედოფლის ნესტან-დარეჯანის მოსახსენებელი, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გიორგი VIII-ის მეუღლეა. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ, რომ გიორგის „შერთეს ნესტან-დარეჯან, იმერელი მეფის ქალი“ (32, 475). წყაროებში ამ პერიოდის „იმერელ მეფედ“

კი იწოდება ჩვენს მიერ უკვე აღნიშნული ლიხთ-იქითის კონსტანტინე (1396—1402 წწ.) (32, 476).

ქრ. შარაშიძე თამარის პიროვნებასთან დაკავშირებით ასეთ დასკვნას ვეთავაზობს: გიორგი VIII პირველი თანამეცხედრე — თამარი 1460 წ. ადრე ჩანს გარდაცვლილი. მეორე ცოლია ნესტან-დარეჯანი, რომლისგანაც ჰყავს ვაჟი — ალექსანდრე, მომავალი კახთა მეფე (1476—1511); ნესტან-დარეჯანს, როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, მეუღლის სიკვდილის შემდეგ (1476 წ.) საკმაო ხანს უცოცხლია, კერძოდ, იგი 1503 წ. ცოცხალი ყოფილა (181, 237). „სულთა მოსახსენებლის“ თამარი კი, ქრ. შარაშიძის აზრით, 1504—1514 წ. უნდა მომკვდარიყო (181, 215—216), თამარი, რომელიც ქრ. შარაშიძის მიხედვით, გიორგი VIII-ის მესამე მეუღლე გამოდის, მკვლევრის აზრით, საქართველოს მეფის ცოლი მაშინ უნდა გამხდარიყო, როცა შინაპოლიტიკური ბრძოლის შედეგად გიორგი „ტყუშლ“ დაიჭირა ყვარყვარე ათაბაგმა. ეს ამბავი 1465 წ. ხდება. ცნობილია, რომ ათაბაგმა მეფე ტყვეობიდან მალე გამოუშვა (1466 წ.), იგი იბრძვის საქართველოს ტახტისათვის, მარცხდება და კახეთში გადადის. მკვლევრის აზრით, გიორგის ტყვედ ყოფნის პერიოდში უნდა მომხდარიყო მისი შეუღლება ათაბაგის ასულ თამართან. ქრ. შარაშიძის სიტყვებით, მეფის განთავისუფლების — ურთიერთდანიშნულების შესაძლებლობას მხოლოდ ასეთი დამოყვრება თუ იძლეოდა (181, 237—238). ე. ი. ზემოაღნიშნული მსჯელობით, შეუღლება 1466 წ. ახლოს არის სავარაუდებელი.

ჩვენი აზრით, საკითხის ზემოაღნიშნული ახსნა სინამდვილესთან ახლოს არ უნდა იყოს. პირველ რიგში, წყაროებით არსად დასტურდება, რომ გიორგი VIII-ს სამი ცოლი ჰყავდა, ამიტომ ყველა მკვლევარი პირველ თანამეცხედრედ თვლის თამარს, მეორედ კი ნესტან-დარეჯანს. მეორე მხრივ, ყვარყვარე ათაბაგის ასული თამარი რომ ნესტან-დარეჯანის შემდეგ გამხდარიყო გიორგი მეფის თანამეცხედრე, მაშინ „გერგეტის სამების სულთა მატინანში“ მოსახსენებელთა სხვაგვარი თანამიმდევრობა იქნებოდა დაცული. იქ კი ზემომოყვანილი თამარის მოსახსენებელს მოსდევს ნესტან-დარეჯანის მოსახსენებელი (181, 231). ასეთი თანამიმდევრობა უდავოდ მიუთითებს იმაზე, რომ გიორგი მეფის პირველი მეუღლე არის

თამარი (წყაროებით — ყვარყვარე ათაბაგის ასული), მეორე კი მომდევნო მოსახსენებელში აღნიშნული ნესტან-დარეჯანი.

მესამე არგუმენტი: 1466 წელს ყვარყვარე ათაბაგის ასულის თამარის გიორგი მეფესთან შეუღლებას გამორიცხავს ის ფაქტი, რომ მეფის თანამეცხედრე ნესტან-დარეჯანი არათუ 1466 წელს, არამედ 1503 წელსაც ცოცხალია. თან გიორგი VIII თავის სიგელებში (XV ს. 60-იანი წლების დასაწყისიდან) ყოველთვის თანამეცხედრედ ასახელებს ნესტან-დარეჯანს, რაც, ბუნებრივია, გამორიცხავს 1466 წელს თამარის შეუღლებას გიორგი მეფესთან. ყოველ შემთხვევაში, ამის საფუძველს არც ერთი წყარო არ იძლევა.

მეოთხე არგუმენტი: უდავოდ დასტურდება, რომ გიორგი მეფის პირველი თანამეცხედრე არის თამარი, რომელიც უნდა გავაიგივოთ ქრ. შარაშიძის მიერ გამოქვეყნებულ წყაროებში დასახელებულ ყვარყვარე ათაბაგის ასულ თამართან. ჩვენი აზრით, თამარის თანამეცხედრეობა გიორგის გამეფებიდან — 1446 წლიდან მაინც არის სავარაუდებელი. როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს ტახტზე მისი დედოფლობა დაახლოებით 1453 წლამდე გრძელდება. ამ პერიოდიდან სიკვდილამდე (1504—1514 წწ.) თამარს სამცხეში, ბანას, თავისი მამისა და ძმის სამფლობელოში გადასულს ვხედავთ. ორივე მისი ასული — ქეთეონი და ელენე სამცხეშივე არიან გათხოვილნი. როგორც ქრ. შარაშიძე აღნიშნავს, მეფის ასულის ქეთეონის ორიენტაცია მთლიანად დედულეთისაკენ არის მიმართული: მოსახსენებლების სამივე ვარიანტში მამის მხრივ ქეთეონი მხოლოდ მამას — მეფე გიორგის ახსენებს, მაშინ, როცა დედის მხრიდან პაპის ოჯახის მიცვალებულთ უკლებლივ აღნიშნავს. სამხრეთ საქართველოში თავისი ცხოვრების გარკვეული წლები გაუტარებია გიორგი მეფისა და თამარის ვაჟს — ვახტანგ-ვარსიმესაც (181, 239). რით აიხსნება აღნიშნული ვითარება? როგორც ჩანს, XV ს. შუა ხანებში არსებული მწვავე შინაპოლიტიკური ბრძოლის, გიორგი მეფისა და ყვარყვარე ათაბაგის ურთიერთდაპირისპირებისა და სიმამრის — ყვარყვარე ათაბაგის სეპარატისტული პოლიტიკის გამო სამეფო ოჯახში კონფლიქტი ჩამოვარდნილა. ჩვენი აზრით, ყვარყვარე ათაბაგის ასული იძულებული ხდება სამეფო სახლი დატოვოს და გადავიდეს თავისი მშობლების საგანმგებლოში. მას თან უნდა გაჰყოლოდნენ შვილებიც, რომლებიც მამასთან გაფუჭებული



ურთიერთობისა და პროვინციაში გადასვლის შედეგად ჩამომავლობის სრული უფლებებით ვეღარ სარგებლობენ. აღსანიშნავია, რომ გიორგი მეფე სიგელებში მათ თავის შვილთა შორისაც არ ასახელებს. იქ მხოლოდ ერთი ძე — ალექსანდრე იხსენიება, რომელიც მას მეორე ცოლისაგან — ნესტან-დარეჯანისაგან შეეძინა. გიორგი მეფე მასვე ცნობს თავის მემკვიდრედ.

რა უფლებრივი მდგომარეობა უნდა შეენარჩუნებინათ ერთ დროს დედოფალთა-დედოფალ თამარს და მის შვილებს, კერძოდ, მის ვაჟს — ვახტანგს, რომელსაც იურიდიულად სამეფო ტახტის მემკვიდრეობაც კი ეკუთვნოდა?

როგორც წყაროებით ირკვევა, თამარს სამხრეთ საქართველოში საკმაოდ დიდი გავლენა აქვს და, ეპოქის ხასიათიდან გამომდინარე, არც დედოფლის ტიტული დაუთმია. გავიხსენოთ ზემოაღნიშნულ პანევირიკში მისი მნიშვნელოვანი მფლობელად მოხსენიება, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება თავის ძმებს, სამცხის ათაბაგებს მჭეჭაბუკსა და ქაიხოსროს. ყურადღებას იქცევს 1462 წ. სომხური ანდერძმინაწერი (ადგილი — სოფელი ტეპური, გადაშენი — ტირატური), სადაც ვკითხულობთ: „უფალმა ღმერთმა შეიწყალოს პარონი თამარ დედოფალი და ალექსანდრე მეფე, ამინ“ (50, 79). ეს „პარონი“ და „დედოფალი“ უდავოდ ყვარყვარე ათაბაგის ასული დედოფალთა-დედოფალი თამარი უნდა იყოს, რომელიც უკვე ამ დროს სამხრეთ საქართველოშია გადასული. რაც შეეხება მეფე ალექსანდრეს — იგი გიორგი მეფის ვაჟი (ნესტან-დარეჯანისაგან) ალექსანდრე ჩანს. მისი 1462 წელს „მეფედ“ მოხსენიება ეხმიანება ამ პერიოდის სხვა დოკუმენტებს, სადაც იგი ამავე ტიტულის მატარებელია (ამაზე უკვე გვქონდა საუბარი).

ახლა, რაც შეეხება გიორგი მეფისა და თამარ დედოფლის შვილს — ვახტანგს:

„გერგეტის სამების სულთა მატიანეში“ ვკითხულობთ: „აქა ძე გ(იორგისა) მეფეთ მეფისაჲ ვახტანგ მეფედ იქმნა შეწვევითა წიწსა სამებისაჲთა. ქორონიკონი იყო: რ-ეიზ: — დღეგრძელობით და კუროთხელ ამყოფე, წმიდაო სამებაო, ამიერ და უკუნისამდე, ამინ: სოფელი შემოგწირა ქუაბი“ (181, 266). თ. ქორდანიას აღნიშნავს, რომ „ეს წარწერა მეტად უცხოს და ახალს ცნობებს იძლევა, ძნელ გასარკვევს და გამოსაცნობს. ქართლის ცხოვრებაში 1484



წელს ვახტანგი სრულიად არ ჩანს მეფედ და არც ის არის ცნობილი, ვითომ გიორგი მეფეს ყოლოდეს შვილი ვახტანგი. ყველა სიგელ-გუჯრებში ცნობილია მისი შვილი ალექსანდრე და სხვანი არა“ (57, 303).

რას გვიჩვენებენ სხვა წყაროები:

„ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტში ვკითხულობთ: „მიიცვალა ძე მეფისა ალექსანდრესი მეფე გიორგი კახთა და დაჯდა მის წილ ძე მისი ვახტანგ“ (33, 479). იგივე წყარო გვაწვდის სხვა ცნობებსაც: 1495 წ. „კახეთის მეფესა ვახტანგსა და ძმასა მისსა ბატონს ალექსანდრეს (ალექსანდრე I კახთა მეფე, — დ. ნ.) ჩხუბი ჩამოუგდეს კახთა და შეამდღურეს. და იყო შფოთი მათ შუა, იყო დიდხან შური მათ შუა და ვერ შეიწყვნეს.“

მერმე მეფე კოსტანტინე (იგულისხმება კონსტანტინე II, — დ. ნ.) და კათალიკოზი დოროთეოს შუა ჩამოუვიდნენ, და შეიწყვნეს მეფე კახეთისა ვახტანგ და ძმა მისი ბატონი ალექსანდრე, ქორონიკონსა რპჰ (1500)“ (33, 486). „ქართლის ცხოვრებაში“ მოიპოვება ცნობები მისი ბოლო პერიოდის მოღვაწეობის შესახებაც: 1510 წელს, როცა ალექსანდრე იმერთა მეფე გარდაიცვალა, გამეფდა მისი შვილი ბაგრატ, „ამასვე წელსა იქმნა ბრძოლა ძლიერი ქართლის მეფეს დავითსა და ბაგრატს შუა... ამას ზედა მოეკმარნენ ქართლის მეფეს დავითს კახეთის მეფე ვახტანგ და ათაბაგი მზეჭაბუკ. დავით მეფე ველარ მოესწრო, მოხისს შეება ბაგრატ ვახტანგსა და მზეჭაბუკს და გაემარჯუა თუესა ივნისსა გ“ (33, 487). იქვე ვკითხულობთ: „ამასვე წელიწადსა (1510) აღესრულა კახთა მეფე ვახტანგ და დაჯდა მის წილს კახეთს ძმა მისი ალექსანდრე“ (33, 487).

ზემოაღნიშნული „სულთა მოსახსენებელი“ უდავოს ზდის, რომ ვახტანგი გიორგი მეფისა და თამარ დედოფლის შვილია: „დედას ჩემსა თამარს და ძესა მათსა ვახტანგ ყოფილსა ვარსიმეს (შეუნდნეს ღმერთმან)“.

„გერგეტის სამეზნის სულთა მატიანეს“ მიხედვით, ვახტანგი „მეფედ იქმნა“ 1484 წელს. ამ დროს მამამისი — გიორგი VIII გარდაცვლილია. სამეფო ტახტზე დიმიტრი „პროვინციის მეფის“ ვაჟი კონსტანტინე II ზის. კონსტანტინე „პროვინციის მეფის“ შვილია, ვახტანგი კი საქართველოს ხელმწიფისა, ამიტომ ეს უკანასკნელი, თვლიდა რა თავის თავს ტახტის კანონიერ მემკვიდრედ.



როგორც ჩანს, ცდილობს თავისი შტოსათვის მეფობის დაბრუნებას მაგრამ ამას სოციალური საყრდენი და ძლიერი პოლიტიკური მოკავშირის გვერდზე დგომა სჭირდებოდა. როგორც ქრ. შარაშიძე აღნიშნავს, ვახტანგს თავისი განზრახვის ასრულებაში მისი პაპა — ყვარყვარე ათაბაგი უნდა დახმარებოდა. XV ს. 80-იან წლებში კონსტანტინე მეფის ხელისუფლება გარკვეულ კრიზისს განიცდის. არაღეთის ბრძოლა ამ ვითარებას კიდევ უფრო აღრმავებს. ამავე დროს, ბაგრატ VI იმერეთ-ქართლის მეფის ძე ალექსანდრე კონსტანტინეს მეფობაში ცდილობს ლიხთ-იქითის ტახტის დაკავებას და გარკვეულ პერიოდამდე აქ „პროვინციის მეფედ“ გვევლინება. ასეთი ვითარებით უნდა ესარგებლა გიორგი მეფის ძესაც — ვახტანგსაც, მით უმეტეს, თუ მას ისეთი პიროვნება (პაპა) ედგა გვერდით, როგორც ყვარყვარე ათაბაგია. ქრ. შარაშიძის აზრით, ათაბაგს ამ მიზნისათვის მიუღწევია — ვახტანგი ქართლის ტახტზე დაუსვამს და მისთვის ზურგი არაგვის ხეობასა და დარიალშიც გაუმაგრებია (181, 239). ვფიქრობთ, არ არის სწორი ვახტანგის „ქართლის ტახტის“ მფლობელად გამოცხადება; არც „ქართლის ცხოვრების“ ცნობა, მისი „კახეთის მეფედ“ ყოფნის შესახებ უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს. ვახტანგის საქართველოს სამეფო ტახტზე ასვლა და კონსტანტინე II-ის მიერ მისი დაკარგვა აუცილებლად აისახებოდა წყაროებში. ასეთ რამეს კი ვერსად ვხვდებით. ისიც გასათვალისწინებელია, რომ კონსტანტინეს იმერეთზე ხელი აღარ მიუწვდებდა, ასევეა კახეთიც, ამიტომ იგი არ დაუშვებდა ქართლის დაკარგვასაც. როგორც აღვნიშნეთ, კონსტანტინე მეფის ხელისუფლება ამ დროს კრიზისს განიცდის, ამით სარგებლობს გიორგი VIII-ის ძე ვახტანგი და ქართლის გარკვეულ რეგიონში „პროვინციის მეფედ“ გვევლინება. კერძოდ, ეს უნდა ყოფილიყო არაგვის ხეობა — „გერგეტის სამების სულთა მატიანის“ მიხედვით, ვახტანგი „მეფედ“ იქცა „შეწევნითა წი-სა სამებისაჲთა“, იქვე ვკითხულობთ: „დღეგრძელობით და კურთხე(უ)ლ ამყოფე, წმიდაო სამებაო“ „მეფე“ ვახტანგი, რომელმაც „სოფელი შემოგწირა ქუაბი“ (181, 266). ვფიქრობთ, ყოველივე მის არაგვის ხეობაში მფლობელობაზე — „პროვინციის მეფობაზე“ ლაპარაკობს.

ვახტანგის არაგვის ხეობაში „პროვინციის მეფობა“ მცირე ხანს უნდა გაგრძელებულიყო. მას, როგორც კახეთში გამეფებული გი-

ორგი VIII შვილს, გარკვეულ პერიოდში კახეთშიც ვხედავთ ფლტო-ბამიცემულს. ამაზე უნდა მიგვითითებდეს ზემოაღნიშნული ახალი ქართლის ცხოვრების ცნობები, სადაც განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ვახტანგისა და გიორგი მეფის მეორე ვაჟის — ალექსანდრეს (მომავალი ალექსანდრე I კახთა მეფე) შორის არსებული კონფლიქტი — ძმებს „ჩხუბი ჩამოუგდეს კახთა და შეამდურეს. და იყო შფოთი მათ შუა, იყო დიდხან შური მათ შუა და ვერ შეიწყენეს“ (33, 486); ეს „შფოთი“ ალექსანდრეს კახეთში მეფობის პერიოდში (1476—1511) ვახტანგის „პროვინციის მეფობის“ მცდელობით უნდა იყოს გამოწვეული. ზემოაღნიშნული კონფლიქტი, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, 1495—1500 წწ. მოდის.

ჩვენი აზრით, ვახტანგი საბოლოოდ მესხეთში, თავისი დედის სამფლობელოში ბრუნდება. ამ პერიოდში მისი კავშირი ბიძასთან — მხეჭაბუკ ათაბაგთან ქართლის ცხოვრების ცნობებით დასტურდება (33, 487). მას და მის ცოლ-შვილს მესხეთის რამდენი ძეგლი მოიხსენიებს (181, 239). აღსანიშნავია, რომ გიორგი მეფის ასულის ქეთონის „სულთა მოსახსენებელში“ იგი იხსენიება როგორც ვახტანგ — ყოფილი ვარსიმე, რაც მის ბერად აღკვეცას ნიშნავს. ირაკვევა, რომ ვახტანგი პოლიტიკურ სარბიელზე წარუმატებლობის შემდეგ ბერად შემდგარა ვარსიმეს სახელით, რაც ასე ხშირია ამ პერიოდის სხვა ბაგრატიონთა შემთხვევაშიც. ვახტანგი, ქრ. შარაშიძის აზრით, 1504—1515 წწ. ჩანს გარდაცვლილი. „ქართლის ცხოვრება“ გვაძლევს ზუსტ თარიღს — 1510 წ. (33, 487).

მოგვეპოვება ცნობები ვახტანგის ოჯახის წევრთა შესახებაც. ამილახორთა სახლის კრებულის მოსახსენებლებიდან ვგებულობთ, რომ გიორგი მეფისა და დედოფალ თამარის ვაჟის ვახტანგ — ყოფილ ვარსიმეს მეუღლეს რქმევია გულქანი, ვახტანგის ვაჟს კი ხოსროთანგილი (45, 18). XI ს. სვინაქსარის ერთ-ერთ მინაწერში ვკითხულობთ: „სულსა პატრონისა მეფისა შვილისა სულკურთხეულისა ხოსროთანგისა შნლნ“ (45, 61). ეს მინაწერი იმითაც არის საინტერესო, რომ ვახტანგი „მეფის“ ტიტულით არის მოხსენიებული, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მის „პროვინციის მეფობას“. ჩვენი აზრით, მასვე შეიძლება ეკუთვნოდეს საქ. საისტორიო არქივში დაცული XIX ს. აღწერილი ერთი დოკუმენტი: „მეფის ძის ვახტანგისა და მსაჯულთაგან განჩინება, რომლითაც დარჩენია არხიმან-

დრიტს ეკლესიის ყმის პასრათას(?) სახლკარი, დარბაზი, ეფთხე-და
ეზო ბურჯის ძირს მამულაანთ სახლამდისინ“ — თარიღი 1483
წელი (26).

XV ს. II ნახევარსა და XVI საუკუნეშიც ს. კაკაბაძე აღნიშნავს
ჩხარელი „მეფეების“ არსებობას, ანუ „პროვინციის მეფეების“
მფლობელობას, რომელთაც რეზიდენცია ჩხარში ჰქონდათ. პირვე-
ლი ე. წ. ჩხარელი „მეფე“, რომელსაც ს. კაკაბაძე ასახელებს, არის
ვინმე „მეფე“ გიორგი, რომელსაც 1448 წ. თითქოს სიგელი უბო-
ძებია მცხეთისადმი (100, 16); ასევე ამავე გიორგის აკუთვნებს
1464 წ. სიგელს გელათისადმი, რომლითაც გელათის ღვთისმშობლი-
სადმი ხდება მღვიმის ეკლესიისა და გლეხთა — ფანჩულიძეთა შე-
წირვა. ამ სიგელში ვკითხულობთ: „...ბეგარა რაცა იყოს, თქუენ
წინა მოვიდოდეს და არ დაგაკლდებოდეს და ჩუენ ჩუენი წირვა
კურთხევა ლოცვა წირვა არა მოგვეშალოს და ვინც ვინ ჩხარისა
პატრონი იყოს, რასაცა ყანასა მოჯნეედეს, მას ვერას სთხოვდეს და
ვერც რა საქმე დაიდლოს“ (100, 18).

ამ სიგელებში გიორგის გამეფება 1445 წ. არის აღნიშნული.
ს. კაკაბაძე მას ჩხარელ „მეფედ“ და ზემოაღნიშნულ ვახტანგ „გორ-
გასალის“ ძმად თვლის. აქედან გამომდინარე, ამ ვახტანგის გარდა-
ცვალებასა და გიორგის გამეფებას 1445 წ. ათარიღებს. რადგან ვახ-
ტანგი „მეფე“ იყო ლიხთ-იქითში — ქუთაისის მხარეში, რაჭაში,
ქართლის დასავლეთ და ჩრდილო ნაწილში, ამიტომ მისი ძმაც ამ
რეგიონის მფლობელია; 1464 წ. სიგელის მონაცემებით გიორგი
არგვეთშიც მფლობელობს. ს. კაკაბაძის აზრით, ძმები — ვახტანგი
და გიორგი „ჩხარის პატრონები“ არიან, რეზიდენციით ჩხარში.
1432 წ. ზემოაღნიშნული კოტრიძეთადმი ბოძებული სიგელით
მკვლევარი ვახტანგ „გორგასალის“ საგანმგებლოს ცენტრად ლიხთ-
იქითის სამეფოს ადმინისტრაციულ ცენტრს — ქუთაისს თვლის,
რეზიდენციად კი ჩხარს (100, 20). ს. კაკაბაძე გიორგი „ჩხარელის“
გარდაცვალებას 1469 წ. ათარიღებს, ეყრდნობა რა ვახუშტის ცნო-
ბას ამ წელს გიორგი მეფის მიცვალების შესახებ (100, 21).

ვფიქრობთ, თვალნათლივ ჩანს, რომ აქ ლაპარაკია და ეს სიგე-
ლები ეკუთვნის საქართველოს მეფე გიორგი VIII-ს; ვახუშტის
ცნობაც 1469 წ. გარდაცვალების შესახებ ხომ მას ეხება.

ს. კაკაბაძე ჩხარელ „მეფეთა“ შტოს აკუთვნებს ვინმე მეფე



ბაგრატსაც. მხედველობაშია ფანჩულიძეთადმი ბოძებული სიგელი (100, 6—8). ს. კაკაბაძე ამ ბაგრატს თვლის XV ს. II ნახ. რაჭა-არგვეთის მფლობელად — „პროვინციის მეფედ“, რომელსაც რეზიდენცია ჩხარში უნდა ჰქონოდა; მასვე აკუთვნებს 1479 წ. სიგელს, ბოძებულს ხუტუნე გებალიძისადმი (66, 39). მისივე აზრით, ამ ბაგრატ „ჩხარელის“ შვილია ის ვახტანგი, რომელიც 1510 წ. „მეფედ“ მყოფი მხეჭაბუკ ათაბაგთან ერთად შოხისს შეება ბაგრატ III-ს და დამარცხდა (100, 8, 21). სინამდვილეში, ეჭვს არ იწვევს, რომ აქ ლაპარაკია იმერეთ-ქართლის მეფე ბაგრატ VI-ის შესახებ.

როგორც ცნობილია, ბექასა და აღბუღას კანონებს მოსდევს ე. წ. ბაგრატ კურაპალატის სამართალი. ს. კაკაბაძე მის შემდგენელად თვლიდა XVI ს. შუა ხანებში თითქოსდა მცხოვრებ ბაგრატ „კურაპალატს“. იგი განიხილავს XVI ს. I ნახ. საბუთებს, სადაც დასტურდება მეფე ბაგრატის მფლობელობა, მას არ აიგივებს იმერეთის მეფე ბაგრატ III-სთან, „მეფობის“ წლებად აღნიშნავს 1541—1548 წწ. და თვლის „პროვინციის მეფედ“, რომელიც მფლობელობდა რაჭა, ოკრიბა, ქუთაისის რეგიონსა და ქართლის დასავლეთ ნაწილში, რეზიდენციად კვლავ ჩხარია ჩათვლილი (101, 4, 12—14). გარკვეული პერიოდის შემდეგ ს. კაკაბაძემ თავად უარყო თავისი შეხედულება და იგი XV ს. I ნახ. ბაგრატიონად, კერძოდ, ალექსანდრე I დიდი ძმა — ბაგრატად მიიჩნია. სამართლის შედგენაც მასვე მიაკუთვნა. რაც შეეხება ამ ბაგრატის ზედწოდებას — „კურაპალატი“, მკვლევარის აზრით, მასში უნდა იგულისხმებოდეს არა მისი რეალური შინაარსი, ე. ი. არა როგორც ხარისხი, არამედ როგორც ისტორიულ მონაგონართა მიხედვით ზედმეტ სახელად მიღებული სიტყვა (117, 246—247).

ვფიქრობთ, ვრცელი მსჯელობა არ უნდა იყოს საჭირო იმისათვის, რომ ადვილად მივხვდეთ ამ შტოს — ე. წ. ჩხარელ „მეფეთა“ არარსებულობა — არაისტორიულობას.

6. ბერძენიშვილის მიერ გამოცემულ ზევდგინიძეთა საჩივრის № 4 დოკუმენტში ვკითხულობთ: „შეიპყრა ათაბაგმან გიორგი მეფე (იგულისხმება გიორგი VIII, — დ. ნ.) და გარდმოვიდა მეფე ბაგრატ (ბაგრატ VI, — დ. ნ.). მე (ზევდგინიძე, — დ. ნ.) ბატონსა დავითს ასრე მოვახსენე: „თუ შენ ბაგრატ მეფისა ყმა არ შეიქმნები, მე ჩემსა მამულსა არავინ მამცემს“. წაუვიდა მის ძმასა (კონსტან-



ტინე II, — დ. ნ.) ჩემის მამულის გულისათვის და ბავშვებისათვის ფისა ყმა შეიქნა. თუმცა ყმა არ შექმნილიყო ჩემსა მამულსა არავინ მოგუცემდა. ამისი მოწმე ბატონი დავითი არის“ (8; 80, 43).

ყურადღებას იქცევს დავით „ბატონის“ პიროვნება.

როგორც ირკვევა, ვიორგი მეფის დატყვევების პერიოდში, სპანის მომხსენებლის — ზევდგინიძის ბატონი ქართლში დიმიტრი პროვინციის მეფის“ ძე, კონსტანტინე II-ის ძმა დავითი ყოფილა. 1466 წ. ქართლის ტახტზე ბაგრატ VI გაბატონების გამო, ზევდგინიძის აზრით, დავითმა, რომელიც ამ დროს „პროვინციის მეფე“ ჩანს, უნდა აღიაროს ბაგრატის ხელისუფლება, თორემ „თუ შენ ბაგრატ მეფისა ყმა არ შეიქმნები, მე ჩემსა მამულსა არავინ მამცემს“-ო. ამ დროს მეფობას იწყებს კონსტანტინეც („ორიანობა“)*. დავით „ბატონი“, წყაროს მიხედვით, მართლაც „წაუვიდა“ თავის ძმას — კონსტანტინე II და ზევდგინიძის „მამულის გულისათვის ბაგრატ მეფისა ყმა შეიქმნა“. ნ. ბერძენიშვილი თვლის, რომ რადგან დავითი და კონსტანტინე დიმიტრი „პროვინციის მეფის“ — „წყალს-იქითის“ (გალმა მხარი) შვილები არიან, ამიტომ, საფიქრებელია, კონსტანტინე, როგორც უფროსი, გალმა მხარის ბატონი (გულისხმობს პერიოდს 1466 წ. სამეფო ტახტზე გამეფებამდე), ხოლო დავითი გამოღმა მხრის მებატონე ყოფილიყო (82, 139). ნ. ბერძენიშვილის აზრით, დავითი გორისა და მისი მიდამოების ბატონია — „პროვინციის მეფეა“ (82, 125). ყოველ შემთხვევაში, იგი ზევდგინიძეთა პატრონია.

როგორ ვაგრძელდა დავითის „ბატონობა“, რომელიც 1466 წ. ბაგრატ VI-ის ქართლში გამეფებისას მასთან მისულა:

ეს მომენტი ღრობითი ჩანს — ბაგრატ VI-ის ბანაკში იგი ცოტა ხნით უნდა რჩებოდეს. ჩვენი აზრით, ამ პრობლემას უკავშირდება კახეთში დავითის „მეფობის“ საკითხი. ვახუშტიმ გარკვე-

* XV ს. საქართველოში ადგილი ჰქონდა მოვლენას, რომელიც წყაროებში „ორიანობის“ სახელწოდებით არის ცნობილი. იგი ერთ-ერთი ფორმაა შინაპოლიტიკური ბრძოლისა და „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის პარალელურად არსებობის. „ორიანობა“ წარმოიშვება იმ პერიოდში, როცა მებრძოლი ბატონი-შვილები არ უშვებენ ერთ-ერთი მხარის პრიორიტეტს, არ ყაბულდებიან მეორე პოზიციაზე ყოფნას ან „პროვინციის მეფის“ მდგომარეობას და ერთიანი სამეფო ტახტისაკენ მიისწრაფიან. „ორიანობის შესახებ ვრცლად იხ. ჩვენი სტატია — შინაპოლიტიკური ბრძოლის ისტორიიდან XV ს. („ორიანობა“), (160).

ვით უჩვენა, რომ კახეთის ბატონი დავითი დიმიტრი „პროვინციის მეფის“ ძე და კონსტანტინე II-ის ძმა იყო: „ვითარცა კახნი იტყვან, სარწმუნო არს და საგონებელი ეგრეთ“, რომ იგი იყო „მეფის ალექსანდრეს ძის დიმიტრის ძე დავით“ (36, 564, 565, 567). აქვე ვახუშტი ხაზს უსვამს, რომ „ჩვეულება იყო საქართველოს ნათესავთაგან მამინ, რამეთუ არა ვისმე იპატრონებდიან, უკეთუ ჰყავთ მემკვდრე მეფეთა ნათესავი...“, ამიტომ „უკეთუ მონათესავეთაგანი მეფეთა იყოს დავით, მასვე ჟამსა ვერ იკადრებდა მეფედ წოდებად და სწორყოფად და ვერცა გუარობათა მეფეთასა“ (36, 565).

ვახუშტის დასკვნით: „გარნა ვსწერთ ჩუენ მეფის ალექსანდრეს მცხეთის აღმაშენებელის ძის დიმიტრის ძედ დავითს, რომელსა აქუნდა საერისთოდ ანუ საუფლისწულოდ (ვითარცა ჩვეულება არს საქართველოსი) კახეთს ანუ ჰერეთსა შინა“ (36, 566).

დავითის კახეთში გამეფებას აღნიშნავს ბერი ეგნატაშვილიც, თუმცა მისი წარმომავლობის საკითხი მას გაურკვეველი რჩება: „ხოლო კახთა მებატონეთა მამა იყო დავით. და ამა დავითის მამა, არა უწყით თუ ვინ იყო. ესე დავით დიდოეთიდამე ჩამოიყვანეს და კახთა გაიბატონეს“ (34, 348).

ძალზე საინტერესოა იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ შემავალი „საქართველოს ისტორიის“ ცნობები დავითის შესახებ, რაზეც ზემოთაც გვქონდა საუბარი. მართალია, იოანე სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით ეკამათება ვახუშტის, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო საკითხზე მათ ერთნაირი მოსაზრება აქვთ. იოანე ბატონიშვილიც დავითს დიმიტრის ძედ თვლის და აღნიშნავს: „ვახუშტის დაუწერია, რომ არ იყო გაყოფილი კახეთი ქართლისაგან და არცა მეფე იჯდაო, არამედ, თუმცა გაყოფილი იყო და მეფედაც იჯდა დავით შემდგომად მამისა თვისისა, გარნა ჰერეთ არ იყო კურთხეული მეფედ და იწოდებოდა მეფედ, რომელსა წერილნი მისი აცხადებენ და ესრეთვე ევროპიელთა მეისტორიენი სწერენ გაყრასა კახთასა და მეფობასა დავითისასა. იხილე ძველთა მატრიანეთა შინა“ (128, 287). ყურადღებაამსაქცევია ისიც, რომ დავითის მეფობას „წერილნი მისნი აცხადებენ და ესრეთვე ევროპიელთა მეისტორიენი სწერენ“; ასევე მითითებაა „ძველთა მატრიანეთა შინა“ ცნობებზე. იოანე ბატონიშვილის მოსაზრებით, დავითი კახეთში მეფედ დამ-



ჯდარა „შემდგომად მამისა თვისისა“, ე. ი. დიმიტრი „პროვინციის მეფის“ მფლობელობის შემდეგ.

ფეიქრობთ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს დავითის დიმიტრი „პროვინციის მეფის“ შვილობა და მისი ისტორიულობა. ნ. ასათიანი აღნიშნავს, რომ არასწორია კახეთის ერისთავთა მიერ „გამთავრებული“ დავითის ისტორიულობის უარყოფა. ამასთანავე, მართალია, კახეთის სამეფოს დინასტიის მამამთავარი უდავოდ არის გიორგი VIII და მას, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ერთიანი საქართველოს დროს კახეთი საუფლისწულოდ ჰქონდა მიწებებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დავითისათვის სათანადო ადგილის მიჩენა კახეთის დამოუკიდებელ სამეფოდ გამოყოფის ისტორიულ პროცესში მინც შესაძლებელია (76, 112).

ნ. ასათიანი ყურადღებას ამახვილებს „ქართლის ცხოვრების“ ცნობაზე, რომ „მეფემან ალექსანდრე დასუა კახეთს უმრწემესი მმადიმიტრისი, გიორგი და მისცა ზემო კერძონი მთის ალაგნი“ (32, 476). მკვლევარის აზრით, ამ ფაქტში ცენტრალური ხელისუფლების გარკვეული პოლიტიკა უნდა იყოს ნაგულისხმევი, კერძოდ, გიორგის „მეფედ“ დანიშვნით ალექსანდრე მეფე თავის შვილს უპირისპირებს ადგილობრივ დიდებულ ფეოდალთა მიერ გაჩენილ ხელისუფალს. „ასეთი ხელისუფალი უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი ადგილობრივი ერისთავთაგანი დავითი, რომელიც სხვა „წარჩინებულ ერისთავთა“ მხარდაჭერით გამთავრებას აპირებდა“ (76, 116). ამ დაპირისპირებას, ავტორის აზრით, ადგილი აქვს 1446 წლამდე, სანამ გიორგი საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდოდა, ხოლო 1465 წ. როცა უკვე საქართველოს მეფე გიორგი VIII შეიპყრა ათაბაგმა და ბაგრატ VI ვერ შეძლო კახეთის „პყრობა“, ჰერ-კახთა წარჩინებულებმა და ერისთავებმა მეფედ დასვეს დიდოეთში გადახვეწილი დავითი. დავითის ერთგულად ჩანან დიდებული ფეოდალები — „წარჩინებულნი და ერისთავნი“, რომელთაც უპირისპირდებიან ცენტრალური ხელისუფლების მომხრე წვრილი და საშუალო ფეოდალები. ნ. ასათიანის აზრით, დიდებულებმა ხელსაყრელი ვითარება გამოიყენეს, გაახელმწიფეს ერისთავად მყოფი დავითი — „ეს დავითი პირველ რიგში ამ ერისთავთა და წარჩინებულთათვის სასურველი ხელისუფალია, რადგან იგი ნაკლებად შეუზღუდავდა მათ თვითნებობას, მსხვილ ფეოდალებს ექნებოდათ „თავისუფლება

შლილობათა ამათ შინა“ (76, 118). 1466 წ. გიორგის ტყვეობიდან თავდახსნის შემდეგ, იგი გადადის კახეთში და მეფობას იწყებს, დავითი კი დიდოეთში გარბის. ნ. ასათიანის მოსაზრებით, ვახუშტი ანაქრონისტულ შეცდომას უშვებს, როცა დავითის დიდოეთში გადახვეწას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ გიორგის კახეთში ბატონიშვილობის დროს, უკავშირებს გიორგის კახეთში გამეფების ამბავს (76, 118).

ჩვენი აზრით, სავსებით მართებულია მოსაზრება, რომ გიორგისა და დავითის ბრძოლები კახეთში გამეფებისათვის კარგად ასახვენ ამ პერიოდის შიდაკლასობრივ და კლასობრივ დაპირისპირებულობას კახეთის სამეფოში (77, 212). მაგრამ, ვფიქრობთ, დაზუსტებას საჭიროებს შემდეგი მომენტები: ალექსანდრე I დიდის მიერ გიორგის კახეთში „მეფედ“ დასმა, როგორც აღინიშნა, 1446 წლამდე ხდება, კერძოდ, 1433 წლის ახლოს. ამიტომ მეფე თავის შვილს ვერ დაუპირისპირებდა კახეთში „გაქელმწიფებულ“ დავითს, რადგან ამ პერიოდისათვის იგი მცირეწლოვანი იქნებოდა. ამასთან, გიორგის ბატონიშვილობის პერიოდში დავით დიმიტრის ძე ქართლში და არა კახეთში ჩანს ფლობამიცემულ „ხელმწიფედ“. რაც მთავარია, გვაქვს ქრონოლოგიური საყრდენი, პირდაპირი მითითება, რომ „ხოლო რაჟამს იძლია ო³ მეფე გიორგი ჩიხორს ბაგრატიისაგან და შემდგომად თავრიჯ გილაქის თემურისაგან, მერმე შეპყრობილ იქნა ყუარყუარე ათაბაგისაგან და დაიპყრა ქართლი ბაგრატ მეფემან იმერთამან და იწყო პყრობად კახეთისად. ამისათვის შეიზრახნენ მაშინ პერკახთა წარჩინებულნი და ერისთავნი და არა ინებეს მეფედ თვსად ბაგრატ, ვინაჟთგან განდგნენ სხუანიცა და გამოირჩიეს მუნვე მყოფი ერისთავთაგანი ანუ გამოკულეული ჩუენი ესე ო³ მეფის ალექსანდრეს ძის დიმიტრის ძე დავით და დასუეს, ვითარცა მეფე“ (36, 566—567). როგორც ვხედავთ, დავითის „გამეფება“ 1466 წ. ხდება, ამიტომ 1446 წლამდე კახეთში გიორგის „გაქელმწიფება“ ვერ იქნებოდა ცენტრალური ხელისუფლების ღონისძიება — დაპირისპირება დავითის წინააღმდეგ. გიორგის ამ პერიოდის კახეთში „მეფობაზე“ ჩვენ უკვე ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. დგება მეორე საკითხი: დავითი, როგორც ჩანს, იყო არა „ერთ-ერთი ადგილობრივი ერისთავთაგანი“, არამედ ალექსანდრე I დიდის შვილისშვილი, დიმიტრი „პროვინციის მეფის“ შვილი. ნ. ასათიანის აზრით,



დავითი არ უნდა ეკუთვნოდეს ბაგრატიონთა საგვარეულოს, ხილიანის“ თურქესტანიშვილისეული ტექსტის ავტორმა და ბერი ეგნატაშვილმა არ იცოდნენ მისი ჩამომავლობა. მკვლევარის აზრით, დავითი მეფედ კი არა, „მთავრად“ დამჯდარა, რომელსაც კახეთში დამოუკიდებელი სამთავრო ხელისუფლება შეუქმნია (76, 107). მისივე მოსაზრებით, ვახუშტი ხელოვნურად ცდილობს დავითის დაკავშირებას ბაგრატიონთა საგვარეულოსთან, რადგან ბატონიშვილის აზრით, არაბაგრატიონი ვერ „იკადრებდა“ მეფის წოდებას; ბაგრატიონთა გვარიდან აღნიშნულ პერიოდში ვახუშტისათვის ამ სახელის მატარებელი მხოლოდ დავით დიმიტრის ძე იყო ცნობილი, ამიტომ იგი ალექსანდრე I დიდის შვილის დიმიტრის ძედ მიიჩნიაო. საბოლოოდ, ნ. ასათიანის დასკვნით, ვახუშტის ეს მოსაზრება პირადი გამოკვლევის ნაყოფად უნდა მივიჩნიოთ (76, 113).

ჩვენი აზრით, რა თქმა უნდა, ვახუშტი შეცდომას უშვებს, როცა კახეთის მეფეთა მამამთავრად ამ დავითს მიიჩნევს და მის შვილად თვლის გიორგი კახთა მეფეს; მაგრამ, ამავე დროს, ვახუშტი დარწმუნებულია, რომ კახეთის პირველი დამოუკიდებელი ხელისუფალი დავით დიმიტრის ძე არის, თან ეყრდნობა ისეთ საინტერესო წყაროებს, რომელთაც ჩვენამდე ვერ მოაღწიეს. ნ. ასათიანისვე სიტყვებით, „ვფიქრობთ, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ დავითის, როგორც კახეთის პირველი დამოუკიდებელი ხელისუფლების შესახებ ცნობები განხილულ თხზულებებში სანდო წყაროებზე დაყრდნობით არის მოტანილი და ამდენად მათ უარყოფის უფლება არა გვაქვს. პირიქით, მათი გათვალისწინება ჩვენ დიდ დახმარებას გვიწევს კახეთის დამოუკიდებელ სამეფოდ გამოყოფის ისტორიულად სრული სურათის აღდგენის საქმეში“ (76, 113). აქვე ხაზგასასმელია, რომ ქართლის ცხოვრების ჯანაშვილისეულ ხელნაწერში ბერი ეგნატაშვილის ცნობას კახეთში დავითის ხელისუფლობის შესახებ ახლავს შენიშვნა: „ეგნატაშვილს მტერობა უმგარი სიკრუე იმას რომ იმერთა და კახთა ჭეშმარიტად მეფენი არიან და ბაგრატიონნი...“ (34, 348). როგორც ვხედავთ, შენიშვნის ავტორი არ ეთანხმება ბერი ეგნატაშვილის მტკიცებას, რომ დავითი უცნობი წარმომავლობისაა და ჭეშმარიტად ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენლად მიიჩნევს. იოანე ბატონიშვილი კი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, მრავალ საკითხზე ეკამათება ვახუშტის, პირდაპირ აღნიშ-



ნავს დავეითის ბაგრატიონობასაც და მის დიმიტრის ძეობას. ამდენად, ჩვენი აზრით, ვახუშტი უტყუარ ცნობას უნდა გვაძლევდეს დავეითის წარმომავლობის შესახებ.

ყველა მომენტის გათვალისწინებით დავეითის „მეფობა“ ასე წარმოგვიდგება: პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ამ „მეფობაში“ არ უნდა დავინახოთ მეფობა პირდაპირი ვაგებით. ჩვენი აზრით, აქ ლაპარაკია დავეითის „პროვინციის მეფობაზე“:

1466 წელს გიორგი VIII დატყვევებისა და ბაგრატ VI ქართლში გადმოსვლის შემდეგ, დიმიტრი „პროვინციის მეფის“ ძე „ბატონი“ დავეითი, რომელიც ქართლში „პროვინციის მეფე“ ჩანს, ბაგრატს „ეყმო“ (80, 43). ამ დროს ბაგრატმა „იწყო პყრობად კახეთისად“, მაგრამ ჰერ-კახთა წარჩინებულებმა „არა ინებეს მეფედ თვსად ბაგრატ“. ამიტომ „ამისი მხილველი განდგა დავეითცა ნებითა ჰერ-კახთათა, რა არა დაიპყრას ბაგრატ ჰერ-კახნიცა და იწყო წოდებად მეფედ კახთა დავეით“ (36, 287). „იწყო წოდებად მეფედ“ სწორედ უნდა ლაპარაკობდეს 1466 წელს მის „პროვინციის მეფობაზე“ კახეთის გარკვეულ რეგიონში. ამავე წელს ქართლში იწყება „ორიანობა“ ბაგრატ VI და კონსტანტინე II შორის.

გიორგი VIII ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ ქართლში ფეხს ვერ იკიდებს და კახეთში გადადის, იგი „შეკრებული სპითა ათაბაგითურთ მოვიდა დავეითს ზედა“. „მაშინ კჳულად დაუტევეს ჰერ-კახთა დავეით და მიერთუნენ მეფესა გიორგის, და დაიპყრა მეფემან გიორგი ჰერ-კახნი. ხოლო დავეით ივლტოდა დედაწულით თვსით დიდოეთს და დიდოთა შეიწყნარეს იგი და პატივ-სცეს კეთილად“ (36, 566—567). უკვე „დედაწულით თვსით“ დიდოეთში გადასვლა და იქ „პატივ-სცეს კეთილად“ ნიშნავს დავეითის „პროვინციის მეფობას“ სხვა რეგიონში, კერძოდ, დიდოეთში. დავეითს დიდოეთში სოციალური საყრდენი — ვასალთა ფენა გაუჩენია, ამიტომაც როცა გიორგი მეფე „კჳულად ეზრახა დიდოთა, რათა მოსცენ დავეით და მოიღონ ნიჭი დიდი, არამედ მათ არა ინებეს დავეითის მოცემა მეფისა“ (36, 288). ამავე დროს, თავად გიორგის „აქუნდა შინაგანი განუსუენებლობა“, ამიტომ მან „ვერღარა იკადრა შერისხუა დიდოთა მათ“. ნ. ასათიანის აზრით, გიორგი მეფის ეს „შინაგანი განუსუენებლობა“ იმის შედეგია, რომ დამარცხების მიუხედავად კახე-



თის წარჩინებულნი მაინც არ ჰყრიან ფარხმალს და თვით კონსტანტინესთანაც არჩევენ დაკავშირებას (77, 214).

ვახუშტის მიხედვით, გიორგი VIII 1469 წ. გარდაიცვალა (სინამდვილეში ეს ხდება 1476 წელს. ივ. ჯავახიშვილის აღნიშვნით, ვახუშტის იგი ხელოვნურად აქვს გამოყვანილი, 1469 წ. თვლის რა კონსტანტინეს გამეფების ხანად, ამ წელს მიიჩნევს გიორგი მეფის გარდაცვალების თარიღად) და გამეფდა კონსტანტინე II. „შემდგომად სიკუდილისა მეფისა გიორგისა ჩამოიყვანეს კულად დავით დიდოეთიდან ჰერ-კახთა და დასუეს უმეტეს მტკიცედ მეფედ კახთა“ (36, 566—567). ნ. ასათიანის აზრით, ვახუშტის ცნობა დავითის კახეთში კვლავ გამეფების შესახებ ასახავს კახეთში მეფე გიორგისა და ერისთავ-წარჩინებულთა შორის ბრძოლის ერთ-ერთ მომენტს, კერძოდ, ამ უკანასკნელთა დროებით წარმატებას, როდესაც მათ სცადეს და რამდენადმე შეძლეს კიდევ დავითისათვის ხელისუფლების დაბრუნება (77, 215). ჩვენი აზრით, მაინცადამაინც 1469 წელს დავითის დიდოეთიდან ჩამოყვანა, კვლავ კახეთის ცენტრში „გამეფება“ და ბოლბეს კურთხევა არ უნდა იყოს შემთხვევითი. 1469 წ. გარკვეული ტეხილია ქვეყნის შინაპოლიტიკურ ვითარებაში, „ორიანობაშიც“ ცვლილებაა, კონსტანტინე II „აქუნდა მას ეამსა დიდი განუსუენებლობა“, ამიტომ ამ წელს ხელმეორედ უხდება ქართლში მეფედ კურთხევა. სავარაუდოა, რომ შექმნილი ვითარებით ესარგებლა დავითს და კახეთის ცენტრში ფეხი მოეკიდებინა, სადაც ერთხელ, 1466 წელს, უკვე ჰქონდა ფლობა. ამასთან უნდა იყოს დაკავშირებული მისი ბოლბეში „მეფედ“ კურთხევაც.

დავითის „პროვინციის მეფობა“ ეჭვს არ უნდა იწვევდეს. მის ასეთ „კნინ მეფობაზე“ მიგვითითებს დავითის ხელისუფლების არამტკიცე მდგომარეობა. 1466 წ. „გამეფების“ შედეგად მოპოვებულ ადგილს იგი იმავე წელს ადვილად კარგავს და დიდოეთში გარბის. 1469 წელს, ისტორიკოსის მითითებით, დავითი უკვე „დასუეს უმეტეს მტკიცედ მეფედ კახთა“. მიუხედავად ამისა, დავითის „პროვინციის მეფობა“ მაინც არ არის მტკიცე. იგი, განსხვავებით გიორგი მეფისაგან, სცნობს კონსტანტინეს მეფობას, როგორც ნ. ასათიანი აღნიშნავს, შეიძლება მის უპირატესობასაც კი (77, 215). ამით აიხსნება, რომ „კურთხევასა კონსტანტინესსა წარვიდნენ რომელნი ებისკოპოზნი და წარჩინებულნი ჰერ-კახთანი“ (36, 567). დავითის „პრო-



ვინციის მეფობაზე“ ისიც მიგვანიშნებს, რომ მას ეცილებიან საგან-
მგებლო ტერიტორიებს: „არცა უტევებდა კოსტანტინე მეფე პერსი-
ბად დავითს მარტყოფს, საგურამოს, და ხერკსა“. როგორც ჩანს,
დავითს კახეთის მხოლოდ გარკვეულ რეგიონზე და ადგილობრივ
ფეოდალთა ერთ ნაწილზე ჰქონდა გავლენა. ამიტომ „ვერ ბრძოდა
დავით კოსტანტინეს, ვინაფთჳან ეშინოდა ერისთავთა თუსთაგან,
არამედ მცდელობდა განმკვდრებასა ჰერ-კახთასა“. ამ დროს დავით
პროვინციის მეფე“ „ულონოებს, ვინაფთჳან საგონებელ არს სხუა-
თა ერისთავთა არა დამორჩილებად მისდა“ (36, 566).

ამდენად, ამ დროს კახეთის მეფეა გიორგი VIII, დავითის
„ულონობა“ და „ერისთავთა არა დამორჩილება“ კი კახეთის გარ-
კვეულ რეგიონში მის „პროვინციის მეფობაზე“ მიგვითითებს. „არ-
ჩილიანის“ თურქესტანიშვილისეულ ტექსტში ვკითხულობთ: „და-
ვით კახთა გაიმთავრეს, მათგან უფრო გვარად მკლეო“ (31, XII), —
ეს მითითება გვარად ნაკლებობის შესახებ, ჩვენი აზრით, მიგვითი-
თებს არაპირდაპირი ხაზით მის სატახტო ჩამომავლობაზე, „პროვინ-
ციის მეფის“ შვილობაზე, გამეფების არაკანონიერ მცდელობაზე,
რაც საბოლოო ჯამში ლაპარაკობს თავად მის „პროვინციის მეფო-
ბაზე“. იოანე ბატონიშვილი „კალმასობაში“ მოთავსებულ „საქარ-
თველოს ისტორიაში“ ხომ პირდაპირ მიგვინიშნებს: დავითი, „ჭერეთ
არ იყო კურთხეული მეფედ და იწოდებოდა მეფედ“.

ვახუშტის მიხედვით, დავით „პროვინციის მეფე“ 1470 წ. „გარნა
მცირედისა შემდგომად დასნეულდა ვითარებასა შინა და მოკულა“
(36, 567). სწავლულ კაცთა კომისია დავითის მემკვიდრედ თვლის
ლევანს, ვახუშტიც მიუთითებს (თუმცა არ იზიარებს), რომ „ანუ
ვითარცა სხუანი იტყვან ლევან“-ს დავითის მემკვიდრედო. ნ. ასა-
თიანის აზრით, თუ ეს ცნობა სწორია, უნდა ვივარაუდოთ, რომ და-
ვითის სიკვდილის შემდეგ ლევანს ვერ მოუხერხებია კახეთში მამის
ხელისუფლების შენარჩუნება (77, 216). ლევანის „გალარიბების“
მთავარი მიზეზი უდავოდ გიორგი VIII უნდა იყოს, რომლის გარ-
დაცვალების შემდეგაც კახეთში მეფდება მისი ძე ალექსანდრე I
კახთა მეფე (1476—1511).

საინტერესოა ასეთ ვითარებაში საქართველოს მეფის კონსტან-
ტინე II ტახტის მდგომარეობა, რომლის ხელისუფლება სულ უფ-
რო მხოლოდ ქართლის ტერიტორიის საზღვრებში ექცევა და რო-

მელიც ჯერ კიდევ შეძლებისდაგვარად იბრძვის ამის წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში ინტერესს იწვევს მისი უპირველესი ძის ^{მეფის} მემკვიდრეობის, მომავალი ქართლის მეფის დავით X-ის მდგომარეობა.

როგორც წყაროთა მონაცემებით ირკვევა, იგი მამის სიცოცხლეში „მეფის“ ტიტულით მოღვაწეობს. ამას ადასტურებს 1488 წ. კონსტანტინე II-ის სიგელი მცხეთისადმი (107, 53; 57, 306; 25). ს. კაკაბაძის აზრით, მის მიერვე უნდა იყოს გაცემული მეფეთმეფის დავითის სიგელი მადნარაძეთადმი (119, 20—22), რომლის მიხედვითაც დავითის განსაკუთრებული გავლენა ჩანს ლიხთ-იქითში მკვლევრის აზრით, შესაძლებელია კონსტანტინე II მეფობის პერიოდში მისი შვილი დავითი 1486—1488 წწ. იმერეთის მმართველი ყოფილიყო, იგი აქ მფლობელობით უნდა უპირისპირდებოდეს ბაგრატ VI-ის ძეს — ალექსანდრეს, რომელიც რაჭა-არგველთა დახმარებით ცდილობს ქუთაისის ტახტის დაპატრონებას (119, 22; 107, 3—4).

ჩვენი აზრით, XV ს. 80-იან წლებში შექმნილი ქვეყნის შინაპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია დავითს, როგორც „პროვინციის მეფეს“, მფლობელობა ჰქონოდა და სხვა შინაპოლიტიკურ საკითხებში მონაწილეობასთან ერთად ალექსანდრე ბაგრატის ძის წინააღმდეგაც ებრძოლა. ლიხთ-იქითში მისი „მეფობა“ 1489 წ. უნდა გაგრძელებულიყო, როცა იმერეთში ალექსანდრე უკვე რეალური ძალაუფლებით ლიხთ-იმერეთის მეფე ხდება.

აღსანიშნავია, რომ დ. ფურცელაძე იცნობს ორ სიგელს, რომლის მიხედვითაც XV ს. II ნახ. დავითის „მეფობა“ დასტურდება. 1477 წ. დავით მეფის სიგელით, მან აზნაურ მალრაძეებს იადგარი უბოძა და მიანიჭა გარკვეული უფლებები, რასაც დოკუმენტის ბოლოში ადასტურებენ ქართლის ამირეჯიბი, დავით ციციშვილი, ერისთავი გიორგი აბგაძელიძე, ამილახორი ჩხეტიძე და ქართლის ეპისკოპოსები (66, 36—37). მეორე სიგელით, იგი მინერალურ აბანოს უბოძებს თბილისის სამღვდელთაგან, რომ ამის სანაცვლოდ მათ დავით მეფე და მისი ოჯახი ლოცვებში ყოველწლიურად მოიხსენიონ (65, 52).

ისტორიული დოკუმენტები თვალნათლივ გვიჩვენებენ, რომ კონსტანტინე II მეფობის ბოლო პერიოდში შინაპოლიტიკური ვი-

თარება განსაკუთრებით გამწვავდა. იგი 1490 წ. იძულებული გახდა დარბაზის გადაწყვეტილებით იურიდიულად გაეფორმებინა ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის დაშლა. როგორც ირკვევა, მისი მეფობის ბოლო წლებში ისეთი ვითარებაც კი შექმნილა, რომ ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფე — კონსტანტინე II ბერადაც შემდგარა.

პროფ. ვ. ჯობაძის მიერ ხელნაწერთა ინსტიტუტისადმი გამოგზავნილი უცხოეთში დაცული ქართული მცირე ხელოვნების ნიმუშების ფოტოსურათებში ყურადღებას იქცევს გარდამოხსნა, რომელიც შეწირულია იერუსალიმის ტაძრისადმი. მასზე ამოქარგულია ცამეტსტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერა, სადაც მოხსენიებულნი არიან ისტორიული პირები — მეფეთ-მეფე კონსტანტინე — ყოფილი კირილე და მისი ძე გიორგი (138, 168—169). პროფ. ვ. ჯობაძის აზრით, ეს არის კონსტანტინე II და მისი ძე, მომავალი ქართლის მეფე გიორგი IX; კონსტანტინე ბერადაა შემდგარი, გიორგი კი ჯერ არ გამეფებულა, ამდენად, გარდამოხსნა დაახლოებით 1505—1525 წწ. უნდა დათარიღდეს. დ. ლომიძემ ყურადღება მიაქცია XI ს. სვინაქსარის (A 97) ერთ-ერთ გვიანდელ მინაწერს, რომელიც მხარს უჭერს კონსტანტინე II ბერად შედგომის ფაქტს. იგი წარმოადგენს კონსტანტინე მეფის მოსახსენებელს: „სულსა მეფის კონსტანტინე ყოფილი კირილეს შეუნდნენ ღმერთ-მან“ (138, 169).

კონსტანტინე მეფის ბერად აღკვეცას XVI ს. დამდევისათვის უნდა ჰქონოდა ადგილი. იგი ახალი ფაქტია და კარგად ახასიათებს კონსტანტინეს მეფობის ბოლო პერიოდის სირთულეებს. მისი ტახტის დასუსტებაში „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტსაც მიუძღვის გარკვეული წვლილი. რაც შეეხება ბერად შედგომას, როგორც აღვნიშნეთ, ამ პერიოდის ბაგრატიონთა ისტორიაში იგი იშვიათი არ არის — თავად კონსტანტინე მეფის ძეებსაც მოუხდათ ბერად აღკვეცა: დავითს დამიანეს, გიორგის გერასიმეს სახელით.

რა ვითარება იყო „პროვინციის მეფეთა“ ისტორიის თვალსაზრისით XV ს. II ნახ. ლიხთ-იქითში:

როგორც აღვნიშნეთ, მომავალი მეფე ბაგრატ VI* ალექსანდრე

* ს. კაკაბაძე თავიდან თვლიდა, რომ მთის წმინდა გიორგის მონასტრისადმი სიგელის მბოძებელი ბაგრატი არის XIV ს. რაჭა-არგვეთის „პროვინციის მეფე“




დიდის ძმის — გიორგის ჩამომავალია. მან, როგორც სამეფო სახლის უახლოესმა ნათესავმა, ლიხთ-იმერეთის მხარის ერისთავობა მიიღო, მაგრამ იგი არ ყაბულდება ასე „უპატიოდ ყოფნას“ და „მეფობისათვის“ იბრძვის. ზევდგინიძეთა საჩივრის საბუთი (Hd-1800) გვაცნობს სწორედ იმ პერიოდს, როცა ბაგრატს ქუთაისი დაკავებული აქვს, რასაც არ ურიგდება საქართველოს მეფე გიორგი VIII, მან ბაგრატს „ქუთათისი წაართო“ კიდეც. ნ. ბერძენიშვილის აზრით, „წაართო“ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ბაგრატს ქუთაისი დაპყრობილი კი არა, მიღებული ჰქონია ანუ იმერეთის მხარის ერისთავი ყოფილა (82, 123). როგორც ჩანს, ბაგრატმა, სამეფო სახლის წევრმა და ალექსანდრე I დიდის ძმისწულმა, გიორგი VIII სამეფო ტახტზე ასვლის შემდეგ, ბიძაშვილისაგან მიიღო ქუთაისის ერისთავობა. მაგრამ „პროვინციის მეფეთა“ არსებობისა და ცენტრის სისუსტის პერიოდში მან „მეფობა“ მოინდომა, ამიტომ ხელმეორედ იბრძვის ქუთაისისათვის, აღწევს წარმატებას და „მეფის“ ტიტულით იწყებს მოღვაწეობას. ბაგრატის ეს „გამეფება“ 1453 წ. თარიღდება, როცა ზევდგინიძეთა მიერ გორის მოურაობის დაკარგვა და ამ თანამდებობის გამრეკელისადმი გადაცემა მოხდა (82, 128). ამასთან, გვაქვს ცნობები XV ს. 60-იან წლებში ბაგრატის კვლავ „მეფედ“ კურთხევის შესახებ. ბაგრატი ჩიხორის ბრძოლაში წარმატებას აღწევს, რის შემდეგაც მთავართა „მისცეს მას პირი მტკიცე და ჰყვეს მეფედ იმერთა“ (36, 285). როგორ უნდა შევათავსოთ ეს ორი გამეფება?

პირველ შემთხვევაში იგი ქუთაისის მხარის „პროვინციის მეფე“ ჩანს. ლიხთ-იქითის მთავრებზე გავლენა მას ნაკლებად აქვს. 1460 წ. ყვარყვარე ათაბაგის წერილში გურულები და აფხაზები გიორგი VIII ქვეშევრდომებად იხსენიებიან და არა ბაგრატ „მეფისა“, ბედიანიც სამეგრელოს დამოუკიდებელ მთავრად წარმოგვიდგება (170, 60). მაგრამ მის „პროვინციის მეფობას“ მაინც ჰქონდა გარკვეული რეალური ძალაუფლება, რამდენადაც ჰყავდა არსებობი-

(106, 4—8). მაგრამ უკვე 1924 წ. იგი ბაგრატ გიორგის ძე აფხაზ-იმერთა მეფედ მიიჩნია, ე. ი. ბაგრატ VI (118, 251—252). საურმაგ კაკაბაძე მას აიგივებს მიქელ ლიხთ-იქითის „მეფის“ ძე ბაგრატთან (64, 97). ვფიქრობთ, ეს სიგელი, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, უნდა ეკუთვნოდეს ბაგრატ VI იმერეთ-ქართლის მეფეს.



სათვის აუცილებელი სოციალური საყრდენი — ვასალნი, რომელნიც აღიარებდნენ მის „კელმწიფობას“. ეს ირკვევა ჩვენამდე მოღწეული ამ პერიოდის სიგელებით, რომლებიც ბაგრატ „მეფის“ მიერ არის ნაბოძები: 1452 წ. სიგელი ბოძებული ავშანდაძეთადმი (57, 264—266; 47, 41—44; 16), 1457 წ. გაცემული სიგელი ელიოზისძე მამისთვალა სეფიშვილისათვის (19; 119, 16—17). ე. ი. ქუთაისის მხარის ერისთავი „მეფედ“ განდიდებულა. ყვარყვარეს ზემოაღნიშნულ წერილში ბაგრატი სწორედ „ქუთაისის მეფედ“ იწოდება. მაგრამ „ქუთაისის მეფობა“ არ არის ბაგრატის საბოლოო მიზანი; იგი არ სჯერდება „პროვინციის მეფის“ ადგილს. მიუხედავად იმისა, რომ ბაგრატის მამა საქართველოს მეფე არ ყოფილა, არამედ მხოლოდ მეფის ძმა, მის განზრახვაში შედის როგორც სრულიად ლიხთ-იქითი, ასევე აღმ. საქართველოში გახელმწიფება, იგი ხომ აღმ. საქართველოს ბაგრატიონთა ჩამომავალია. ბაგრატი თავის პოლიტიკურ ნაბიჯებს კანონიერად მიიჩნევს, რადგან მისი მოწინააღმდეგეები — არც გიორგი VIII და არც კონსტანტინე II ტახტის მემკვიდრეობითი ფლობის წესების მიხედვით არ არიან პირდაპირი ნაზით ტახტის კანონიერი მფლობელები. ამიტომაც 1463 წელს ჩიხორის ბრძოლაში წარმატების შემდეგ, ბაგრატი უკვე თავის ხელისუფლებას ავრცელებს ლიხთ-იქითის მთავრებზეც. ვახუშტი მას „სრულიად იმერთა მეფეს“ უწოდებს. ამ პერიოდში ბაგრატის ხელისუფლების გაძლიერება XV ს. 50-იანი წლების ბოლოსთან შედარებით უდავოა, მაგრამ იგი „პროვინციის მეფის“ მდგომარეობას მაინც ვერ გასცდა. საქართველოს სამეფო ტახტი მისი „მეფობის“ კანონიერებას არ ცნობს. ამაზე ლაპარაკობს თუნდაც 1464 წლის სიგელი გიორგი VIII გელათის მონასტრისადმი, სადაც ვკითხულობთ: „...გელათის ღმრთისმშობელო... მეფეთა მეფემან გიორგი ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ მცირე ესე სამსახური და შესაწირავი და შემოგწირე მღუიმისა ეკლესია და იქ მსხდომნი გლეხნი ფანჩულისძენი მამულითა მათითა...“ (20; 100, 17—18). ამ სიგელიდან აშკარად ჩანს, რომ ლიხთ-იმერეთში გიორგი VIII ხელისუფლება კვლავ ძლიერია, მას გელათისათვის მღვიმის ეკლესია და მისი გლეხნი შეუწირავს, ამდენად, ბაგრატი VI მფლობელობა ჯერ კიდევ „პროვინციის მეფობას“ არ ვასცილებია.



ბაგრატის „პროვინციის მეფობა“ 1466 წელს სრულდება, როცა გიორგი VIII ყვარყვარე ათაბაგმა ტყვედ ჩაიგდო და მკვლელობა მიეცა ქართლში გადმოსულიყო.

ბაგრატი VI გარდაცვალების შემდეგ, 1478 წელს, მისი ვაჟი ალექსანდრე არ ემორჩილება კონსტანტინე II სამეფო ტახტს და ლიხთ-იმერეთში გამეფებას ცდილობს. მან „მოუწოდა დადიან-გურიელს, შარვაშიძეს და გელოვანს, მაგრამ ისინი არ მოვიდნენ“, ამიტომ ალექსანდრე რაჭა-არგვეთში გამაგრდა „მეფის“ ტიტულით, რაც ამ რეგიონში მის „პროვინციის მეფობაზე“ ლაპარაკობს. ეს „მეფობა“ 1478—1484 წწ. გრძელდება. ნიშანდობლივია, რომ ალექსანდრეს „პროვინციის მეფობა“ რაჭა-არგვეთში მიმდინარეობს: ეს ისტორიული პროვინცია გეოგრაფიულად იზოლირებული რეგიონია, პოლიტიკური თვალსაზრისითაც ამ მხარეს არაერთხელ გამოუმჯდავნებია განკერძოებისაკენ მისწრაფება — თავის დროზე საერისთავოსაც წარმოადგენდა, რომლის ზოგიერთი ერისთავი სეპარატისტულ პოლიტიკას აწარმოებდა; გავიხსენოთ დავით ნარინის ძის — მიქელის „მეფობაც“ ამ რეგიონში. მეორე და მთავარი კი ის არის, რომ ალექსანდრეს მამა — ბაგრატი VI თავის მწვეავე შინაპოლიტიკურ და დინასტიურ ბრძოლებში ხშირად რაჭას ეყრდნობა, იქაა გამაგრებული, ჰყავს დასაყრდენი სოციალური ფენა და მნიშვნელოვანი გავლენითაც სარგებლობს. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ მის შვილს აქ საუფლისწულოს მავგარი სამფლობელო ექნებოდა, სადაც მისი „გაზრდილ-შეზრდილები“ ცხოვრობდნენ. სწორედ ამ რაჭა-ლეჩხუმლების დახმარებით ცდილობს ალექსანდრე „პროვინციის მეფე“ იმერეთში „გაველმწიფებას“. ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის დაშლა გარდაუვალი და აშკარა ჩანს, ამიტომ ლიხთ-იქითელი ბაგრატიონი მხოლოდ „პროვინციის მეფობას“ აღარ კადრულობს. მის პოლიტიკურ თვალსაწიერში უკვე სრულიად იმერეთია.

რადგან ალექსანდრესათვის უმთავრეს დასაყრდენს რაჭველ-ლეჩხუმლები წარმოადგენენ, ბუნებრივია, მათ „მეფე“ განსაკუთრებული ყურადღებით ექცევა. ივ. ჯავახიშვილმა ამასთან დაკავშირებით ერთ ფაქტს მიაქცია ყურადღება: რაჭა-ლეჩხუმის თავადს სარგის ჯაფარიძეს, კუჭაიძესა და ლაშხიშვილს სვანეთის მცხოვრებთათვის შურისძიების მიზნით შვიდი წლით გზა შეუკრავთ. გან-

საეკლესიო ჩავარდნილ სვანებს დადიანის შუამავლობით დახმარებისათვის ალექსანდრე მეფისადმი მიუმართავთ. მეფეს უთქვამს: „ჯაფარიძისთანა თავადი რაჭას არა მყავსო. თუ ჯაფარიძის სისხლს გარდხნიანო, სვანთ გზას მივცემო, და ჯაფარიძეთაც ჩამოვხსნითო, თუ არა და ჯაფარიძეს საქმეს არ გარდავწყვეტო...“ ჯაფარიძენი „მწვედ მძლავრი კაცნი არიანო და სრულიად რაჭველნი და ლეჩხუმელნი დამეკარგვიანო“. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „რაკი ალექსანდრემ რაჭა-ლეჩხუმელთა თანადგომითა და დახმარებით შესძლო გამეფება, მისთვის მათ სულისკვეთებას თუ მომხრეობას, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა“ (191, 140).

1483 წ. არაღეთის ბრძოლაში კონსტანტინე მეფის დამარცხების შემდეგ 1484 წ. ალექსანდრემ „აღიღო ქუთათისი და ეკურთხა მეფედ იმერთა“ (36, 386). კონსტანტინე ამას არ ურიგდებდა, „კუალად დაიპყრა იმერეთი, მოვიდა და აღიღო ქუთათისი“ (36, 387). მაგრამ იაყუბ ყაენის შემოსევამ კონსტანტინე იძულებული გახადა ლიხთ-იქითი მიეტოვებინა და ქართლში დაბრუნებულყო. ამით ისარგებლა ალექსანდრემ და 1489 წ. შემოიმატკიცა „სუანნი, მოირთო რაჭა-ლეჩხუმი, ჩამოვიდა და დაიპყრა ქუთათისი, ეზრახა დადიან-გურიელსა და დაიზავნა ივინი და დაიპყრა ლიხს იქეთი უმეტეს პირველისა“ (36, 388). ამით დამოუკიდებელი იმერეთის სამეფოს გაფორმებაც დამთავრდა.

თ ა ვ ი V

**ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის დაშლა
და „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის
არსებობის საკითხი**

საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის საკითხი გლობალური პრობლემა და მნიშვნელოვანი ეტაპია ქართული ფეოდალური საზოგადოების განვითარების ისტორიაში. ბუნებრივია, ამჟამად მისი ყოველმხრივი განხილვა სცილდება ჩვენი ნაშრომის ამოცანებსა და ფარგლებს. მაგრამ რამდენადაც საქართველოს სამეფოს პოლიტიკური დაშლა უშუალო კავშირშია XIV—XV სს. არსებულ ქვეყნის შინაპოლიტიკურ ბრძოლასა და „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტთან, ამიტომ ყურადღებას გავამახვილებთ დაშლის მხოლოდ ზოგიერთ მომენტზე და მასთან მიმართებაში განვიხილავთ „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის ისტორიასთან დაკავშირებულ საკითხებს.

„განხეთქილებისა კრძალვანი“ (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ტერმინი) ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიის მიერ ჩათვლილია საქართველოს მეფეთა უმთავრეს დამსახურებად. ქვეყნის დაშლის საწყის ეტაპზე მეფეთა ტიტულატურაში ცნებათა — „ყოვლისა საქართველოჲსა ხელმწიფე“-ს, „გამაერთიანებელი ლიხთიმერისა და ლიხთ-ამერისა“, „ორისავე სამეფოსა მპყრობელი“-ს ან „ორისავე ტახტისა და სახელმწიფოს მპყრობელის“ გაჩენა კარგად ლაპარაკობს მეფეთა მისწრაფებაზე შეენარჩუნებინათ ქვეყნის ერთიანობა. აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ, როგორც ჩანს, გაერთიანებული ფეოდალური მონარქიის წინაშე მუდამ იდგა საფრთხე ქვეყნის პოლიტიკური დაშლისა, რადგან სეპარატიზმის საფუძველი ყოველთვის არსებობდა, რის გამოც ქვეყნის „განუხეთქელად“ დაცვა დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული (85, 102,



133). საქართველოს სამეფოს დაშლა, რომელიც ნელი, თანდათანობითი პროცესი იყო, სათავეს მონღოლების პერიოდიდან იღებს და XV ს. ბოლოსათვის გარდაუვალი ხდება. ქართველთა ეროვნულ-კულტურული და პოლიტიკური ერთიანობის იდეის სიძლიერის, „ყოველნი ქართველნი“-ს შეგნების აღრევე ჩამოყალიბებისა და ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა მიერ „განუხეთქელობისათვის სამეფოსა“ მცდელობის მიუხედავად, საქართველოში მაინც გაიმარჯვა სამეფოთა და სამთავროთა „თვს თვსად“ ყოფნამ, რამაც, თავის მხრივ, ხელ-ფეხი გაუხსნა სეპარატიზმსა და ფეოდალურ ანარქიას.

საქართველოში ჯერ კიდევ XVI საუკუნეში არსებულა შეხედულება ალექსანდრე I დიდის მიერ შვილებისათვის ერთიანი სამეფოს დანაწილების შესახებ. „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელება იცნობს და იზიარებს აზრს ალექსანდრე დიდის მიერ სამეფოს დანაწილების შესახებ (32, 475). ბერი ეგნატაშვილი უფრო ღრმად უდგება საკითხს. მისი აზრით, XV საუკუნეში „არღარა იცვალეზოდა ერისთავნი და არცა თავადნი, ყოველნივე კვესა და სანახებსა და თემთა და ადგილთა მკვდრ ქმნილიყვნენ, და, ვისცა მამულსა მისცემდა, მკვდრად მიეცემოდა. და ყოველნივე ძლიერ იყვნეს: მთავარნი, ერისთავნი და თავადნი.“

ხოლო ამა ალექსანდრესა და კოსტანტინესა ჟამში განდგნენ იმერელნი, ოდიშარნი და გურიელნი, და არღარა მორჩილებდა ათაბაგი, და განდგა კახეთი“ (34, 348).

ვახუშტი კატეგორიულად არ იზიარებს მოსაზრებას ალექსანდრეს მიერ სამეფოს დანაწილების შესახებ: „ბრწყინვალემ გიორგიდამ, ვიდრე გიორგი ალექსანდრეს ძისამდე (გიორგი VIII, — დ. ნ.), იყო ერთმეფობა, გუჯართა, სიგელთა და ქორონიკონთა მოწმობითა“ (36, 303). მისი აზრით, ქართველთა სახელმწიფო „განსქდა“ სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ გიორგი VIII და კონსტანტინე II დროს. განსაკუთრებით მისეულ კონცეფციაში ხაზგასასმელია პოზიცია დაშლის პროცესისადმი: ვახუშტი ეკამათება თავადურ თვალსაზრისს მეფის სურვილით სამეფოს დაშლის შესახებ; მისი კონცეფციით, დამშლელ ძალებს სწორედ დიდებულ-წარჩინებულნი წარმოადგენენ.

იოანე ბატონიშვილი არ ეთანხმება ვახუშტის კონცეფციას და აღნიშნავს, რომ მთელი საქართველო იტყვის აწ „ამ სამეფოს ასე

სამად განყოფასა. ხოლო ვახუშტი შურითა კახთა მეფეთასა უა-
ყოფს ზოგან და ზოგან კი დაამტკიცებს, და ამისათვის პრაზის
ბევრი მისგან დაწერილი სარწმუნო...“ (128, 287).

გადმოცემას ალექსანდრე I დიდის მიერ ერთიანი სამეფოს
შვილებისათვის დაყოფის შესახებ ისე ძლიერად გაუდგამს ფესვები,
რომ იგი ასახულა საფრანგეთის პირველი რევოლუციის მეექვსე
წელს (1798 წ.) პარიზში გამოცემულ წიგნშიც — „ისტორიული და
გეოგრაფიული მოგზაურობანი შავი და კასპიის ზღვებს შორის მდებ-
არე ქვეყნებში“ (146, 21).

ივ. ჭავჭავიძის სიტყვებით, „ეს სწორედ ის საკითხია, რომ-
ლისთვისაც ვახტანგისეული სწავლული კაცები და ბატონიშვილი
ვახუშტიც თავებს იმტერევენ, მაგრამ მაინც მიზანს ვერ მიაღ-
წიეს“ (191, 39). დიდი ისტორიკოსის დასკვნით, ერთიანი ქართული
სამეფოს დაშლა ხანგრძლივი და თანდათანობითი პროცესია და
ცნობა ალექსანდრე მეფის მიერ შვილებს შორის საქართველოს
დაყოფის შესახებ არ მართლდება (191, 40).

დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში ალექსანდრეს ღონის-
ძიების მიზეზით ერთიანი ქართული მონარქიის დაშლის ახსნა არ
არის გაზიარებული. თუმცა აღნიშნულია, რომ ამ ცნობასა და წყა-
როების დაყინებულ მითითებაში, ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში
ალექსანდრე დიდის მიერ შვილების „მეფეებად“ დასახმის შესახებ,
გარკვეული ისტორიული სინამდვილის ანარეკლი უნდა დავინახოთ
(76, 110—111). ნ. ასათიანის აზრით, ამ გადმოცემის შექმნასა და
გავრცელებაში მცირე როლი როდი მიუძღვით ცალკეული ქართუ-
ლი სამეფოების მმართველ წრეებს, რომლებიც ფაქტების ასეთი
სახით წარმოდგენით თავიანთ დამოუკიდებლობას იურიდიულ გა-
მართლებას აძლევენ (76, 111). რეალურად ალექსანდრე დიდს
„გამრიგე მოხელენის“ ადგილზე თავისი შვილებისა და ნათესა-
ვების დანიშვნით უნდოდა ქვეყნის ცალკეული ნაწილების
შემომტკიცება და ხელისუფლების ცენტრალიზაციის განმტკიცება.
მაგრამ XV ს. ქვეყანაში შექმნილმა შინაპოლიტიკურმა სიტუაციამ,
მათ შორის „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის არსებობამ და ამ
ფონზე არახელსაყრელმა საგარეო ვითარებამ ალექსანდრეს აღნიშ-
ნულ პოლიტიკას სულ სხვა ხასიათი მიანიჭა. ეს ის პერიოდია, როცა

დაწყებული ქვეყნის დაშლა შეუჩერებელ პროცესად არის ქცეული. ნ. ასათიანი აღნიშნავს კიდევ, რომ „ეს პროცესი იმდენად განუხრებლად ვითარდებოდა, რომ ცენტრალური ხელისუფლების ზოგიერთ ღონისძიებას საწინააღმდეგო შედეგიც კი მოსდევდა“ (76, 111). როგორც ჩანს, ასე მოხდა ალექსანდრეს ღონისძიების შემთხვევაშიც: შვილებისადმი მინებებული საგანმგებლოები დროთა განმავლობაში „პროვინციის მეფეთა“ სამფლობელოებად გადაიქცნენ, სადაც „ჭერეთ არ კურთხეულნი“ უკვე „მეფეებად“ მოგვევლინენ. მართალია, ვახუშტი ამბობს, რომ „გარნა თუ ძეთა დასხმიდენ არა მეფედ, არამედ ერისთავად, მორჩილად მეფეთა“, მაგრამ ამ ეპოქაში ისინი ძირითადად „პროვინციის მეფეებად“ იქცეოდნენ ზოლმე. ვფიქრობთ, იმის მიზეზს, თუ რატომ გამოიღო ალექსანდრე დიდის ჩანაფიქრმა არასასურველი შედეგი, სხვა მომენტებს რომ თავი დავანებოთ, კარგად გვიხსნის თავად „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის რაობა.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მეფეთა მსგავსმა ღონისძიებებმა ძირითადად სხვა ფეოდალურ ქვეყნებშიც ვერ გამოიღო დადებითი შედეგები. საფრანგეთში კარლოს VI დროს საბატონიშვილოების ასეთი სახით დარიგება სამეფო ტახტს დიდ საშიშროებას უქმნის (ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა მოკლედ საუბარი ე. წ. „ბატონიშვილთა ფეოდალიზმზე“). მეფე იოანეს (1350—1364) მიერ შვილებისათვის ლენების დარიგება დიდ შეცდომად არის ჩათვლილი (202, 569). XIII ს. დანიაში დანიის მეფეები სახელმწიფო ტერიტორიას შვილებს შორის ანაწილებენ, რომელთაგან თითოეული იბრძვის მიღებული სამფლობელოს მემკვიდრეობით საკუთრებად გადასაქცევად (203, 400). ასევე იყო სხვა ქვეყნების შემთხვევაშიც.

ალექსანდრე I დიდის მიერ გატარებულმა ღონისძიებამაც საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო. დიმიტრის, ვახტანგისა და გიორგის მფლობელობა „პროვინციის მეფობაში“ გადაიზარდა. მათი სამფლობელოები უკვე გამოყოფილია სამეფო დომენისაგან, მიმდინარეობს სახასოს დაქუცმაცების პროცესი. ეს ხელს უწყობს ქვეყნის მნიშვნელოვანი ისტორიული რეგიონების ცენტრისაგან ჩამოცილებას, ტახტისათვის ძლიერი პოლიტიკური ძალისა და სოციალური საყრდენის — ადგილობრივი დიდებულებისა და მათი ყმების დაკარგვას, რაც, საბოლოოდ, აღრმავებს ერთიანი სამეფოს დაშლის პროცესს.



ჩვენს ისტორიოგრაფიაში დავის საგანია შემდეგი: საჭიროა დასაშვანად აღმოვაჩინოთ ქართული ფეოდალური საზოგადოების განვითარების ნორმალური, კანონზომიერი შედეგია თუ პირიქით. ეს მნიშვნელოვანი პრობლემაა და ამჯერად სცილდება ჩვენი ნაშრომის ფარგლებს, ამიტომ აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ჩვენ ვემხრობით იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც XV ს-ში ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის დაშლა არ იყო ქვეყნის განვითარების, სოციალურ-ეკონომიკური დაწინაურების შედეგი. პირიქით, ვფიქრობთ, წინამდებარე ნაშრომის პირველ თავში მოტანილი ზოგიერთი მომენტისა და ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად ცნობილი მიზეზების გამო, ქვეყანა აცდა თავისი განვითარების ნორმალურ გზას, „ჩიხში“ მოექცა, რის საფუძველზეც წინა საუკუნეებში დაწყებული დაშლის პროცესი XV ს. გარდაუვალი გახდა და საბოლოოდ, 1490 წ. ოფიციალურად გაფორმდა კიდეც. ვფიქრობთ, საქართველოს ისტორიის ამ მნიშვნელოვანი პრობლემის ასეთ გაგებას მხარს უჭერს „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის რაობისა და მასთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული ზოგიერთი მომენტის გათვალისწინებაც.

XVI ს. მოყოლებული, დაშლის შედეგად წარმოშობილი ცალკეული სამეფოების მმართველმა წრეებმა, როგორც ჩანს, თავიანთი დამოუკიდებლობის იურიდიული საფუძველის გასამაგრებლად, ხელი შეუწყვეს ალექსანდრეს მოქმედების ისეთ გაგებას, რომლის მიხედვითაც თითქოს მეფის მიერ თავისი შვილებისადმი საგანმგებლოდ საქართველოს ისტორიული რეგიონების გადაცემა ქვეყნის დაშლის დაკანონებას ნიშნავდა. მით უმეტეს, რომ, XV ს. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ალექსანდრე I დიდის ღონისძიებამ გარკვეულად ხელიც შეუწყო XIII ს-დან დაწყებული დაშლის ტენდენციის გაძლიერებას. XVIII ს. ქართულმა ფეოდალურმა ისტორიოგრაფიამაც მისი ნაბიჯი გაიგო როგორც ბატონიშვილებისათვის სამფლობელოდ საკუთრივ ისტორიული პროვინციების — ქართლის, კახეთისა და იმერეთის გადაცემა. ჩვენი აზრით, „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის არსიდან გამომდინარე, ალექსანდრე მეფეს თავისი ძეებისათვის შესაბამისად უნდა მიეცა ქართლის, კახეთისა და იმერეთის მხოლოდ გარკვეული რეგიონები, ხოლო სამეფოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ისე როგორც სხვა

ბატონიშვილების შემთხვევაში, მათაც „მეფობას“ მიჰყევს ხელს. ბატონიშვილებს ამ ისტორიულ პროვინციებში ჰყავთ თავიანთი „გამზრდელ-გაზრდილები“ ანუ ერთგულთა დასი, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკური პერიპეტეიების დროს მათ სოციალურ დასაყრდენ ძალას წარმოადგენენ. ეს ხელს უწყობს ამ მხარეების კიდევ უფრო იზოლირებულობასა და ცენტრისაგან თანდათანობით ჩამოცილებას. მაგ., გიორგი VIII, ერთ დროს სრულიად საქართველოს მეფე, 1466 წ. იძულებულია მხოლოდ სამეფოს გარკვეული ნაწილით დაკმაყოფილდეს, უბრუნდება კიდევ თავის ყოფილ საუფლისწულო მხარეს, სადაც მას თავიდანვე ჰქონდა გავლენა და უკვე მხოლოდ კახეთის მეფედ გვევლინება. ამან კი საფუძველი ჩაუყარა კახეთის დამოუკიდებელი სამეფოს არსებობას.

ვეფქრობთ, „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის არსებობა, გამწვავებული „ბატონიშვილობის“ საკითხი და ამ კუთხით დანახული XIV—XV სს. ქვეყნის შინაპოლიტიკური ვითარების შესწავლა კიდევ უფრო ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ქვეყნის დაშლის ხანგრძლივ პროცესზე და მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის დაშლა ამ საზოგადოების ნორმალური განვითარების გზიდან აცდენაა, არაკანონზომიერი შედეგია. როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, საშინაო და საგარეო ურთიერთობათა ნიადაგზე წარმოქმნილი სტაგნაციის შედეგად, როცა „სამთავრო-საფეოდალოების ინტერესები აღარ გადასცდებიან იმ საზღვრებს, რომელიც მათ დაცემულმა ეკონომიკამ და ამ ნიადაგზე ფრთავაშლილმა თემობრიობამ შემოუფარგლეს, „ერთგულუბნასა ზედა თვისთა რჩეულთა მეფეთა“ დადგნენ ფეოდალები და ლიხთ-იმერეთის მეფის სახელმწიფოებრივი პოლიტიკა ისევე შემოიფარგლა ლიხთ-იქითით, როგორც ქართლის მეფეთა ან კიდევ კახთ ბატონთა პოლიტიკა სათანადო კუთხეებით“ (82, 137).

ზემოაღნიშნული კარგად მიგვიჩივებს ჩვენი საკვლევი ინსტიტუტის მჭიდრო კავშირზე ერთიანი სამეფოს დაშლის საკითხთან. „ბატონიშვილობის“ გამწვავებული საკითხი, „პროვინციის მეფეთა“ ბრძოლა შემოსავლის წყაროსა და ვასალთა ფენის მოსაპოვებლად ასუსტებს სამეფო ხელისუფლებას, ხელს უწყობს მსხვილი ფეოდალების ცენტრისაგან ჩამოშორებას, აღვივებს ისტორიული პროვინციებისა და ისტორიულ-გეოგრაფიული „ქვეყნების“ განკერძოე-




ბის ტენდენციას — ამ რეგიონის წლიური შემოსავალი სამეფოს ხაზინაში ველარ შედის, იგი „პროვინციის მეფეს“ რჩება. „პროვინციის მეფეების“ ინსტიტუტს, სხვა მიზეზებთან ერთად, ხელი უნდა შეეწყოს სახასოს დაქუცმაცებულობისათვის, ამ პერიოდში მათი მამული სამეფო დომენისაგან გამოყოფილი ჩანს. ეს, ბუნებრივია, იწვევს დაქუცმაცებულობის გაძლიერებას; სახასოს ერთიანობა და ძლიერი სამეფო დომენი ცენტრალური ხელისუფლების საფუძველი იყო, ამის მოშლა კი ხელშემწყობია ქვეყნის დაშლის პროცესისა.

ვფიქრობთ, „პროვინციის მეფეთა“ უფლებრივი მდგომარეობის განხილვა რელიეფურად წარმოაჩენს ამ ინსტიტუტისა და ერთიანი სამეფოს დაშლის საკითხის ურთიერთკავშირს.

პირველ რიგში, აღსანიშნავია მათი მამულების სიდიდე. წყაროების საშუალებით ხერხდება „პროვინციის მეფეთა“ გარკვეული ნაწილის სამფლობელოების ლოკალიზაცია. ეს მონაცემები ლაპარაკობენ, რომ მათ სამფლობელოებს წარმოადგენენ მნიშვნელოვანი ისტორიული პროვინციები თუ იზოლირებული ისტორიულ-გეოგრაფიული „მიკროქვეყნები“. ამ მამულების შემოსავლის სიდიდე და დასაყრდენი ვასალთა სოციალური ფენის სიმრავლე განსაზღვრავდა „პროვინციის მეფის“ სიძლიერეს, უფლებრივ მდგომარეობას და მის შთამომავალთა ბედს. ამ მხრივ აღასტანელთა და ლიხთ-იქითის „მეფეთა“ სამფლობელოების განხილვაც საკმარისი უნდა იყოს.

„პროვინციის მეფის“ ადგილს განსაზღვრავდა მისი სამფლობელოს იმუნიტეტის სიძლიერეც. ამ პერიოდის სხვა მთავრებისა და თავადების მსგავსად, როგორც ირკვევა, ისინი საკმაოდ ძლიერი შეუვალობით სარგებლობენ. ისტორიულ წყაროთა მონაცემები იმაზე ლაპარაკობენ, რომ „პროვინციის მეფეები“ თავიანთ საგანმგებლოებში თავისი ნება-სურვილის მიხედვით მოქმედებენ. იმუნიტეტის სიძლიერითაა გამოწვეული, რომ „პროვინციის მეფეთა“ ვასალი აზნაურები უკვე კანონიერ სამეფო ტახტს აღარ ემორჩილებიან. გავიხსენოთ თუნდაც ზევდგინიძეთა ზემოაღნიშნული საჩივრის ცნობები (80, 50).

ამავე დროს ხაზგასასმელია ვასალიტეტის საკითხი. როგორც აღვნიშნეთ, „პროვინციის მეფეების“ არსებობისათვის აუცილებელი იყო სოციალური საყრდენი ვასალთა სახით. ირკვევა, რომ „პროვინციის მეფეებსა“ და მის ყმებს შორის მტკიცე ვასალიტეტი არ-



სებობს. ადგილობრივი ფეოდალ-აზნაურები, თავიანთი „პროვინციის მეფისაგან“ ელოდებიან რა უფრო მეტი უფლებების მინიჭებას, ვიდრე ეს ცენტრისაგან აქვთ მიღებული, მათ მიმართ განსაკუთრებული ერთგულებით გამოირჩევიან.

„პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტმა იმდენად მოიკიდა ფეხი ფეოდალურ საქართველოში, რომ „პროვინციული სამეფო“ შტობიც კი ჩამოყალიბდა. ყველაზე „წარჩინებულნი“ ამ მხრივ ალასტანელი და ლიხთ-იქითელი „მეფენი“ არიან. მათ არსებობას, ბუნებრივია, ყოველმხრივ ებრძვის საქართველოს სამეფო ტახტი. მაგრამ ზოგ შემთხვევაში იგი უძლურია არ დაუშვას მათი არსებობა. ეს მომენტიც კარგად ლაპარაკობს „პროვინციის მეფეთა“ სიძლიერეზე და მათ უფლებრივ მდგომარეობაზე. ალასტანელთა და ლიხთ-იქითის „მეფეებზე“ ზემოთ ჩვენ დაწვრილებით შევჩერდით, რამაც თვალნათლივ წარმოაჩინა როგორც უშუალოდ მათი, ისე ზოგადად „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის წარმომადგენელთა უფლებრივი მდგომარეობა ერთიან ქართულ ფეოდალურ სამეფოში.

„პროვინციის მეფეთა“ უფლებრივ მდგომარეობაზე მსჯელობისას აღსანიშნავია, რომ შესაძლებლად არის მიჩნეული „მეფედ“ წოდებულ და სამფლობელოებს მინებებულ ბატონიშვილებს მონეტების ემისიისთვისაც მოეკიდათ ხელი. გ. დუნდუას აზრით, მოსალოდნელია ასეთი ფული იყოს XV ს. გაურკვეველ მონეტებში (94, 21). ამის შესაძლებლობას არც დ. კაპანაძე გამორიცხავს (125, 156), თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ პერიოდში უკვე ფეოდალებიც (ვამეყ დადიანი, ყვარყვარე ათაბაგი) ჭრიან მონეტებს.

ასეთი უფლებრივი მდგომარეობის მქონე „პროვინციის მეფეების“ არსებობა, რა თქმა უნდა, აჩქარებს ფეოდალურ საზოგადოებაში არსებული დაშლის პროცესს, ასუსტებს სამეფო ხელისუფლების ცენტრალიზაციას, ცენტრს ძველ მიმზიდველობას უკარგავს და სხვა კარგად ცნობილ მიზეზებთან ერთად ამზადებს ნიადაგს ცენტრიდანული ძალების გამარჯვებისათვის. ლიხთ-იქითის „მეფეები“, ორ სამეფოდ გაყოფის ტენდენციის არსებობის პირობებში, ყოველმხრივ ხელს უწყობენ ორი სამეფო ტახტის წარმოშობას, ხოლო როცა ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის დაშლა გარდუვალი პროცესი ხდება და წარმოჩინდება მის შედეგად წარმოშობილ ძირითად პოლიტიკურ ერთეულთა მოხაზულობა, ლიხთ-იქითში

ფლობამიცემული ბატონიშვილები აღარ ყაბულდებიან „პროვინციის მეფობას“ და იმერეთის სამეფო ტახტის დაკანონებისათვის იბრძვიან. ქვეყნის განვითარების სტაგნაციის შედეგად დაცემული ეკონომიკისა და ფრთავაშლილი თემობრიობის პირობებში ლიხთიქითელ „მეფეებს“ ყველა პირობა ექმნებათ განზრახულის სისრულეში მოსაყვანად. ასევე იყო კახეთის სამეფოს წარმოქმნის შემთხვევაშიც. დადიანებმა, შარვაშიძეებმა, ათაბაგებმა და სხვ. თავიანთი პოლიტიკა თავისი სამფლობელოებით შემოფარგლეს, ცენტრისადმი დამოკიდებულებისაგან განთავისუფლდნენ, რაც საბოლოოდ ქართული სამთავროების წარმოშობას იწვევს.

1490 წ. იურიდიულად გაფორმებული ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის დაშლა ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მომენტიცაა. იგი შინაპოლიტიკური და დინასტიური ბრძოლის ახალი საფეხურია და, ბუნებრივია, „ბატონიშვილობის“ საკითხიც იწვევს შესაბამის ცვლილებებს. XV ს. ბოლოს საქართველოს ისტორიაში, შინაპოლიტიკური და დინასტიური ბრძოლის ახალ ეტაპზე, „ბატონიშვილობის“ საკითხი ახალ ხასიათს იძენს, ხოლო ძველი ფორმა — „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტი თანდათან ქრება. იბადება კითხვა: რატომ აღარ გვხვდებიან „პროვინციის მეფეები“ XV ს. შემდეგ? რამ გამოიწვია მათი გაქრობა?

„პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის დასასრულის არსის გარკვევაში, ვფიქრობთ, გვეხმარება კონსტანტინე II მეფის შვილის, პირველი მუხრანბატონის ბაგრატის ისტორია:

XVI ს. დავით X (1505—1525) ქართლში მეფობისას ქვეყნის აოხრებას „არა დასცხრა“ ავ-გიორგი. მან კახეთში ფეხი მოიკიდა და „ნებავდა ქართლიცა“. 1512 წ. დავით X ძმამ — ბაგრატმა „გამოსთხოვა მუხრანი საუფლისწულოდ და არაგვსა და კსნის კვენი მთიულ-მოგვეითურთ თვსსა მორჩილებასა ქუეშე“, რათა აღუდგეს მტრად ავ-გიორგის (36, 393), „მაშინ იძულებულმან მეფემან (დავით X, — დ. ნ.) ნება სცა ბაგრატს“ (36, 393). ბაგრატმა მუხრანში აღაშენა „ციხე მტკურისა“, შეიპყრა ავ-გიორგი და „პატიმარ-ჰყო მტკურის ციხესა შინა“, სადაც „მოაშთვეს“ კიდეც (36, 394). ამის შემდეგ ბაგრატმა მუხრანში ძველი ტახტი განაახლა და საცხოვრებლად გადავიდა. „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ აღნიშნუ-

ლია, რომ ასე შეიქმნა ქართლის შუაგულში ახალი სათავადო-სამუხრანბატონო (93, 95).

ყურადღებას იქცევს ამ ბაგრატის „მეფის“ ტიტულით მოღვაწეობა. გ. წერეთლის მიერ კაცხის მონასტერში მოძიებული ჯვრის ვერცხლის ბუდის კარებისა და ვალეს ეკლესიის წარწერებში დედისიმედი თავის მამას — ბაგრატს „მეფის“ ტიტულით მოიხსენიებს (211, 85; 148, 30; 201, 74—75).

„მესხური ფსალმუნის ქრონიკაში“ ანუ „მესხურ მატთანეში“ ვკითხულობთ: „მეფისა მცნისა და ბრძოლასა შინა მიუღრეკელისა, ღთის მოყრისა ბატონის ბაგრატ-ყოფილისა ბარნაბასი საუკუნოშობა არს საცსენებელი და კურთხევაჲ მისი“ (45, 38). იმავე ძეგლში აღნიშნულია: „ღთივ გვრგვინისა ქართველთა მეფეთ-მეფისა დიდის კონსტანტინეს შვილის-შვილისა მეფის ბატონის ბაგრატის შვილი ბატონი არჩილ წარმართებულყავნ ღმერთმან სიგრძესა შინაწელთასა, ამინ“ (45, 39).

როგორც ვხედავთ, ბაგრატს გარკვეული პერიოდი „მეფის“ ტიტულითაც ჰქონია მფლობელობა, რაც, ჩვენი აზრით, სამუხრანბატონოს ჩამოყალიბებამდე მის „პროვინციის მეფობაზე“ უნდა მიგვითითებდეს. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა „როსტომიანი“, კერძოდ ის ნაწილი, რომელიც სერაპიონ საბაშვილის მიერ არის გალექსილი. გამლექსავი თავის შესახებ აღნიშნავს: „გრემელთ თავი, ჳევის ბერი, ჳელმწიფეთა თანა ჳრდილი“ (51, 25). თუ რომელ ხელმწიფეთა თანაზრდილია სერაპიონი, თავად „როსტომიანიდან“ ჩანს:

„კონსტანტინე გაყმაწვილდა, მათმან გუარმან გაიხარნა,
მისიმც თავი მორბჳული მყავს, მტერზედ გული ვინ მათხანა,
ილათი და ჳკვა-გონება ჳაალისა მოიკმარნა,
აწე ბაგრატ მოიცალოს, სხუასაცა იქმს შორით ყალნა“ (58, 411).

როგორც ვხედავთ, ლაპარაკია ამ პერიოდში მოღვაწე ხელმწიფეებზე — კონსტანტინესა და ბაგრატზე. უკვე გარკვეულია, რომ ეს მეფეები, რომელთა თანაზრდილია სერაპიონ საბაშვილი, არიან კონსტანტინე II და მისი შვილი, მომავალი პირველი მუხრანბატონი ბაგრატი (129, 328—329). ყურადღებას იქცევს ბაგრატის „ველმწიფედ“ მოხსენიება, რაც ზემოაღნიშნულ წყაროებთან ერთად უნდა

მიუთითებდეს მის „პროვინციის მეფედ“ ყოფნაზე. ამ მხრივ „როსტომიანში“ განსაკუთრებით საინტერესოა შემდეგი სტროფი:

„ბაგრატ ვნახე, მარანას ჯდა, მუხრანს შექმნა ნადიმობა,
ველყო საყდართ აშენება, დაიჭირა ბატონობა;
ძველი ტახტი განაახლა, ჰპოა ღვითა მორჭმულობა,
ნაძლევი ვარ რუსთველისა, თუ მეტი ქნა ჩემოდნობა“ (51, 90).

ვფიქრობთ, ბაგრატი „მუხრანს შექმნა ნადიმობა“, განაახლა „ძველი ტახტი“, აღაშენა „საყდარნი“ და „დაიჭირა ბატონობა“ უნდა მიგვითითებდეს მისი მოღვაწეობის იმ პერიოდზე, როცა ბაგრატი თავის ძმას — დავითს „გამოსთხოვა მუხრანი საუფლისწულოდ“, რასაც ახალი სათავადოს — სამუხრანბატონოს წარმოქმნა მოჰყვა (1512 წ.). მანამდე კი ბაგრატი გარკვეული პერიოდი „პროვინციის მეფე“ უნდა ყოფილიყო. ჩვენი აზრით, ამის მითითება „როსტომიანშიც“ უნდა იყოს: მუხრანში ძველი ტახტის განახლება და ბატონობის დაჭერამდე აღნიშნულია, რომ „ბაგრატ ვნახე, მარანას ჯდა“-ო. ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, „მარანას ჯდა“ შეიძლება იყოს მინიშნება მის „პროვინციის მეფედ“ ყოფნაზე ქართლის შუაგულში, აღნიშვნა მისი „პროვინციის მეფობის“ პერიოდისა (მარანა ლიახვის ხეობაში მდებარე გეოგრაფიული პუნქტია).

XV ს. ბოლოს, როგორც აღვნიშნეთ, ქვეყნის ცხოვრებაში ადგილი აქვს მნიშვნელოვან ტეხილს — საქართველოს დაშლას სამეფო-სამთავროებად. თუ ადრე „პროვინციის მეფეები“ ძირითადად ბოლომდე ინარჩუნებენ მოპოვებულ „მეფის“ ტიტულს, დაშლის შემდეგ ისინი ამას ვეღარ ახერხებენ. ჩვენი აზრით, ასევე უნდა ყოფილიყო ბაგრატის შემთხვევაშიც: „მარანას ჯდომა“ დაშლის გაფორმებამდე უნდა გაგრძელებულიყო, XVI საუკუნიდან კი კვლავ მწვავედ დგება, ამჯერად უკვე ქართლის სამეფოში, „ბატონიშვილობის“ საკითხი და ბაგრატი დაკარგული „მეფის“ ტიტულის სანაცვლოდ აღწევს მუხრანისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის სამფლობელო მამულად მიღებას (ვახუშტი ხაზს უსვამს, რომ დავითი ამ ნაბიჯზე იძულებით წავიდაო). მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მას „არაგვსა და კსნის გევინი მთიულ-მოკვეითურთ თუსსა მორჩილებასა ქუთუმი“ ჰყავს, „მეფის“ ტიტულს ვეღარ კადრულობს (ამის უფლებას მას ამ პერიოდში აღარავინ მისცემდა) და „მუხრანბატონ-

ნად“ იწოდება („დაიჭირა ბატონობა“). მისი მამული არა როგორც „პროვინციის მეფის“ სამფლობელოდ, არამედ ახალ სათავადოდ — სამუხრანბატონოდ ჩამოყალიბდა. ჩვენი აზრით, ბაგრატი „პროვინციის მეფეთა“ უკანასკნელი წარმომადგენელია. თავად მუხრანბატონობა კი უკვე ახალ ეტაპზე, სამეფოში გამწვავებული „ბატონიშვილობის“ საკითხის მოგვარების ერთ-ერთი ფორმაა.

ახსნას საჭიროებს, თუ რატომ გახდა დაშლა და ცალკეულ სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბება მიზეზი „პროვინციის მეფეების“ ინსტიტუტის გაქრობისა*.

როგორც ჩანს, ტერიტორიულად პატარა ქართულ სამეფოებსა და სამთავროებში „პროვინციის მეფეების“ არსებობისათვის საჭირო პირობები აღარ არსებობს. სამეფო ტახტები ახალ პირობებში უფრო უნარიანი ჩანან „პროვინციის მეფეების“ საარსებო საფუძვლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ მხრივ აღნიშნულ სახელმწიფოთა სამეფო ხელისუფლება უფრო ძლიერია, ვიდრე ეს იყო დაშლისაკენ მიმავალ ერთიან სამეფოში. დაშლის გზისაკენ და „ჩიხის“ სტადიაში მყოფი სახელმწიფოს სამეფო ტახტს უჭირს ვრცელი ტერიტორიის კონტროლირება, სათანადოდ ვერ ებრძვის „პროვინციის მეფეებს“, ზოგჯერ აღიარებს კიდევ მათ არსებობას. XVI საუკუნიდან კი ისედაც პატარა სახელმწიფოებში, სადაც სამეფო ხელისუფლება შედარებით ძლიერია და რეგულირებას უწევს კუთვნილ ტერიტორიას, მეფეები და მთავრები აღარ უშვებენ ასეთი „მეფეების“ საარსებო პირობების არსებობის შესაძლებლობას. უმთავრეს ფაქტორად „პროვინციის მეფეების“ გაქრობის საკითხში უნდა ჩაითვალოს მათი არსებობისათვის აუცილებელი სოციალური საყრდენის — ერთგული ფეოდალებისა და გამრიგე მოხელეების დაქვემდებარება დამოუკიდებელი სამეფო-სამთავროების ხელისუფალთა მიერ თავიანთი ძალაუფლების ქვეშ. ადგილობრივ ფეოდალთა ის ფენა, რასაც ამ „მეფეების“ ძალაუფლება ემყარებოდა, XV ს. ბოლოდან ისეთ აქტიურ ძალას აღარ წარმოადგენს. ქართულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში სამეფო ტერიტორიულ-ადმინისტრაციულმა ერთეულმა ძირითადად გადაფარა მთელი ტერიტორია. ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით იზოლირებული „მიკრო-

* ამ საკითხზე იხ. ჩვენი სტატიები (152; 153; 154).

ქვეყნები“ „პროვინციის მეფეების“ მიერ სამფლობელო-საჯდომად
ძველებურად ველარ გამოიყენება. თუ XIV—XV სს. „პროვინციის
მეფეთა“ სამფლობელო მამულებს აქვთ იმუნიტეტი და იგი ძირი-
თადად გამოყოფილია სამეფო დომენისაგან, შემდგომ პერიოდში
საუფლისწულო-საბატონიშვილო სამეფო დომენის განუყოფელი
ნაწილი ხდება. იგი პირობითი სამფლობელოა და მეფე მისი უზენა-
ნაესი მებატონია. სახასოს დაქუცმაცებას უკვე ადგილი აღარ აქვს.
სადედოფლოსა და საუფლისწულოს გადაცემა ერთი ბატონიდან
მეორეზე მეფის ნება-სურვილის მიხედვით ხდება. ახალწარმოშო-
ბილ ბატონა ქართულ სახელმწიფოებში გატარდა რეფორმები, რაც
აწლიერებს ცენტრალურ ხელისუფლებას, სპობს „პროვინციის მე-
ფეთა“ ინსტიტუტს და სამეფო ტახტს ანიჭებს უნარს გამწვავებული
„ბატონიშვილობის“ საკითხი სხვაგვარად მოაგვაროს.

ამრიგად, სახელმწიფო განვითარების ახალმა ხანამ და ხასიათმა
ბატონიშვილობის ინსტიტუტის, შინაპოლიტიკური ბრძოლისა და
სეპარატიზმის ერთი ფორმა — „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტი
ახლით შეცვალა. XV ს. ბოლოდან დგება ახალი ეტაპი — ერთიანი
საქართველოს დაშლის შედეგად წარმოშობილი დამოუკიდებელი
ქართული სამეფო-სამთავროთა ურთიერთდამოკიდებულება და ამ
სახელმწიფოებში არსებული გამწვავებული „ბატონიშვილობის“
საკითხი.

დასკვნა

XIV—XV სს. საქართველოს სამეფოში არსებულმა ვითარებამ შექმნა საფუძველი მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების მქონე ინსტიტუტების არსებობისათვის. XIV ს. დამდეგიდან წარმოიშვა შინაპოლიტიკური ბრძოლისა და „ბატონიშვილობის“ ინსტიტუტის ახალი ფორმა — „პროვინციის მეფეები“. იგი ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის დაშლისაკენ მიმავალი ეპოქის ნაყოფია. საშინაო და საგარეო ფაქტორების ურთიერთგადაჯახვის შედეგად ქვეყნის განვითარება „ჩიხში“ მოექცა, სხვა არაერთ უარყოფით მოვლენასთან ერთად, სამეფო ხელისუფლება დასუსტდა, ცენტრი ვეღარ ასრულებს ძველ ფუნქციას, სახელმწიფო მიწების ფონდი მცირდება, მწვავედ დგება „მამულის საკითხი“. მაშინ როდესაც „მეფეთა ადგილთა მკდომთა“ მოსაკარგავემ „კელმწიფობა“ მოინდომა, ბუნებრივია, „ბატონიშვილობის“ საკითხიც მთელი სიგრძე-სიგანით დაისმის. XIV—XV სს. „საუფლისწულოს“ პარალელურად ჩნდება „საბატონიშვილო“, ადრე სამეფო დომენიდან სამფლობელო მხოლოდ უფროს ვაჟს გამოეყოფოდა, ახლა მეფის სხვა შვილებსაც — ბატონიშვილებსაც აქვთ თავისი მკვიდრი მამულები. მიმდინარეობს სახასოს დაქუცმაცების პროცესი. ხელმწიფობის მსურველთა მიწების უმეტესი ნაწილი უკვე გამოეყოფილა სამეფო დომენისაგან. ჩნდება სოციალური საყრდენი — დიდებულ-აზნაურთა ფენა, რომელიც სამეფო ტახტის საზიანოდ ემხრობა „კნინ მეფეს“ და მათგან უფრო დიდი წყალობის მიღებას მოელის. იქმნება საფუძველი „პროვინციის მეფეთა“ წარმოსაქმნელად. თუ „ბატონიშვილობის“ ინსტიტუტის წინა ეტაპზე უფლისწული ერთიანი სამეფო ტახტისათვის იბრძვის ან უწყინარი „ალასტანელია“, XIV—XV სს. ბატონიშვილები, სამეფო ოჯახის ნათესავეები თუ გვერდითი შტოს ბაგრატიონთა ერთი ნაწილი პროვინციაში გადადის და ტახ-

ტისაგან ნებადაურთველად „მეფის“ ტიტულით იწყებს მფლობელობას. ზოგჯერ მეფე თავად აძლევს ბატონიშვილებს საგანმეზღობლოდ ქვეყნის გარკვეულ რეგიონებს, ისინი კი შინაპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, „პროვინციის მეფობას“ იწყებენ. მეფეს აღარ შესწევს ძალა იბრძოლოს მათ წინააღმდეგ.

XIV ს. დამდგვის საქართველოს ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხების განხილვა საშუალებას გვაძლევს ვახტანგ III მიერ დავით VIII ჯავახეთისა და ალასტანის გადაცემა 1302 წლით დავითარილოთ. ეს ფაქტი უშუალოდ უკავშირდება ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ შტოს წარმოშობის საკითხს. XIII ს. ქართველი უფლისწულების საქართველოს სამხრეთ ტერიტორიებზე მფლობელობა, ლაშა-გიორგის „ალასტანელობა“, ალასტანის „მიკროქვეყნის“ ჯავახეთის სხვა მიწებისაგან განსხვავებულ მდგომარეობაში ყოფნა, ისტორიულ-გეოგრაფიული იზოლირებულობა და ბოლოს, დავით VIII-ის ამ რეგიონში მფლობელობის ხასიათი ამზადებს ნიადაგს „შვილნი დავით მეფისანის“ „მეფობისათვის“ — 1311 წ. დავით VIII გარდაცვალების შემდეგ ამ რეგიონში მისი უფროსი ძე — მელქისედეკი პირველი ალასტანელი „პროვინციის მეფე“ ხდება.

ჰოვჰანავანქის მონასტრის ეგვტერის წარწერა (1320/21 წწ.) ეხება პირველ ალასტანელთა მფლობელობას, გვაცნობს უცნობ ალასტანელ „პროვინციის მეფეს“ — თამარს, ავსებს გენეალოგიურ ხარვეზებს, აზუსტებს სამფლობელო ტერიტორიების ლოკალიზაციის საკითხებს. წარწერა უარყოფს მოსაზრებას ალასტანელების გორის რაიონის „მეფეებად“ ჩათვლის შესახებ და ადასტურებს მათ ძირითად მფლობელობას სამხრეთ რეგიონებში. ჯავახეთ-ალასტანისა და ქვემო ქართლის მამულების (ლორეთურთ) გარდა, აღნიშნული წარწერით, ალასტანელი „მეფეები“ ბატონობენ ისტორიული სომხეთის გარკვეულ ტერიტორიებზე. სომხეთში მათი „ხელმწიფობისათვის“ საფუძველი შექმნა დავით VIII უფლისწულობის პერიოდში ამ პროვინციებში ბატონობამ, რასაც ადასტურებს ავანის ეკლესიის 1285 წ. წარწერა. ამ პერიოდში სომხეთის ეს რეგიონები სოციალურ-პოლიტიკურად საქართველოს სამეფოს შემადგენელ, ორგანულ ნაწილს წარმოადგენენ.

ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ შტოს დასასრული XIV ს. 80-იან წლებზე მოდის. 1392 წ. საკათალიკოსო მამულების სითარ-



ხნის გუჯარით მათი ცენტრალური მამულები „ქვეყანა“ ზვარეთის სახით მცხეთის საკათალიკოსო ტახტის კუთვნილებაა.

1304 წ. ვახტანგ III გარდაცვალება ხელს უწყობს დავითის მფლობელობის გაფართოებას. ვახტანგ მეფის ხელისუფლებამ ვერ მოიპოვა მტკიცე პოზიციები, ამიტომ მისი ძე დიმიტრი მხოლოდ დმანისის რეგიონში ახერხებს „პროვინციის მეფობის“ მოპოვებას.

იგივე კატეგორიისაა ლიხთ-იქითის „მეფეთა საკითხიც. XIV ს. პოლიტიკურმა სინამდვილემ გარკვეულ პერიოდებში ქვეყანა ორ ცალკეულ ერთეულად აქცია, რასაც ლიხთ-იქითის ტახტის ჩამოყალიბება მოჰყვა. როცა საქართველოს მეფე ახერხებს მის ლიკვიდაციას, ტახტს ჩამოცილებული დავით ნარინის „ძეთაგანნი“ „ჯელმწიფობას“ იჩემებენ და ლიხთ-იქითის „პროვინციის მეფეებად“ გვევლინებიან. ლიხთ-იქითის პოლიტიკური და ისტორიულ-გეოგრაფიული იზოლირებულობა, დასაყრდენი ვასალური საარსებო ფენის არსებობა ქმნის საფუძველს ლიხთ-იქითის „მეფეთა“ პროვინციული შტოს წარმოსაქმნელად. ლიხთ-იქითის „მეფეთა“ დამცრობა ხდება XV ს. დამდეგს — 1402 წ. კონსტანტინე „მეფის“ გარდაცვალების შემდეგ, მისი ძმისწული დიმიტრი „მცდელობს მეფობას“, მაგრამ გიორგი VII-მ „მოიცილა“ ლიხთ-იქითისათვის და იგი სამეფო ტახტს დაუმორჩილა.

XIV ს. II ნახ. აღმოსავლეთ საქართველოშიც დასტურდება „პროვინციის მეფეთა“ არსებობა. მომავალ საქართველოს მეფეს გიორგი VII (1393—1407) მამის — ბაგრატ V სიცოცხლეში „მეფის“ ტიტულით აქვს ბატონობა. თემურ-ლენგის მიერ ბაგრატ V დატყვევების (1386 წ.) შემდეგ უმეფოდ დარჩენილი ქვეყნის მართვას იგი ჰკიდებს ხელს. ამ დროსაც გიორგი „მეფის“ ტიტულით მოქმედებს, თუმცა სამეფო ტახტზე ოფიციალურად მხოლოდ 1393 წ. ეკურთხა. შეთქმულებას გიორგის წინააღმდეგ 1386—1391 წწ. ჰქონდა ადგილი, ე. ი. ჯერ კიდევ „პროვინციის მეფობის“ პერიოდში.

1392 წ. საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარი, 1408 წ. სიგელი კონსტანტინე I ნაეროზ ცირლილადისადმი, 1392 წ. სიგელი გორგაძეთადმი, ქუცნა ამირეჯიბის სიგელი ულუმბას მონასტრისადმი ადასტურებენ XIV ს. II ნახ. აღმ. საქართველოში კიდევ ერთი „პროვინციის მეფის“ — ალექსანდრეს მფლობელობას.



XV საუკუნეც „ბატონიშვილობის“ საკითხის სიმწვავეთ აღიწინა. ალექსანდრე I დიდის შვილები — ვახტანგი, დემეტრე და გიორგი, მამის სიცოცხლეში „მეფის“ ტიტულით მოქმედებენ. მეფემ ბატონიშვილებს ქვეყნის გარკვეული რაიონები „მიანება“, ისინი კი შინაპოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, „პროვინციის მეფობას“ იწყებენ. ეს მომენტი უნდა ასახულიყო იმ ტრადიციაში, რომლის მიხედვითაც ალექსანდრე დიდმა თავის შვილებს სამეფო დაუნაწილა და რასაც ქვეყნის დაშლა მოჰყვა. დასტურდება ალექსანდრეს შეუღლის — თამარის მოღვაწეობაც „მეფეთ-მეფის“ ტიტულით. როგორც ლიხთ-იქითელთა ჩამომავალს, მას ამ რეგიონის ადგილობრივ ფეოდალებზე აქვს გავლენა.

სანტერესთა ალექსანდრე I დიდის ძმების — ბაგრატისა და გიორგის მფლობელობის ხასიათი. გიორგი „მეფეთ-მეფის“ ტიტულით მოიხსენიება სამთავისის „მეორედ აღმშენებლის“ გიორგის ასულის — გაიანეს წარწერაში. პოლიტიკური სიტუაცია და „ახალი ქართლის ცხოვრების“ ცნობები გვაფარაუდებინებენ ბაგრატის „პროვინციის მეფობის“ შესაძლებლობასაც.

XV ს. I ნახ. მოღვაწეობს „პროვინციის მეფე“ დავითი, რომელიც მფლობელობს სამხრეთ რეგიონებში — ჯავახეთ-ლორე-სომხეთის მხარეში. მას 1425 წ. მცხეთის საკათალიკოსო ტახტისათვის დაუბრუნებია 1392 წ. სითარხნის გუჯარით კუთვნილი, მაგრამ შემდეგ დაკარგული მამულები. როგორც ირკვევა, იგი არის ბაგრატ V დიდის ვაჟი, ე. ი. მეფეების — გიორგი VII-სა და კონსტანტინე I-ის ძმა.

გიორგი VIII ძე ალექსანდრე (მომავალი ალექსანდრე I კახთა მეფე — 1476—1511) ჯერ კიდევ მამის მეფობის პერიოდში მოღვაწეობს „მეფის“ ტიტულით. როგორც ჩანს, გიორგი VIII მეფობისათუ ტყვეობის პერიოდში იგი ქვეყნის გარკვეულ რეგიონში „გაგელმწიფებული“ ბაგრატიონია. გიორგი მეფეს პირველი ცოლისაგან ჰყავს ვაჟი — ვახტანგი, რომელსაც ტახტზე მემკვიდრეობის უფლება დაკარგული აქვს. გამწვავებული „ბატონიშვილობის“ საკითხი იმით „მოგვარდა“, რომ 1484 წ. ვახტანგი „შეწევნითა წმიდისა სამებისაჲთა“ „მეფედ იქცა“ არაგვის ხეობაში. მალე მას უკვე კახეთში ვხედავთ „მეფის“ ტიტულით მოღვაწეს. საბოლოოდ კი ვახტანგი ბერად აღკვეცილა ვარსიმეს სახელით.

დასტურდება დიმიტრი წყალს-იქითის „პროვინციის მეფის“
შვილის — დავითის ქართლში „მეფობა“. ნ. ბერძენიშვილის აზრით,
დიმიტრის ძეები — უფროსი კონსტანტინე გალმა მხარის — წყალს-
იქითის მეპატრონე იყო, დავითი კი „გამოღმა მხარისა“, კერძოდ
გორის რეგიონისა. 1466 წ. გიორგი VIII დატყვევებისა და ბაგ-
რატ VI ქართლში გადმოსვლის შემდეგ, დავითი თავიდან ბაგრატს
ეყმო, მაგრამ მალე კახეთს გადავიდა და „იწყო წოდებად მეფედ“.
ვახუშტის, იოანე ბატონიშვილის ცნობებისა და შინაპოლიტიკური
სიტუაციის გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს იგი „კახთა მე-
ბატონე“ დავითთან გავაიგივოთ. 1466 წელსვე გიორგი VIII ტყვე-
ობიდან გათავისუფლდა, მაგრამ იძულებული გახდა მხოლოდ კა-
ხეთს დასჯერებოდა, დავითის „პროვინციის მეფობა“ უკვე დიდო-
ეთში გრძელდება. 1469 წ. საქართველოს შინაპოლიტიკურ ცხოვრე-
ბაში მნიშვნელოვანი მოვლენებით აღინიშნა. ამ წელს დავითი, რად-
გან სხვა ბაგრატიონებს „აქუნდა მას ჟამსა დიდი განუსუენებლობა“,
ახერხებს კახეთის ცენტრალურ რეგიონებში კვლავ ფეხის მოკიდებას
და ბოღბეს „მეფედ“ კურთხევას.

კონსტანტინე II სიცოცხლეში „მეფის“ ტიტულით მოღვაწე-
ობს მისი უფროსი ძე — დავითი, მომავალი დავით X (1505—1525).
როგორც ირკვევა, მას განსაკუთრებული გავლენა ლიხთ-იქითში
აქვს და ამ რეგიონის „პროვინციის მეფე“ ჩანს XV ს. 90-იან წლე-
ბამდე. თავად კონსტანტინე II შინაპოლიტიკური და დინასტიური
ბრძოლის გამწვავების გამო XVI ს. დამდეგს ბერად მოუხდა აღკვე-
ცა — კირილეს სახელით.

VIII დატყვევების შედეგად ბაგრატ VI საშუალება ეძლევა ქართლში
„პროვინციის მეფობა“. იგი როგორც ალექსანდრე I დიდის ძმის —
გიორგის ჩამომავალი, არ კადრულობს „უპატიოდ ყოფნას“ და
მეფობისათვის იბრძვის. 1453 წ. ბაგრატი ლიხთ-იქითის „პროვინ-
ციის მეფეა“, „ქუთაისის მეფედ“ იწოდება. XV ს. 60-იანი წლები-
დან შინაპოლიტიკური ბრძოლა კიდევ უფრო მწვავდება, 1463 წ.
ჩიხორის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ მისი უფლებები გაცილე-
ბით იზრდება, „სრულიად იმერთა მეფედ“ იწოდება, თუმცა იგი
ისევ „პროვინციის მეფეა“, რადგან სამეფო ტახტი ჯერ კიდევ ახერ-
ხებს თავისი გავლენის შენარჩუნებას ამ რეგიონზე. 1466 წ. გიორგი
VIII დატყვევების შედეგად ბაგრატ VI საშუალება ეძლევა ქართლში

გადავიდეს და გამეფდეს, ამ წელსვე მთავრდება მისი „პროვინციის მეფობაც“.

1478 წ. ბაგრატ მეფის გარდაცვალების შემდეგ მისი ძე ალექსანდრე არ ემორჩილება კონსტანტინე II ტახტს და 1478—1484 წწ. რაჭა-არგვეთის „პროვინციის მეფედ“ გვევლინება. ქვეყნის დაშლა უკვე გარდაუვალი ჩანს, ამიტომ ლიხთ-იქითელი ბაგრატიონი აღარ კადრულობს მხოლოდ „პროვინციის მეფობას“, იგი სრულიად იმერეთის სამეფო ტახტზე ფიქრობს. 1489 წ. ალექსანდრემ ამ მიზანს მიაღწია კიდევ.

XV ს. ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის დაშლა ხანგრძლივი და თანდათანობითი პროცესის შედეგია. ესაა ქვეყნის განვითარების ნორმალური გზიდან აცდენა, „ჩიხის“ გამოვლენა. „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტი უშუალო კავშირშია დაშლის პროცესთან, მან ხელი შეუწყო მის განვითარებასა და დაჩქარებას. 1490 წ. იურიდიულად გაფორმებული სამეფოს დაშლა მნიშვნელოვანი ტეხილია ქვეყნის განვითარების ისტორიაში. შინაპოლიტიკური და დინასტიური ბრძოლაც ახალ საფეხურზე ადის, რაც, თავის მხრივ, იწვევს ცვლილებებს „ბატონიშვილობის“ საკითხთან დაკავშირებითაც. ახალი სამეფო-სამთავროების წარმოშობის პარალელურად მიმდინარეობს „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის გაქრობის პროცესი. უკანასკნელი „პროვინციის მეფეთა“ კონსტანტინე II შვილი — ბაგრატი, რომელიც „მეფის“ ტიტულით მოღვაწეობს და მფლობელობს ქართლში („მარანას ჯდა“). XVI ს. დამდევისათვის მან დათმო „მეფის“ ტიტული და მუხრანი მიიღო საუფლისწულოდ, რასაც სათავადოს — სამუხრანბატონოს ჩამოყალიბება მოჰყვა.


„პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის გაქრობის მთავარი მიზეზია ერთიანი სამეფოს დაშლა და დამოუკიდებელი სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბება: ტერიტორიულად მცირე ქართულ სამეფოებში „პროვინციის მეფეების“ არსებობისათვის აუცილებელი პირობები აღარ არსებობს, XVI ს.-დან სამეფო ტახტები უფრო უნარიანი აღმოჩნდნენ ამ „ქინი მეფეების“ წინააღმდეგ ბრძოლაში. თუ XIV—XV სს. „პროვინციის მეფეთა“ სამფლობელოებს იმუნიტეტი აქვთ და ძირითადად გამოყოფილი არიან სამეფო დომენისა-

გან, შემდეგ პერიოდში სახასოს დაქუცმაცება წყდება და საბატონო
ნიშვილო მამულები სამეფო დომენის განუყოფელი ნაწილი ხდება.
ამიტომ ქრება „პროვინციის მეფეთა“ არსებობისათვის საჭირო სა-
მფლობელო მამულები და სოციალური დასაყრდენი — ვასალთა
ფენაც. ეს კი იწვევს ამ ინსტიტუტის არსებობის შეწყვეტას.


სახასო




Ե Ն Ե Ն Բ Թ Ո Ւ N 9 V




Ե Ն Ե Ն Բ Թ Ո Ւ N 2




ტ ა ნ ა რ ა თ ი N 3



ტ ა ნ ა რ ა თ ი N 4



ԿՐԻՍՏՈՍԻԱՆԻ ԿՅՐ



საბარძივო მასალა

1. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad — 565.
2. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad — 614.
3. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad — 932.
4. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad — 1284.
5. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad — 1498, Qd — 6995.
6. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd — 1330.
7. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd — 1360.
8. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd — 14903.
9. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd — 1352.
10. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd — 1712.
11. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd — 7588.
12. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd — 8712.
13. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd — 10149-ა.
14. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd — 10402.
15. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd — 464.
16. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd — 521.
17. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd — 796.
18. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd — 2886.
19. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd — 2887.
20. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd — 2888.
21. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (საქ. ცსსა), ფ. 1449, № 1597, ფონდი 1451, გუჯრების დავთარი № 1, საბუთი 292; დავთარი № 5, საბუთი 48.
22. საქ. ცსსა, ფ. 1449, № 1515, ფონდი № 1451, დავთარი № 5, საბუთი 18, საბუთი 352.
23. საქ. ცსსა, ფ. 1449, № 1567, ფ. 1451, გუჯრების დავთარი № 1, საბუთი 20; დავთარი № 4, საბუთი 20.
24. საქ. ცსსა, ფ. 1449, № 1588.
25. საქ. ცსსა, ფ. 1451, გუჯრების აღწერილობის დავთარი № 4, საბუთი 130.
26. საქ. ცსსა, ფ. 1451, გუჯრების აღწერილობის დავთარი № 5, საბუთი 60.
27. საქ. ცსსა, ფ. 1451, გუჯრების აღწერილობის დავთარი № 5, საბუთი 49.
28. საქ. ცსსა, ფ. 1451, გუჯრების აღწერილობის დავთარი № 5, საბუთი 332, საბუთი 336, საბუთი 338.

29. ლო ივან, შიფრ N6, ლ. 79 a—84a.
 30. ლო ივან, შიფრ p18/130, ლ. 38a—39b.



ისტორიული წყაროები

31. არჩილიანი, ტ. I, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1936. იხ. წინასიტყვაობა „არჩილიანის ტექსტისათვის“.
32. ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი, „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959.
33. ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, „ქართლის ცხოვრება“, II, თბ., 1959.
34. ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, „ქართლის ცხოვრება“, II, თბ., 1959.
35. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941.
36. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
37. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, „ქართლის ცხოვრება“, II, თბ., 1959.
38. პლანო კარპინი, ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 2, თბ., 1926.
39. თოგმა მეწოფელი, ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლობისა, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო კ. კუციაშვილმა, თბ., 1987.
40. XIV—XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ (ალ-უმარი, ალ-მუჰიბი, ალ-კალკაშანდი), არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო დ. გოჩოლეიშვილმა, თბ., 1988.
41. მიქელ პანარეტოსი, „ტრაპიზონის ქრონიკა“, „გეორგიკა“, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 7, ტექსტები ქართული თარგმანიტურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1967.
42. მიქელ პანარეტოსი, ტრაპიზონის ქრონიკა, გამოსცა აღ. გამყრელიძემ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33, თბ., 1960.
43. უამთაღ მწერელი, „ქართლის ცხოვრება“, II, თბ., 1959.
44. უამთაღ მწერელი, ასწლოვანი მატინე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1987.
45. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებელი ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961.

46. საქართველოს სიძველენი, I, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1899.
47. საქართველოს სიძველენი, II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1909.
48. საქართველოს სიძველენი, III, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1910.
49. სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ, თბ., 1986.
50. სომხურ ხელნაწერთა XIV—XV საუკუნეების ანდერძების (პიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ, თბ., 1978.
51. ფირდოუსი, შაჰ-ნამე, იუს. აბულაძის, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძის და ა. შანიძის რედაქციით, კომენტარებით და ლექსიკონით, II, ტფ., 1934.
52. „ქართლის ცხოვრება“, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემა ე. თაყაიშვილისა, ტფ., 1906.
53. ქართული ისტორიული საბუთები IX—XIII სს., შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984.
54. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, II, თბ., 1966.
55. ქართული სამართლის ძეგლები, III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970.
56. ქართული სამართლის ძეგლები, VIII, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985.
57. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, II, ტფ., 1897.
58. შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, იუს. აბულაძის რედაქტორობით, I, ტფ., 1916.
59. ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980.
60. ძეგლი ერისთავთა, ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1966.
61. ძეგლი ერისთავთა, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შ. მესხიამ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954.
62. „წიგნი ქორონიკონი ძველისა და ახლისა“, საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII—XIX სს., ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფ. აეთ. იოსელიანმა.
63. ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, „ქართლის ცხოვრება“, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
64. Грузинские документы IX—XV вв., перевод и комментарии С. С. Какабадзе, М., 1982.

65. Грузинские церковные гуджары (грамоты), составил Д. П. Пурцеладзе, Тфл. 1881.
66. Грузинские дворянские грамоты, составил Д. П. Пурцеладзе, Тфл. 1881.
67. Захарий Канакерци, Перевод с армянского, предисловие и комментарии М. О. Дарбинян, М., 1969.
68. Памятник Эриставов. Перевод, исследование и примечание С. С. Какабадзе, Тб., 1989.
69. Фадлуллах Фашид-Ад-Дин, Джами-Ат-Таварих (Сборник летописей), Ш. перевод с персидского языка А. Қ. Арендса, Баку, 1957.
70. *Ջաքարիա Մարქապազ, Ջաքարեայ Սարվաւազի պատմութիւն, վաղարշապատ, 1870.*

გამოყენებული ლიტერატურა

71. ა. აბდალაძე, XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1976, № 3.
72. თ. აბრამიშვილი, XIII—XIV სს. დასავლურ-ქართული ფული, თბ., 1959.
73. ი. აბულაძე, მათეოს განძასარელის ცნობა ქართველი მეფის კონსტანტინეს შესახებ, შრომები, IV, თბ., 1985.
74. გ. არახამია, „ძეგლი ერისთავთა“-ს ისტორიულ პირთა იდენტიფიკაციისა და ქრონოლოგიის საკითხისათვის, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ხელოვნების ისტორიის სერია, 1983, № 4.
75. გ. არახამია, „ძეგლი ერისთავთა“-ს ცნობები აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე XIII—XIV სს.-ის მიჯნაზე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, II, თბ., 1985.
76. ნ. ასათიანი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან (კახეთის სამეფოს წარმოქმნის საკითხისათვის), თსუ შრომები, ტ. 78, თბ., 1963.
77. ნ. ასათიანი, სახელმწიფო რეფორმების საკითხისათვის XV ს. კახეთის სამეფოში, ძიებანი საქართველოს და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976.
78. ს. ბარნაველი, სამთავისის „მეორედ აღმშენებლის“ ვინაობა, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მომკმე“, ტ. XII, № 9, 1951.
79. გ. ბედოშვილი, ზოგიერთი ქართული გვირგვინის წარმოშობის ისტორიისათვის, ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1987.
80. ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, I, თბ., 1937.
81. ნ. ბერძენიშვილი, ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური (სანავარსოვო მოხსენება), საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964.

82. ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965.
83. ნ. ბერძენიშვილი, ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა სამამულო ბრძოლიდან XIII ს. საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1966.
84. ნ. ბერძენიშვილი, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წესწყობილება, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბ., 1971.
85. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, თბ., 1974.
86. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975.
87. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, IX, თბ., 1979.
88. დ. ბერძენიშვილი, ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“, V, თბ., 1975.
89. დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, ნაკვ. I, თბ., 1979.
90. დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან (ზემო ქართლი — თორი, ჯავახეთი), თბ., 1985.
91. ნ. გაბაშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები იაპონელი მეცნიერის სეიჩი კიტაგავას შრომებში, „მნათობი“, 1987, № 6.
92. ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლში), თბ., 1983.
93. ვ. გუჩუა, ბრძოლა ქვეყნის მთლიანობის აღდგენისათვის და აგრესორთა წინააღმდეგ XVI ს. I ნახევარში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973.
94. გ. დუნდუა, სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, თბ., 1964.
95. თ. ენუქიძე, კიდევ ერთი საბუთი ზევდგინიძე-ამილახორთა შორის სამამულო დავაზე XV ს. მეორე ნახევარში, ქართული წყაროთმცოდნეობა, VII, თბ., 1987.
96. ე. თაყაიშვილი, „მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან“ და შენიშვნები ამ ცნობების შესახებ, ძველი საქართველო, II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1913.
97. ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1913—1914.
98. ბ. ინგოროყვა, რუსთაველიანის ეპილოგი, თხზულებანი, I, თბ., 1963.
99. ს. კაკაბაძე, გენეალოგია ბაგრატ VI აფხაზთა და ქართველთა მეფისა, ტფ., 1912.
100. ს. კაკაბაძე, ვახტანგ, უცნობი XV საუკუნის აფხაზ-იმერეთის მეფეთაგანი და მისი მემკვიდრე მეფე გიორგი, ტფ., 1912.
101. ს. კაკაბაძე, სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი, ტფ., 1912.
102. ს. კაკაბაძე, ქრონიკა იკორთის X 6 უამნ-გულანისა, ტფ., 1912.



103. ს. კაკაბაძე, კონსტანტინე VI, უცნობი აფხაზთა მეფე, ტფ., 1912.
104. ს. კაკაბაძე, ბაგრატ მეფე, XV ს. რაჭა-არგვეთის მფლობელი, ტფ., 1913.
105. ს. კაკაბაძე, უცნობი აფხაზ-იმერეთის მეფე თამარ II, ტფ., 1913.
106. ს. კაკაბაძე, ბაგრატ, უცნობი XIV საუკუნის რაჭა-არგვეთის მფლობელი, ტფ., 1913.
107. ს. კაკაბაძე, სიგელი ქართლის მეფე კონსტანტინესი, 1448 წ., ტფ., 1913.
108. ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, III, ტფ., 1913.
109. ს. კაკაბაძე, გენეალოგია დიდის ალექსანდრე მეფისა, ტფ., 1913.
110. ს. კაკაბაძის რეფერატი-კრიტიკა მე-14—15 საუკუნის იმერეთის მეფეთა აწ მიღებული გენეალოგიისა, ძველი საქართველო, III, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1913—1914.
111. ს. კაკაბაძე, მეფე გიორგი ანდრონიკეს შვილი ალასტანელი, წვრილი შტუდიები, ტფ., 1914.
112. ს. კაკაბაძე, დავით უცნობი XIV ს. მეფე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიიდან, I, ტფ., 1914.
113. ს. კაკაბაძე, სვანები XV საუკუნეში, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, I, ტფ., 1914.
114. ს. კაკაბაძე, XV საუკუნის I ნახ. აფხაზ-იმერეთის მეფეთა გენეალოგიურ საკითხთაგან, კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, ტფ., 1920.
115. ს. კაკაბაძე, XV საუკ. დასაწყისის ერთი დავით მეფის შესახებ, კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, თფ., 1920.
116. ს. კაკაბაძე, ვეფხისტყაოსნის პრობლემის გარეშე, საისტორიო მოამბე, I, ტფ., 1924.
117. ს. კაკაბაძე, ეგრეთ წოდებულ ბაგრატ კურაპალატის სამართლის შესახებ, საისტორიო მოამბე, II, ტფ., 1924.
118. ს. კაკაბაძე, განჩინება მთის გიორგის ყმათა სისხლის შესახებ, საისტორიო მოამბე, II, ტფ., 1924.
119. ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ, საისტორიო მოამბე, II, ტფ., 1924.
120. ს. კაკაბაძე, მე-15 საუკუნის ვახტანგ გორგასალის ვინაობის გასარკვევად, საისტორიო მოამბე, I, ტფ., 1925.
121. ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, საისტორიო მოამბე, II, ტფ., 1925.
122. ს. კაკაბაძე, ალექსანდრე-სვიმონი, ქართლის მეფე XVI საუკუნეში, საისტორიო კრებული, III, ტფ., 1928.
123. ს. კაკაბაძე, რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966.
124. დ. კაკაბაძე, ზოგიერთი გაურკვეველი ქართული ფულის დათარიღებისათვის, საქ. სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე“, XI-B, თბ., 1941.
125. დ. კაკაბაძე, უცნობი ქართული მონეტებისა და ზარაფხანების შესწავლის საკითხისათვის, საქ. სახ. მუზეუმის „მოამბე“, XIV-B, თბ., 1947.

126. დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969.
127. ბ. კარბელაშვილი, ამილახორთა საგვარეულოს ისტორიული გვარგამაძე დველი საქართველო, II, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1913.
128. კ. კეკელიძე, ახალი ლიტერატურული წყაროები ლაშა-გიორგის ისტორიისათვის, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1956.
129. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1981.
130. ვ. კიკნაძე, XIV საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიიდან (გიორგი V გამეფების თარიღი), „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ხელოვნების ისტორიის სერია, 1983, № 2.
131. ა. კლდიაშვილი, ანანურის მოხატულობა, ვაზ. „თბილისი“, 6., X. 1986.
132. დ. კლდიაშვილი, XIV საუკუნის დამდეგის საქართველოს ისტორიიდან, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ხელოვნების ისტორიის სერია, 1982, № 1.
133. ავ. კლიშიაშვილი, მასალები XV—XVIII სს. ქართლისა და კახეთის საღროშოების ისტორიისათვის, კრ., XIV—XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964.
134. კ. კუცია, „აჰსან ათ-თავარიხის“ ცნობები XIV საუკუნის საქართველოს შესახებ, საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, II, თბ., 1979.
135. ბ. ლომინაძე, შიომღვიმე, თბ., 1953.
136. ბ. ლომინაძე, მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ (XIII ს. 40—XIV ს. 10-იანი წწ.), საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1979.
137. ბ. ლომინაძე, საქართველო XV ს. მეორე ნახევარში, ერთიანი საქართველოს საბოლოო დაშლა სამეფოებად და სამთავროებად, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1979.
138. დ. ლომიძე, უცხოეთიდან მიღებული ზოგიერთი მასალა საქართველოს ისტორიის შესახებ, „მრავალთავი“, XIV, თბ., 1987.
139. თ. ლომოური, ახალციხის ზარაფხანა, საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XII—B, თბ., 1944.
140. თ. ლომოური, დავით VII-ის და ვახტანგ III-ის ფულები, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XV-B, თბ., 1948.
141. თ. ლომოური, პატარა-ჯიხაიში აღმოჩენილი XVI ს-ის განძის გამო, საქ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVII-B, თბ., 1953.
142. გ. მაისურაძე, ერთი სომხური წყარო დემნა უფლისწულის აჯანყების შესახებ, საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966.
143. გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII—XVIII საუკუნეებში, თბ., 1982.
144. გ. მამულია, პატრონელობა, თბ., 1987.
145. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I, გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ, თბ., 1964.



146. გ. მერაბიშვილი, ი. ტაბალუა, უცხოელი მოგზაურები საქართველოს შესახებ, „დროშა“, 1982, № 12.

147. ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI—XVII სს.), თბ., 1962.

148. რ. მეფისაშვილი, ვალეს ტაძარი და მისი აღმშენებლობის ორი ძირითადი პერიოდი, „ARS GEORGICA“ (ქართული ხელოვნება), 3, თბ., 1950.

149. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ., 1977.

150. გ. ნათაძე, საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა, II, თბ., 1925.

151. თ. ნატროშვილი, ერთი ლეგენდის კვალზე, კრ., წელი ერთი და ათასი (მხატვრულ-ისტორიული ნარკვევები), თბ., 1988.

152. დ. ნინიძე, შინაპოლიტიკური ბრძოლის რამდენიმე საკითხი საქართველოში XV—XVI სს. მიჯნაზე, ახალგაზრდა მეცნიერ-ისტორიკოსთა V რესპუბლიკაციური კონფერენციის მასალები, თბ., 1985.

153. დ. ნინიძე, შინაპოლიტიკური და დინასტიური ბრძოლის ისტორიისათვის XVI ს. საქართველოში (ლუარსაბ I ქართლის მეფის ძე ალექსანდრე), ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, XI, თბ., 1985.

154. დ. ნინიძე, ერთი ეპიზოდი ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიიდან — გოჩაშვილნი, ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, XII, თბ., 1986.

155. დ. ნინიძე, სოფ. ალასტანის ისტორიიდან, მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის, ნაკვ. III, თბ., 1987.

156. დ. ნინიძე, ვახტანგ III გარდაცვალების თარიღისათვის, ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, XIV, თბ., 1987.

157. დ. ნინიძე, სასისხლო სიგელები და „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტი, ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, XVI, თბ., 1988.

158. დ. ნინიძე, ქუცნა ამირეჯიბის ულუმბას მონასტრისადმი ბოძებული სიგელი „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის შესახებ, ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკური კონფერენცია, მიძღვნილი თბილისის უნივერსიტეტის დაარსების 70 წლისთავისადმი, კონფერენციის მასალები, თბ., 1988.


159. დ. ნინიძე, XIV ს. დამდგვის საქართველოს ისტორიის რამდენიმე ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხი, თსუ შრომები, 283, 1989.

160. დ. ნინიძე, შინაპოლიტიკური ბრძოლის ისტორიიდან XV ს. („ორიანობა“), თსუ შრომები, 310, 1992.

161. დ. ნინიძე, მ. სანაძე, პოპანავანქის მონასტრის ეგვტერის წარწერა და ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ ისტორიის ზოგიერთი საკითხი, „მაცნე“, № 3, 1990.

162. დ. ნინიძე, სავახტანგო, მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის, ნაკვ. IV, 1993.

163. დ. ნინიძე, ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ სამფლობელოს წარმოშობის ისტორიისათვის, „მნათობი“, 1993, № 7—8.



164. დ. ნინიძე, ღრტილას ეკლესიის 1308 წლის სამშენებლო წარწერისათვის, ახალგაზრდა მეცნიერ-ისტორიკოსთა VI რესპუბლიკური კონფერენციის მასალები (წარმოებაში).
165. დ. ნინიძე, ლიხთ-იქითის „მეფეთა“ ისტორია XIV საუკუნეში, თსუ შრომები (წარმოებაში).
166. დ. ნინიძე, ვინ მოკლეს „ჩალაღანს“? ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, XVII, 1989.
167. ჯ. ოდიშელი, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV—XVII სს.), კრ., XIV—XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964.
168. გ. ოთხმეზური, XII—XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაბიდაური წარწერები, როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1981.
169. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, ტფ., 1928.
170. დ. პაიჭაძე, ლუდოვიკო და ბოლონია და ქართველთა ელჩობა, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია, 1983, № 4.
171. თ. ყორღანიძე, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა და „ძეგლი“ ვაჰხანის ქვაბთა, თბ., 1896.
172. ბ. სილაგაძე, მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის, ქართული წყაროთმცოდნეობა, II, თბ., 1968.
173. ი. სიხარულიძე, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII—XIV სს., თბ., 1964.
174. ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1973.
175. კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV—XV საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1974.
176. ნ. ურბნელი, გიორგი ბრწყინვალე მეფე საქართველოსი, ტფ., 1889.
177. ნ. ურბნელი, ათაბაგნი ბექა და აღბულა და მათი სამართალი, რჩეული იურიდიული ნაწერები, დასაბეჭდად მოამზადა, ბიოგრაფიული მასალები და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1982.
178. მ. ქიქოძე, ქართლის სათავადოების ისტორიიდან XV—XVIII სს. (საამილახორო), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 35, თბ., 1963.
179. ც. ღვაბერიძე, საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯეღაირთა სახელმწიფოსთან (ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით), თბ., 1986.
180. ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ., 1971.
181. ქრ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954.



182. ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია, რუსთაველი, კრ., „შოთა რუსთაველი“, ისტორიულ-ფილოლოგიკური მუშაობები, თბ., 1966.

183. ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959.

184. ალ. ხახანაშვილი, გუჯრები, ქუთაისი, 1891.

185. ზ. ხიდურელი, ფეოდალური მიწათმფლობელობა XV—XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში (სამეფო დომენი), თბ., 1989.

186. ე. ხოშტარია, „ძველი ერისთავთა“ ზოგიერთი რეალის გაგებისათვის, „მრავალთავი“, VII, თბ., 1980.

187. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, ტფ., 1926.

188. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1941.

189. ივ. ჯავახიშვილი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947.

190. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966.

191. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1967.

192. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VI, თბ., 1982.

193. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984.

194. Л. О. Бабаян, Социально-экономическая и политическая история Армении в XIII—XIV веках, М., 1969.

195. Р. М. Бартикян. Приписываемый Мануилу, великому ритору Константинопольской патриархии (первая половина XVI века) панегирик государям Самцхе-Саатабаго Квиркваре II, Канхосрою и Мзечабуку. თსუ შრომები ტ. 266-დამატება, თბ., 1987.

196. М. А. Берг. О так называемом „кризисе феодализма“ в XIV—XV вв., „Вопросы истории“, М., 1960, № 8.

197. Н. Бердзенишвили, Из истории феодальных отношений в Грузии XV в. საქართველოს ისტორიის საკითხები, 11, თბ., 1965.

198. Н. Бердзенишвили, Очерки по истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XVI вв.). სსს, 11, თბ., 1965.

199. И. Джалаганиа, Из истории монетного дела в Грузии XIII века, Тб., 1958.

200. С. Джанашиа, Об одном примере искажения исторической правды. По поводу книги Н. Токарского. „Архитектура древней Армении“, Тб., 1947.

201. Известия Кавказского Отделения Императорского Московского Археологического общества, вып. II, под редакцией Л. Г. Лопатинского и Е. С. Такайшвили, Тфл., 1907.



202. История средних веков, сочинение Оскара Иегера, СПб., 1894.

203. История средних веков, т. I, под редакцией А. Д. Удальцова, Косминского и О. А. Вайнштейна, ОГИЗ, 1941.

204. История Франции в трёх томах, т. I. М., 1972.

205. А. К л д и а ш в и л и. Роспись западного придела церкви Анаури в Вардзиа ктиторский портрет, Пещеры Грузии, спелеологический сборник, 12, Тб., 1988.

206. Е. А. К о с м и н с к и й. Были ли XIV и XV века временем упадка европейской экономики? „Средние века“, вып. X, М., 1957.

207. Г е о р г и й М е р ч у л е, Житие св. Григория Хандзтийского. Грузинский текст. Введение, издание, перевод Н. Марра с дневником поездки в Шавшию и Кларджию. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. УП. СПб. 1911.

208. Е. П а х о м о в, Монеты Грузии. Тб., 1970.

209. Е. Т а к а й ш в и л и, Археологические экскурсии, разыскания и заметки, сб., Известия Кавказского Отделения Императорского Московского Археологического общества, вып. IV, под редакцией А. Лопатинского и Е. Такайшвили. Тфл., 1915.

210. Н. Т о к а р с к и й, Архитектура древней Армении, Ер., 1946.

211. Г. Ц е р е т е л и, Археологическая экскурсия по Квирильскому ущелью. Материалы по археологии Кавказа, вып. УП. под редакцией графини Уваровой, М., 1898.

212. О. Х а л п а х ч я н. Архитектурные ансамбли Армении, М., 1980.

213. Կ. Կոստանեանց, Հիմափան տարեգիր, Bibliotheca Armeno-Georgica, II, Ս.—ՊԵՏԵՐԲՈՒՐԳ, 1913, Եր.

214. Հայ ժողովրդի պատմութիւն, 111, Երեփան, 1976.

215. Կարո Ղաֆաղարյան, Հովհաննափանքն եւ նրա արձանագրութիւնները, Երեփան, 1948.

216. M. Brosset. Collection d'historiens arméniens. SPB. 11. 1976.

217. C. T. Wood. The French Apanages and the Capetian Monarchy, 1224—1328. Cambridge. 1936.

Д. В. НИНИДЗЕ

„ПРОВИНЦИАЛЬНЫЕ ЦАРИ“ В ГРУЗИИ В XIV—XV ВЕКАХ

Резюме

В истории феодальной Грузии XIV — XV века отмечены весьма сложными явлениями. В истории института „Царевичей“ возникает новая форма внутривполитической и династической борьбы—институт „Провинциальных царей, который сыграл значительную роль в развитии исторических событий XIV—XV вв., поэтому выявление сущности данного института приобретает важное значение при изучении политического, социально-экономического и культурного прошлого Грузии. Исследование указанного вопроса даёт возможность составить более полное представление об общей картине института „царевичей“, о государственном устройстве Грузии на разных этапах феодального сепаратизма. Актуальность темы возрастает и в связи с тем, что без учета института „Провинциальных царей“ не удаётся правильно истолковать ряд важнейших явлений истории Грузии XIV—XV вв.

Работа представляет собой первый спыт монографического изучения института „Провинциальных царей“. Изучены причины и пути возникновения данного института, сущность и характер территориальных владений „Провинциальных царей“. Соответственно обнаружались новые аспекты в истории вассалитета и иммунитета XIV—XV вв. Выявлены неизвестные представители рода Багратионов, игравшие активную роль во внутривполитической жизни страны. Изучение историко-хронологических вопросов

дало возможность уточнить целый ряд дат различных исторических фактов и событий.

В результате переплетения внутренних и внешних факторов XIII—XIV вв. царская власть слабеет, центр уже не может выполнять прежних функций, зарождается тенденция „царствования“ боковых ветвей царского рода. Дидебули (знать) стремятся превратить поместья в вотчины. В условиях, когда даже вассалы стали претендовать на власть, почти равную царской, естественно, что представители царского рода и царевичи не довольствовались своим „бесправным“ положением; но поскольку возможность занять царский престол для них исключалась, они распоряжались в различных провинциях Грузии именуя себя „царями“.

Уточнены некоторые историко-хронологические вопросы периода „многоцарствия“—на рубеже XIII—XIV вв., что дает возможность точно датировать исторические факты, связанные с возникновением аластанской ветви „Провинциальных царей“; выявлены причины, обусловившие возникновение в 1311 году этой провинциальной ветви.

Характером правления Вахтанга III объясняется статус „Провинциального царя“ его сына — Димитрия, который упоминается в надписи 1311 года на иконе божьей матери Петрицонского монастыря.

Установлено, что во владения аластанских „царей“ помимо основных поместий—Джавахет-Аластани и Нижней Картли—входили определённые территории исторической Армении; с этой точки зрения проанализирована притворная надпись Ованнаванского монастыря, которая дополнительно аргументирует положение о том, что и в XIII—XIV веках значительная часть армянской территории всё еще находилась в составе Грузинского царства; тем самым опровергается распространённая в армянской историографии точка зрения о номинальном характере подчинения армянских земель единой грузинской монархии.

Не разделяется мнение о том, что аластанские Багратионы были „Провинциальными царями“ Горийского региона.

Высказано предположение, что аластанская ветвь „Провинциальных царей“ прекратила своё существование не в 60-х годах XV века, а в 80-х годах XIV столетия, когда Аластани включается во владения Мцхетского патриаршего трона в составе „микространы“ под названием Зварети.

Впервые датируется заговор против Георгия VII, а именно 1386—1391 гг. Установлено, что Георгий VII был „Провинциальным царём“ в годы царствования своего отца Баграта V Великого.

Выявлены причины способствовавшие возникновению Лихт—икитских (Залихтских) „парей“. Периодом их падения автор считает начало XV в. — 1402 г.

Установлено существование следующих „Провинциальных царей“: Александр — II половина XV в.; сыновья Георгия VIII — Александр и Ваханг; брат Константина II Давид — 60-е годы XV века. С таким же статусом „правили“ сыновья Александра I Великого: Ваханг, Деметре, Георгий, супруга—Тамар и его братья—Баграт и Георгий.

В период царствования Константина II „Провинциальным царём“, был его сын—будущий Давид X, которого царская власть противопоставляла Александру (сыну Баграта VI)—„Провинциальному царю“ Рача—Аргвети. Сам Баграт VI, владеющий Лихт—икити до середины 60—х годов XV века является „Провинциальным царём“. С позиций института „Провинциальных царей“ освещается вопрос о возникновении независимого Имеретинского царства.

Определена роль института „Провинциальных царей“ в процессе распада единого грузинского царства.

Впервые ставится вопрос о причинах исчезновения указанного института; среди прочих главнейшей считается распад страны. Последним „Провинциальным царём“ был Баграт (сын Константина II), который после распада государства не смог сохранить титул „царя“, но взамен утерянного статуса сумел достичь положения „Мухранбатони.“

DES „ROIS CADETS“ EN GEORGIE DE XIV—XV SIECLES

Résumé

L'espace des siècles XIV—XV de la Géorgie féodale est fortement marquée de faits bien complexes où l'institution des „rois cadets“ ou „princes régionaux“ tient une place primordiale. Tout le passé géorgien, sa vie politique, économique et culturelle en portent l'empreinte accentuée. Et il en ressort la portée particulière de l'étude de ladite institution pour la mise en lumière de l'organisation étatique géorgienne à travers divers stades de développement du séparatisme féodal. Et si le fait historique des „rois cadets“ (ou „prince régionaux“) n'y est tenu en compte, toute étude historique risque d'être erronée.

Les nobles géorgiens (didéboulis) s'étant orientés vers la transmission de leurs terres au patrimoine, se sont proclamés rois car il ne pouvaient se contenter de piètre rôle des „rois cadets“ ce qui s'avère tout à fait naturel.

L'histoire française du carrefour des siècles XIII — XIV en offre des analogies, et ceci favorise sensiblement la datation plus précise de l'apparition de la branche alastane des „rois cadets“. C'est l'an 1311.

Le patrimoine royal alastan couvre, hormis les terres de Djavaxhethie—Alastani et le Bas Kharthli, la part considérable du territoire arménien, ce qui rend faux l'avis des historiographes arméniens, selon lequel l'intégration territoriale arménienne à l'état géorgien, n' a pas été que formelle.

Envisagée dans ce cadre, l'inscription du monastère Ovankhan en est la preuve probante.

N'est pas partagé également l'avis qui prétend à ce que „les rois Bagrationi alastans n'étaient que les „rois cadets“ du région de Gori.

Est avancée la date hypothétique de la disparition de la branche alastane des „rois cadets“—les années 80 du XIV-me siècle (et non les années 60) à l'époque où Alastani faisait partie de la cour patriarcal de Mtskhéta au sein du „micropays“ connu sous le nom de Zvaréthi.

Est établie la date du complot conçu contre Guéorgui VII, „rois cadet“ sous le Bagrat le Grand. Ce sont les années 1386—1391.

Sont mises à jour des raisons qui ont favorisé à l'avènement des rois Likh-ikhith (trans-Likhi) L'auteur de la présente oeuvre les place à l'an 1402.

Est établi tout un ensemble de „rois cadets“. Ce sont: Alexandre et Vakhtang, fils de Guéorgui VIII; David, frère de Constantin II—années 60 du XV siècle; Vakhtang, Démétré, Guéorgui, fils d'Alexandre le Grand; son épouse Thamar, ses frères, Bagrat et Guéorgui — tous ayant le statu des „rois cadets“ ou „prince régionaux“.

Sous le règne de Constantin II le statu de „rois cadets“ avait été attribué à son fils, le futur David X ce qui l'avait mis à l'autre bout de l'axe royal et l'avait opposé à Alexandre (fils de Bagrat VI).

Bagrat VI, quoique possesseur de Likht—ikhithi, jusqu'à mi des années 60, n'était qu'un roi cadet.

L'apparition du royaume imérétien indépendant est exposée dans la présente oeuvre, sous la lumière de l'institution des „rois cadets“ et y est défini son rôle décisif dans la dissolution de l'état unitaire, aussi bien que sont avancées les raisons de l'effacement de ceui-ci.

Le dernier roi Bagrat (fils de Constantin II) n'a pas pu garder le statu du roi après la chute de son état, mais il a pu être reconnu en tant que „Moukhranthbatoni“.

შინაარსი

შესავალი	3
თაზი I. „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის წარმოშობა	11
თაზი II. შინაპოლიტიკური ბრძოლა და „პროვინციის მეფეები“ XIV ს-ში	30
§ 1. XIV ს. დამდგის საქართველოს ისტორიის რამდენიმე ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხი	30
§ 2. ალასტანი და ალასტანელ „პროვინციის მეფეთა“ ისტორია	46
§ 3. XIV ს. დასასრულის აღმოსავლეთ საქართველოს „პროვინციის მეფეთა“ ისტორიისათვის	91
თაზი III. ლიხთ-იქითის „მეფეთა“ ისტორია XIV საუკუნეში	113
თაზი IV. შინაპოლიტიკური ბრძოლა და „პროვინციის მეფეები“ XV ს. საქართველოში	133
თაზი V. ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის დაშლა და „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის არსებობის საკითხი	178
დასკვნა	191
დანართი (№ 1—5)	

Давид Вахтангович Нинидзе

«**ПРОВИНЦИАЛЬНЫЕ ЦАРИ**» В ГРУЗИИ
В XIV—XV ВЕКАХ

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1995

გამომცემლობის რედაქტორი მ. თნასარიძე
მხატვარი ა. ბუაძე
მხატვრული რედაქტორი ი. ჩიქვინიძე
ტექნიკური რედაქტორი თ. ფიცხელანი
კორექტორი ე. წერეთელი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 11.07. 95.
საბეჭდი ქალაქი 60×84¹/₁₆; პირობითი ნაბეჭდი თაბახი 13,75;
სააღ.-საგამომც. თაბახი 10,93;
ტირაჟი 500; ფასი სახელმეკრულებო შეკვეთის № 814;

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.

Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.